

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი

ლექსიკოგრაფია

გიორგი მელაძე

ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები ბერმანიკული წარმოშობის
ლექსიკის მახალითზე

(ინგლისური, გერმანული, შვედური ენების მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

პროფესორი თინათინ მარგალიტაძე



თბილისი

2016

სარჩევი

შესავალი.....	3
ნაშრომის ზოგადი დახასიათება.....	3
საკითხის აქტუალობა.	3
კვლევის მიზანი და მეცნიერული სიახლე:	3
დისერტაციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი.....	5
ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:.....	7
ნაშრომის სტრუქტურა:.....	7
მოკლე წინასიტყვაობა.....	8
(i) არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება.....	8
(ii) ენებში ლექსიკურ და მორფოლოგიურ განსხვავებათა წარმოქმნა-გაღრმავების მექანიზმი	15
თავი I. მნიშვნელობის პრობლემა და ეკვივალენტობა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში	21
თავი II. ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები ზედსართავი სახელების მაგალითზე (<i>უპირატ. გერმანიკული წარმოშობის ლექსიკაზე დაყრდნობით</i>)	55
თავი III. ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული და სხვ. წარმოშობის არსებითი სახელების მაგალითზე.....	89
თავი IV. ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული და სხვ. წარმოშობის ზმნების მაგალითზე	131
თავი V. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი როგორც ორენოვანი ევროპულ- ქართული ლექსიკონების საფუძველი.....	146
დასკვნა.....	165
გამოყენებული ლიტერატურისა და სხვ. წყაროების სია	172

შესავალი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

წინამდებარე ნაშრომის სათაურია „ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული წარმოშობის ლექსიკის მაგალითზე (ინგლისური, გერმანული, შვედური ენების მასალაზე)“. მასზე მუშაობისას ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა ეკვივალენტობის ხარისხი ამ (და ზოგიერთი სხვა) ენების ლექსიკურ ერთეულებს შორის. აღნიშნული საკითხის კვლევა მრავალი თვალსაზრისით მიგვაჩნია მნიშვნელოვნად. სახელდობრ:

საკითხის აქტუალურობა.

ლექსიკურ ეკვივალენტობაზე საუბრისას, მხედველობაში, ბუნებრივია, ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების ეკვივალენტობა იგულისხმება. ალბათ ბუნებრივი იქნება, ადამიანს გაუჩნდეს კითხვა, რატომ წამოიჭრა საერთოდ სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკისათვის? საქმე ის გახლავთ, რომ ხანგრძლივი განვითარების მანძილზე ახლო მონათესავე ენებიც კი იმდენად შორდება ერთმანეთს, რომ განსხვავებანი მათი ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ ველებს შორის ფრიად მნიშვნელოვანი ხდება. იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩნდება კითხვა, საერთოდ არსებობს თუ არა ლექსიკური ეკვივალენტობა და სწორია თუ არა საერთოდ საუბარი ენათშორისი სინონიმების (როგორებიცაა მაგ. ინგლ. woman, შვედ., kvinna, ნიდერლ. vrouw – „ქალი“; ინგლ. head, გერმ. der Kopf, das Haupt, ნიდერლ. hoofd, kop, ნორვ. hode – „თავი“; ინგლ. tree, გერმ. Baum, ნიდერლ. boom, შვედ. träd, ნორვ. tre – „ხე“, და სხვ.), როგორც ასეთის, არსებობის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტას ლექსიკოგრაფებისთვის ზოგადად, კერძოდ კი თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრის გუნდისთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თუ რატომ, ამაზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

კვლევის მიზანი და მეცნიერული სიახლე:

ჩვენი კვლევის მიზანია, დავადგინოთ ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის ხარისხი ინგლისურ, ერთმხრივ, და უპირატ. გერმანიკული წარმოშობის (აგრ. ნაწილობრივ სხვა უცხოენოვან/ევროპულ), მეორე მხრივ, სინონიმურ ლექსიკურ

ერთეულებს შორის. ამას ჩვენთვის აქვს როგორც ზოგადად მეცნიერული და თეორიული, ასევე წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც. ლექსიკოგრაფიული ცენტრის ფარგლებში განზრახულია შეიქმნას ორენოვანი, უცხოურ-ქართული, ძირითადად ევროპულ-ქართული ლექსიკონები „ცენტრშივე“ შემუშავებული ლექსიკოგრაფიული მეთოდიკის გამოყენებით. ეს მეთოდიკა ჩამოყალიბდა ლექსიკოგრაფიის მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან მუშაობის პროცესში და მის პარალელურად. მოკლედ იგი შემდეგში მდგომარეობს: ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე მუშაობისას საფუძვლად აღებული უნდა იქნეს *მაგ.* ფრანგულ-ინგლისური, გერმანულ-ინგლისური, იტალიურ-ინგლისური და *სხვ.* ლექსიკონები, შემდეგ კი ამ ლექსიკონების სიტყვა-სტატიათა ინგლისური განმარტებები გადმოტანილი უნდა იქნეს ქართულად თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შექმნილი „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ მეშვეობით, რომელიც ერთგვარი დამხმარე სამეცნიერო ინსტრუმენტის როლსა და ფუნქციას შეასრულებს (უფრო დეტალურად ამ მეთოდის შესახებ ქვემოთ, V თავშია მოთხრობილი). წყარო ენიდან აღებული სიტყვების მნიშვნელობათა უმცირესი ნიუანსები კი უნდა დადგინდეს და დაზუსტდეს შესაბამისი ავტორიტეტული განმარტებითი ლექსიკონების გამოყენებით. გათვალისწინებული იქნება უცხო ენის ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული მეთოდები, რომელიც ქართულ ლექსიკოლოგიურ და ლექსიკოგრაფიულ მეცნიერებაში იქნა გამოკვლეული და ჩამოყალიბებული (მარგალიტაძე, 2012ა, 2012ბ). ცხადია, გათვალისწინებულია აგრეთვე ვრცელი ტექსტური კორპუსების (როგორც ერთენოვანი, ასევე პარალელური) გამოყენებაც, რომელთა გარეშეც თანამედროვე ლინგვისტური, განსაკუთრებით კი ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მუშაობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ინგლისური ენა, როგორც ვხედავთ, ამ დროს თავისებურ შუამავალ ენად გამოიყენება. სწორედ ამდენად ხდება ჩვენთვის მნიშვნელოვანი ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხი ინგლისურ, ერთმხრივ, და მეორე მხრივ გერმანიკულ (*აგრ.* სხვა ევროპულ) ენათა ლექსიკურ ერთეულებს შორის, რამდენადაც, ფაქტობრივად, საუბარია ეკვივალენტობაზე წყარო ენისა და შუამავალი ენის ლექსიკურ ერთეულთა შორის.

ამ მეთოდის დეტალური აღწერა გამოქვეყნებულია ჟურნალ „სპეკალში“ (მარგალიტაძე ... 2012). „ცენტრის“ შემოქმედებით გუნდს დიდი იმედი და რწმენა გვაქვს, რომ ეს დამხმარე მეთოდი მნიშვნელოვანწილად გააადვილებს უცხოენოვან-ქართული ლექსიკონების შექმნის პროცესს, რაც ესოდენ აქტუალური და მნიშვნელოვანია ჩვენს თანამედროვე ეპოქაში, რომლისთვისაც კულტურულ-ენობრივი კავშირებისა და ქვეყნებსა და რეგიონებს შორის კულტურული, ეკონომიკური, სამეცნიერო და სხვა კავშირ-ურთიერთობების ინტენსიფიკაციაა დამახასიათებელი.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს უცხოურ ენებში აქტუალიზებული სიტყვათხმარების შემთხვევების დეტალური ანალიზი ვრცელი ტექსტური კორპუსების გამოყენებით. ძირითადად ამ მიზნით ვეყრდნობოდით სიტყვათმეხამებითი მოდელების საძიებო სისტემას „სკეჩ-ენჯინს“ (სკეჩ-ენჯინი 2003), რომელიც, პრაქტიკულად, ტექსტური კორპუსების ვრცელ კრებულს წარმოადგენს. „სკეჩ-ენჯინის“ შესახებ მოთხრობილია დევიდ თაგუელისა და ადამ კილგარიფის ნაშრომებში (თაგუელი, 2011), (კილგარიფი ..., 2002). თავის მხრივ, ტექსტური კორპუსებიდან ამოღებული მონაცემები სხვადასხვა უცხოენოვან (ინგლისურ, გერმანულ, შვედურ, ნიდერლანდურ) ლექსიკურ ერთეულთა სიტყვათხმარების თავისებურებათა შესახებ გამოყენებული იყო წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში და აისახა მასში მოყვანილ მეცნიერულ დასკვნებში.

დისერტაციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი

ჩვენი ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამი შრისგან შედგება. პირველი (1) ეს გახლავთ სიტყვის სემანტიკის კვლევა და სემანტიკის კვლევისადმი სხვადასხვა მიდგომები. ამის მიზეზი ის არის, რომ ლექსიკური ეკვივალენტობა, ბუნებრივია, მნიშვნელობის ეკვივალენტობას გულისხმობს და ამდენად სემანტიკის ანალიზი სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო. სემანტიკასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას დავყვარდებით სამხრეთაფრიკელი ლექსიკოლოგის, დირკ გეერარტის (Dirk Geeraerts) ნაშრომს (გეერარტის, 2010), სადაც განხილულია სემანტიკის კვლევისადმი

სხვადასხვა მიდგომები, რომლებიც ენათმეცნიერების, როგორც ასეთის, განვითარების პარალელურად გამომუშავდებოდა (ისტორიულ-ფილოლოგიური, სტრუქტურალისტური, გენერატივისტული, კოგნიტიური და სხვ.).

მეორე შრე (2) გახლავთ ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის დარგში წამყვანი სპეციალისტების ნაშრომები. ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ცნობილი ლექსიკოგრაფების ა. ადამსკა-სალაციაკის, რ. ჰარტმანის, მ. სნელ-ჰორნბის, პ. ჰენქსის და სხვათა მოსაზრებანი ეკვივალენტობის შესახებ. ჩვენი კვლევა და მისი დასკვნები, გარკვეულწილად, ამ სპეციალისტების ნააზრევის ანალიზსა და შემოქმედებითად გააზრებას დაეფუძნა.

ჩვენი ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლის მესამე შრეს წარმოადგენს (3) ის ნაშრომები, რომლებიც ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტების ტიპებისა და ეკვივალენტობის ხარისხის კვლევას მიუძღვნეს. ეკვივალენტების ტიპების ანალიზისას განსაკუთრებით გვაქვს აღნიშნული ჩეხური წარმოშობის ამერიკელი მკვლევრის, XX საუკუნის ლექსიკოგრაფიის მამამთავრად წოდებულ (ცნობილი ჰოლანდიელი ლექსიკოგრაფისა და ლინგვისტის, პიტ ვან სტერკენბურგის (Piet van Sterkenburg), სიტყვებით: “the twentieth-century godfather of lexicography” (ვან სტერკენბურგი 2003 : 4)) **ლადისლავ ზგუსტას** კონცეფცია, რომელიც ასხვავებდა *მნიშვნელობის ეკვივალენტებს* (სიტყვა-სტატიის მეთაურ სიტყვებად გამოსატან მნიშვნელობებს) და *თარგმნით ეკვივალენტებს*, რომლებიც საილუსტრაციო მაგალითებში ჩნდება მნიშვნელობის უფრო მეტად დასაკონკრეტებლად, ახლა უკვე წინადადების მთლიანი მნიშვნელობის დონეზე. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით ახლოსაა ჩვენს მეთოდოლოგიასთან, რომელიც ლექსიკოგრაფიული ცენტრის წიაღში სპონტანურად შემუშავდა დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობის მრავალი წლის განმავლობაში.

ამ და სხვა მეთოდოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მეცნიერული მონაცემები გამოყენებული იქნება ჩვენს შემდგომ ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში და ისინი, ბუნებრივია, გამოყენებულია ჩვენს წინამდებარე ნაშრომშიც.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

რამდენადაც ლექსიკოგრაფია, ჩვენი ხედვით, ერთგვარად მეცნიერების წმინდა თეორიული, ერთმხრივი, და გამოყენებითი, მეორე მხრივ, დარგების მიჯნაზე მდგომი დისციპლინაა, ჩვენ, საკუთრივ თეორიულის გარდა, დიდ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენი დისერტაციის პრაქტიკულ, გამოყენებით მნიშვნელობასაც.

თეორიულ დონეზე ნაშრომის დადებით თვისებად მიგვაჩნია ის, რომ ჩვენი აზრით, ეკვივალენტობის საკითხის ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ხელს შეუწყობს პრობლემის შემდგომ კვლევას ჩვენს ქვეყანაში და შეიძლება გარკვეულ საფუძვლად თუ თეორიულ წანამდღვრად იქცეს კოლეგა ლექსიკოლოგ-ლექსიკოგრაფთა შემდგომი გამოკვლევებისათვის ამ დარგში. პრაქტიკულ ასპექტში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკუთრივ ლექსიკონზე მუშაობის პროცესში ლექსიკურ ერთეულთა შორის ეკვივალენტობის ხარისხის დადგენისა და ეკვივალენტური ერთეულების მოძიების გზები და, განსაკუთრებით, ამგვარი ეკვივალენტობის დაბალი ხარისხის გამოვლენის შემთხვევაში, ამ სირთულისთვის გვერდის ავლის პრაქტიკული მეთოდები (მაგ. სინონიმების მოძიება ელექტრონული და ბეჭდური რესურსების გამოყენებით), რომლებიც ჩვენს ნაშრომში გვაქვს აღწერილი. ეს მეთოდები ფრიად სასარგებლოდ გვესახება მათთვის, ვინც მომავალში უცხოენოვან-ქართული ლექსიკონების პროექტებზე იმუშავენ და ამ მუშაობის პროცესში დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს გამოიყენებს ერთგვარ „ხიდად“ უცხოურსა და ქართულ ენებს შორის.

იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ნაშრომი ხელს შეუწყობს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინების, შემდგომ პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანაში. ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში გაშუქებული ზოგადლინგვისტური პრობლემები (განსაკუთრებით, ენის წარმოშობისა და ენისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხები), გაზრდის ინტერესს ენის, როგორც ანთროპოლოგიური ფენომენის, კვლევის მიმართ და ხელს შეუწყობს საზოგადოდ ენათმეცნიერების პოპულარიზაციასაც.

ნაშრომის სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი „ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული წარმოშობის ლექსიკის მაგალითზე (ინგლისური, გერმანული, შვედური ენების

მასალაზე)“ მოიცავს 171 ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება შესავლის, მოკლე წინასიტყვაობის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან, სახელდობრ: **შესავალი; მოკლე წინასიტყვაობა; თავი I.** მნიშვნელობის პრობლემა და ეკვივალენტობა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში; **თავი II.** ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები ზედსართავი სახელების მაგალითზე (*უპირატ. გერმანიკული წარმოშობის ლექსიკაზე დაყრდნობით*); **თავი III.** ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული და სხვ. წარმოშობის არსებითი სახელების მაგალითზე; **თავი IV.** ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული და სხვ. წარმოშობის ზმნების მაგალითზე; **თავი V.** დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი როგორც ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების საფუძველი; **დასკვნა.** ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და სხვ. წყაროების ნუსხა.

მოკლე წინასიტყვაობა

(i) არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება

ვიდრე უშუალოდ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ძირითად თემატიკაზე გადავიდოდეთ, გვსურს მოკლედ მიმოვიხილოთ ლექსიკოგრაფიათათვის მეტად არსებითი და მტკივნეული საკითხი.

ჩვენი საქმიანობისას თსუ-ს „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ თანამშრომლები ხშირად შევხვედრივართ ხალხს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერება არ არის და უბრალო ხელობაა.

უცხოელ ლინგვისტთა და თვით ლექსიკოგრაფთა ნაშრომებშიც წაწყდომივართ ანალოგიურ გამონათქვამებს, რომელთა საერთო შინაარსიც იმ აზრამდე დაიყვანება, რომ ლექსიკოგრაფია არის არა მეცნიერება, არამედ უბრალოდ „ხელობა“ (craft) ან, უკეთეს შემთხვევაში, „გამოყენებითი მეცნიერება“ ('applied science'). მაგალითად “Lexicography is not a branch of empirical science. If that were the case, its products, dictionaries, should be interpreted as theories. [...] (T)hey should instead be interpreted as tools.” (ტენ ჰაკენი 2009: 417)

ამგვარი სტერეოტიპების საპირისპიროდ, სხვადასხვა ლექსიკონებზე ჩვენი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გამოგვიმუშავდა მყარი შეხედულება, რომ

ლექსიკონზე მუშაობა მხოლოდ კვალიფიციურ და ღრმად განსწავლულ მეცნიერს შეუძლია და რომ, შესაბამისად, ლექსიკონზე მუშაობა მეცნიერული საქმიანობაა, ხოლო ლექსიკოგრაფია, თავისი თეორიული და პრაქტიკული ასპექტებით – მეცნიერება.

უპირველეს ყოვლისა, შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ რატომ ეპარება ბევრს ეჭვი იმაში, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერებაა.

ვფიქრობთ, ამგვარ, ჩვენი აზრით არასწორ, დასკვნამდე ადამიანები ხშირად ლექსიკოგრაფიის გამოყენებით მნიშვნელობას მიჰყავს. რამდენადაც ლექსიკოგრაფის საქმიანობას პრაქტიკულ-უტილიტარული შედეგი, ლექსიკონის, ასე ვთქვათ, ენობრივი ცნობარის, შედგენა მოჰყვება, ამდენად ისინი ასკვნიან, რომ ლექსიკონზე მუშაობაც არაშემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც არსებითად არაფრით განსხვავდება, ვთქვათ, სატელეფონო ნომრების ცნობარის შედგენისაგან.

ამგვარი მიდგომა ჩვენი აზრით უსაფუძვლოა, რის დასაბუთებასაც ქვემოთ შევეცდებით.

მაგალითად, ფიზიკასა და ქიმიას ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში იყენებენ წმინდა უტილიტარული მიზნებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფიზიკა ან ქიმია მეცნიერება არ არის. ამ აზრს ოდნავ თუ გავშლით, არგუმენტაციის შემდეგნაირ „ლოგიკურ ჯაჭვს“ მივიღებთ: ბომბებისა და საბრძოლო მასალების დამზადება თავისთავად მეცნიერება არ არის, მაგრამ პირველი ატომური ბომბის შექმნაში (სხვადასხვა ხარისხით) მონაწილობდნენ ალბერტ აინშტაინი, ჯ. რობერტ ოპენჰაიმერი (ე.წ. „მანჰეტენის პროექტის“ ხელმძღვანელი) და იმ დროის სხვა დიდი მეცნიერები (არა მარტო ფიზიკოსები, სხვათა შორის). მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევას და პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც საბოლოოდ პირველი ატომური ბომბის შექმნითა და წარმატებული გამოცდით დასრულდა, მნელია სამეცნიერო კომპონენტი ჩამოაცილო და „ხელობა“ დაარქვა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მოღვაწეობის მიზანი და შედეგი იყო „ტრივიალური“ პრაქტიკული ამოცანა – შექმნა ზემდლავრი იარაღისა, რომელმაც იაპონელთა წინააღმდეგობა გატეხა და მეორე მსოფლიო ომის საბოლოო დასრულება გამოიწვია. ალბათ არავინ იტყვის, რომ „ატომური ბომბის მამად“ წოდებული ალბერტ აინშტაინი

და „საბჭოთა წყალბადის ბომბის მამად“ წოდებული ცნობილი ფიზიკოსი და საზოგადო მოღვაწე ანდრეი სახაროვი მეცნიერები არ იყვნენ.

დიდი მეცნიერული ცოდნისა და კომპეტენციის გარეშე ვერც ერთი ეს ადამიანი ვერაფერს მიაღწევდა პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროში.

ასევე პოლიციელს, რომელიც საპატრულო მანქანით დამნაშავეს მისდევს ან სამართალდამრღვევს აპატიმრებს, პოლიციისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მეცნიერს ალბათ არავინ უწოდებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ალბათ არავის მოუვა თავში უარყოფა, რომ კრიმინალისტიკა მეცნიერებაა და კრიმინალისტიკური ლაბორატორიების თანამშრომლებისა და ზოგადად კრიმინალისტების საქმიანობა, ასე ვთქვათ, „რიგითი“ პოლიციელების მიერ ჩატარებულ დევნა-დაკავების ოპერაციებს გაუიგივოს. მით უმეტეს, რომ ტრადიციულ დაქტილოსკოპიურ, ტრასეოლოგიურ, გეოლოგიურ, სამედიცინო და სხვ. კომპონენტებთან ერთად, დღევანდელი კრიმინალისტიკა წარმოუდგენელია მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლიანი ცოდნისა და, კერძოდ, დნმ-ის ნიმუშთა ანალიზისა და შედარების გარეშე. სწორედ მეცნიერებმა – ბიოლოგებმა, გენეტიკოსებმა და მიკრობიოლოგებმა დაადგინეს 1980-იან წლებში, რომ ყოველი ადამიანის დნმ-ის სტრუქტურა უნიკალურია, და რომ ბიოლოგიური მასალის (სისხლი, ნერწყვი, ოფლი და სხვ.) საფუძველზე ადამიანის იდენტობის დადგენაა შესაძლებელი. დნმ-ის თითოეული ინდივიდისთვის უნიკალურ სტრუქტურას მაშინვე უწოდეს „გენეტიკური თითის ანაბეჭდები“ (genetic fingerprints). კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში მხოლოდ ბიოქიმიის, ბიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე მეცნიერებს შეუძლიათ მუშაობა. ის რომ მათი საქმიანობის მიზანი და შედეგი პრაქტიკული და უტილიტარულია (საბოლოო ჯამში – დამნაშავეს დაკავება და ციხეში გაგზავნა) სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათი საქმიანობა უბრალო „ხელობაა“ და არაფრით არ განსხვავდება ექვმიტანილის დაკავებისა და მისთვის ბორკილების დადებისაგან (რაც ნებისმიერ გამბედავ და ფიზიკურად ძლიერ პოლიციელს შეუძლია ყოველგვარი სამეცნიერო მომზადების გარეშე).

ჩვენც, ლექსიკოგრაფებსაც, წმინდა პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული ამოცანების გადაჭრისას თუ მეთოდოლოგიური ხერხების ელემენტარული განზოგადება-ჩამოყალიბების პროცესში, ხშირად ლინგვისტური თეორიის, ენისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების და სხვა მეცნიერული საკითხების ისეთ სიღრმეებში გვიწევს ხოლმე წიაღსვლა, რომ თვით საუბარიც იმაზე, თუ რაოდენ დიდი შეხება აქვს ლექსიკოგრაფიას მეცნიერებასთან და საერთოდ, არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება, უკვე ღიმილის მომგვრელად გვეჩვენება.

საკუთრივ, ზემოთ აღწერილ ყველა შემთხვევაში, იქნება ეს ბირთვული ფიზიკა, კრიმინალისტიკა თუ ლექსიკოგრაფია, პრინციპულად შეუძლებელია მკვეთრი ზღვრის გავლება მეცნიერის მუშაობის წმინდა მეცნიერულ და პრაქტიკულ-გამოყენებით ასპექტებს შორის. ეს არც არის საჭირო და თვით ამგვარი მცდელობაც კი, ჩვენი აზრით, კაზუსტიკა უფროა, ვიდრე მეცნიერება.

კომიკურად გვეჩვენება აგრეთვე, რომ როდესაც ესა თუ ის პატივცემული მკვლევარი-ლინგვისტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერება არ არის, ან თუ არის კიდევ, ოდენ გამოყენებითი მეცნიერებაა, იგი ალბათ დარწმუნებულია, რომ ამგვარი ფუჭი და უშინაარსო თეორიული მსჯელობებით დაკავებული, იგი მეცნიერულ საქმეს აკეთებს, ხოლო გაცილებით უფრო სასარგებლო საქმე – ლექსიკონზე მუშაობა მისთვის და მის თანამოაზრეთათვის მეცნიერება არ გახლავთ! ანუ ლექსიკონზე გამოკვლევის წერა მეცნიერებაა, ხოლო თვითონ ლექსიკონზე მუშაობა მეცნიერება არ არის.

თუ დავაკონკრეტებთ, ლექსიკოგრაფიის მეცნიერული ბუნების სასარგებლოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი არგუმენტები:

(1) **ლექსიკოგრაფიას აქვს თეორია, ზოგად-თეორიული ბაზა.** თეორიული ლექსიკოგრაფია, სხვა საკითხებთან ერთად, სწავლობს და კლასიფიკაციას უკეთებს ლექსიკონების სხვადასხვა ტიპს: განმარტებითი (ერთენოვანი), თარგმნითი (ორენოვანი), ენციკლოპედიური და სხვ.

ლექსიკოგრაფია, აგრეთვე, იკვლევს ზემოხსენებული სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების – განმარტებითის, თარგმნითისა და ბოლო ხანს გამოჩენილი ახლებური, ასე ვთქვათ, ჰიბრიდული ტიპის, ე.წ. ბილინგვალიზებული

ლექსიკონების (bilingualized dictionaries) – ეფექტიანობას უცხო ენის აღქმისა და შესწავლის პროცესში.

გარდა ამისა, თანამედროვე ლექსიკოგრაფია საჭიროდ მიიჩნევს ლექსიკონზე მუშაობის დაწყებამდე განისაზღვროს მიზნობრივი აუდიტორია, პოტენციურ მომხმარებელთა წრე (target user group) და ის ენობრივ-ეთნიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური ფონი, რომლის პირობებშიც მომავალი ლექსიკონის გამოყენება ნავარაუდები (გოუესი ... 2008, 869). ამდენად, მეცნიერული კვლევა და ანალიზი უკვე საკუთრივ ლექსიკონზე მუშაობის დაწყებამდე, სალექსიკონო პროექტების დაგეგმვის თავდაპირველ ეტაპებზევე იწყება.

(2) ლექსიკოგრაფიას აქვს თავისი პრაქტიკული, წმინდა მეცნიერული ასპექტიც, რაც სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული მეთოდებისა და ხერხების ზოგად ცოდნასა და მათი პრაქტიკული გამოყენების უნარს გულისხმობს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ენების სიტყვები და გამოთქმები ერთმანეთს ზუსტად, „ერთი-ერთზე“ ძალზე იშვიათად თუ შეესატყვისება. ხშირად, ერთი ენის სიტყვა მეორეში საერთოდ არ არის ლექსიკალიზებული, ანუ რაიმე ერთსიტყვიანი ეკვივალენტი არ გააჩნია. ასე მაგალითად, ინგლისური სიტყვა brocket „ორი წლის ხარირემს“ ნიშნავს. მაგრამ მაინცდამაინც „ორი წლის ხარირემის“ აღმნიშვნელი სიტყვა ჩვენს ენაში არ არის. ქართველი გარემომცველი რეალობიდან ორი წლის ხარირემს არ გამოყოფს და მას ცალკე სიტყვით არ აღნიშნავს. შესაბამისად, ეს ინგლისური სიტყვა/ცნება ქართულში ლექსიკალიზებული არ არის. უფრო რთული ლექსიკოლოგიური შემთხვევებიც შეიძლება მოგვეყვანა. ამგვარ მნიშვნელობათა ქართულად გადმოცემასთან დაკავშირებულ სიძნელეთა გადასალახავად ლექსიკოგრაფებს უხდებათ როგორც ემპირიულად შემუშავებული სხვადასხვა ხერხების გამოყენება (მაგ. მცირე განმარტებების დართვა და განმარტებითი ლექსიკონის ზოგიერთი ელემენტის შემოტანა თარგმნით ლექსიკონში), ასევე ამგვარ სირთულეთა გადაჭრის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და გამოყენება.

ამგვარი თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის არსებობაც, ვფიქრობთ, მეცნიერების ატრიბუტია და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ლექსიკოგრაფია სწორედაც რომ მეცნიერებაა.

დაბოლოს (3), ლექსიკონის ამა თუ იმ სიტყვაზე თუ სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობაზე მუშაობისას საჭიროა სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, განმარტებითი თუ თარგმნითი ლექსიკონებიდან ამოღებული მასალის (განმარტებების, დეფინიციების, საილუსტრაციო ფრაზების და *მისთ.*) გაანალიზება, ერთმანეთთან შედარება და ამ მასალის საფუძველზე შესაბამისი სიტყვისა თუ სიტყვის მნიშვნელობის ზუსტი შესატყვისობის პოვნა სამიზნე (ჩვენს შემთხვევაში ძირითადად ქართულ) ენაზე. **კონკრეტულად**, საჭიროა: (ა) სიტყვის თუ გამოთქმის ზუსტი მნიშვნელობის, სემანტიკური არსის გაცნობიერება სხვადასხვა ლექსიკონებში მოცემული განმარტებებისა თუ საილუსტრაციო ციტატების საფუძველზე. ეს „არსი“, მნიშვნელობა შეიძლება იყოს სრულიად არავერბალური და/ან ჩვენს მშობლიურ ენაში (ქართულში) არალექსიკალიზებული (ანუ მას შეიძლება ქართული შესატყვისობა საერთოდ არ ჰქონდეს, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ). შემდეგ ეტაპზე (ბ) საჭიროა წარმოდგენა/გაცნობიერება იმისა, თუ როგორ შეიძლება ეს აბსტრაქტული, არავერბალური არსი, იდეა, თუ მნიშვნელობა სამიზნე ენაზე იქნეს გადმოცემული. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი (გ) სამიზნე ენაზე ზუსტი შესატყვისობის შერჩევა.¹

ამგვარ სირთულეთა კომპლექსი ლექსიკოგრაფიას (მკვდარ ენებზე შესრულებული ძველი ტექსტების გაშიფვრასთან ერთად) ფილოლოგიის ერთ-ერთ ურთულეს და, შეიძლება ითქვას, ექსტრემალურ დარგად აქცევს!

ვფიქრობთ, ყველა დაგვეთანხმება, რომ მოკლედ აღწერილი ეს პროცესი სრულიად წარმოუდგენელია ვრცელი ლინგვისტური, ლექსიკოლოგიური, ეტიმოლოგიური და ზოგადსამეცნიერო ცოდნისა და არცთუ მცირე ინტელექტუალური მონაცემების გარეშე, რასაც დიდი მოცულობის ინფორმაციით ოპერირებისა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძალზე მძიმედ და დამაბულად შრომის უნარი უნდა ერთოდეს თან. თუ ამგვარი მუშაობა მეცნიერული შრომა არ

¹ სხვათა შორის, ეს ყოველივე, ჩვენი აზრით, ცხადად ამტკიცებს აზროვნების აბსტრაქტულ, არავერბალურ-არაენობრივ ბუნებას და პირწმინდად აბათილებს ე.წ. „სეპირ-უორფის თეორიას“.

არის, მაშ რაღას შეიძლება მეცნიერული შრომა ეწოდოს? უფრო მეტიც, თითოეული სალექსიკონო სიტყვა-სტატიის შესადგენად, ხშირ შემთხვევაში კი ამგვარი სიტყვა-სტატიის ცალკეული მნიშვნელობის გადმოსაცემადაც სამიზნე ენაზე, პრაქტიკულად საჭირო ხდება ნამდვილი სამეცნიერო გამოკვლევის ჩატარება, რომელიც წყარო ენიდან სათარგმნი სიტყვის ლექსიკოლოგიური, სემანტიკური, სიხშირული და არცთუ იშვიათად, თვით ეტიმოლოგიური ასპექტების შესწავლას მოიცავს.

ასე და ამგვარად, როგორც დავრწმუნდით, სრულფასოვანი ლექსიკოგრაფიული საქმიანობისთვის იმდენად დიდი ლინგვისტური ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია, კონკრეტულად კი ლექსიკოგრაფიული შრომის უნარ-ჩვევები და გარკვეული თანდაყოლილი გონებრივი მონაცემებია საჭირო, რომ კითხვას, არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება, ჩვენი ღრმა რწმენით, ცალსახად დადებითი პასუხი უნდა გაეცეს.

განსაკუთრებით დაუსაბუთებლად და სუსტად კი გვეჩვენება არგუმენტი, რომლის მიხედვითაც ლექსიკოგრაფია თითქოსდა არ არის მეცნიერება და „ხელობა“ მხოლოდ იმის გამო, რომ მას გამოყენებითი, პრაქტიკული დანიშნულება და ასპექტი აქვს. ლექსიკონის შექმნაზე მხოლოდ მაღალი მეცნიერული კომპეტენციის, ფართოდ ერუდირებულ ლინგვისტს შეუძლია მუშაობა. მისი შრომა შემოქმედებითი და ინტელექტუალურია და მის პროცესში შეუძლებელია ერთმანეთისგან გაიყოს ზოგად-თეორიული და კონკრეტულ-გამოყენებითი ასპექტები.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის უფრო მისაღებია ლექსიკოგრაფიის ინტერპრეტაცია, გამოხატული ცნობილი გერმანელი ლექსიკოგრაფისა და ლექსიკოგრაფიის თეორეტიკოსის, ფრანც იოზეფ ჰაუსმანის შემდეგ გამოთქმაში: „die Lexikographie ist eine wissenschaftliche Praxis, die das Erstellen von Wörterbüchern zum Ziel hat“² (ჰაუსმანი 1985: 371-411) ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა უფრო სწორი და ადეკვატურია და საკითხის არსს უფრო ზუსტადაც გამოხატავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსიკოგრაფიის ამგვარი ინტერპრეტაცია ხშირად გვხვდება *გერმანულ* ნაშრომებში, რომლებიც ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხებს ეძღვნება. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ გერმანული ენათმეცნიერება უფრო

² „ლექსიკოგრაფია არის სამეცნიერო საქმიანობა, რომლის მიზანიც ლექსიკონის შექმნაა“.

ახლოსა დგას ენის და კერძოდ ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ტრადიციულ ფილოლოგიურ გაგებასთან (განსხვავებით ენისა და ლექსიკოგრაფიისადმი იმ დესკრიპტივისტულ-უტილიტარული, რამდენადმე გამარტივებული მიდგომისაგან, რომელიც, სამწუხაროდ, თანამედროვე ამერიკულ და ინგლისურენოვან ენათმეცნიერებაშია ფეხმოკიდებული ლ. ბლუმფილდისა და ბ. უორფის და მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ეთნოგრაფიული განხრის სხვა ენათმეცნიერთა „წყალობით“).

თავად ლექსიკოგრაფის შრომის პროდუქტის გამოყენებით ასპექტს რაც შეეხება, ჩვენი აზრით, ლექსიკოგრაფის შრომა კიდევ უფრო დასაფასებელიც კია იმის გამო, რომ ლექსიკოგრაფი თავის ენათმეცნიერულ ცოდნას, გამოცდილებასა და კომპეტენციას საზოგადოებისთვის სასარგებლო გამოყენებას უძებნის. მართლაცდა, ნაცვლად იმისა, რომ უფრო „პრესტიჟული“ და დაფასებული სამეცნიერო ნაშრომების შექმნითა და სამეცნიერო საზოგადოებისთვის წარდგენით იყოს დაკავებული, რაც მას სახელსა და პატივს მოუტანდა, ლექსიკოგრაფი აკეთებს ნაკლებად „პრესტიჟულ“ და არასათანადოდ დაფასებულ საქმეს, რომელსაც საზოგადოებისთვის არანაკლებ (თუ მეტი არა) სარგებელი მოაქვს, ვიდრე ბევრ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს!

(ii) ენებში ლექსიკურ და მორფოლოგიურ განსხვავებათა წარმოქმნა-გაღრმავების მექანიზმი

სანამ ძირითად თემაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ გადმოვცეთ ჩვენეული ხედვა იმისა, თუ რა იწვევს საზოგადოდ ენებს შორის ლექსიკური თუ მორფოლოგიური განსხვავებების წარმოქმნასა და გაღრმავებას.

ამის ნათელსაყოფად, ჩვენი ღრმა რწმენით, საჭიროა თავად ენის, როგორც ფენომენის, არსის გაცნობიერება. ენის არსი, მისი ბუნება, მისი წარმოქმნისა და განვითარების კანონზომიერებები, ენის მიმართება ცალკეული ადამიანის, ინდივიდის ცნობიერებასთან და ასევე ადამიანების საზოგადოებების (რომელთა ფარგლებშიც ენა ფუნქციონირებს თუ გამოიყენება) სივრცესა და დროში განფენილ კოლექტიურ ცნობიერებასთან, ჩვენი აზრით, ლინგვისტიკისა და თავად ენის, როგორც ასეთის, ერთ-ერთი ძირითადი, თუ უმთავრესი არა, პრობლემა და საკითხია.

ენის ბუნება, მისი წარმოქმნისა და ფუნქციონირების კანონზომიერებები, ჩვენი ღრმა რწმენით, ენის ყველა ასპექტზე, ენის განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე მოქმედებს და გასათვალისწინებელია სამეცნიერო კვლევისა და ანალიზის წარმოებისას ენათმეცნიერების ნებისმიერ დარგში.

აღბათ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ რამდენადმე პირობითად ვყოფთ ენათმეცნიერებას კომპარატივისტულ, დესკრიფციონისტულ, სტრუქტურალისტურ, გენერატივისტულ და სხვ. ენათმეცნიერებად, მაშინ როდესაც, რეალურად, ყველა ამ დარგის კვლევის საგანი არის ენა. ენა კი, როგორც ლინგვისტური კვლევის მრავალწლოვანმა გამოცდილებამ აჩვენა, ერთდროულად ავლენს როგორც დიაქრონიულ, ასევე სინქრონიულ თვისებებს, ენა, რა თქმა უნდა, არის სისტემა, რომლის კომპონენტების სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულებაც ამ კომპონენტების ღირებულებასა და მნიშვნელობაზე განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენს და ამ იპოსტასში იგი სინქრონიულ, გნებავთ სტრუქტურალისტურ, დონეზე უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული, მაგრამ ენა ამავე დროს არის დროში ცვალებადი სისტემა³ და ამდენად ენაში ერთდროულად არის სინქრონიაც და დიაქრონიაც, ენა არის სტატიკურიც და დინამიკურიც, ერგონიც და ენერგეიაც – გააჩნია რა კუთხით შევხედავთ მას და მისი მრავალმხრივი არსისა და ბუნების რომელი კონკრეტული ასპექტით დავინტერესდებით.

ამდენად, რა კუთხითაც, ლინგვისტიკის რომელი დარგის თვალთახედვითაც არ უნდა მივუდგეთ ენას, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ ენა მუდმივად ცვალებადი სისტემაა. ენის განვითარების რომელიმე კონკრეტული მომენტის სინქრონიული ანალიზის დროსაც კი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, ხატოვნად თუ ვიტყვით, საქმე გვაქვს არა უძრავი წყლით სავსე საცურაო აუზთან ან ტბასთან, არამედ შეიძლება მეტისმეტად მდოვრე და ნელა მოძრავ, მაგრამ მაინც **მდინარესთან**, რამდენადაც ენის დიაქრონიული განვითარების განმაპირობებელი თვისებები მოქმედებს მისი ფუნქციონირების ყოველ სინქრონიულ, სტატიკურ მომენტზეც. ასე

³ ამის დასტურად თუნდაც ძველი, საშუალო და თანამედროვე ინგლისური ენის ზედაპირული შედარებაც კი კმარა.

რომ არ იყოს, უძრავი ცალკეული ეტაპების, უცვლელი „კადრების“ თანმიმდევრობა ჯამში მოძრაობას ვერ მოგვცემდა და ადგილი არ ექნებოდა ენობრივ ცვლილებებსაც.⁴

ამ საკითხებს, განსაკუთრებით ენის წარმოშობისა და ენისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხს, ჩვენ მომავალშიც, ჩვენს შემდგომ ნაშრომებში არაერთხელ დავუბრუნდებით და განვიხილავთ. ამჯერად კი ენის იმ ნიშან-თვისებათა განხილვას დავუბრუნდეთ, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სიტყვის მნიშვნელობას, მნიშვნელობათა ცვალებადობას, სინონიმისა და შიდაენობრივ თუ ენათშორის სინონიმთა ლექსიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტობას, ანუ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ძირითად თემას.

ჩვენი თვალთახედვით, ენა, უპირველეს ყოვლისა, არის ნიშანთა სისტემა, რომელიც ადამიანის პრაქტიკულ საჭიროებებს ემსახურება. ეს საჭიროებები კი მდგომარეობს ურთიერთობასა და ინფორმაციის გადაცემაში, რაც ადამიანთა ჯგუფებისათვის აუცილებელია მათი კოლექტიური მოქმედებების საკოორდინაციოდ. თუ წარმოვიდგენთ იმ (პრე)ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც თანამედროვე ადამიანის შორეულმა წინაპრებმა ენა შექმნეს (შეიძლებოდა გვეთქვა, გამოიმუშავეს), ადვილი მისახვედრი იქნება, თუ რა გვაქვს მხედველობაში და რა საჭიროებანი იქნებოდა ეს. ენა სავარაუდოდ დაახლოებით 50-60 ათასი წლის წინ ჩაისახა პრიმიტიულ მონადირე-შემგროვებელთა ჯგუფებში. ამდენად, მათი საკომუნიკაციო საჭიროებანიც, სავარაუდოდ, ნადირობა-შემგროვებლობასთან დაკავშირებულ კოლექტიურ მოქმედებათა კოორდინაციის აუცილებლობიდან მომდინარეობდა. ყოველ შემთხვევაში, ენის ყველაზე სავარაუდო ფუნქცია თავდაპირველად სწორედ ეს უნდა ყოფილიყო.

ცხადია, რომ ენა რამდენჯერმე, რამდენიმე სხვადასხვა ადგილას, მრავალგზის არის წარმოშობილი ადამიანთა სხვადასხვა კოლექტივებში მთელს დედამიწაზე. ამაზე მიუთითებს გენეტიკურად არამონათესავე ენების არსებობა (მაგ. ინდიელთა ენები ამერიკის კონტინენტებზე, სადაც ადამიანი, გეოლოგიური თვალსაზრისით,

⁴ თანაც ისეთ სწრაფსა და დრამატულს, როგორც, ვთქვათ, იმავე ინგლისური ენის განვითარებაშია მომხდარი.

ახალი მისულია) (კნოროზოვი, 1990).⁵ ამასვე ადასტურებს ენის (სავარაუდო) არსებობა ადამიანის გამქრალ სახეობებში: ნეანდერტალელებში (მათი პირის აპარატის ანატომიური აგებულება, FOXP2 გენის არსებობა მათს გენომში) და ე.წ. დენისოველებში (იმავე FOXP2 გენის ტრანსკრიფცია, რომელიც დენისოველებში ანალოგიურია „ჩვენში“ და ნეანდერტალელებში ამ გენის ტრანსკრიფციისა).

ენის მრავალგზის წარმოქმნა და მონათესავე და ერთმანეთს დაშორებული ენების არსებობა აშკარად გულისხმობს, რომ ენა, ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობის ეს პროდუქტი, საკმაოდ მოქნილი და ცვალებადობა-ადაპტაციისადმი დიდად მიდრეკილი ფენომენია. ცხადი ჩანს, რომ ცვალებადობის „მუხტი“ თუ ტენდენცია ენაში თავიდანვე იყო ჩადებული. მისი ეს თვისება, ჩვენი აზრით, განპირობებულია გარემომცველი რეალობის ასახვის აუცილებლობით. გარემომცველი რეალობისა, იქნება ეს მატერიალური საგნები, თუ განყენებული / აბსტრაქტული ცნებები. ამავე დროს ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი თვალთახედვით, ენის წარმოქმნა-განვითარება განპირობებულია არა სამყაროს შეცნობისა და ფილოსოფიური გააზრების სურვილით (იმ პრიმიტიულ პრეისტორიულ საზოგადოებებს, რომელთა წიაღშიც ენა წარმოიქმნა, არ ჰქონდათ და არც შეიძლება ჰქონოდათ ამგვარი ამბიციური მიზნები), არამედ კომუნიკაციის/ინფორმაციის გაცვლისა და კოლექტიურ მოქმედებათა კოორდინაციის პრაქტიკულ-უტილიტარული ამოცანებით. ცვალებადი გარემომცველი რეალობის (რომლის წიაღშიც ენობრივ კოლექტივებს არსებობა უწევთ), ახალ-ახალი საგნებისა თუ მოვლენების, შრომისა თუ საბრძოლო იარაღის ახალ-ახალი სახეობების და სხვ. აღმნიშვნელი სიტყვების გაჩენაც ენაში განპირობებულია მართოდენ ყოველივე ამის შესახებ ინფორმაციის გაცვლის საჭიროებით. ეს საჭიროება იწვევს ენის სპონტანურ გამომუშავებას ენობრივი კოლექტივების მიერ და სწორედ ამ პრაქტიკულ საჭიროებას ემსახურება ნიშანთა ეს სისტემა (რომელსაც ჩვენ ენას ვუწოდებთ) ბოლო რამდენიმე ათეული ათასწლეულის

⁵ კნოროზოვის მიხედვით, ამერიკელ ინდიელთა (ე.წ. ამერინდული) ენები ძველი სამყაროს არც ერთ ენას არ ენათესავენ და გარდა ამისა, თავად ამერიკის კონტინენტებზეც არსებობს ინდიელების ენათა ოჯახები, რომლებიც ერთმანეთთან გენეტურად დაკავშირებული არ არის, რაც ხაზს უსვამს ამ ენების უკვე ამერიკის კონტინენტზე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოქმნას უკვე ადამიანის ამერიკაში მისვლის შემდეგ (*ibid.*).

განმავლობაში, იქნება ეს პალეოლითის ხანა, ანტიკურობის პერიოდი, შუა საუკუნეები თუ თანამედროვე – ატომის, კოსმოსის ათვისების, ინტერნეტისა და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა სწრაფი განვითარების ერა. ყველა ამ ეპოქაში, ენის უმთავრეს ფუნქციას სწორედ ინფორმაციის გაცვლა და, ზეპირი გადმოცემებისა თუ, მოგვიანებით უკვე დამწერლობისა და უფრო მაღალტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, შემდგომი თაობებისთვის გადაცემა შეადგენდა და შეადგენს. ენის განვითარებასაც (იქნება ეს ლექსიკური მარაგის ზრდა თუ უფრო მოქნილი და გამომსახველი სინტაქსური და მორფოლოგიური პარადიგმების წარმოქმნა) სწორედ ინფორმაციის გადაცემის, ადამიანთა შორის ურთიერთობისა და კოლექტიურ მოქმედებათა კოორდინაციის აუცილებლობა განაპირობებს.

ბუნებრივია, რომ ადამიანთა სხვადასხვა კოლექტივები ჩვენი მოდემის ადრეული ისტორიის განმავლობაში გარემომცველი რეალობის ასახვისადმი სხვადასხვა მიდგომას ავლენდნენ, თავიანთი ყოფა-ცხოვრების ახალ-ახალი რეალიების ენობრივად გადმოცემის მცდელობისას წამოჭრილ ამოცანებს სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიის განმავლობაში ენები სხვადასხვაგვარად ვითარდებოდნენ. სწორედ ეს იწვევს, ჩვენი აზრით, ენების დივერგენციას, განსხვავებების წარმოქმნასა და გაღრმავებას ახლო მონათესავე ენებს შორისაც კი. ამის შედეგია განსხვავებები ახალ რეალიათა სახელდებაში, ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური არეების არასრული დამთხვევა, ლექსიკურ-სემანტიკური არაიზომორფულობა და ყოველივე ის, რაც აქტუალურსა ხდის სხვადასხვა ენების ლექსიკურ ერთეულთა შორის ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობის საკითხს.

განვითარების პროცესში ენები (როგორც მონათესავე, ისევე, ცხადია, არამონათესავე) სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს, განსხვავებულ ინდივიდუალურ პროფილებს იძენენ და სწორედ ეს გარემოება წამოჭრის მათ ლექსიკურ ერთეულთა შორის სემანტიკური თანხვედრის საკითხს. ასე გვესმის ჩვენ ეკვივალენტობის საკითხის არსი, თუკი მას კომპლექსურად, როგორც დიაქრონიულად, ასევე სინქრონიულად, განვიხილავთ და მივუდგებით.

სწორედ დამოუკიდებელი განვითარების პროცესში იჩენს თავს რეალობის ენობრივი ასახვისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა, სხვადასხვა დენომინაციურ გადაწყვეტილებათა მიღება, რისი შედეგიც ხდება ენებს შორის განსხვავებანი სემანტიკასა (მაგ. ერთი და იმავე ეტიმოლოგიის ისეთი სიტყვები, როგორცაა გერმანული selig „მხიარული“ და ინგლისური silly „სულელი“, გერმანული Knecht „მსახური“, „ყმა“, „მონა“ და „ინგლისური“ knight „რაინდი“) თუ ლექსიკალიზაციაში (მაგ. წინასიტყვაობაში ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ინგლისური სიტყვა brocket „ორი წლის ხარირემი“ – ცნება, რომელიც ქართულში და მრავალ სხვა ენაში საერთოდ არ არის ლექსიკალიზებული).

თუმცა, მართალია ენებისა და მათი ლექსიკური მარაგის ინდივიდუალური პროფილი შეიძლება ენების დიაქრონიული განვითარების შედეგი იყოს, მაინც ლექსიკურ ერთეულთა ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობა და ენათა შორის ლექსიკურ-სემანტიკური არაიზომორფულობა წმინდა სინქრონიული მოვლენაა და იგი სინქრონიულ დონეზე უნდა იქნეს განხილული და მისი საკითხიც ამავე სინქრონიულ დონეზე უნდა გადაწყდეს. ქვემოთ შევეცდებით ეკვივალენტობის პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების ჩვენეული ხედვის გადმოცემას.

თავი I. მნიშვნელობის პრობლემა და ეკვივალენტობა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში

ლექსიკური ეკვივალენტობის საკითხი განუყოფელია ლექსიკური სემანტიკის, მნიშვნელობის პრობლემისაგან, რამდენადაც ლექსიკური ეკვივალენტობა სწორედ სიტყვების მნიშვნელობათა ეკვივალენტობას გულისხმობს. თავად მნიშვნელობის პრობლემა მკვლევართა წინაშე დადგა მაშინვე, როგორც კი ადამიანი პირველად დაფიქრდა ენის, სიტყვისა და სიტყვის მნიშვნელობის ბუნების შესახებ.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ეს არც ისე ადრე მომხდარა, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა და როგორც თითქოსდა უნდა მომხდარიყო კიდევ. უცნაური ფაქტია, მაგრამ ენათმეცნიერება, ენის ბუნება, განსაკუთრებით კი ენათა ნათესაობის საკითხი დამწერლობისა და მწიგნობრობის მქონე უძველესი ცივილიზაციების ყურადღების არეში ნაკლებად ხვდებოდა. არაფერია ცნობილი იმის შესახებ, რომ ძველ შუამდინარეთში ან ეგვიპტეში ოდესმე რაიმე სერიოზული საენათმეცნიერო კვლევა წარმოებულყო. წერა-კითხვისა და მართლწერის სწავლების პრაქტიკულ ამოცანებს თუ არ ჩავთვლით, ძველ სამყაროში ენით ნაკლებად ინტერესდებოდნენ. მწიგნობრობა ძველ ინდოეთში რელიგიური ტექსტების, ვედების გადაწერა-რედაქტირებითა და ავთენტიკური ხელნაწერების დადგენით შემოიფარგლებოდა. ამავე დროს, ძველი ინდოელი მწიგნობრები ვერ ამჩნევდნენ მათი ენის აშკარა მსგავსებასა და ნათესაობას მათი მეზობელი ირანული ტომების ენებთან. ძველ რომშიც, ის განსწავლული რომაელები, რომლებმაც მშობლიური ლათინურის გარდა სხვა მათი თანამედროვე ენებიც იცოდნენ, ვერ ამჩნევდნენ ლათინურის აშკარა და თვალში საცემ მსგავსებას კელტურ, ან ვთქვათ, გერმანიკულ ენებთან. არადა, ეს მსგავსება თითქოსდა ზედაპირზე დევს და მისი ვერშემჩნევა უფრო ძნელია, ვიდრე დანახვა. ავიღოთ თუნდაც თვისების აღმნიშვნელი აბსტრაქტული არსებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები: გოთური **-dups⁶**, ლათინური **-tu(t)s**; მაგ. სიტყვებში: გოთური **mikilduths** „სიდიდე“, „სიდიადე“ (<mikils „დიდი“) ერთმხრივ და ლათინური **juventus**, (ირიბ ბრუნვებში **juventutis**, **juventutem**) „ახალგაზრდობა“

⁶ სიმბოლო **p** აქ არის რუნა „თორნ“, რომელიც ისევე გამოითქმის, როგორც მაგ. **th**- ინგლისურ სიტყვაში **think** „ფიქრი“. ზოგიერთ (უპირატ. ძველ) გამოცემებში ეს გოთური ბგერა **th** ასოებითაც გადმოიცემა და სიტყვა **mikildups** შეიძლება დაიწეროს, როგორც **mikilduths**.

(<juvenis „ახალგაზრდა“); ან ზმნების დაბოლოება მესამე პირის მრავლობითში: **-and** მრავალ გოთურ ზმნაში და **-unt, -ent, -ant** ლათინურ ზმნებში (მაგ. გოთური **giband** „ამღევენ“, **nimand** „(ა)იღებენ“ და ლათინური **habent** „აქვთ“, „ფლობენ“, **volunt** „სურთ“, „უნდათ“, **volant** „დაფრინავენ“, „ფრენენ“). ეტიმოლოგიურად მონათესავე ზოგიერთი გოთური და ლათინური ზმნების პარადიგმათა შესაბამისი ფორმები თითქმის იდენტურია: გოთური **sijum**, ლათინური **sumus** - „ვართ“, გოთური **sind**, ლათინური **sunt** „არიან“. ან სულაც ლათინური **rex** „მეფე“ და კელტური **rix** „მეფე“, „ბელადი“. რა თქმა უნდა, ამ ენებს შორის არსებული მორფოლოგიური და ლექსიკური პარალელების კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლებოდა მსგავსების ასეთი საინტერესო და აშკარა ფაქტების შეუმჩნეველობა. თემატიკით დაუინტერესებლობის გარდა, ალბათ ეს გარკვეული ლინგვისტური ალღოს ნაკლებობით და არაორდინარული აზროვნების უნარის არქონითაც აიხსნება. თავის როლს ალბათ ის ფანტასტიკური რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენებიც თამაშობდა, რომელთა ტყვეობაშიც ანტიკური ადამიანის (თუნდაც ყველაზე განათლებულის) გონება იმყოფებოდა. როგორც ვიცით, მაგალითად კორნელიუს ტაციტუსი თავის ნაწარმოებში „გერმანიის ადგილმდებარეობის, ადათ-წესებისა და ხალხების შესახებ“ საფლავის ქვებსა და საკურთხევლებზე წარწერების არსებობას გერმანიის ტერიტორიაზე ხსნიდა „დაულაღავი და საარაკო მოგზაურის“ - ულისეს/ოდისევსის ამ ქვეყანაში სავარაუდო სტუმრობით (ტაციტუსი, 1970). ვშიშობთ, რომაელ სწავლულებს ლათინურ და რომელიმე გერმანიკულ ან კელტურ სიტყვასა თუ სუფიქსს შორის რაიმე აშკარა მსგავსება რომც შეემჩნიათ, ალბათ ამასაც ან ულისეს მოგზაურობას, ან ზევსის რომელიმე სკანდალურ ესკაპადას დაუკავშირებდნენ.

ასეა თუ ისე, ენით დაინტერესება პირველად ძველმა ბერძნებმა გამოიჩინეს. მათვე განახორციელეს ენის არსისა და ბუნების, ისევე როგორც სახელდებისა და სემანტიკის, კვლევის პირველი გაბედული, თუმცა არცთუ ყოველთვის წარმატებული მცდელობანი.

აღსანიშნავია, რომ სამყაროსა და მისი ცალკეული კომპონენტების შეცნობა ძველ საბერძნეთში ფილოსოფიის ფარგლებში ხდებოდა. ეს კი რამდენადმე განსხვავდება

საკუთრივ მეცნიერული კვლევისა და იმ მეცნიერული მეთოდებისგან, რომლებსაც ჩვენ დღეს შეჩვეულნი ვართ. „ფილოსოფიური“ მიდგომა მეცნიერული საკითხებისადმი, ფაქტობრივად, მდგომარეობდა გარკვეული ზოგადი კანონზომიერებების (ხშირად მოჩვენებითისა და არასწორად გაგებულის) შემჩნევასა და, მათზე დაყრდნობით, ხშირ შემთხვევაში სადავო და დაუსაბუთებელი დასკვნების გამოტანაში. ძნელი მისახვედრია, რა დაკვირვებაზე ან რა მონაცემებზე აფუძნებდნენ ძველი ფილოსოფოსები თავიანთ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სამყარო თითქოსდა ოთხი ელემენტისგან თუ სტიქიისგან - ჰაერის, ცეცხლის, მიწისა და წყლისგან შედგებოდა, ან რომ ადამიანის სხეული მისი ტემპერამენტისა და ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ოთხი სითხისა თუ ფლუიდის: სისხლის, „ყვითელი ნაღვლის“, „შავი ნაღვლისა“ და „ფლეგმისგან“, იყო შემდგარი (ე.წ. „ჰუმორული თეორია“).

ცხადია, რომ ამგვარი „თეორიების“ საფუძველი საგნებსა და მოვლენებზე მეცნიერული დაკვირვება და ამგვარი დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არ ყოფილა. ამგვარ დასკვნებამდე უფრო ისეთი ფუჭი მსჯელობისა და გულუბრყვილო სოფისტური დემაგოგიის გზით მიდიოდნენ, როგორი მსჯელობა და „არგუმენტაცია“ გამოიყენებოდა, ვთქვათ, იმის დასამტკიცებლად, რომ აქილევსი კუს ვერ დაეწევა ან ორჯერ ორი ხუთია.

სამწუხაროა, რომ ანტიკური (და ამდენად ავტორიტეტული) ფილოსოფოსების ამგვარი ფანტასტიკური წარმოდგენები კიდევ დიდხანს აფერხებდა მედიცინისა და სხვა დარგების ბუნებრივსა და ჯანსაღ განვითარებას. ჰუმორული თეორია მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსკენ იქნა უარყოფილი. ასტრონომიაში კი, მეთვრამეტე საუკუნეში, უკვე მას შემდეგ, რაც გალილეო გალილეიმ (ჯერ კიდევ 1610 წლისთვის) ტელესკოპი სრულყო და მრავალი საინტერესო ასტრონომიული აღმოჩენა გააკეთა, იმ დროისთვის უკვე ხელთარსებული მეცნიერულად დადასტურებული ფაქტების „ფილოსოფიური“ ინტერპრეტაციის შედეგად „ასკვნიდნენ“, რომ სატურნს რვა თანამგზავრი უნდა ჰყოლოდა. ლოგიკური ჯაჭვი ასეთი იყო - რაკი დედამიწას ერთი თანამგზავრი ჰყავს, მარსს ორი (მაშინ ეს უკვე ცნობილი იყო), იუპიტერს კი ოთხი (მაშინ მხოლოდ ოთხი ე.წ. გალილეისეული თანამგზავრი - იო, ევროპა, განიმედე და

კალისტო იყო აღმოჩენილი), აქედან კეთდებოდა უცნაური და მოულოდნელი დასკვნა, რომ სახეზე ერთგვარი გეომეტრიული პროგრესია იყო და ყოველ შემდგომ პლანეტას წინაზე ორჯერ მეტი თანამგზავრი უნდა ჰყოლოდა. იუპიტერის (როგორც მაშინ ეგონათ) ოთხი თანამგზავრის რაოდენობის ორზე გამრავლებით მივიღეთ სწორედ სატურნის ვითომდა რვა თანამგზავრი. სწორედ ამას ვუწოდებთ ზოგადი კანონზომიერებების შემჩნევასა და მათ საფუძველზე სადავო და დაუსაბუთებელი დასკვნების გამოტანას. დღესდღეობით ცნობილია, რომ იუპიტერსა და სატურნს (ცნობილ რგოლებზე რომ არაფერი ვთქვათ) არა ოთხი და რვა, არამედ ათობით თანამგზავრი ჰყავთ, ისევე, როგორც მოგვიანებით უილიამ ჰერშელის მიერ აღმოჩენილ მეშვიდე პლანეტას – ურანს. ცნობილია ისიც, რომ ამ თანამგზავრების რაოდენობა არანაირი ფილოსოფიური, არითმეტიკული თუ გეომეტრიული კანონზომიერებებით არ განისაზღვრება და ყოვლად შემთხვევითია. ეს ყველაფერი კი ჩვენთვის ცნობილი გახდა არა მწირ ინფორმაციაზე დაფუძნებული ფილოსოფიური განსჯის შედეგად, არამედ ასტრონომიული და სხვა დაკვირვებების პროცესში მოპოვებული მეცნიერული ინფორმაციის წყალობით. მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერებაში ამგვარი მიაშიტური გადმონათების არსებობა ალბათ ნაკლებად წარმოდგენლად მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ცნობილი ფიზიკოსი აიზეკ ნიუტონი თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში ფიზიკასთან ერთად ე.წ. „ალქიმიასაც“ იკვლევდა და თვლიდა, რომ შთამომავლობა მას სწორედ „ალქიმიაში“ შეტანილი წვლილისთვის დააფასებდა (*ნიუტონის ...* 2010).

ასეთი იყო სიტუაცია საკმაოდ განათლებულ და ინფორმირებულ მეთვრამეტე საუკუნეში. ამდენად, ადვილი წარმოსადგენია, ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში ხშირ შემთხვევაში რაოდენ უცნაურ და რამდენად მცდარ დასკვნებამდე მივიდოდნენ ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეები კვლევისა და სამყაროს შეცნობის ამგვარი ან მსგავსი მეთოდების გამოყენებით. ყოველივე ამის ხსენება იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ ზოგადად ენისა და კონკრეტულად სიტყვის მნიშვნელობის კვლევის დროსაც პრაქტიკულად ანალოგიური მეთოდები და მიდგომები გამოიყენებოდა, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

ასეა თუ ისე, ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა შორის გავრცელებული იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია, რომელიც სიტყვის მნიშვნელობისა და ენის საკითხის გადაჭრას თუ ახსნას ცდილობდა. როგორც ენათმეცნიერებით ოდნავ მაინც დაინტერესებული ყველა ადამიანისთვის ცნობილია, ეს იყო ე.წ. „ფიუსეისა“ და „თესეის“ თეორიები. „ფიუსეის“ მიმდევრები თვლიდნენ, რომ სიტყვის მნიშვნელობას საგნის („აღსანიშნის“, როგორც ჩვენ ვიტყვით) არსი და თავისებურებები განაპირობებს, ხოლო თავად ენა ბუნებრივი, თავისთავად წარმოქმნილი მოვლენაა, მაშინ როდესაც „თესეის“ მიმდევრები იცავდნენ საკმაოდ სად და პროგრესულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სიტყვის მნიშვნელობა პირობითია და თავად ენაც ადამიანის მიერ დადგენილი თუ დაწესებული პირობითი და ხელოვნური მოვლენა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ნათელი არ არის, რას ეფუძნებოდა თითოეული ამ თეორიის მომხრეთა შეხედულება. ხშირ შემთხვევაში, აქაც საკუთარ მოსაზრებათა უფრო „ფილოსოფიურ“ დასაბუთებასთან გვაქვს ხოლმე საქმე, ვიდრე საკუთრივ მეცნიერულთან.

ამ ორი პოლარული შეხედულებისგან რამდენადმე განზე დგას ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და ავტორიტეტული ფილოსოფოსი პლატონი, რომელიც თავის შეხედულებებს სახელდებისა, სიტყვის მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის (რომელიც, მისი კონცეფციის მიხედვით, როგორც ჩანს, ხშირად სახელდების განმაპირობებელია) შესახებ გადმოგვცემს, როგორც მას სჩვევია, საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟების (რეალურად არსებული ისტორიული პერსონების) პირით თავის დიალოგში „კრატილე“ (პლატონი, 2011).

ალბათ ზედმეტია საუბარი პლატონის იდეალისტური ფილოსოფიისა და ზოგადად, მისი ნააზრევის მნიშვნელობაზე თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის სულიერი კულტურისათვის. ძნელია გადაჭარბებულად შეაფასო მისი მნიშვნელობა უშუალოდ ფილოსოფიისთვის, ცოდნის თეორიისთვის, შემეცნებისა და ადამიანის სულის აღნაგობის შესახებ მოძღვრებისთვის (დანელია, 1926). მის ფილოსოფიურ-შემეცნებით ღვაწლს აქ დეტალურად ვერ შევხებით, აღვნიშნავდით მხოლოდ, რომ ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით პლატონის მოძღვრებას მეტემფსიქოზის (ანუ სულების გადასახლების) შესახებ შეიძლება

გავლენა მოეხდინა ინდუიზმისა და ბუდიზმის ჩასახვასა და განვითარებაზე. – ითვლება, რომ ინდოეთში პლატონის მოძღვრება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების დროს შეიძლება შეეტანათ ალექსანდრეს ჯარისკაცებსა და მის თანმხლებ პირებს; პლატონის მოძღვრების ზეგავლენით ჩამოყალიბდა ანტიკური პერიოდის მისტიკური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ნეოპლატონიზმის სახელითაა ცნობილი, პლატონმა ახსენა თავის ორ დიალოგში („ტიმეოსი“ და „კრიტია“) ატლანტიდის დაღუპული ცივილიზაცია, რომელიც ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად „ერთ დღესა და ავბედით ღამეს“ ატლანტის ოკეანეში დანთქმულა. ეს (პლატონის თქმით - ეგვიპტური წარმოშობის) გადმოცემა თუ თავად პლატონის მიერ შეთხზული პოლიტიკური ალეგორია (ამაზე სხვადასხვა აზრი არსებობს, როგორც ცნობილია) მთელი ლეგენდარიუმის წარმოქმნის საფუძვლად იქცა და დღემდე იპყრობს მრავალი ადამიანის გონებას.

მოკლედ, პლატონი მრავალი თვალსაზრისით დასაფასებელი და პატივსაცემი მოაზროვნეა. მისი ნააზრევი დღესაც გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ სამყაროზე და ჩვენი ცივილიზაციისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტზე. პირადად ჩვენთვისაც თავისი მისტიციზმისა და ტრანსცენდენტალიზმის წყალობით, იგი, პითაგორასთან ერთად, ერთ-ერთი უსაყვარლესი და სულიერად ახლობელი ანტიკური მოაზროვნეა.

მიუხედავად ამისა, პლატონის მიერ „კრატილეში“ გამოთქმული მოსაზრებები სიტყვის მნიშვნელობის, ეტიმოლოგიის, სახელწოდებათა წარმოქმნის მექანიზმის და ა.შ. შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური და ფანტასტიკურია და პირდაპირ თუ ვიტყვით, მოკლებულია რაიმე მეცნიერულ ღირებულებას. მისი ეტიმოლოგიური წიადსვლები კი ხალხური ეტიმოლოგიის დონეს ვერ სცდება, ფანტასტიკურობითა და დაუსაბუთებლობით კი ხშირად აჭარბებს კიდევ მას.

მწელი გასარკვევია, რა პოზიციას იკავებს პლატონი თესეისა და ფიუსეის ზემოხსენებული თეორიების მიმართ. ტრადიციულად ითვლება, რომ პლატონი „თესეის მოძღვრებისკენ იხრება“, მაგრამ თავად ამ ნაწარმოების გაცნობისას ჩვენ პირადად ამგვარი შთაბეჭდილება არ დაგვრჩენია. პლატონი თითქოს ორივე მოსაზრებას აკრიტიკებს, და ამავე დროს ორივე მათგანში პოულობს რაღაც ღირებულსა და მართებულს (პლატონი, 2011). ერთადერთი პოზიტიური მომენტი აქ

პლატონის მიერ ენათმეცნიერების, სახელდებისა და სემანტიკის მიმართ ინტერესის გამოჩენაა, თუმცა მის მოსაზრებებსა და დასკვნებს, როგორც აღვნიშნეთ, რაიმე მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია.

დაახლოებით ამგვარადვე აღიქვამს საერთოდ პლატონის ამ დიალოგში გამოთქმულ მოსაზრებებს (როგორც ზოგადად ფილოსოფიურს, ასევე ლინგვისტურს) საბჭოთა პერიოდის ცნობილი რუსი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და კულტუროლოგი ალექსეი ლოსევი (რომელიც თავისი გაბედული და თავისუფალი აზროვნებისა და არამარქსისტული შეხედულებებისთვის „შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების“ მიერ დაკავებული იყო და თავის დროზე ავადსახსენებელი „ბელომორკანალის“ მშენებლობაშიც მოუხდა მონაწილეობის მიღება). რუსი მეცნიერის ანალიზის მიხედვით, იკვეთება სურათი სუმბურული, დაუმთავრებელი და გაუფორმებელი ნააზრვისა, რომლიდანაც რაიმე დასკვნის გამოტანა ძალზე ჭირს (ლოსევი, 2006).

ლოსევის თქმით, პლატონის ლინგვისტური წიაღსვლები სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს: „К этому присоединяется и то, что Платон тратит значительную часть этого диалога на лингвистику, с нашей теперешней точки зрения смехотворную и совершенно фантастическую, состоящую из умопомрачительных этимологий, разнообразных и изощренных, хотя и проводимых с небывалым воодушевлением и даже каким-то восторгом [...]“ და იქვე: „Вероятно, эта псевдонаучная лингвистика и была одной из причин крайне малой популярности диалога «Кратил». Широкой публике все эти бесконечные этимологии совершенно не нужны, так как ей достаточно было бы каких-нибудь трех-четырёх примеров; что же касается ученых-лингвистов, то и те часто разводят руками и не знают, что делать, когда начинают читать в диалоге все эти фантастические толкования огромного количества имен и слов.“ (ლოსევი, 2006, 1)

ავტორიტეტული ფილოსოფოსის ეტიმოლოგიისა და სემანტიკისადმი ამგვარი მიდგომა, რომელიც, გავიმეორებთ, ხალხური ეტიმოლოგიის დონეს ვერ სცდება, სამწუხაროდ, მრავალი ათწლეულისა და ასწლეულის განმავლობაში განსაზღვრავდა ენათმეცნიერებისა და სემანტიკური კვლევის დონეს. გვიანი ანტიკურობისა და ადრეული შუა საუკუნეების რომელიმე ტრაქტატში შეიძლება წაიკითხო, რომ შოტლანდიელები და სკვითები ერთი და იგივე ხალხია, იმიტომ რომ „შოტლანდია“

(Scotia) და „სკვითია“, „სკვითეთი“ (Scythia) თურმე „ერთი და იგივე სიტყვაა“. სამხრეთაფრიკელი ლექსიკოლოგი დ. გეერარტსი აღნიშნავს, რომ ანტიკურ ხანაში ლათინურ სიტყვას „სიკვდილი“ (mors) უკავშირებდნენ ან ზედსართავ სახელს „მწარე“ (amarus) ან ომის ღმერთის, მარსის (Mars) სახელს, რადგანაც მარსი სიკვდილს იწვევს (გეერარტსი, 2010). სამხრეთაფრიკელი მკვლევარი იქვე აჩვენებს რომ უკვე შუა საუკუნეებში სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენის მცდელობისას იმ პერიოდის მკვლევრების მიერ ქრისტიანული თეოლოგიის ელემენტების შემოტანამ ისინი არანაკლებ ღიმილის მომგვრელ დასკვნებამდე მიიყვანა. ერთ-ერთ შუასაუკუნებრივ ნაშრომში იგივე ლათინური სიტყვის mors („სიკვდილი“) მნიშვნელობა დაკავშირებულად მიიჩნევა მნიშვნელობასთან ლათინური სიტყვისა morsus („კბენა“, „მოკბეჩა“), რადგანაც ბიბლიის მიხედვით სიკვდილი ადამიანის ცხოვრებაში თითქოსდა მას შემდეგ შემოვიდა, რაც ედემის ბაღში ადამმა და ევამ მოლაპარაკე გველს დაუჯერეს და აკრძალული ხის ნაყოფი ჩაკბიჩეს (*ibidem*). რბილად რომ ვთქვათ, კურიოზული შემთხვევაა ეტიმოლოგიისა და სემანტიკის კვლევის თვალსაზრისით.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ ევროპაში ქრისტიანობის შემოღებამ სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა და ლინგვისტიკის სწორი მიმართულებით განვითარება ხანგრძლივი დროით შეაფერხა. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ბიბლიის პირველ თავებში მოყვანილი შუამდინარული მითები და იგავ-არაკები თიხისგან ადამიანის შექმნის, ნოესა და მსოფლიო წარღვნის, იობის და სხვ. შესახებ სრულ ჭეშმარიტებად ითვლებოდა.⁷ გამომდინარე აქედან, ამ პერიოდში გაბატონებული იყო ფრიად ნეგატიური დამოკიდებულება ენათა მრავალფეროვნების მიმართ. ბიბლიის მიხედვით, როგორც ცნობილია, ღმერთმა ბაბილონის გოდლის მშენებლებს ენები აღურია, ანუ ისინი სხვადასხვა ენებზე აალაპარაკა, რათა მათ შორის კოორდინაცია და კომუნიკაცია დარღვეულიყო და მათ ამ გოდლის მშენებლობა ვეღარ გაეგრძელებინათ, რადგანაც შიშობდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ამ გოდლით ცამდე ავიდოდნენ და ღმერთს გაუტოლდებოდნენ (დაბადება 11, 1-9). ამ

⁷ ძველი აღთქმის „დაბადების“ წიგნში მონათხრობი სიუჟეტების კავშირი შუმერულ მითოსსა და რელიგიასთან და, საზოგადოდ, მათი შუმერული წარმომავლობა კარგად და თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ცნობილი აღმოსავლეთმცოდნისა და შუმეროლოგის, სემიუელ ნ. კრამერის წიგნში (კრამერი, 1988).

თქმულების საფუძველზე კეთდებოდა დასკვნა, რომ მრავალი ენის არსებობა ღვთივ მოვლენილი სასჯელი იყო და ისეთი ეტიოლოგიის მოვლენის შესწავლა, როგორც ენებია, არასასურველი და პოტენციურად მკრეხელური საქმიანობა იქნებოდა. სანქციონირებული იყო მხოლოდ ძველი ებრაულის, ძველი ბერძნულისა და ლათინურის სწავლა, რადგანაც ეს ენები ბიბლიასთან, სახარებასთან, მოციქულებთან და პირველ ქრისტიანებთან ასოცირდებოდა. ცხადია, რომ ასეთი პოზიცია ენათმეცნიერების განვითარებას პრაქტიკულად გამორიცხავდა.

მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის (!), ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ჩასახვისა და განვითარების შემდეგ, იწყება თანამედროვე ლინგვისტიკის, როგორც ასეთის, განვითარება. ზემოთ აღწერილი ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში კი, ენათმეცნიერება ალბათ ისევ ჩანასახოვან მდგომარეობაში დარჩებოდა და შეუძლებელი იქნებოდა საუბარი არა მარტო ლექსიკურ სემანტიკაზე, არამედ საერთოდ, ენათმეცნიერებაზე სიტყვის თანამედროვე გაგებით.

სიტუაციის დრამატულ ცვლილებას „რომანტიკულ რევოლუციას“ უნდა ვუმადლოდეთ: მეთვრამეტე საუკუნეში ერთმხრივ ეკლესიისა და რელიგიის გავლენის შესუსტებამ, ხოლო მეორე მხრივ ევროპელ ხალხებში თავიანთი ნაციონალური, ქრისტიანობამდელი წარსულისა და კულტურისადმი ინტერესის გამოღვიძებამ, გამოიწვია აგრეთვე მათი დაინტერესება თავიანთი ნაციონალური ენებით. განსაკუთრებით მეცნიერები ჩრდილოევროპული, ძირითადად გერმანიკული ქვეყნებიდან – ჰოლანდიელები, სკანდინავიელები, გერმანელები და ბრიტანელები, ყურადღებითა და ინტერესით შეისწავლიდნენ თავიანთი ენების ისტორიას და ნაკლებ დროს უთმობდნენ ბერძენ-რომაელი ფილოსოფოსების რამდენადმე ყავლგასულ ნაშრომებს, ისევე, როგორც ქრისტიანულ რელიგიას, თეოლოგიასა და ბიბლიესტიკას. ამ ხალხებს და მათი წიაღიდან გამოსულ ენის მკვლევრებს, როგორც ჩანს, მეტი ენობრივი ალღო, არაორდინარული აზროვნებისა და მოულოდენლი და, ერთი შეხედვით, პარადოქსული დასკვნების გამოტანის მეტი უნარი აღმოაჩნდათ, ვიდრე მათს ანტიკურ და შუასაუკუნეებრივ წინამორბედებს. ენათმეცნიერებისთვის საბედნიეროდ, ისინი ინტენსიურად იკვლევდნენ როგორც საკუთარ, ასევე სხვა ენებს და ამგვარი კვლევის პროცესში ისეთ ენობრივ ფაქტებსა და

კანონზომიერებებს აღმოაჩენდნენ ხოლმე, რომელთაც მათი წინამორბედები საუკუნეების განმავლობაში რატომღაც ვერ ამჩნევდნენ. მოვლენათა ამგვარი განვითარების წყალობით ძალზე მალე თვალსაჩინო გახდა გერმანიკულ ენათა ნათესაობა და საერთო წარმომავლობა. კვლევაში გოთური ენისა და მოგვიანებით სანსკრიტის მასალების შემოტანამ პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ინდოევროპეისტიკასა და ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას, არამედ თანამედროვე ენათმეცნიერებასაც, როგორც ასეთს. ფრანც ბოპის, რასმუს რასკის, იაკობ გრიმის, უილიამ ჯოუნზისა და სხვათა ნაშრომებმა, როგორც აღვნიშნეთ, საფუძველი ჩაუყარეს ინდოევროპეისტიკასა და კომპარატივისტიკას, საკუთრივ თანამედროვე ენათმეცნიერებასაც და, ამავე დროს, ხანგრძლივი დროით განსაზღვრეს ლინგვისტური და კონკრეტულად (ჩვენთვის საინტერესო) სემანტიკური კვლევის მეთოდოლოგია და მიმართულება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი და მისი როლი ენის, ენისა და აზროვნების და სიტყვის მნიშვნელობის კვლევის დარგში. აქ არ შევხებით ჰუმბოლდტის მოსაზრებებს ენის, როგორც თავისთავად არსებული, ადამიანის ცნობიერებისგან დამოუკიდებელი *ენერგეიის* (მოქმედების) და არა *ერგონის* (ნივთის) შესახებ, და არც ადამიანის აზროვნებისა და ენის ურთიერთდამოკიდებულების ჰუმბოლდტისეულ ინტერპრეტაციას არ განვიხილავთ. არ ვხეებით არც ჰუმბოლდტისეულ შეხედულებას (ჩვენთვის გაუგებარს და მიუღებელს) ენის ადამიანის აზროვნებასთან ერთად ერთბაშად და მთლიანად წარმოქმნის შესახებ და იმის შესახებ, რომ ენის გარეშე აზროვნება საერთოდ შეუძლებელია.

ჰუმბოლდტის მოძღვრება აქ ჩვენთვის სემანტიკასთან, სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით გახლავთ საინტერესო. ჰუმბოლდტი ამბობდა, რომ ყოველ ენას აქვს თავისი „შინაგანი ფორმა“ (die innere Sprachform, აგრ. die innere Form der Sprache), რომელიც მასზე მოლაპარაკე ერის ინდივიდუალური მსოფლალქმის გამოხატულებაა. ამდენად, ჰუმბოლდტის მიხედვით, ამა თუ იმ ენის თითოეული სიტყვა, თითოეული საგნისა თუ მოვლენის აღნიშვნა ამა თუ იმ ენაზე გამოხატავს შესაბამისი ენობრივი კოლექტივის წარმოდგენას ამ საგანსა თუ მოვლენაზე და როდესაც ერთი ამბობს das

Pferd, ხოლო მეორე le cheval („ცხენი“ შესაბამისად გერმანულად და ფრანგულად), „ისინი მთლად ერთსა და იმავეს არ გულისხმობენ“ (ჰუმბოლდტი, 1985). ვფიქრობთ, თუ ჩავუღრმავდებით რა შეიძლება აქ იგულისხმებოდეს, შეიძლება პარალელების გავლება დე-სოსიურისეულ ენობრივი ნიშნის „ღირებულების“ (valeur) ცნებასთან, ენათმეცნიერის სინონიმების სემანტიკური არეების არასრულ დამთხვევასთან (რაზეც წინამდებარე ნაშრომში კიდევ არაერთხელ მოგვიწევს საუბარი) და სხვა ლინგვისტურ პრობლემებთან, რომლებიც დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც დიდი გერმანელი მეცნიერის დროს იყო, უბრალოდ ჩვენ მათ ახლა სხვაგვარად აღვიქვამთ, სხვაგვარად ვუდგებით და სხვა სიტყვებით, სხვა ტერმინოლოგიის ფარგლებში მიმოვიხილავთ.

ჰუმბოლდტის მოძღვრებასთან და ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხის მისეულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის (*რამდენადაც ჩვენი აზრით, ადამიანის ენობრივი აქტივობა შეგნებული, თუმცა უმთავრესად გაუცნობიერებელი ქმედებაა*) გაცილებით უფრო ახლობელი და მისაღებია ჰუმბოლდტის მოწაფისა და მიმდევრის, ჰაიმან შტაინტალის (Heymann Steinthal) თვალსაზრისი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ენის არსისა და წარმოშობის პრობლემები იდენტურია და ეფუძნება „ხალხის სულის“ (Volksgeist) შემოქმედებით აქტივობას როგორც ისტორიამდელ, ასევე ისტორიულ ეპოქაში (შტაინტალი, 1855). შტაინტალის აზრით, ენა არის “das Wirken des instinctiven Selbstbewußtseins”⁸ (შტაინტალი 1855: 300).

თუ საკუთრივ ლექსიკური სემანტიკის კვლევას დავუბრუნდებით, აღსანიშნავია, რომ ლექსიკური სემანტიკის, თანამედროვე გაგებით, კვლევის დასაწყისი უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათწლეულებს ემთხვევა. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, ენის დიაქრონიული ასპექტით დაინტერესება სემანტიკის კვლევაზეც დიდ გავლენას ახდენდა. ეს არც არის გასაკვირი.

ენების ნათესაობის ფაქტის გაცნობიერება ალბათ იმიტომაც აღმოჩნდა რთული მეცნიერთათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომ ამ ფაქტის აღიარება თავისთავად ნიშნავს ენების ფუძე-ენიდან განვითარების შესაძლებლობის აღიარებას,

⁸ „ინსტინქტური თვითშეგნების პროდუქტი“.

რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ენებს დროთა განმავლობაში გარდაქმნისა და ცვალებადობის დიდი უნარი ახასიათებთ. ენის ამგვარი ტრანსფორმირებადობის გააზრება და მიღება კი ეტყობა მოუმზადებელი ადამიანის გონებისთვის ფსიქოლოგიურად ერთობ რთულია და ადამიანის მთელი სააზროვნო და მსოფლმხედველობრივი სისტემის „გადაწყობას“ და რესტრუქტურისაციას მოითხოვს. ალბათ სწორედ ამიტომ უჭირდათ და ბევრს ახლაც უჭირს დედამიწის სფერულობის, ჰელიოცენტრული სისტემის, მრავალი ვარსკვლავისა და პლანეტის არსებობის აღიარება, ანდა დარვინისეული ევოლუციის თეორიის მიღება და სახეობათა ბუნებრივი გადარჩევის, გარემოსთან ადაპტაციის და, ამის შედეგად, საოცარი მორფოლოგიურ-ფიზიოლოგიური ცვლილებების (რასაც ვუწოდებთ კიდევაც საკუთრივ ევოლუციას) შესაძლებლობის დაშვება.

გააცნობიერეს რა, რომ ენა დროთა განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს (რაც, როგორც აღვნიშნეთ, ლოგიკურად გამომდინარეობს სხვადასხვა ენების ნათესაობის ფაქტის დადგენიდან) ენათმეცნიერები დიდი ინტერესითა და ენთუზიაზმით შეუდგნენ ენის, სიტყვისა და სიტყვის მნიშვნელობის ცვლილებების მექანიზმებისა და მიზეზების კვლევას, სემანტიკურ ცვლილებათა ტიპების კლასიფიკაციას და *მისთ*. ამ დროს ენათმეცნიერებაც და მისი დარგებიც უპირატესად დიაქრონიით იყო დაკავებული. ლექსიკურ სემანტიკასაც უპირატესად დიაქრონიულ ჭრილში, სემანტიკური ცვლილების შესწავლის ასპექტში იკვლევდნენ. სემანტიკისადმი ამგვარ მიდგომას ალბათ შეიძლება **დიაქრონიული სემანტიკა** ეწოდოს. ხშირად მას **ისტორიულ-ფილოლოგიურ სემანტიკადაც** იხსენიებენ. ხატოვნად რომ ვთქვათ, იმდროინდელი მეცნიერები გერმანულ სიტყვას Vogel „ფრინველი“ ალბათ ინგლისურ სიტყვას fowl (დიაქრონიულ-ეტიმოლოგიურ ჭრილში) შეუპირისპირებდნენ, და არა მის თანამედროვე, „სინქრონიულ“ სინონიმს – bird.

დიაქრონიული, იგივე ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა დაკავშირებულია ისეთ მეცნიერთა სახელებთან, როგორც იყვნენ მაქს ჰეხტი (Max Hecht) მიშელ ბრეალი (Michel Bréal), ჰერმან პაული (Hermann Paul) და სხვანი, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში იკვლევდნენ მნიშვნელობის ბუნებას, სემანტიკისა და სახელდების ფსიქოლოგიურ ასპექტებს და მრავალ სხვა საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთი კვლევის საგანი და დასკვნები მათ, როგორც წესი, ამა თუ იმ მიმართებაში მოჰყავდათ დიაქრონიასთან და ენობრივ ცვლილებასთან. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ აღნიშნული მკვლევრები ზოგადლინგვისტურ საკითხებს ლოგიკურად უკავშირებდნენ ლექსიკოგრაფიას და სიტყვის ლექსიკონში ასახვას და ამგვარი ასახვის ტიპების შესწავლას ლინგვისტიკისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. ჰერმან პაულს, სხვათა შორის, გერმანული ენის ლექსიკონიც აქვს შედგენილი (პაული, 1897).⁹

ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჰერმან პაულის კონცეფცია „უზუალური მნიშვნელობის“ (usuelle Bedeutung), ანუ ენობრივი კოლექტივის ყველა წევრთათვის საერთო მნიშვნელობისა, და „ოკაზიონალური მნიშვნელობის“ (okkasionelle Bedeutung), ანუ ზოგადი მნიშვნელობის იმ კონკრეტული მოდიფიკაციების, რომლებიც კონკრეტულ სამეტყველო აქტებში შეიძლება რეალიზდეს, შესახებ: “Wir verstehen also unter usueller Bedeutung den gesamten Vorstellungsinhalt, der sich für den Angehörigen einer Sprachgenossenschaft mit einem Worte verbindet, unter okkasioneller Bedeutung denjenigen Vorstellungsinhalt, welchen der Redende, indem er das Wort ausspricht, damit verbindet, und von welchem er erwartet, dass ihn auch der Hörende damit verbinde”¹⁰ (პაული 1920: 75).

ამგვარი დიქტომია მოგვაგონებს ლადისლავ ზგუსტას კონცეფციას **აღწერითი / განმარტებითი ეკვივალენტის**, სხვანაირად **მნიშვნელობის ეკვივალენტის** (ანუ შედარებით უნივერსალური / ზოგადი ეკვივალენტის, რომელიც სიტყვა-სტატიაში მოყვანილია წყარო ენიდან აღებული განსამარტავი / სათარგმნი სიტყვის ძირითად შესატყვისობად სამიზნე ენაზე) და თარგმნითი / „ჩასასმელი“ (insertable)

⁹ ეს გახლავთ რამდენადმე სასწავლო ტიპის ლექსიკონი, დარგობრივი და დიალექტური ლექსიკონის ელემენტებით. ელექტრონული („გუგლის“ მიერ სკანირებული) ფორმით იხ. მისამართზე:

<https://ia802700.us.archive.org/34/items/deutscheswrterb00paulgoog/deutscheswrterb00paulgoog.pdf>

¹⁰ „ამდენად, „უზუალურ მნიშვნელობაში“ ჩვენ ვგულისხმობთ მთელს გამომსახველობით შინაარსს, რომელიც ენობრივი კოლექტივის ამა თუ იმ წევრისთვის სიტყვასთან არის დაკავშირებული, ხოლო „ოკაზიონალურ მნიშვნელობაში“ ვგულისხმობთ იმ გამომსახველობით შინაარსს, რომელსაც მოლაპარაკე, როდესაც იგი სიტყვას წარმოთქვამს, მას უკავშირებს, და რომელსაც, როგორც იგი მოელის, მსმენელიც დაუკავშირებს ამ სიტყვას.“

ეკვივალენტის (ანუ ლექსიკონის სიტყვა-სტატიაში მნიშვნელობის დასაზუსტებლად მოყვანილი საილუსტრაციო ფრაზების თარგმანის კონტექსტში ჩასასმელი ეკვივალენტების) შესახებ. თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში ამ ლექსიკოგრაფიული ცნებების აღსანიშნავად ვხმარობთ ტერმინებს, შესაბამისად, „მნიშვნელობის ეკვივალენტი“ და „თარგმნითი ეკვივალენტი“ / „კონტექსტუალური ეკვივალენტი“.

ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ დირკ გეერარტსიც პაულის ამ კონცეფციას ლექსიკონს უკავშირებს და ამ გამონათქვამის ინტერპრეტაციისას აღნიშნავს, რომ „უზუალური მნიშვნელობა“ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სიტყვის სემანტიკური აღწერა, რომელიც ლექსიკონში შეიძლება იქნეს შეტანილი, ხოლო „ოკაზიონალური მნიშვნელობა“ იქნება კონკრეტიზაცია, რომელსაც ამგვარი ზოგადი ცნება ცალკეული გამონათქვამის კონტექსტში ღებულობს“ (გეერარტსი 2010: 15).

ეს კონკრეტული მაგალითიც გვარწმუნებს, რომ ისტორიულ-ფილოლოგიური / დიაქრონიული სემანტიკის მკვლევრებიც ლექსიკური სემანტიკისა და ზოგადად ენის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ასპექტებს უთმობდნენ ყურადღებას, თუმცა, ეპოქის ტენდენციებიდან გამომდინარე, მათი მიდგომა უწინარეს ყოვლისა დიაქრონიასა და დროთა განმავლობაში სემანტიკურ ცვლილებას უკავშირდებოდა.

ენათმეცნიერების ამგვარმა უპირატესმა კონცენტრაციამ დიაქრონიაზე, თავისებური კონტრეაქცია გამოიწვია, რომლის შედეგიც **სტრუქტურალიზმის**, სტრუქტურალური ენათმეცნიერების გაჩენა იყო. სტრუქტურალიზმი უკავშირდება ფრანგული წარმოშობის შვეიცარიელი მკვლევრის, ბრწყინვალე და მახვილგონიერი ენათმეცნიერის, ფერდინანდ დე სოსიურის (Ferdinand de Saussure) სახელს. დე სოსიური ენას უპირატესად განიხილავს როგორც სისტემას, ადებულს სინქრონიულ ჭრილში, რითაც მანამდე გაბატონებულ ლინგვისტურ ტენდენციებს უპირისპირდება. აღნიშნულისა და აღსანიშნის, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხებთან ერთად, დე სოსიური უპირატესად დაინტერესებული იყო ენის, როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე სისტემის კვლევით. ენაზე, როგორც სისტემაზე და ზოგადად სისტემაზე, როგორც ასეთზე დე სოსიურის შეხედულებების თავისებურებათა წარმოსაჩენად საინტერესოა მის მიერ მოყვანილი მაგალითები: ჭადრაკის დაფის შესახებ საუბრისას დე სოსიური ამბობს,

რომ ერთი რომელიმე ფიგურის დაკარგვის შემთხვევაში შეიძლება იგი რაიმე საგნით, ვთქვათ სულაც ღილით შევცვალოთ და ასეთ შემთხვევაში დაფაზე განლაგებული სხვა, დანარჩენი ფიგურები თავად მიგვანიშნებს, თუ რომელი ფიგურა გვაკლია დაფაზე და რომლის შემცვლელია ეს ღილი თუ სხვა საგანი (თავისთავად კარგი მაგალითია, მაგრამ მაინც აღვნიშნავდით, რომ ამგვარი ცვლილება უფრო პარტიის დასაწყისშია ადვილად და უპრობლემოდ განსახორციელებელი, როდესაც ჭადრაკის დაფაზე უკლებლივ ყველა ფიგურაა განლაგებული, ენდშპილისკენ კი, როდესაც დაფაზე რამდენიმე ფიგურაა რჩება, ღილის ან სხვა რაიმე „სუროგატის“ მნიშვნელობა ასევე იმპლიციტურად ნათელი და უდავო შეიძლება აღარ იყოს და სხვა ფიგურებთან სისტემური დამოკიდებულება შეიძლება ვეღარ დაგვეხმაროს იმის „გამოანგარიშებაში“, ეს სუროგატი პაიკს ნიშნავს, მხედარს, ეტლს თუ ჭადრაკის მრავალგვარი ფიგურებიდან რომელიმე სხვას; ჭადრაკის თამაშთან დაკავშირებული თემატიკის განხილვას აქ ცხადია არ ვაპირებთ, ეს მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ ითქვას, რომ „სისტემური“ მიდგომაც არ არის უნივერსალური და სისტემის კომპონენტების სტრუქტურულად ურთიერთგანმსაზღვრელ ძალასაც გარკვეული ლიმიტები აქვს).

კიდევ ერთი საინტერესო, ახლა უკვე წმინდა ლინგვისტური, მაგალითი დე სოსიურს რუსული ენის გრამატიკიდან, კერძოდ მდედრობითი სქესის არსებითი სახელების ბრუნვის პარადიგმიდან მოჰყავს. დე სოსიური აღნიშნავს, რომ ამ კლასის არსებითი სახელების (მაგალითად სიტყვის школа „სკოლა“), მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა школ (მაგ. გამოთქმაში «строительство школ» „სკოლების მშენებლობა“), ფაქტობრივად, ამ სიტყვის ძირის სახითაა წარმოდგენილი, რაიმე ბრუნვის ნიშნის ან მარკერის გარეშე. დე სოსიური ამბობს, რომ ბრუნვის სხვა ფორმებთან ოპოზიცია ნათელს ხდის მრავლობითის გენტივის მნიშვნელობას, ასხვავებს მას პარადიგმის დანარჩენი ფორმებისგან (რომელთა აქ მოყვანაც, ცხადია, აუცილებელი არ არის), და რაიმე ბრუნვის ნიშანს თუ მარკერს ფაქტობრივად ზედმეტს ხდის (დე სოსიური, 1977). ეს მაგალითები კარგად ახასიათებს დე სოსიურის შეხედულებებს ენასა და ენათმეცნიერებაზე. შეიძლება ითქვას აგრეთვე რომ ენის სინქრონიული დონის მიმართ ინტერესი განმსაზღვრელია დე სოსიურის

როგორც ლინგვისტის მენტალიტეტისთვის და მის ნაშრომებში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, იგრძნობა ისტორიულ-შედარებითი კვლევის იგნორირება და ზოგადად კომპარატივისტიკისა და ენათმეცნიერების დიაქრონიული ასპექტის მიმართ გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება.

სემანტიკასთან მიმართებაშიც, სტრუქტურალიზმი არ ინტერესდება სემანტიკის დიაქრონიული ცვლილებებით, ენის ლექსიკურ მარაგს და სიტყვათა მნიშვნელობებს განიხილავს სინქრონიულ ჭრილში, და ენის სიტყვათა მარაგს, როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე სისტემას, აანალიზებს მისი შემადგენელი კომპონენტების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ თითოეული სიტყვა თუ მნიშვნელობა რთული სტრუქტურის მქონე სისტემის ნაწილია, ხოლო სემანტიკის დიაქრონიული, ისტორიულ-შედარებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები არაარსებითად არის მიჩნეული და განზრახ იგნორირებულია. სტრუქტურალისტური მიდგომისა, ისევე როგორც სტრუქტურალიზმის შემდგომ განვითარებული სხვა, უპირატესად სინქრონიასა და დესკრიფციაზე ორიენტირებული ლინგვისტური მოძღვრებებისთვის დამახასიათებელი მიდგომის პირობითად აღსაწერად შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურალისტები (და პოსტსტრუქტურალიზმისეულ სხვა ლინგვისტურ მოძღვრებათა მიმდევარნი) გერმანულ სიტყვას Vogel „ფრინველი“ შეადარებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურ სიტყვას bird, და არანაირად არ დაინტერესდებოდნენ სიტყვის Vogel ეტიმოლოგიური შესატყვისობით თანამედროვე ინგლისურში, სიტყვით fowl („შინაური ფრინველი“).¹¹

ამგვარი, ჩვენი თვალთახედვით, ცალმხრივი მიდგომა, დე სოსიურისადმი ჩვენი გულწრფელი და ღრმა პატივისცემის მიუხედავად, რამდენადმე არასწორად მიგვაჩნია, რადგანაც, ჩვენი ღრმა რწმენით (ამაზე ზემოთაც ვისაუბრეთ) ენა მრავალასპექტიანი, თავისი არსით მრავალფეროვანი მოვლენაა და მის რომელიმე

¹¹ მორის სვადეშის (Morris Swadesh) კრიტიკა ამგვარი არადიაქრონიულ-არაეტიმოლოგიური მიდგომებისთვის (კერძოდ ინგლისური სიტყვის bark „ქერქი“ შედარებისთვის მის ანგლოსაქსურ სინონიმთან rind, ინგლისური სიტყვის bad „ცუდი“ შედარებისთვის ანგლოსაქსურ სიტყვასთან fīl და თანამედროვე ინგლისური სიტყვის animal „ცხოველი“ შედარებისთვის მის ანგლოსაქსურ სინონიმთან dēor) იხ. ჰაინც ფენრიხთან (ფენრიხი 1978: 43).

ერთ ასპექტზე აქცენტირება, სხვა ასპექტების სრული იგნორირების ხარჯზე, მეცნიერულად სწორ დასკვნებამდე ვერ მიგვიყვანს და შეიძლება საკვლევი საკითხის რამდენადმე ცალმხრივი თუ ცალი მხრიდან დანახული, თუ შეიძლება ასე ითქვას, სურათი წარმოგვიდგინოს.

ასეთ არასწორ თუ ცალმხრივად დანახულ სურათად მიგვაჩნია დე სოსიურის შეხედულება ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების შესახებ. მხედველობაში გვაქვს მისი ცნობილი გამონათქვამი, სადაც იგი ენას ქაღალდის ფურცელს ადარებს, რომლის ერთი გვერდიც აზრია, მეორე კი – ბგერა, მათი (აზრისა და ბგერის) ერთმანეთისგან გაყოფა კი, თითქოსდა, ისევე არ შეიძლება, როგორც ქაღალდის ერთი ფურცლის გვერდების ერთმანეთისგან განცალკევებაა შეუძლებელი. ჩვენ ფერდინანდ დე სოსიურის სულის მესაიდუმლები ვერ ვიქნებით, მაგრამ შთაბეჭდილება გვრჩება, რომ აქ დიდი შვეიცარიელი ლინგვისტი გარკვეულწილად საკუთარ თავს ეწინააღმდეგება – ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მეცნიერი, რომელმაც ენას, სრულიად მართებულად, **ნიშანთა სისტემა** უწოდა, იმასაც დაინახავდა, რომ იქ, სადაც აღსანიშნი და არამოტივირებული და ნებისმიერი ნიშანი არსებობს, უნდა არსებობდეს აგრეთვე გონიერი არსება (ასე ვთქვათ, დენოტატორი), რომელიც ამ აღსანიშნს ხსენებული არამოტივირებული და ნებისმიერი ნიშნით აღნიშნავს (რაც აზროვნების გარეშე, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა). ვფიქრობთ, ენის მარტოოდენ სინქრონიულ სისტემად ინტერპრეტირებამ გამოიწვია დე სოსიურის მიერ ენის არსის არასაკმარისად ყოვლისმომცველი აღქმა და რამდენადმე განაპირობა ეს არაფრის მთქმელი პოსტულატი, რომლითაც დე სოსიური პრაქტიკულად უარს ამბობს ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხის კვლევაზე და ერთგვარად „ფილოსოფიური“ წარმოდგენების ტყვეობაში ექცევა. ადამიანის ენობრივი აქტივობიდან აზროვნებისა და მოლაპარაკის აქტიური როლის გამორიცხვა, ფაქტობრივად, ისევ ფიუსეს ნაივისტური თეორიის დონეზე გვაბრუნებს და ჩვენთვის ისევე მიუღებელია, როგორც, მაგალითად, შეხედულებები ლეონარდ ბლუმფილდისა, რომელიც, როგორც ვიცით, აზროვნებას საკუთარ თავთან

ლაპარაკს უწოდებდა (ბლუმფილდი, 1968).¹² თუმცა ეს, როგორც იტყვიან, სხვა ნაშრომის და სხვა საუბრის თემაა.

საკუთრივ ლექსიკური სემანტიკის კვლევაში დე-სოსიურისეული სტრუქტურალისტური მიდგომების შემოტანა დაკავშირებულია გერმანელი მეცნიერების, ლეო ვაისგერბერისა და იოსტ ტრირის სახელთან. გამოიყოფა სტრუქტურალისტური სემანტიკის კვლევის სამი ძირითადი ტიპი: **ლექსიკური ველის თეორია, კომპონენტური ანალიზი და რელატიური სემანტიკა.**

ლექსიკური ველის თეორია მართალია ძირითადად ლ. ვაისგერბერის მიერ შემუშავებულ თეორიულ ბაზას ეფუძნება, ამ თეორიის ავტორად მაინც ი. ტრირი უნდა ჩაითვალოს (ტრირი, 1931). ეს თეორია ეყრდნობა ტრირის წმინდა სტრუქტურალისტურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც განსახილველი სიტყვების ჭეშმარიტ *ღირებულებას* მათი ურთიერთდემარკაცია განსაზღვრავს. ამ თეორიის მიხედვით, სიტყვები განხილული უნდა იქნეს არა იზოლირებულად, არამედ მათთან სემანტიკურად დაკავშირებულ სხვა სიტყვებთან მიმართებაში. ეს კონცეფცია ლოგიკურად უკავშირდება პირადად ჩვენთვის გაცილებით უფრო საინტერესო საკითხს: ცნებების თემას. ჩვენი აზრით, სახელდების პროცესი ადამიანის გონებაში გარკვეული *ცნების* ფორმირებით იწყება. ადამიანი სწორედ იმას აღნიშნავს განსაკუთრებული სახელით, რაც, მისი აზრით, ცალკე ცნება, ცალკე საგანი თუ მოვლენაა¹³ (*ამისდა საპირისპიროდ, მატერიალისტურად მოაზროვნენი პირიქით თვლიან, რომ ენა ადამიანს გარემომცველი რეალობის ცნებებად დანაწევრებაში და „სამყაროს შეცნობაში“ ეხმარება*).

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის ერთობ საყურადღებო და საინტერესოა გერმანელი სემანტიკოს-სტრუქტურალისტის, ჰელმუტ გიპერის გამოკვლევები, რომელმაც რამდენიმე ათეული ცდისპირის (აჩვენებდა რა მათ შესაბამის გამოსახულებებს)

¹² ეს რომ ასე იყოს, ტექსტის ან წინადადების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა შეუძლებელი იქნებოდა. თარგმნა ხომ ვერბალურად ერთ ენაზე გაფორმებული წინადადების არავერბალური, სიტყვების მიღმა არსებული *აზრის* გაგებას და სხვა ენაზე, სხვა ვერბალური ფორმით მის გადმოცემას ნიშნავს.

¹³ თუ ენობრივი კოლექტივი, ვთქვათ, ბატს (*Anser gen.*) და გედს (*Cygnus gen.*) ერთმანეთისგან არ თუ ვერ ასხვავებს, მაშინ მის ენაში არც ამ ფრინველების აღმნიშვნელი განსაკუთრებული სახელწოდებები არ იქნება – ორივე მათგანს ერთი რომელიმე სახელწოდებით მოიხსენიებენ. როდესაც ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ჩამოყალიბდება ცნება, წარმოდგენა განსხვავებული სახეობის ცხოველის შესახებ, სწორედ მაშინ ხდება შესაძლებელი და საჭიროც სპეციალური სახელის „გედის“ („ბატისგან“ განსხვავებით) ან „ალიგატორის“ („ნიანგისგან“ განსხვავებით) შემოღება და დამკვიდრება ენაში.

დახმარებით შეისწავლა *გერმანული* სიტყვების „სკამი“ (*გერმ. Stuhl*) და „სავარძელი“ (*გერმ. Sessel*) მნიშვნელობები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოდ ცნებათა გამყოფი საზღვრები რამდენადმე ბუნდოვანია (გიპერი, 1959).

ამ ტიპის კვლევა ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი სწავლობს ადამიანის ცნობიერების როლს სახელდების ან ენაში უკვე არსებული სახელის გამოყენების პროცესში. ჩვენ მხრივ, განზრახული გვაქვს მომავალში, ჩვენს გამოკვლევებში, სადაც განვიხილავთ სახელდებისა და ცნობიერების და საზოგადოდ, ენისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხებს, უფრო დეტალურად შევხვით ენობრივი კოლექტივის წევრთა მიერ გარემომცველი რეალობიდან ცალკეული ცნების გამოყოფის უმნიშვნელოვანეს როლს სახელდების, ახალი სახელწოდების / სიტყვის შექმნის საქმეში. ჩვენს ამ გამოკვლევებში ჰელმუტ გიპერი და მისი ნაშრომიც იქნება სათანადოდ მოხსენიებული.

კომპონენტური ანალიზი, მეთოდი, რომელიც ენათმეცნიერებაში მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან დამკვიდრდა, სტრუქტურალური სემანტიკის ფარგლებში გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის, სემანტიკური შინაარსის ანალიზს მის ცალკეულ კომპონენტებად, მის შემადგენელ მინიმალურ სტრუქტურულ ელემენტებად დანაწევრების გზით. ამ დარგში შეტანილი წვლილით გამოირჩევიან ისეთი ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები, როგორც არიან ბერნარ პოტიე (*Bernard Pottier*), ალგირდას გრეიმასი, რუმინული წარმოშობის მკვლევარი ეუხენიო (ეუჯენ) კოშერიუ (*Eugenio (Eugen) Coşeriu*), ალფრედ კრებერი (*Alfred Kroeber*), ჰაროლდ კონკლინი, უორდ ჰ. გუდინაფი და სხვები.

დაბოლოს, **რელატიური სემანტიკა**, დარგი, რომელიც ჯონ ლაიონზის სახელთან არის დაკავშირებული, იკვლევს სიტყვების ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთმიმართებებს სემანტიკურ ასპექტში, ხშირად სემანტიკურ-ფუნქციონალური ოპოზიციების საფუძველზე. ამ ფარგლებში გამოიყოფა და ყველაზე ხშირად განიხილება მნიშვნელობათა ისეთი ურთიერთმიმართებები (რელაციები), როგორცაა სინონიმია, ჰიპონიმია, ანტონიმია და მერონიმია. ამ ურთიერთმიმართებების ახსნას და განმარტებას აქ არ შევუდგებით, რადგანაც მათი მნიშვნელობა ლექსიკოლოგიის ელემენტარული ცნებების ნუსხაში შედის.

თქმა არ უნდა, რომ სტრუქტურალისტური სემანტიკის ყველა ეს დარგი საზოგადოდ ენასა და კონკრეტულად სემანტიკას სინქრონიულ ჭრილში განიხილავს. მათი მიდგომა ენის რაიმე სხვა ასპექტს, პრაქტიკულად, უგულებელყოფს და ამდენად ჩვენთვის ნაკლებად მიმზიდველი და საინტერესოა, როგორც რამდენადმე ცალმხრივი. თავიანთი მიდგომებით „რადიკალური“ სტრუქტურალიზმი, პრაქტიკულად, სახიფათოდ უახლოვდება დესკრიპტივიზმს, ჩვენთვის კიდევ ერთ არამიზიდველ და არასაინტერესო დარგს, რომელსაც, ჩვენი აზრით, საერთოდ მნელიც კია კვლევა და მეცნიერება თუ ენათმეცნიერება ეწოდოს (თუმცა, ეს ჩვენი პირადი და რამდენადმე მიკერძოებული აზრია, რომელსაც თავს არავის ვახვევთ).

ენათმეცნიერების განვითარების ერთ-ერთი გვიანდელი სტადიაა ე.წ. **გენერატიული გრამატიკა**, რომელიც ებრაული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის ნოამ ხომსკის¹⁴ (Noam Chomsky) სახელს უკავშირდება. მისი მოსაზრებები გადმოცემულია მეცნიერის ნაშრომებში, რომელთა გამოქვეყნებაც მან მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. როგორც ყველასათვის კარგადაა ცნობილი, გენერატიული გრამატიკა, პრინციპში, უმთავრესად ენის სინტაქსური ანალიზის მეთოდს წარმოადგენს. გენერატივისტიკისთვის ენა არის წესების სისტემა, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რომელი წინადადებებია (სინტაქსური, მორფოლოგიური, სემანტიკური თვალსაზრისით) სწორი, და რომლები არა. ამ წესების ცოდნას ხომსკი ენობრივ კომპეტენციას (competence) უწოდებს, ხოლო მათს რეალურად გამოყენებას, მეტყველებაში მათს აქტუალიზაცია-რეალიზაციას – „პერფორმანსს“ (performance). ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ამგვარ დაყოფას ხშირად ადარებენ ხოლმე დე-სოსიურისეულ ცნობილ დიქოტომიას „ენა – მეტყველება“ (langue and parole).

ჩვენი რამდენადმე კრიტიკული დამოკიდებულება ხომსკისა და მისი მოძღვრების მიმართ განპირობებულია ამ უაღრესად საინტერესო მოაზროვნისა და პიროვნების მიერ „ენობრივი კომპეტენციისა“ და ზოგადად ენის მეტად თავისებური გაგებითა და თავად ამ „ენობრივი კომპეტენციის“ რამდენადმე აბსოლუტიზებული წარმოდგენით. საქმე ის გახლავთ, რომ ხომსკისა და მის მიმდევრებს ენობრივი კომპეტენცია ესმით

¹⁴ ინგლისურენოვანი ვერსიით *ჩომსკის*.

როგორც ლამის თავისთავადი, ცალკეული ადამიანისგან თუ ადამიანთა კოლექტივებისგან დამოუკიდებელი მოვლენა, რომელიც ადამიანში ოდესღაც „რალაც მანქანებით“ ერთბაშად და თავისთავად გაჩენილა. ხომსკი საუბრობს აფრიკის ტერიტორიაზე მომხდარ გენეტიკურ მუტაციაზე, რომელმაც „აფრიკელ ევაზე“ (გენეტიკური „მონაცემების“ საფუძველზე ხომსკი მიიჩნევს, რომ ეს მუტაცია მაინცდამაინც ქალში უნდა მომხდარიყო) „ჯადოსნური ტყვიასავით“ (magic bullet) იმოქმედა და იგი ენის ფლობის უნარით (faculty) დააჯილდოვა (ხომსკი, 1998).¹⁵ საუბარი „ჯადოსნურ ტყვიებზე“, ენის თანდაყოლილობაზე (innateness of language), უეცრად გაჩენილ ენობრივ უნარზე, „ენობრივ ორგანოებსა“ თუ „ენობრივ მოდულებზე“ (თითქოსდა ადამიანის ტვინში არსებულზე), ისევე როგორც „ენობრივ ინსტინქტზე“ (*აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ინსტინქტი“ ბიოლოგიაშიც კი სულ უფრო ნაკლებად იხმარება*), რითაც ხომსკი ხშირად სცოდავს, იმდენად არასერიოზულად და არამეცნიერულად გვეჩვენება, რომ ვფიქრობთ, მარტო ესეც კი საკმარისია იმისათვის, რათა ხომსკის სხვა, ნაკლებად სადავო, შეხედულებებსაც კრიტიკულად და გარკვეული სიფრთხილით მოვეკიდოთ.

ამგვარი უცნაური ექსცესების თავი და თავი კი ხომსკისა და ზოგიერთ სხვა ენათმეცნიერთა შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ის გახლავთ, რომ მათ, როგორც ლინგვისტებს (თვალსაწიერის გარკვეული პროფესიული შეზღუდულობის შედეგად) არ ძალუბთ, როგორც ასეთი, **აზროვნებისა და ენის ერთმანეთისგან გაყოფა**.¹⁶ როგორც ჩანს, მათ ჰგონიათ, რომ თუ ჩვენ ვფიქრობთ და ვაზროვნებთ ახლა, ჩვენი ევოლუციური თუ კულტურული განვითარების მოცემულ ეტაპზე, ეს ადრეც და ყოველთვისაც ასე უნდა ყოფილიყო. მათ ვერ წარმოუდგენიათ, ან ძალზე უჭირთ ადეკვატურად წარმოიდგინონ დრო, როდესაც ადამიანი აზროვნებდა, მაგრამ ჯერ ვერ ლაპარაკობდა, ინტელექტუალურად და სოციალურად მზად იყო საკომუნიკაციო ნიშანთა სისტემის შესაქმნელად, მაგრამ ამ გააზრებულ ნიშანთა სისტემის შემუშავებას მხოლოდ იწყებდა.¹⁷ ეს კი არც ისე ძნელი წარმოსადგენია, თუ ენის ფენომენს წმინდა კულტუროლოგიური, ვიწროდ ლინგვისტური და თუნდაც

¹⁵ ხომსკის „იგავ-არაკების“ (როგორც მას ავტორი უწოდებს) კრიტიკა იხ. სამხრეთაფრიკული წარმოშობის ლინგვისტ რუდი ბოტასთან უტრეხტის უნივერსიტეტიდან (ბოტა, 1999).

¹⁶ ე.წ. „სეპირ-უორფის თეორიის“ უცნაური და მცდარი პოსტულატების მიზეზიც ესაა.

¹⁷ ენები სწორედ ასეთ მომენტებში იქმნება.

ისტორიულ-არქეოლოგიური კი არა, პალეონტოლოგიური და გეოლოგიური საზომებით მივუდგებით. ამგვარი პერსპექტივიდან კი არათუ იმ დროის წარმოდგენაა ადვილი, როცა ადამიანი ჯერ არ ლაპარაკობდა, არამედ იმ დროისაც, როდესაც ადამიანი საერთოდ არ არსებობდა. თუმცა, ამგვარი თვალთახედვა ყველა მკვლევარს არ ძალუძს. არადა მკვლევარი, რომელიც ენის მხოლოდ ერთ რომელიმე ასპექტზე (ამ შემთხვევაში, ენობრივი კომპეტენციისა და სწორი წინადადებების გენერირებაზე) არის კონცენტრირებული, რთული მოვლენის მხოლოდ ცალკეულ ნაწილს აღიქვამს და ამგვარად ცალმხრივი და არასწორი მიდგომის ტყვეობაში ხვდება. გენერატივისტული მიდგომა შეიძლება კარგი იყოს სინტაქსის სინქრონიულ დონეზე შესასწავლად, მაგრამ იმავე, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო, სემანტიკის, მით უმეტეს სემანტიკური ცვლილების, ენის წარმოშობისა და საერთოდ ენობრივი დიაქრონიის კვლევისას გენერატივისტიკა ნაკლებად თუ გამოგვადგება. ეს დარგი თითქოს დროის ერთ მომენტში, აწმყოშია გაყინული, ფოკუსირებულია დროის პერიოდზე, როდესაც ენა თავის მთლიანობაში უკვე არსებობს, ამის იქით კი ან ვერაფერს ხედავს, ან ხედავს იმას, რაც არ არსებობს – ენის თანდაყოლილობას, ენის გაჩენას გენეტიკური მუტაციის შედეგად და „აფრიკელ ევას“ და სხვა საინტერესო და ფანტასტიკურ, მაგრამ ბუნებაში არარსებულ საგნებს.¹⁸ თუმცა, ალბათ ესეც სხვა გამოკვლევისა და სხვა საუბრის თემაა და აქ მას მხოლოდ იმდენად შევეხეთ, რამდენადაც ხომსკის ზოგიერთი მოსაზრებისადმი ჩვენი გარკვეულწილად კრიტიკული პოზიციის ახსნა იყო საჭირო.¹⁹

ასეა თუ ისე, ვერავინ უარყოფს, რომ ხომსკის ნაშრომებმა ენათმეცნიერებაში ახალი ერის დადგომა გვაუწყა. მისმა წარმოდგენამ ენის მეტყველების ყოველი ცალკეული აქტის დროს წინადადებებისა და, საბოლოო ჯამში, ენის წარმომქმნელი *ენობრივი კომპეტენციის* შესახებ დიდი გავლენა იქონია ბოლო ათწლეულების ლინგვისტურ აზროვნებაზე და მისი მოხსენიება ზოგადად ენათმეცნიერების განვითარების

¹⁸ თუ ენას თანდაყოლილად მივიჩნევთ, ამ შემთხვევაშიც გარკვეულწილად ფიუსიის მცდარ თეორიამდე მივალთ.

¹⁹ საერთოდ, ენის ან მეტყველების უნარის უეცრად წარმოქმნა (იქნება ეს ჰუმბოლდტის, ხომსკის თუ ნებისმიერი სხვა მკვლევრის თეორიათა სისტემაში) იმდენად არარეალური დაშვებაა, რომ სასწაულის აღიარების ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს. სასწაულების ადგილი კი რელიგიურ მითოსში და ჯადოსნური ზღაპრების კრებულებშია. მეცნიერება სასწაულებს არ ცნობს.

სხვადასხვა ეტაპებზე საუბრისას ნამდვილად უპრიანია (მით უმეტეს, თუ გენერატივისტული მეთოდებით სემანტიკის კვლევაზე, ანუ **გენერატიულ სემანტიკაზე** საუბარს ვაპირებთ).

გენერატიულ გრამატიკაში სემანტიკის კვლევის, კერძოდ კომპონენტური ანალიზის მეთოდებისა და ელემენტების შემოტანა ჯ. კაცისა (J. Katz) და ჯ. ფოდორის (J. Fodor) სახელებს უკავშირდება. ამ დარგის ფუძემდებლური ნაშრომი, რომელმაც ხანგრძლივი დროით განსაზღვრა კვლევის ამ მეთოდის შემდგომი განვითარება, იყო ჯ. კაცისა და ჯ. ფოდორის „სემანტიკური თეორიის სტრუქტურა“ (კაცი ... 1963). კაცისეულ (მიმართულების წამყვან ფიგურად სწორედ ჯ. კაცი, მეტად, ვიდრე ჯ. ფოდორი, გვევლინება) მიდგომას მოკლედ თუ აღვწერთ, შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს ანალიზის სტრუქტურალისტური მეთოდის, აღწერის ფორმალისტური სისტემისა და მნიშვნელობის მენტალისტური კონცეფციის ერთგვარ კომბინაციას (გეერარტსი 2010: 101). ამ მიდგომამ დიდი როლი ითამაშა არა მხოლოდ ლექსიკური სემანტიკის, არამედ საზოგადოდ ლინგვისტური სემანტიკის შემდგომ განვითარებაზე. საინტერესოა, რომ კაცისა და ფოდორის ნაშრომში სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები განხილულია, ანუ სიტყვის მნიშვნელობის კომპონენტური ანალიზი ჩატარებულია სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში მათს წარმოდგენასთან, სალექსიკონო სიტყვა-სტატიის ცალკეულ ქვემნიშვნელობებად მათს შესაძლო ფორმალიზაციასთან მიმართებაში. მაგალითად, ინგლისური სიტყვის **bachelor** ცალკეული მნიშვნელობები მათი სემანტიკური კომპონენტების მიხედვით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: (1) **უცოლო მამაკაცი** (*არსებითი სახელი, ადამიანი, მამრი, დაუქორწინებელი*); (2) **ბაკალავრი** (*არსებითი სახელი, ადამიანი, მამრი, პირველი/ყველაზე დაბალი აკადემიური ხარისხის მქონე*); (3) **ახალგაზრდა რაინდი, რაინდი-ვასალი** (*არსებითი სახელი, ადამიანი, მამრი, ახალგაზრდა, სხვა რაინდის ხელქვეითი რაინდი*); (4) **ახალგაზრდა მამრი სელაპი** (*არსებითი სახელი, ცხოველი, მამრი, ახალგაზრდა, მდებრთან შეუწყვილებელი სელაპი*) (გეერარტსი 2010: 102). ასევე ანალიზდება კაცთან და ფოდორთან ზმნები და მეტყველების სხვა ნაწილები.

აღსანიშნავია, რომ თსუ „ლექსიკოგრაფიულ ცენტრში“ სიტყვა-სტატიებს (თუნდაც ჩვენთვის სრულიად უცნობი ან ქართულში არალექსიკალიზებული

სიტყვებისათვის) ამგვარი მექანიკური და სქემატური ხერხებით არ ვადგენთ. მნიშვნელობის ამგვარი „გააზრება“ ალბათ უფრო პროგრამისტებს, კომპიუტერულ პროგრამებს და რობოტებს და რობოტექნიკოსებს გამოადგებათ (ტექსტის მანქანური დამუშავების, მანქანური თარგმნის ან დიდ ტექსტურ კორპუსებში სიტყვების ანოტაციისთვის); მაინც, წმინდა ფილოლოგიური თვალსაზრისითაც, სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების ამგვარი სქემატური წარმოდგენა სასარგებლო შეიძლება იყოს დამწყები ლექსიკოლოგისთვის ან ლექსიკოგრაფისთვის იმ მენტალური პროცესების ვიზუალიზაციისთვის, რომლებიც მათი უფრო გაწაფული კოლეგების გონებაში უფრო სწრაფად და ბუნებრივად ხდება.

როგორც ასეთი, გენერატიულმა სემანტიკამ (რომელიც დასაბამს, ცხადია, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნოამ ხომსკის მოძღვრებიდან იღებს) შემდგომი განვითარება პოვა ხომსკის მოწაფეთა პოლ პოსტალის (P. Postal), ჯონ როსის (J. R. Ross), ჯეიმზ მაკ-კოლის (J. McCawley) და ჯორჯ ლაკოფის (G. Lakoff) ნაშრომებში.

გენერატიული სემანტიკის თავისებურებად ითვლება შემდეგი განმსაზღვრელი მომენტები: გენერატიულ სემანტიკაში წინადადების გრამატიკულობა / სინტაქსური სისწორე გაიგივებულია წინადადების გააზრებულობასთან. გარდა ამისა, გენერატიულმა სემანტიკამ უარი თქვა გენერატიული გრამატიკის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ცნებაზე, კერძოდ *სიღრმისეული სტრუქტურის* (deep structure) ცნებაზე. მის ნაცვლად გამოიყენება *სემანტიკური სტრუქტურის* ცნება, რომელიც ასახავს წინადადების როგორც სემანტიკურ, ასევე სინტაქსურ ორგანიზაციას. დაბოლოს, გენერატიულ სემანტიკაში სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები მხოლოდ *უშუალო შემადგენელთა* (constituents) ხეების სახითაა წარმოდგენილი.

გენერატიული სემანტიკის წარმომადგენლებმა წამოაყენეს „ბუნებრივი ლოგიკის“ კონცეფცია, რომლის ძალითაც ლექსიკურ ერთეულებს შეესატყვისება ლოგიკურ პრედიკატთა კონფიგურაციები უშუალო შემადგენელთა ხეში. გენერატიული სემანტიკის ეს და სხვა მეთოდები ზოგადი ლინგვისტიკის მიერაც იქნა ათვისებული და კერძოდ *კოგნიტიურ სემანტიკაში* (რომელზეც მოკლედ ქვემოთ ვისაუბრებთ) გენერატიული სემანტიკის მრავალი იდეა იქნა ინკორპორირებული. გენერატიული სემანტიკის თეორიის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები გამოყენებული

იქნა ასევე ფსიქოლინგვისტიკისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის (რაც გასაკვირი არ უნდა იყოს) დარგებშიც.

ჩვენი აზრით, მნიშვნელობის ამგვარი სქემატური ანალიზი, თანაც, ცხადია, სინქრონიულ დონეზე, რამდენადმე ცალმხრივია, ენისა და მნიშვნელობის მხოლოდ ერთ ასპექტს ასახავს და ენის ბუნებისა და არსის მთლიანი, კომპლექსური სურათის დანახვას ხელს ვერ უწყობს. ამგვარი მიდგომა მნიშვნელობისადმი სწორედაც რომ უფრო გამოყენებითი დარგებისთვის გვესახება სასარგებლოდ. მან, ჩვენი აზრით, ხელი შეიძლება შეუწყოს (რაზეც გაკვირთ ზემოთაც ვისაუბრეთ) სპეციალური კომპიუტერული პროგრამების შემუშავებას, რომელთა დანიშნულებაც ტექსტის მანქანური დამუშავება, ტექსტის სემანტიკის მანქანური ანალიზი და მანქანური თარგმნაა. ვფიქრობთ, კორპუსული ლინგვისტიკისთვისაც სემანტიკის ამგვარი ანალიზი გაადვილებს სიტყვების ანოტაციას დიდ ტექსტურ კორპუსებში. ამის აღნიშვნისას ვითვალისწინებთ, რომ თავად გენერატივისტიკის ფუძემდებელ ნ. ხომსკის დამოკიდებულება ტექსტური კორპუსებისა და სტატისტიკური მეთოდების მიმართ უაღრესად ნეგატიურია (ხომსკი, 1956, 1957).

კოგნიტიური სემანტიკა, სემანტიკის კვლევის უახლესი მეთოდი, ჩაისახა 1980-იან წლებში, როგორც კოგნიტიური ლინგვისტიკის შემადგენელი ნაწილი. კოგნიტიური ლინგვისტიკა, რომელთანაც კოგნიტიური სემანტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული, წარმოადგენს ენათმეცნიერების მიმდინარეობას, რომელიც ენისა და ცნობიერების, უფრო კონკრეტულად, ენისა და შემეცნების ურთიერმიმართებას სწავლობს. კოგნიტიური ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს ენა, როგორც შემეცნების ინსტრუმენტი. კოგნიტიური ლინგვისტიკა ენას აღიქვამს როგორც უნივერსალური ანდა ცალკეული ენისთვის/კულტურისთვის დამახასიათებელი ცნებების ერთობლიობას. კოგნიტიურ ლინგვისტიკაში აქცენტირებულია ენის როლი ადამიანის მიერ გარე სამყაროს კატეგორიზაციასა და კონცეპტუალიზაციაში, ანუ ცნებებად დაყოფაში. კოგნიტიური ლინგვისტიკა (გენერატივისტიკისაგან განსხვავებით) არ ცნობს ადამიანის გონებაში ან ტვინში ენის ფლობის უნარის (linguistic faculty) თუ რაიმე სპეციალური ენობრივი ორგანოს თუ მოდულის არსებობას (რომელიც ვითომდა ენის ათვისების უნარს განაპირობებს), გრამატიკას

კონცეპტუალიზაციის ფარგლებში განიხილავს და მიიჩნევს, რომ ენის ცოდნა ენის გამოყენებისგან გამომდინარეობს (ევანსი ... 2006). უნდა აღვნიშნოთ, რომ ენაცნობიერებისა და საზოგადოდ ენის ამგვარი ინტერპრეტაცია ჩვენთვის ბევრად უფრო ახლობელი, მისაღები და, ჩვენი აზრით, სრულიად მეცნიერული და ფაქტებზე დაფუძნებულია. განსხვავებით იმ ნახევრად მითოლოგიური და წინასწარ შექმნილი წარმოდგენებისგან, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით. მართლაც, ენა არც ვირუსული დაავადებაა და არც გენეტიკური სინდრომი, რომ ადამიანს ინფიცირების ან გენეტიკური მუტაციის შედეგად „შეეყაროს“. ისეთი გონიერი არსების, როგორც ადამიანია, აქტივობის ნებისმიერი სფეროს (ენა იქნება ეს თუ რაიმე სხვა) განხილვისას ცნობიერებისა და გონების ფაქტორის გამორიცხვა და ენის რაღაც თავისთავადად არსებულ რეალობად თუ მოვლენად აღქმა, ვფიქრობთ, მეტი რომ არ ვთქვათ, გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს. ამგვარად, კოგნიტივიზმისეული მიდგომა, რომელიც ენის შესწავლისას ცნობიერების ფაქტორს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს, ჩვენი აზრით, სწორად და მეცნიერულად შეიძლება იქნეს მიჩნეული

აი, ამგვარი ცნებებისა და წარმოდგენების ფარგლებში ფუნქციონირებს და ვითარდება სემანტიკის კვლევის ჩვენ მიერ განხილვის ქვეშ მყოფი დარგი, **კოგნიტიური სემანტიკა**. მოკლედ თუ ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკის მიმდევარი ენათმეცნიერები მნიშვნელობას კონცეპტუალიზაციის ფარგლებში განიხილავენ (ეს პოსტულატიც საკმაოდ ახლოს დგას ჩვენს საკუთარ, ემპირიულად ჩამოყალიბებულ, შეხედულებებთან). მთლიანობაში, კოგნიტიური სემანტიკისთვის ზოგადად სემანტიკა შედგება ორი კომპონენტისგან, ესენია მნიშვნელობის აგება (meaning construction) და ცოდნის წარმოჩენა (knowledge representation).

ითვლება, რომ კოგნიტიური სემანტიკის მიერ სიტყვის მნიშვნელობის კვლევაში შეტანილ წვლილზე საუბრისას აღნიშვნის ღირსია მისი შემდეგი პოსტულატები:

(A) კატეგორიათა სტრუქტურის პროტოტიპული მოდელი (ანუ თეორია, რომლის მიხედვითაც მრავალი ბუნებრივი ლექსიკური კატეგორიის სტრუქტურა რანჟირებულია, ე.ი. თითოეულ ამ კატეგორიას ჰყავს „პროტოტიპული წევრები“,

რომლებიც „უკეთ შეესატყვისება“ ამ კატეგორიას, „უკეთ ჯდება“ (better fit) ამ კატეგორიაში) (როში, 1978);

(B) მეტაფორისა და მეტონიმის კონცეპტუალური თეორია (ანუ მეტაფორისა და მეტონიმის კონცეპტუალურ, და არა წმინდა წყლის ლექსიკურ, მოვლენად აღქმა);

(C) იდეალიზებული კოგნიტიური მოდელები და ფრეიმების თეორია (ჩარლზ ფილმორის მიერ შემუშავებული თეორია, რომლის თანახმადაც საზოგადოდ მნიშვნელობა, ლექსემათა მნიშვნელობის ჩათვლით, ენობრივი „ფრეიმების“ (ჩარჩოების) მეშვეობით შეიძლება აიხსნას, ხოლო ამ „ფრეიმში“ იგულისხმება ნებისმიერი ცნება, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გასაგები, თუკი გასაგებია უფრო დიდი კონცეპტუალური სისტემის დანარჩენი კომპონენტებიც) (ფილმორი, 1975);

(D) მნიშვნელობის ცვლილების შესწავლაში კოგნიტიური და კონცეპტუალური ელემენტების შეტანა (რაც, ცხადია, ეხმიანება ამავე მოძღვრების მიერ მეტაფორისა და მეტონიმის კონცეპტუალურ ინტერპრეტაციას).

კოგნიტიური სემანტიკა და მისი მეთოდების გამოყენება უკავშირდება ისეთ მეცნიერთა ნაშრომებს, როგორებიც არიან ლენარდ ტალმი (Leonard Talmy), ჯორჯ ლაკოფი, ჩვენ მიერ არაერთხელ ნახსენები დირკ გეერარტსი და ბრიუს უეინ ჰოკინსი (Bruce Wayne Hawkins).

დავუმატებდით, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკა და კოგნიტიური სემანტიკა, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ ახლოსაა ჩვენს ლინგვისტურ შეხედულებებთან. ვფიქრობთ, ჩვენს შემდგომ ნაშრომებში, სხვა მიმდინარეობებთან პოლემიკასთან ერთად, მკითხველი ხშირად შეხვდება კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიებისა და კონცეფციების კრიტიკულ ანალიზს და ამ მოძღვრებასთან ჩვენი „შეხების წერტილებისა“ და განსხვავებების აღნუსხვას (მაგალითად, კოგნიტიური სემანტიკისთვის ენა ცნობიერების შესწავლის ინსტრუმენტია. ჩვენთვის ეს საკმაოდ მისაღები კონცეფციაა და მის წინააღმდეგ არაფერი გვაქვს. დავუმატებდით მხოლოდ, რომ ენა და ცნობიერება ერთმანეთისგან განუყრელი არ არის²⁰ და ცნობიერების არსის გასაგებად ენის გარდა არანაკლები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანის

²⁰ სახელდობრ, არ არსებობს ენა ცნობიერების გარეშე, მაგრამ არსებობს ცნობიერება ენის გარეშე.

საქმიანობის ნებისმიერი სხვა სფერო – პოეზია და ფერწერა, ჭადრაკის თამაში და ფარიკაობა, მათემატიკური მეცნიერება და ნებისმიერი სხვა). სემანტიკის კვლევის ისტორიისადმი მიძღვნილ თავს კი დავამთავრებდით „ბანალური“ დასკვნით, რომ ყველა ეს მიდგომა ენის ერთ-ერთ ასპექტს, ენის, ამ მრავალმხრივი მოვლენის, რომელიმე ერთი კუთხიდან დანახულ სურათს წარმოადგენს და რომ სერიოზული სამეცნიერო მიზნების მქონე მკვლევარი ენის და ენათმეცნიერების ყველა ამ ასპექტს უნდა ითვალისწინებდეს და ენის კვლევისას ყველა ამ მიდგომას უნდა იყენებდეს, რადგანაც, როგორც ითქვას, ენა დიაქრონიულიც არის და სინქრონიულიც, მასში დინამიკაც არის და სტატიკაც, და მისთვის ერთნაირად არის დამახასიათებელი როგორც სემანტიკისა და მორფოლოგიის ცვლილება, ასევე რთული და ურთიერთგანმაპირობებელი დამოკიდებულებები მისი, როგორც სისტემის, შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებს შორის. ჩვენც ვეცადეთ, ჩვენს მოკრძალებულ ნაშრომში ასეთი კომპლექსური და მრავალმხრივი მიდგომა გამოგვეყენებინა ენის, ამ შემთხვევაში სემანტიკური ეკვივალენტობის, კვლევისადმი.

ახლა რაც შეეხება საკუთრივ ეკვივალენტობას. ეკვივალენტობაში, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის კონტექსტში, ენათშორისი სინონიმების სემანტიკური ეკვივალენტობა იგულისხმება. რატომ დგება ეკვივალენტობის საკითხი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი ჩვენთვის? საქმე ის გახლავთ, რომ ერთი შეხედვით სინონიმური სიტყვების მნიშვნელობები სხვადასხვა ენებიდან, ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა, ანუ მათი სემანტიკური არეები ერთმანეთს სრულად არ მოიცავს (ამის დიაქრონიულ მიზეზებზე წინამდებარე ნაშრომის შესავალშიც ვისაუბრეთ). კონკრეტულად, ინგლისური სიტყვის cat ქართული სინონიმი არის „კატა“, მაგრამ ინგლისურში ამავე სიტყვას cat აქვს სხვა მნიშვნელობაც – „კატისებრთა ოჯახის (*Felidae fam.*) წარმომადგენელი“. მოცემული მნიშვნელობის ფარგლებში, ამ ოჯახის დიდი ზომის წარმომადგენლებს (ლომი, ვეფხვი, ლეოპარდი, პუმა და სხვ.) ინგლისურად ხშირად იხსენიებენ როგორც big cats, ქართულად კი ლომს ან ვეფხვს „დიდ კატას“ არავინ უწოდებს. ამდენად გამოდის, რომ ინგლისური სიტყვის cat და ქართული სიტყვის „კატა“ სემანტიკური არეები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა და ეს ენათშორისი სინონიმებიც ერთმანეთის სრულად ეკვივალენტური არ არის.

შიძლებოდა გვეფიქრა, რომ დარგობრივი ტერმინები ნაკლები ამბივალენტურობით უნდა გამოირჩეოდნენ და მათთვის მეტი სემანტიკური დეტერმინირებულობა და კონკრეტულობა უნდა იყოს დამახასიათებელი, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, (ინგლისურ) ბოტანიკური ტერმინს conifer ქართული „წიწვოვანი მცენარე“ შეესატყვისება. თითქოსდა სრულ ეკვივალენტობასთან, „ერთი-ერთზე“ შესატყვისობასთან და ტექნიკური ტერმინისთვის დამახასიათებელ მეცნიერულ სიზუსტესთან გვაქვს საქმე, მაგრამ როდესაც საუბარი ისეთ აშკარად ფოთლოვან შიშველთესლოვან მცენარეებზეა, როგორებიცაა მაგალითად გინკგო (*Ginkgo biloba*), ან გადაშენებული კორდაიტები (*Cordaitales ord.*), რომლებსაც ზოგიერთი კლასიფიკაციით „წიწვოვან“ (*Coniferopsida*) მცენარეთა ქვეგანყოფილებას აკუთვნებენ, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ აქ გარკვეულ აქტუალურობას იძენს ტერმინის **conifer შინაგანი ფორმა**, ანუ ეტიმოლოგია (სიტყვასიტყვით „გირჩოვანი“, „გირჩებიანი“) და რომ აქაც სრული ეკვივალენტობა სახეზე არ გვაქვს და ზოგიერთ შემთხვევაში მაინც სიტყვების conifer, coniferous თარგმნისას სიტყვა „წიწვოვანს“ ვერ ვიხმართ და მათ მნიშვნელობათა გადმოსაცემად რაიმე სხვა არსებითი ან ზედსართავი სახელი უნდა შევარჩიოთ. ასე რომ, ლექსიკურ-სემანტიკური არაიზომორფულობა რამდენადმე მოულოდნელ პრობლემებს ხშირად ვიწროდარგობრივ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობის პროცესშიც გვიქმნის.

მსგავსი შემთხვევები გაცილებით უფრო ხშირია „ჩვეულებრივ“, არასპეციალურ ლექსიკაში. ინგლისურ სიტყვას boat გერმანულში შიძლება შეესატყვისებოდეს das Boot (*ნავი*), das U-Boot /Unterseeboot (*წყალქვეშა ნავი*), das Schiff (*გემი, ხომალდი*) ან die Jacht (*იახტა*). მეტი თვალსაჩინოებისათვის ეს სემანტიკური ურთიერთმიმართებები ვიზუალურად ასე შიძლება წარმოვიდგინოთ:

ინგლისური	გერმანული
boat	das Boot
	das U-Boot
	das Schiff
	die Jacht

ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, გერმანულში სიტყვა „ნავი“ (das Boot) ნაკლებად პოლისემიურია და მას, ინგლისური სიტყვისგან 'boat' განსხვავებით, არ აქვს მნიშვნელობები: „გემი“, „წყალქვეშა ნავი“ ან „იახტა“. ცხადია, რომ ამ ინგლისური და გერმანული სინონიმების მნიშვნელობებიც ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა. ასევე არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგალითად ინგლისური ზედსართავის rough და მისი ქართული შესატყვისობის „უხეში“ მნიშვნელობები.²¹ ასეთ ურთიერთმიმართებებს ენათშორისი სინონიმების მნიშვნელობათა შორის გრაფიკულად ხშირად დაახლოებით ვენის დიაგრამის, ანუ ერთმანეთის არასრულად გადამკვეთი, არასრულად გადამფარავი წრეების სახით გამოხატავენ ხოლმე (მარგალიტაძე, 2012ა). მის არსს მარტივად თუ წარმოვადგენთ ეკვივალენტობის პრობლემა ასე გამოიყურება, რეალურად კი სურათი ხშირად უფრო რთულიც არის ხოლმე. სწორედ ამიტომ დგას ასე მწვავედ ეკვივალენტობის საკითხი მსოფლიოს ლექსიკოლოგთა და ლექსიკოგრაფთა წინაშე.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქართულ ფილოლოგიაში ეკვივალენტობის საკითხი (ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში) ჯეროვნად ჯერ არ გაშუქებულა. ეკვივალენტობას უფრო ლიტერატურის, კერძოდ ლიტერატურული თარგმანის კუთხით განიხილავდნენ. პირველად ქართულ მეცნიერებაში ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტობისა და მათი არაიზომორფულობის საკითხი ცნობილმა მთარგმნელმა და თარგმანის თეორეტიკოსმა, აქ განსვენებულმა ქ-ნმა ნელი საყვარელიძემ დააყენა (საყვარელიძე, 2001), თავად ტერმინებიც „ეკვივალენტი“, „ეკვივალენტობა“, „არაიზომორფულობა“ ენათშორისი სინონიმების კონტექსტში სწორედ ქალბატონი ნელის ციტირებულ ნაშრომშია პირველად ნახმარი. საკუთრივ ქართულ ლინგვისტიკასა და ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში საკითხი უპირატესად თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრის თანამშრომელთა სტატიებში და სხვადასხვა კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე მათ მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში იქნა წინა პლანზე

²¹ თუმცა ამავე ზედსართავის გერმანულ სინონიმთან rauh შედარებისას ინგლისურ და გერმანულ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის ბევრად მეტი თანხვედნა ვლინდება

წამოწეული. ეს, ბუნებრივია, ლექსიკოგრაფიისათვის ამ საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარეობს.

მსოფლიო ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიის თეორიაში ეკვივალენტობის საკითხი დიდი ხანია აქტიურად განიხილება. მის შესახებ, როგორც უკვე ითქვა, მრავალ გამოჩენილ მეცნიერსა აქვს აზრი გამოთქმული. თავად ეკვივალენტობის კლასიკური განსაზღვრა მოცემულია ლექსიკოგრაფიის ცნობილი თეორეტიკოსების, რაინჰარდ რუდოლფ კარლ ჰარტმანისა და გრეგორი ჯეიმზის „ლექსიკოგრაფიის ლექსიკონში“, სადაც ეკვივალენტობა განმარტებულია, როგორც „ურთიერთდამოკიდებულება ორი ან რამდენიმე ენის ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს შორის, რომელთაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ“ (ჰარტმანი ... 1998, 51). არსებობს ეკვივალენტობის უფრო მხატვრულ-ლიტერატურული განსაზღვრაც, რომლის მიხედვითაც „ეკვივალენტობა არის ღერძი, რომლის გარშემოც მთარგმნელობითი საქმიანობა ბრუნავს“ (კრომანი ... 1991 : 2717).

შემდეგი საკითხი, რომელიც ლექსიკოგრაფების წინაშე დგას, არის ეკვივალენტობის ხარისხის დადგენა და ამ და სხვა კრიტერიუმების მიხედვით ეკვივალენტების ტიპობრივი კლასიფიკაცია.

უნდა ვთქვათ, რომ ამა თუ იმ ლინგვისტური ტერმინისა თუ ცნების მეტისმეტად დეტალური თეორიული ანალიზი და კლასიფიკაცია რამდენადმე კონტრპროდუქტიულად მიგვაჩნია (განსაკუთრებით მეცნიერების ისეთი პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებული დარგისთვის, როგორც ლექსიკოგრაფია). ვფიქრობთ, რომ მეტისმეტი დეტალიზაციის დროს მთლიანი სურათი (big picture, როგორც ინგლისურად იტყვიან ხოლმე) რამდენადმე ბუნდოვანდება და შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალები საკითხის არსის სრულად აღქმას ართულებენ (ძალაუნებურად გვახსენდება რუსული ანდაზა за деревьями леса не видать²²) ჩვენი აზრით, ნებისმიერი მოვლენისა თუ სამეცნიერო ტერმინის მეტისმეტად დეტალიზებული, და ამდენად გართულებული და „ჩახლართული“ განსაზღვრებისა თუ განმარტების შემუშავების მცდელობანი

²² არადა, მართლაცდა კომიკური სიტუაცია იქნებოდა, ვინმესთვის ცალკეულ ხეებს ტყისდანახვასა და მთლიანობაში აღქმაში ხელი რომ შეეშალა.

წარმოქმნის სხვადასხვა ცნებების, იდეებისა და წარმოდგენების ერთგვარ ლაბირინთს, რომლისგანაც აზრის გამოტანა და პრაქტიკული სარგებლის მიღება ძალზე რთულია. მაგალითად პოლონელ მკვლევარ არლეტა ადამსკა-სალაციაკს თავის ნაშრომში „ეკვივალენტობის შესწავლა“ სკრუპულოზურად აქვს განხილული ეკვივალენტობის შესახებ სხვადასხვა ლექსიკოლოგთა თუ ლექსიკოგრაფთა მიერ გამოთქმული აზრები (ადამსკა-სალაციაკი, 2010). ამგვარი მიმოხილვის შემდეგ ავტორს, ერთგვარი რეზიუმეს სახით, ჩამოყალიბებული აქვს ეკვივალენტთა ტიპების წინასწარი თუ საცდელი (tentative, მისივე განსაზღვრებით) კლასიფიკაცია. ამ გაერთიანებული და რეზიუმირებული კლასიფიკაციის მიხედვით, ეკვივალენტები შეიძლება იყოს:

- (A) კოგნიტიური (იგივე სემანტიკური, სისტემური, პროტოტიპული, კონცეპტუალური, დეკონტექსტუალიზებული, ცნებითი/განყენებული);
- (B) განმარტებითი (დესკრიფციული);
- (C) თარგმნითი (ჩასასმელი, ტექსტუალური, კონტექსტუალური); ან
- (D) ფუნქციონალური (სიტუაციური, საკომუნიკაციო, დისკორსული, დინამიკური) (ადამსკა-სალაციაკი, 2010, 397)

საკმაოდ რთული და ძნელად აღსაქმელი სურათია და პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული საქმიანობისთვის რამდენადმე ძნელად გამოსაყენებელიც. ამ ლაბირინთიდან თავის გამოსაღწევი ერთგვარი „არიადნეს ძაფის“ სახით ლექსიკოგრაფიული ცენტრის გუნდს შემუშავებული გვაქვს რამდენადმე გამარტივებული და პრაქტიკულად უფრო ადვილად გამოსაყენებელი მიდგომა ეკვივალენტების კლასიფიკაციისა. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი ბინარული თუ დიქოტომიური კლასიფიკაცია. ჩვენ გამოვყოფდით ეკვივალენტობისა და ეკვივალენტების კლასიფიკაციის ორ დონეს. **პირველი დონე** არის *ხარისხობრივი კლასიფიკაცია*, რომლის ფარგლებშიც განვასხვავებთ სრულ, ნაწილობრივ და ნულოვან ეკვივალენტობას; სრული და ნაწილობრივი ეკვივალენტობა განმარტებას არ საჭიროებს; ნულოვანი ეკვივალენტობა გულისხმობს სხვა ენებში არალექსიკალიზებულ ისეთ სიტყვებს, როგორც არის იგივე ინგლისური **brocket** („ორი წლის ხარირემი“) ან ქართული **ზედსიძე**, რომელთაც, შესაბამისად, სხვა ენებში

ან ენათა უმეტეს ნაწილში, ეკვივალენტი არ გააჩნიათ. ამგვარი კლასიფიკაციით ჩვენ ვიზიარებთ სამხრეთაფრიკელი ლექსიკოლოგისა და ლექსიკოგრაფის, რუფუს ჰ. გოუვის (Rufus Hjalmar Gouws) თვალსაზრისს ეკვივალენტების კლასიფიკაციის თაობაზე, რომელიც მას დენი პრინსლოოსთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში აქვს ჩამოყალიბებული: “Three major types of equivalent relations prevail, i.e. full equivalence, partial equivalence and zero equivalence. These different relations of equivalence confront lexicographers with different challenges to ensure that the users will be able to achieve an optimal retrieval of information from a given dictionary article.” (Gouws ... 2008, 869). მეორე დონე ჩვენეული კლასიფიკაციისა, რომელსაც *ფუნქციონალური* ან გამოყენებითი შეიძლება ვუწოდოთ, გულისხმობს ეკვივალენტების კლასიფიკაციას უშუალოდ სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში მათი ფუნქციის მიხედვით; ანუ იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია უნდა შეასრულოს ეკვივალენტმა და სად, რა ადგილას უნდა „ჩაჯდეს“ იგი ორენოვანი ლექსიკონის სიტყვა-სტატიაში. ამ ასპექტში ჩვენ ვიზიარებთ ჩეხური წარმოშობის ამერიკელი ლექსიკოგრაფის, „ლექსიკოგრაფიის მამად“ წოდებული²³ ლადისლავ ზგუსტას (Ladislav Zgusta) მიდგომას სიტყვა-სტატიაში ფუნქციონალურად სხვადასხვა ტიპის ეკვივალენტების განაწილებისადმი.

ზგუსტა, როგორც ლექსიკოგრაფიის თეორიაში კარგადაა ცნობილი, პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული მუშაობის ფარგლებში განასხვავებდა განმარტებით (ან აღწერით) და თარგმნით (ან „ჩასასმელ“)²⁴ ეკვივალენტებს. ზგუსტას მიხედვით, პირველი ტიპის (განმარტებითი / აღწერითი) ეკვივალენტი გამოყენებულ უნდა იქნეს ორენოვანი ლექსიკონის სიტყვა-სტატიაში, სიტყვის ზოგადი მნიშვნელობის მაქსიმალურად ზუსტად გადმოსაცემად სამიზნე ენაზე (target language); ხოლო თარგმნითი ეკვივალენტი რეალიზდება მისი ჩასმისას (აქედან ტერმინი ‘insertable’) თარგმანის კონტექსტში, რათა თარგმანი სტილისტურად და ენობრივად მაქსიმალურად ადეკვატური გამოვიდეს (ზგუსტა, 1971).

²³ ცნობილია ჰოლანდიელი ლექსიკოგრაფი და ლინგვისტმა პიტ ვან სტერკენბურგმა (Piet van Sterkenburg) ლ. ზგუსტა მოიხსენია, როგორც “the twentieth-century godfather of lexicography” (ვან სტერკენბურგი 2003 : 4).

²⁴ Explanatory (descriptive) v translational (insertable) equivalents.

ეკვივალენტობის კლასიფიკაციისადმი ამგვარი რამდენადმე გამარტივებული და თეორიულ-დეფინიციური ზედმეტობებისგან განთავისუფლებული მიდგომა მნიშვნელოვნად გვიადვილებს ლექსიკოგრაფიულ მუშაობას და უამრავ შესაძლო ეკვივალენტთა და შესატყვისობათა ზღვაში უპრობლემო მოძრაობისა და ნავიგაციის შესაძლებლობას გვამლევს.

რაც შეეხება ეკვივალენტობის საკითხის პრაქტიკულ მნიშვნელობას თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში წარმოებული სამუშაოებისა და ჩვენი მიმდინარე თუ სამომავლო პროექტებისათვის, ამაზე ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო, II თავში ვისაუბრებთ, სადაც კონკრეტულად შევისწავლით და განვიხილავთ ენობრივი ეკვივალენტობის საკითხებს *უპირატ.* გერმანიკული ზედსართავი სახელების მაგალითზე.

თავი II. ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები ზედსართავი სახელების მაგალითზე
(უპირატ. გერმანიკული წარმოშობის ლექსიკაზე დაყრდნობით)

სანამ უშუალოდ სინონიმური ზედსართავი სახელებისა და მეტყველების სხვა ნაწილების მნიშვნელობათა ეკვივალენტობის ხარისხის დადგენის შესახებ ვისაუბრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, ერთგვარი *მცირე წინათქმის* სახით, მოკლედ განვმარტოთ, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თსუ „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ შემოქმედებითი გუნდისთვის ენათშორისი სინონიმების სემანტიკურ ეკვივალენტობას.

საქმე ის გახლავთ, რომ თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრის ფარგლებში განზრახულია შეიქმნას ორენოვანი, უცხოურ-ქართული, ძირითადად ევროპულ-ქართული, ლექსიკონები ჩვენს ცენტრშივე შემუშავებული ლექსიკოგრაფიული მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდიკა ჩამოყალიბდა ლექსიკოგრაფიის მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან მუშაობის პროცესში და მის პარალელურად. მოკლედ იგი შემდეგში მდგომარეობს: ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე მუშაობისას საფუძვლად აღებული უნდა იქნეს *მაგ.* ფრანგულ-ინგლისური, გერმანულ-ინგლისური, შვედურ-ინგლისური, იტალიურ-ინგლისური და *სხვ.* ლექსიკონები, შემდეგ კი ამ ლექსიკონების სიტყვა-სტატიათა ინგლისური განმარტებები გადმოტანილი უნდა იქნეს ქართულად თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შექმნილი „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ მეშვეობით, რომელიც ერთგვარი დამხმარე, საშუალოდ სამეცნიერო ინსტრუმენტის როლსა და ფუნქციას შეასრულებს. კერძოდ, განზრახულია, გამოყენებული იქნეს დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და მასში დაფიქსირებული ინგლისური სიტყვებისა და შესიტყვებების ქართული ეკვივალენტები, როგორც ერთგვარი მონაცემთა ბაზა. წყარო ენიდან აღებული სიტყვების მნიშვნელობათა უმცირესი ნიუანსები კი უნდა დადგინდეს და დაზუსტდეს შესაბამისი ავტორიტეტული განმარტებითი ლექსიკონების გამოყენებით. გათვალისწინებული იქნება უცხო ენის ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული მეთოდები, რომელიც ქართულ ლექსიკოლოგიურ და ლექსიკოგრაფიულ მეცნიერებაში იქნა გამოკვლეული და ჩამოყალიბებული (მარგალიტაძე, 2012ა, 2012ბ).

ცხადია, გათვალისწინებულია აგრეთვე ვრცელი ტექსტური კორპუსების (როგორც ერთენოვანი, ასევე პარალელური) გამოყენებაც, რომელთა გარეშეც თანამედროვე ლინგვისტური, განსაკუთრებით კი ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მუშაობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

უფრო დეტალურად ამ მეთოდის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. კერძოდ, წინამდებარე ნაშრომის V თავში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება აიგოს და როგორ აიგება ხოლმე უცხოენოვან-ქართული სალექსიკონო სიტყვა-სტატიები აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, როდესაც დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი ერთგვარი „ხიდის“ როლს ასრულებს წყარო ენასა და სამიზნე, ქართულ, ენებს შორის.

ამ მეთოდიკის დეტალური აღწერა, გარდა ამისა, მოყვანილია აგრეთვე სპეციალურ სტატიაში „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი - ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების საფუძველი“, რომელიც გამოქვეყნებულია თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ჟურნალ „სპეკალის“ მეშვიდე ნომერში (მარგალიტაძე ... 2012).

ამდენად, ენათშორისი სინონიმების სემანტიკურ ეკვივალენტობა ჩვენთვის საინტერესოა უპირატესად კონკრეტული ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებადობასთან მიმართებაში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შევუდექით მეტყველების ნაწილების, სახელდობრ ზედსართავი სახელების, არსებითი სახელებისა და ზმნების ანალიზს ენათშორისი სინონიმების სემანტიკური ეკვივალენტობის კუთხით. გაანალიზებული იქნა 20 ერთეული მეტყველების თითოეული ამ ნაწილისა, სულ 60 ლექსიკური ერთეული. ქვემოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ანალიზის შედეგები იქნება მოყვანილი.

ის, თუ რა სახის სირთულეებთან არის დაკავშირებული ეკვივალენტობისა და სემანტიკური ასიმეტრიის პრობლემა ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში, კარგად ჩანს ჰარტმანისა და ჯეიმზის ზემოთ უკვე ციტირებული ნაწარმოებიდან აღებულ კიდევ ერთ ამონარიდში: „ენობრივი და კულტურული არაიზომორფულობის შედეგად, თარგმნითი ეკვივალენტები, როგორც წესი, არის ნაწილობრივი, მიახლოებითი,

არასიტყვასიტყვითი და ასიმეტრიული (და არა სრული, პირდაპირი, სიტყვასიტყვითი და ორმხრივი). ამდენად, ორენოვან ლექსიკონში მათი სპეციფიკაცია სირთულეებთან არის დაკავშირებული და საჭირო ხდება სუროგატული განმარტებითი ეკვივალენტების მოშველიება“ (ჰარტმანი ... 1998, 51).

ვითვალისწინებდით აგრეთვე იმას, რომ ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობისა და (არსებობის დადასტურების შემთხვევაში) ეკვივალენტობის ხარისხის დადგენის საკითხი ჩვენთვის საინტერესო იყო სალექსიკონო სიტყვა-სტატიის აგების თვალსაზრისით და ჩვენი კვლევის პროცესში მუდამ გვექონდა მხედველობაში ის, თუ რამდენად გააადვილებდა (ან პირიქით, გაართულებდა) ეკვივალენტობის გამოვლენილი ხარისხი სალექსიკონო სიტყვა-სტატიის შედგენას.

საკუთრივ ზედსართავი სახელი იმითაც არის საინტერესო, რომ მეტყველების ეს ნაწილი, ზმნებთან ერთად, ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით ერთგვარ „პრობლემურ“ ლექსიკად ითვლება (სნელ-ჰორნბი, 1984), ვინაიდან ხშირად აღსანიშნისადმი მოლაპარაკის დამოკიდებულებას გამოხატავს. ალბათ ამით არის განპირობებული, რომ თითოეულ კონკრეტულ ენაში ზედსართავებს და ზმნებს ბევრად უფრო მეტი სინონიმები აქვთ, ვიდრე არსებითებს. შესაბამისად, თითოეული ამგვარი ლექსიკური ერთეულები შედარებით ვიწრო სემანტიკური არეალით ხასიათდება და ინდივიდუალური სემანტიკური პროფილი აქვს, რადგანაც იმავე თვისებისა თუ მოქმედების სხვა ასპექტები იმავე ენაში მათი შიდაენობრივი სინონიმებით არის გადმოცემული. ეს კი თავის მხრივ საკმაოდ ართულებს წყარო ენის სიტყვისთვის ადეკვატური ეკვივალენტის შერჩევას სამიზნე ენაში, რამდენადაც სინონიმური ლექსიკური ერთეულებიდან თითოეულს მეტად ვიწრო და ინდივიდუალური სემანტიკური მახასიათებლები აქვს და მისი სემანტიკური არეალი წყარო ენიდან აღებული სიტყვის სემანტიკური არეალის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს „გადაფარავს“ (თუ ამგვარ ურთიერთმიმართებებს გრაფიკულად გამოვსახავთ, იხ. ზემოთ). სწორედ ასეთ შემთხვევებში არის განსაკუთრებულად ხშირად საჭირო სუროგატული და მიახლოებითი ეკვივალენტების მოძიება და გამოყენება სიტყვა-სტატიის აგებისას.

ზედსართავებისა და ზმნების ლექსიკოლოგიურ-სემანტიკური და შესაბამისად ლექსიკოგრაფიული „პრობლემურობა“ იმითაცაა განპირობებული, რომ მეტყველების ეს ნაწილები, რომელთაც ხშირად **პრედიკატულ სიტყვებსაც** უწოდებენ (უფიმცევა, 1984), გამოხატავენ საგნის აბსტრაქტულ ნიშან-თვისებას, რომელიც ბუნებაში მატერიალური, ხილული და ხელშესახები სახით, შეიძლება ითქვას, არც არსებობს (ასე მაგალითად, ვერ დავინახავთ და „თითს ვერ დავადებთ“ ცნებებს „ჭკვიანი“, „სურნელოვანი“, „სწრაფი“; „გაქცევა“, „დამალვა“ და *მისთ.* განსხვავებით აღსანიშნებისგან, რომლებიც შეესაბამება სიტყვებს „ქვა“, „ვაშლი“, „სათვალე“ და *მისთ.*). ასეთი „არამატერიალური“ აღსანიშნის დენოტაციის დროს კი ყოველ ცალკეულ ენაში მოსალოდნელია თავისებური, ინდივიდუალური მიდგომა აღნიშვნის პროცესისა და თავად აღსანიშნისადმი და, გამომდინარე აქედან, საკმაოდ ინდივიდუალური სემანტიკური პროფილის მქონე ლექსიკის წარმოქმნა. ზემოაღნიშნულთან ერთად, ეს მომენტებიც იწვევს გარკვეულ სირთულეებს ზედსართავ სახელებთან (და აგრეთვე ზმნებთან) მუშაობისას.

რაც შეეხება საკუთრივ ეკვივალენტობას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ლექსიკოგრაფიის თეორიაში გამოიყოფა ეკვივალენტობის სამი ტიპი: ნულოვანი, ნაწილობრივი და სრული. უშუალოდ ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის პროცესში ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტურობის კუთხით ზედსართავების სემანტიკის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი კანონზომიერებანი: უპირველეს ყოვლისა, სრული ეკვივალენტობა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა და ჩვენმა კვლევამ უმეტეს შემთხვევაში გვაჩვენა სხვადასხვა (ზოგ შემთხვევაში მეტი, ზოგ შემთხვევაში ნაკლები) ხარისხის **ნაწილობრივი ეკვივალენტობა**. ეს ბუნებრივიც უნდა იყოს, ვინაიდან სრული სინონიმები (ენათშორისი იქნება ეს თუ შიდაენობრივი), როგორც ცნობილია, ბუნებაში არ არსებობს. გარდა ამისა, ჩვენი კვლევის ადრეულ სტადიებზევე ადვილად გამოიყო ზედსართავების ორი ტიპი. **პირველი ტიპი** (1) აერთიანებს მეტად სპეციფიკური / ინდივიდუალური სემანტიკური პროფილისა და ვიწრო სემანტიკური ველის მქონე, ნაკლებად უნივერსალურ ზედსართავებს, რომლებშიც პოლისემია შედარებით ნაკლებია. ეს ზედსართავები, როგორც წესი, აბსტრაქტულ, არახელშესახებ თვისებებს აღნიშნავენ. ამავე დროს, ამგვარ

ზედსართავებში (ეს კანონზომიერება, სხვათა შორის მეტყველების სხვა ნაწილების, კერძოდ არსებითი სახელებისა და ზმნების, კვლევის დროსაც დადასტურდა) ეკვივალენტობა მეტი იყო მნიშვნელობის ეკვივალენტების დონეზე (რაც ბუნებრივიცაა, რამდენადაც საუბარი გვაქვს ენათმორის სინონიმებად მიჩნეულ სიტყვებზე), მაგრამ ნაკლები – თარგმნითი, იგივე კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე. სახელდობრ, ის საგნები თუ მოვლენები, რომლებსაც ამ ტიპის ზედსართავები განსაზღვრავდნენ (სხვაგვარად თუ ვიტყვით, ის საზღვრულები, რომლებთანაც მათი ხმარება კონკრეტულ შესიტყვებებში დასტურდებოდა), სხვადასხვა იყო სხვადასხვა ენებში, რაც განსაზღვრავდა კიდევ მათი ეკვივალენტობის ნაკლებ ხარისხს (უფრო კონკრეტულად ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ); **მეორე ტიპში** (2) შედის უფრო მეტად პოლისემიური ზედსართავი სახელები, რომლებიც ეკვივალენტობის მეტ ხარისხს აჩვენებს ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, ამგვარი სემანტიკური პროფილი ახასიათებს უპირატესად იმგვარ ზედსართავებს (მაგალითად „**მრგვალის**“ - *ინგლ.* round, *გერმ.* rund და *ა.შ.* ტიპის ზედსართავები), რომლებიც აზრობრივად შედარებით უფრო ახლოს დგას მატერიალურ სამყაროსთან და მატერიალური სამყაროს შემადგენელი საგნების ნიშან-თვისებებთან. ამგვარი ტიპის ზედსართავი სახელები საგანთა სხვადასხვა კლასს ახასიათებს, ამდენად ისინი სემანტიკურად უფრო უნივერსალურია.

წინასწარი კვლევის ეტაპზე ამ ორი ტიპის ზედსართავების გამოვლენამ განსაზღვრა კვლევის შემდგომ ეტაპებზე მათი უფრო დეტალური შესწავლისას დიფერენცირებული მეთოდის გამოყენება. კერძოდ, **პირველი ტიპის** ზედსართავების სემანტიკური ველების ზუსტად განსაზღვრისას ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონების გამოყენებასთან ერთად, უმთავრესად მაინც ვეყრდნობოდით ვრცელ ტექსტურ კორპუსებს (სკეჩ-ენჯინის და სხვ. ტიპისა), რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო იმ კონკრეტული საგნებისა და მოვლენების დადგენა, რომლებთანაც ეს ზედსართავები იხმარებოდა ამა თუ იმ ენაში (ცხადია, რომ ზედსართავი სახელის სემანტიკას ზუსტად სწორედ ის საზღვრულები / აღსანიშნები განსაზღვრავს, რომლებთან კომბინაციაშიც ისინი იხმარება კონკრეტულ

კონტექსტებში); ამისთვის კი ელექტრონული ტექსტური კორპუსები საუკეთესო დამხმარე ინსტრუმენტია ლექსიკოლოგიური კვლევის ჩასატარებლად. მეორე ტიპის ზედსართავების სემანტიკის ანალიზისას კი უპირატესობა უფრო ლექსიკონებს (ორენოვანსა და თარგმნილებს) ენიჭებოდა.

ახლა კი კონკრეტულად მიმოვიხილოთ ზედსართავი სახელების ორივე ტიპი ეკვივალენტობის კუთხით.

პირველი ტიპის ზედსართავებისთვის დამახასიათებელი სემანტიკური ნიშან-თვისებების სადემონსტრაციოდ კარგ მაგალითს წარმოადგენს და გასაანალიზებლად საინტერესო ლექსიკურ-სემანტიკურ მასალას გვაწვდის შემდეგი ლექსიკური ერთეული:

ზედსართავი „მძალე“ (ინგლ. rancid; გერმ. ranzig; ნიდერლ. ransig, ranzig [ranzəx] შვედ. härsken; იტ. rancido და ა.შ.).

ზედსართავი ძირითადად ცხიმის შემცველი გაფუჭებული საკვები პროდუქტისა და მყრალი ან მომჟავო სუნის (ან ასეთი სუნის მქონე საგნების) მსაზღვრელად გამოიყენება.

ინგლისური ზედსართავის rancid²⁵ (< ლათ. rancidus, „მყრალი“) შესატყვისობები მისი პირდაპირი მნიშვნელობით არის: შვედ. härsken (მაგ. härsket smör „მძალე კარაქი“); გერმ. ranzig (მაგ. ranzige Butter „მძალე კარაქი“, ranziges Fett „ამძალეებული/გაფუჭებული ქონი“); ნიდერლ. ransig, ranzig [ranzəx] (bedorven en zuur „(ქონის/ცხიმის შესახებ) გაფუჭებული და მჟავე“) (ფრი-დიქშენერი, 2003), მაგ. een ranzig luchtje „მძალე სუნი“ (ibid.); იტ. rancido (მაგ. burro rancido „მძალე/ამძალეებული კარაქი“)²⁶ და ა.შ., მაგრამ ამ ენათშორის სინონიმთა გადატანით მნიშვნელობებში თავს იჩენს სემანტიკური არაიზომორფულობა და არაეკვივალენტურობა ინგლისურ და სხვა ზემოხსენებულ ევროპულ ენებს შორის. მაგალითად, შვედურში „მძალის“ გარდა, სიტყვის härsken ერთ-ერთი მნიშვნელობაა „გაბრაზებული“, „გალიზიანებული“ (მაგ.

²⁵ ამა თუ იმ სიტყვის ინგლისურ სინონიმს პირველ რიგში განვიხილავთ ჩვენი ლექსიკოგრაფიული პროექტებისთვის ინგლისურის, როგორც შუამავალი ენის (იხ. ზემოთ) მნიშვნელობიდან გამომდინარე.

²⁶ ჩვენი ნაშრომი ძირითადად გერმანიკული წარმოშობის ლექსიკის ანალიზს ეძღვნება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, სხვა (ინდო)ევროპული ენებიდან მოხმობილ მასალასაც ვსწავლობთ და ვიკვლევთ.

bli härsken „გაბრაზება“). ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად მისი „ნომინალური“ სინონიმი rancid ჩვენი შუამავალი ენიდან (ინგლისურიდან) ნამდვილად არ გამოგვადგება და მის სათარგმნად ალბათ უფრო ზედსართავებს cross, angry ან irritated გამოვიყენებდით. ამავე ინგლისური ზედსართავის გადატანით მნიშვნელობას „საზიზღარი“, „ოდიოზური“ გერმანული ranzig ვერ გამოხატავს და გერმანულად მისი მნიშვნელობის გადმოსაცემად widerlich ან abscheulich („საზიზღარი“) უნდა ვიხმაროთ. ნიდერლანდურში, ამისდა საპირისპიროდ, ზედსართავს ransig / ranzig (ისევე როგორც ინგლისურში), აქვს გადატანითი მნიშვნელობა „საზიზღარი“, „უვარგისი“ და *ა.შ.* (*მაგ.* een ranzige snackbar - „საზიზღარი/გულის ამრევი სასაუზმე“). იტალიურში კი სიტყვის rancido გადატანითი/არაპირდაპირი მნიშვნელობაა „მოძველებული“, „ვადაგასული“ – vecchio, antiquato, sorpassato; *მაგ.* idee rancide „მოძველებული / ყავლგასული იდეები“ (*რაგაცინი*, 2008). ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ინგლისური rancid ცხადია, არ გამოდგება და მის სათარგმნად სხვა ზედსართავები: outmoded, obsolete ან, უკიდურეს შემთხვევაში (თუ ძირითად მნიშვნელობასთან მაქსიმალური სიახლოვის შენარჩუნებას მოვინდომებთ), stale უნდა ვიხმაროთ.

როგორც დავრწმუნდით, ამ ენათშორის სინონიმთა (*ინგლ.* rancid; *გერმ.* ranzig; *შვედ.* härsken; *იტ.* rancido და *სხვ.*) შორის ეკვივალენტობა ნაკლებია და მეტია არაიზომორფულობა. მათი სემანტიკური ველების ურთიერთგადაკვეთის ფართობიც (მათ სემანტიკურ ღირებულებებს გრაფიკულად ვენის დიაგრამის სახით თუ წარმოვადგენთ) უფრო მცირეა.

ეს, პრინციპში, ბუნებრივიცაა, რამდენადაც rancid, *etc.* („მძალე“) უპირატესად აღნიშნავს ცხიმის შემცველი გაფუჭებული საკვები პროდუქტის თვისებას. ასეთი ნიშან-თვისება ნაკლები რაოდენობის საგნებში გამოიყოფა და, შესაბამისად, მისი აღმნიშვნელი ზედსართავებიც სემანტიკური თვალსაზრისით ნაკლებად უნივერსალურია.

საკითხის ზოგადლინგვისტური და ლექსიკოლოგიური ასპექტების გარდა, მოკლედ ეკვივალენტობის ამგვარი ხარისხის ლექსიკოგრაფიულ მხარესაც გვინდა შევხებით. დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში შესაძლებელია მოძიებული იქნეს

ამა თუ იმ გერმანული, შვედური ან ფრანგული სიტყვის პრაქტიკულად ნებისმიერი ინგლისური ეკვივალენტის ქართული თარგმანი. თანაც, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სათარგმნი ინგლისური სიტყვის ინგლისურივე სინონიმის ქართული შესატყვისობის მოშველიებაც.²⁷ საკუთრივ სემანტიკური ეკვივალენტობის ნაკლებობა წყარო ენისა და შუამავალი ენის სინონიმებს შორის გადაუჭრელ პრობლემას ვერ შეგვიქმნის. გარკვეულ სირთულეს აქ შეიძლება წარმოადგენდეს ჩვენი ლექსიკონიდან მაქსიმალურად ადეკვატური ქართული სინონიმის ან სინონიმების შერჩევა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ და მისი მსგავსი მეთოდებით სინონიმის შერჩევასა მაქსიმალური სკრუპულოზურობისა და მეცნიერული სიზუსტის გამოჩენაა ხოლმე საჭირო. მაგალითად, ზემოთ განხილული rancid, ranzig, etc. რიგის ზედსართავების შემთხვევაში, სხვადასხვა ენათა კორპუსების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ამ ზედსართავის, ასე ვთქვათ, სემანტიკური ბირთვია „გაფუჭებული“, „ამყრალებული“ (ამას მისი ეტიმოლოგიაც განაპირობებს) და იგი უპირატესად იხმარება კონტექსტებში, სადაც იგი განსაზღვრავს მომზადებული (მოხარშული, შემწვარი – cooked) საკვები პროდუქტების ან საჭმლის აღმნიშვნელ არსებით სახელებს.²⁸ მაგალითად, იმავე გერმანულ კორპუსში ზედსართავი ranzig ყველაზე ხშირად ნაჩვენებია ისეთ სიტყვებთან კომბინაციაში, როგორებიცაა (ასეთივე თანმიმდევრობით, *ე.ი.* სიხშირით): Butter „კარაქი“; Geruch „სუნი“; Fett „ცხიმი“, „ქონი“; Pflanzenöl „მცენარეული ცხიმი“; Speck „ღორის ქონი“, „შპიკი“; Geschmack „გემო“; Aroma „სუნი“, „არომატი“; Käse „ყველი“; Öl ზეთი (სკეჩ-ენჯინი 2003: deTenTen10). „კვერცხთან“ (*ინგლ.* egg, *გერმ.* das Ei, *ნიდერლ.* ei, *შვედ.* ägg და *ა.შ.*) ზედსართავები rancid, ranzig, härsken შედარებით იშვიათად გვხვდება. ზოგ შემთხვევაში კონტექსტი საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საუბარი გაფუჭებულ მოხარშულ კვერცხზე შეიძლება იყოს. ამდენად, rancid რიგის ზედსართავებისთვის სიტყვა-სტატიის შედგენისას ალბათ უმჯობესი იქნება თავი შევიკავოთ (მნიშვნელობის ეკვივალენტად მაინც) სიტყვა „ლაყის“ ხმარებისაგან

²⁷ მაგალითად, rancid-ზე მუშაობისას შეიძლება ვისარგებლოთ ამ ზედსართავთან სემანტიკურად ახლოს მდგომი სიტყვების: stale, sour, bad, etc. სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში ნახმარი ქართული ეკვივალენტებით.

²⁸ *იხ. მაგ.* „ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონის“ მეშვიდე გამოცემაში მოყვანილი დეფინიცია: “if food containing fat is rancid, it tastes or smells unpleasant because it is no longer fresh” (*ოქსფორდი (I)* 2005).

(თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად გვხვდება კონტექსტებიც, სადაც „კვერცხთან“ ნახმარი ეს ზედსართავი აშკარად „ლაყე“ ნიშნავს²⁹). და მაინც, კვლავ აღვნიშნავდით, რომ ამ სინონიმური რიგის ზედსართავთა ქართულად გადმოცემისას ალბათ უმჯობესი იქნება „ლაყე“ **თარგმნით** ეკვივალენტად გამოვიყენოთ (ე.ი. გამოვიყენოთ იგი საილუსტრაციო ფრაზებში იქ, სადაც კი კონტექსტი ამის საშუალებას მოგვცემს).

ზედსართავ „მძლის“ ანალიზისას გამოვლენილის ანალოგიური სურათი იკვეთება „მყიფის“, „მტვრევადის“ (*ინგლ.* fragile, brittle, breakable; *შვედ.* bräcklig, spröd; *გერმ.* brüchig, spröde, etc.) აღმნიშვნელი ზედსართავების ურთიერთშედარებისას გერმანიკულ ენებში. ეს ზედსართავებიც საგანთა აბსტრაქტულ, არახელშესახებ თვისებას გამოხატავს, ნაკლებად უნივერსალურია და სხვადასხვა ენებში მისი ენათმორისი სინონიმების მნიშვნელობანი ერთმანეთს ნაკლებად ემთხვევა. განვიხილოთ ეს ზედსართავი უფრო დეტალურად:

ზედსართავი „მყიფე“, „მტვრევადი“ (*ინგლ.* fragile, brittle, breakable; *შვედ.* bräcklig, spröd; *გერმ.* brüchig, spröde და ა.შ.)

ამგვარ ზედსართავებს (შეიძლება იდნის პირველი ტიპის ქვეტიპადაც ყოფილიყო კლასიფიცირებული), სემანტიკური ველის სივიწროვისა და კონკრეტულობის გარდა, თითოეულ ენაში რამდენიმე ან სულაც მრავალი სინონიმის ქონაც ახასიათებს. თანაც საგანთა სხვადასხვა ჯგუფებთან და/ან კლასებთან ერთად ამ სინონიმთაგან უპირატესად რომელიმე ერთი იხმარება, რაც თითოეული კონკრეტული სინონიმის სემანტიკურ უნივერსალურობას და სხვა ენაში მისი სინონიმის ეკვივალენტად ასეთი ზედსართავის ფართო გამოყენების შესაძლებლობას, ცხადია, ამცირებს.

ასე მაგალითად: გერმანიკულ (ან თუნდაც ნებისმიერ ინდოევროპულ, ან სხვ. წარმომავლობის) ენაში *დაახლ.* „მყიფის“, „მტვრევადის“ მნიშვნელობის მქონე ზედსართავი შეიძლება იხმარებოდეს სიტყვებთან, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო შუამავალ ენაში, ინგლისურში მოითხოვს ზედსართავს fragile ან breakable; იმავე ენაში იგივე ზედსართავი შეიძლება შეეხამებოდეს არსებითს, რომლის „სიმყიფის“

²⁹ “So many people used to buy rotten eggs to throw at the Sally Ann Bonnets that these rancid eggs became renamed in the market place as 'Salvation Army eggs!’” (სკეჩ-ენჯინი, 2003, enTenTen12, doc#17312237).

აღწერისასაც ინგლისურში ზედსართავს brittle იხმარდნენ; სხვა მნიშვნელობებით / სხვა არსებითებთან იმავე ენის იმავე ზედსართავს შეიძლება ჰქონდეს სემანტიკა, რომელიც ინგლისურში მოითხოვს ეკვივალენტს frail, delicate ან სულაც flimsy და ა.შ.

მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი: გერმანულად „მყიფის“, „მტვრევადის“ ერთ-ერთი ძირითადი შესატყვისობაა spröde. მაგ. sprödes Glas „მყიფე შუშა/მინა“, რაც ინგლისურად fragile glass იქნება. მაგრამ spröde Fingernägel („მტვრევადი ფრჩხილები“) ინგლისურად brittle fingernails იქნება; ხოლო spröde Haut ან spröde Lippen („ადვილად მსკდომი კანი/ტუჩები“) ინგლისურად გადმოვა, როგორც crispy ან საერთოდ dry skin/lips.

სხვა მნიშვნელობებშიც გერმანული spröde სულ სხვა ინგლისურ სიტყვებს მოითხოვს: მაგ. წინადადება Europa ist für viele Menschen einfach eine zu spröde Materie (სკეჩ-ენჯინი 2003: deTenTen10) დაახლ. „ევროპა ბევრისთვის უბრალოდ მეტისმეტად დელიკატური/სათუთი თემაა“; ამ წინადადებაში ჩვენთვის საინტერესო კომბინაცია ზედსართავი-არსებითი ინგლისურად უნდა ითარგმნოს, როგორც delicate matter; ხოლო spröde Gotik-Mauern (ibid.) „ნატიფი გოტიკური კედლები“ დაახლ. delicate, fine ან subtle Gothic walls იქნება.

სხვა შემთხვევებში/კონტექსტებში ინგლისურ ზედსართავს fragile შეიძლება შეესაბამებოდეს გერმანული ეკვივალენტები brüchig, zerbrechlich/gebrechlich და სხვ.

ასევე შვედურში, „მყიფის“ შესატყვისობებია skör, spröd, bräcklig, (lätt) brytbar, ömtålig და სხვ., რომლებსაც სხვადასხვა სუსტად გამოხატული სემანტიკური ნიუანსები აქვთ, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა კონტექსტებსა და სიტუაციებში იხმარებიან. მაგ. skör is „მყიფე ყინული“. ett skört vinglas მყიფე ღვინის ჭიქა. ამ მნიშვნელობებში მისი საკმაოდ ადეკვატური ინგლისური შესატყვისობა იქნებოდა fragile. მაგრამ სხვა კონტექსტებში იმავე შვედურ ზედსართავს skör აქვს „სუსტის“, „ნაზის“, „ჰაეროვნის“ (luftig, eterisk) და მისთ. მნიშვნელობა.³⁰ მაგ. hon var liten och skör „იგი პატარა და ნაზი იყო“; sköra drömmar დაახლ. „ნატიფი სიზმრები“; harpans

³⁰ სკეჩ-ენჯინის პორტალზე განთავსებულ შვედური ენის ერთ-ერთ კორპუსში (სკეჩ-ენჯინი 2003: SwedishWaC) სიხშირულად ამ შვედური ზედსართავის (skör) ხმარების ყველაზე მეტი შემთხვევა დადასტურებულია არსებითთან tråd „მაფი“, თანაც გამოთქმაში hänga på en skör tråd „წვრილ მაფზე კიდება“ (ანუ გაურკვეველ და/ან სახიფათო მდგომარეობაში ყოფნა).

sköra toner „არფის ნაზი ჰანგები“ და *მისთ*. ამ კონტექსტებში შვედური ზედსართავი მოითხოვდა ინგლისურ ეკვივალენტებს: fine, delicate, tender, frail და *მისთ*.

გერმანულის მსგავსად, შვედურშიც ზედსართავ „მყიფის“ ერთ-ერთ სინონიმს აქვს როგორც უშუალოდ „ფიზიკური“ მნიშვნელობა: en ömtålig vas „მყიფე ვაზა“, ასევე მნიშვნელობა „სათუთის“, „დელიკატურისა“: en ömtålig fråga „დელიკატური საკითხი“. ცხადია, რომ აქაც პირველ შემთხვევაში შვედური ზედსართავის ეკვივალენტი ინგლისური fragile იქნება (fragile vase), მეორე შემთხვევაში კი შვედური ზედსართავის შესატყვისობა სულ სხვა ინგლისური ზედსართავი delicate ან subtle (delicate matter, ან delicate / subtle question) იქნება.

მსგავსივე სიტუაციაა ნიდერლანდურში. „მყიფე“, „(ადვილად) მტვრევადი“ და *მისთ*. ნიდერლანდურად იქნება breekbaar, broos, onbestendig, wankel³¹ და *ა.შ.* ამ სინონიმურ მნიშვნელობათა განაწილება სხვადასხვა კონტექსტების მიხედვით და მათი ინგლისური ეკვივალენტების ვარირება კარგად ჩანს პარალელური ნიდერლანდურ-ინგლისური კორპუსიდან (სკეჩ-ენჯინი 2003: DGT, Dutch) მოპოვებული მასალის მაგალითზე:

breekbar ladingen – fragile loads

breekbare producten – brittle products

breekbaar glas – breakable glass³²

broos en kwetsbaar – fragile and vulnerable

een uiterst broos patrimonium – a very fragile patrimony

broos worden bij lage temperaturen – cold weather embrittlement³³

een broze openbare veiligheid – fragile public security და *ა.შ.*

ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში, ვფიქრობთ, კარგად ჩანს, რომ მნიშვნელობის ეკვივალენტების დონეზე ეკვივალენტობა მეტია (რამდენადაც ყველა ამგვარ სინონიმს ერთი და იგივე შინაარსი/მნიშვნელობა აქვთ: „მყიფე“, „ადვილად მტვრევადი“), მაგრამ სემანტიკური ეკვივალენტობა ნაკლებია თარგმნითი, იგივე

³¹ *ბგ.* een wankele gezondheid - დაახლ. სუსტი ჯანმრთელობა.

³² აქ, კონტექსტის მიხედვით, ადვილად გასატეხი მინა იგულისხმება, რომელიც უბედური შემთხვევის, ხანძრის და *მისთ*. დროს გარეთ გამოსასვლელად უნდა გატეხონ.

³³ ეს ნიდერლანდური ფრაზა ინგლისურად სიტყვასიტყვით შეიძლება ითარგმნოს როგორც becoming brittle under low-temperature conditions.

კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე, რამდენადაც, როგორც დავრწმუნდით, საგნების სხვადასხვა ჯგუფებთან, როგორც წესი, სხვადასხვა შიდაენობრივი სინონიმი იხმარება, რაც მის უნივერსალობას ამცირებს და ავიწროებს მისი სემანტიკური ველის გადაკვეთის არეს შესაბამის, უკვე ენათშორის, სინონიმთან ამა თუ იმ ენაში.

ინგლისურ ზედსართავ rough-თან დაკავშირებით ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ სიტყვასა და მის ძირითად ქართულ შესატყვისობა „უხემს“ შორის ეკვივალენტობის ხარისხი მცირეა, რამდენადაც ზედსართავის rough მნიშვნელობები, როგორცაა not smooth; uneven; violent და სხვ. მოითხოვს ისეთ **სხვადასხვა** ქართულ შესატყვისობებს, როგორებიცაა „ოღროჩოღრო“ (გზის შესახებ); „უსწორმასწორო“ (ზოგადად რისამე ზედაპირის შესახებ); „ხემეში“, „ხორკლიანი“ (კანის შესახებ); „მდეღვარე“, „ბობოქარი“ (ზღვის შესახებ) და ა.შ.³⁴ ზემოთ აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ ამ ინგლისურ ზედსართავსა (rough) და მის სინონიმურ ზედსართავებს შორის სხვა გერმანიკული ენებიდან ეკვივალენტობა (ქართულის შემთხვევისგან განსხვავებით) ბევრად უფრო მეტია. ნათქვამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება სულ რამდენიმე მაგალითის მოყვანა.

გერმანული rau(h) (ისევე, როგორც მისი ინგლისური შესატყვისობა rough) შეიძლება ნიშნავდეს „უსწორმასწოროს“: raue Oberfläche (უსწორმასწორო ზედაპირი); ein rauher Weg (უსწორმასწორო / ოღროჩოღრო გზა), „ხემეში“: eine rauhe Haut (ხემეში კანი); „მკაცრს“, „სასტიკს“: raues Klima (მკაცრი ჰავა); rauhe Winde (დაახლ. ცივი ქარები) და ა.შ.

მსგავსივე სიტუაციაა ნიდერლანდურთან მიმართებითაც: ნიდერლანდურში ruw (ინგლისური ზედსართავის rough სინონიმი და, ამავე დროს, ეტიმოლოგიური შესატყვისობა) შეიძლება ნიშნავდეს „უსწორმასწოროს“ (oneffen): ruw terrein (უსწორმასწორო / ოღროჩოღრო რელიეფი, დასერილი ადგილი), „ხემეში“, „არაგლუვს“: ruwe schors (ხის ხემეში ქერქი); „უხემს“, „დაუმუშავებელს“: een ruwe diamant (დაუმუშავებელი ალმასი); „მიახლოებითს“, „არაზუსტს“: een ruwe schatting (მიახლოებითი შეფასება) და ა.შ.

³⁴ უფრო დეტალურად ამის შესახებ იხ. ზემოთ უკვე ციტირებულ ნაშრომში ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ (მარგალიტაძე, 2013).

ამკარაა, რომ ინგლისურ ზედსართავს rough და მის გერმანულ და ნიდერლანდურ სინონიმებს, შესაბამისად rau(h) და ruw, შორის სემანტიკური ეკვივალენტობა საკმაოდ მაღალია.

შედარებით ნაკლებია ინგლისური ზედსართავის rough (უხეში) ეკვივალენტობა მის ძირითად შვედურ სინონიმთან – grov მიმართებით: rough road (ოღროჩოდრო / უსწორმასწორო გზა) შვედურად ojämn väg (სიტყვასიტყვით – „უსწორმასწორო გზა“) იქნება; rough estimate (მიახლოებითი შეფასება) – grov ან ungefärlig uppskattning (სიტყვასიტყვით „უხეში“ ან „მიახლოებითი/საორიენტაციო შეფასება“); rough sea (ბობოქარი / მღელვარე ზღვა) – svår sjögång (სიტყვასიტყვით „ძლიერი ღელვა“); a rough neighborhood (ქალაქის კრიმინალური/ბანდიტური უბანი) ett rått³⁵ kvarter და ა.შ. ზედსართავ „უხეშის“ ძირითადი შვედური ეკვივალენტის grov სხვა მნიშვნელობებია „მძიმე“, „სქელი“, „ვულგარული“, „თავხედური“ და ა.შ. როგორც ვრწმუნდებით, ინგლისური ზედსართავის rough და მისი ძირითადი შვედური სინონიმის grov სემანტიკური არეების კვეთის ფართობი ნაკლებია (ინგლისურ-გერმანულ და ინგლისურ-ნიდერლანდურ ურთიერთმიმართებათაგან განსხვავებით).

ამრიგად, „უხეშის“ (ინგლ. rough, გერმ. rauh და ა.შ.) ტიპის ზედსართავები, რომლებიც უფრო პოლისემიური არიან და ამავე დროს ერთმანეთს შორის მეტ სემანტიკურ ეკვივალენტობასაც ავლენენ, თითქოსდა ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნიან ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ პირველი ტიპის (1) ზედსართავებსა და მეორე ტიპის (2) ზედსართავებს შორის, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მეორე ტიპში (2) შედის უფრო მეტად პოლისემიური ზედსართავი სახელები, რომლებიც ეკვივალენტობის მეტ ხარისხს აჩვენებს ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, ამგვარი სემანტიკური პროფილი ახასიათებს უპირატესად იმგვარ ზედსართავებს (მაგალითად „მრგვალის“ - ინგლ. round, გერმ. rund და ა.შ. ტიპის ზედსართავები), რომლებიც აზრობრივად შედარებით უფრო ახლოს დგას მატერიალურ სამყაროსთან და მატერიალური სამყაროს შემადგენელი საგნების ნიშან-თვისებებთან. ამგვარი ტიპის ზედსართავი სახელები

³⁵ rått აქ ზედსართავის საშუალო სქესის ძლიერი ბრუნების ფორმაა (შვედური kvarter „უბანი“, „რაიონი“ საშუალო სქესის არსებითი სახელია); საწყისი ფორმა იქნება rå (ეს შვედური ზედსართავი ინგლისური ზედსართავის raw ზუსტი ეტიმოლოგიური შესატყვისობაა).

საგანთა სხვადასხვა კლასს ახასიათებს, ამდენად ისინი სემანტიკურად უფრო უნივერსალურიცაა.

ამავე დროს, ასეთი ზედსართავები, როგორც წესი, უფრო პოლისემიურიცაა და მათ ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე მათ შორის მეტი ეკვივალენტობა დასტურდება. ეს საინტერესო და მნიშვნელოვანია ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგანაც პოლისემიური სიტყვები შესაბამისად ქმნიან დიდ სალექსიკონო სიტყვა-სტატიებს, ლექსიკონის შემადგენელ „სამშენებლო ბლოკებს“. ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით ამგვარი სიტუაცია ხელსაყრელია, ვინაიდან დიდი სიტყვა-სტატიების ცალკეულ მნიშვნელობათა ეკვივალენტობა წყარო (გერმანულ, ნიდერლანდურ, ნორვეგიულ და სხვ.) ენასა და შუამავალ (ინგლისურ) ენას შორის მნიშვნელოვნად აადვილებს სიტყვა-სტატიების აგებას სამიზნე (ქართულ) ენაზე.

ახლა კი ვნახოთ, როგორი სურათი გვაქვს ამ ტიპის ზედსართავებთან დაკავშირებით მათი ეკვივალენტობა-იზომორფულობის თვალსაზრისით.

ზედსართავი „მრგვალი“ (ინგლ. round, გერმ. rund, ნიდერლ. rond და სხვ.)

[ლათ. rotundus, ძვ. ფრანგ. *redond, *rodond, ესპ. redondo, იტ. rotondo, tondo, საშუალ. ინგლ. rounde, საშუალ. ზემ. გერმ. runt, გერმ. rund, ნიდერლ. rond, შვედ., ნორვ. rund და ა.შ.]

ინგლისური სემანტიკა

ოქსფორდის დიდი ლექსიკონის, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონისა და სხვა ლექსიკონების მიხედვით, ინგლისურ ენაში შეიძლება გამოიყოს ზედსართავის „მრგვალი“ (round) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები (განსაკუთრებით აღვნიშნავდით, რომ აქ სწორედ ძირითადი, და არა ყველა, მნიშვნელობა მოგვყავს):

1. საკუთრივ მრგვალი (წრიული ან სფერული):

(ა) Having all parts of the surface equidistant from the centre; spherical, globular; resembling a ball; (ბ) Cylindrical; circular in respect of section; (გ) Having all parts of the circumference equidistant from the centre; circular, formed like a circle (ოქსფორდი, 1989);

ამავე მნიშვნელობის სხვ. დეფინიციას: 1) having a flat circular shape, as a disc or hoop
2) having the shape of a sphere or ball (კოლინზი, 2006).

ეს მნიშვნელობები კარგად ჩანს საილუსტრაციო მაგალითებშიც: That tower [...] is [...] small and round; a small, round table; a round glass ball და ა.შ.

2. შემდეგი ძირითად მნიშვნელობათაგანი: ადამიანის სხეულის ან მისი ნაწილის შესახებ: მომრგვალებული, სავსე, მსუქანი; Plump, free from angularity; well-fleshed (ოქსფორდი 2007); (of a person's body) plump: (ოქსფორდი, (2) 2005); full and plump (კოლინზი, 2006); მაგ. round cheeks (ფრი-დიქშენერი, 2003) და ა.შ.; მაგ. a round figure (*ibid.*).

3. 1) მიახლოებითი (რაოდენობის და მისთ. შესახებ); Of numbers: Full, complete, entire; Also *transf.* expressed roundly; of a calculation etc.: approximate, rough. (ოქსფორდი, 2007); მაგ. a round estimate (ფრი-დიქშენერი, 2003); the size of the fleet is given in round numbers (ოქსფორდი, (2) 2005); approximately correct; *esp.* exact only to the nearest ten, hundred or multiple of these (ვებსტერი, 1961). ანუ გამოდის „დამრგვალებული“, „მიახლოებითი“, „დამრგვალებული/მიახლოებითი/არაზუსტი რაოდენობით წარმოდგენილი ან გამოხატული“.

2) მრგვალი (რიცხვის შესახებ); Of numbers: Full, complete, entire (ოქსფორდი, 1989).

3) მთელი (წილადიანი რიცხვისგან განსხვავებით); forming or expressed by an integer or whole number, with no fraction (კოლინზი, 2006).

4) ამ მნიშვნელობასთან ახლოსაა მთელი, სრული, მთლიანი (რიცხვების, რაოდენობების შესახებ) full, complete, entire (ოქსფორდი, 1989); მაგ. round dozen „მთელი / სრული ერთი დუჟინი“ (*ibidem*); COMPLETE, FULL (used of a number or quantity); მაგ. a round dozen (ვებსტერი, 1961).

4. სოლიდური (რაოდენობის შესახებ); (*of a sum of money*) considerable; ample (კოლინზი, 2006); მაგ. a round sum of money (ფრი-დიქშენერი, 2003); substantial in amount; AMPLE, LARGE (ვებსტერი, 1961).

5. (კეთილ)ხმოვანი, მჟღერი; სასიამოვნო მოსასმენი, რბილი (ხმის შესახებ); (Of a voice) rich and mellow; not harsh (ოქსფორდი, 2005ბ); his rich, round voice went down well with the listeners (*ibid.*) და ა.შ.

6. გულწრფელი, პირდაპირი (სიტყვების, გამოთქმების, ლაპარაკის მანერის შესახებ); plain, honest, straightforward (ოქსფორდი, 1989); მაგ. she berated him in good round terms (ოქსფორდი, 2005ბ); ვებსტერის დიდ ლექსიკონში (ვებსტერი, 1961) ეს მნიშვნელობა („პირდაპირი“, „გულწრფელი“, „დაუფარავი – marked by bluntness, directness, or forthrightness. BOLD, PLAIN, OUTSPOKEN) იძენს უკვე „უხემის“ კონოტაციას, რაც განსაკუთრებით კარგად საილუსტრაციო ფრაზაში ჩანს (ისევე, სხვათა შორის, როგორც ჩვენ მიერ ორიოდ სტრიქონით ზემოთ მოყვანილ, ოქსფორდის ერთტომეულიდან აღებულ საილუსტრაციო წინადადებაში): asserted with a round oath [...] that ... ეს სემანტიკური ნიუანსი კი, სხვათა შორის, ეხმიანება სიტყვის „მრგვალი“ ერთ-ერთ მნიშვნელობას შვედურში, სადაც rund „უხამს“, „უწმაწურს“ ნიშნავს [იხ. [ქვემოთ](#)].

გადავიდეთ ზედსართავ „მრგვალის“ გერმანულ შესატყვისობებზე:

გერმანული სემანტიკა

გერმანულში ზემოთ განხილული ინგლისური ზედსართავის შესატყვისობის **rund** („მრგვალი“) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობებია წარმოდგენილი:

1. მრგვალი (*kugel-*, *kreisförmig* – „სფერული ან წრიული ფორმისა“) (გერმანულ-რუსული, 1987); მაგ. etw. rund machen „რისამე დამრგვალება“, „რაიმესთვის მრგვალი ფორმის მიცემა“ (*ibid.*); ein runder Ball „მრგვალი ბურთი“ (ფრი-დიქშენერი, 2003).

2. სავსე, სქელი; მსუქანი (*dicklich*); runde Arme „სავსე/მსუქანი ხელები“ (გერმანულ-რუსული, 1987); er hat ein rundes Kinn, einen runden Bauch დაახლ. „მას ხორცსავსე ნიკაპი / დიდი მუცელი აქვს“ (დუდენი, 2011). Du bist ganz schön rund geworden! საკმაოდ მოსუქებულხარ! (ფრი-დიქშენერი, 2003).

3. დამრგვალებული, მრგვალი (რიცხვის შესახებ) (*abgerundet*); Zahl mit einer Null am Ende „ნულით დაბოლოებული რიცხვი“ (ფრი-დიქშენერი, 2003); (von Zahlen) einfach zu handhaben, besonders aus ganzen Zehnern, Hundertern usw. bestehend დაახლ. „(რიცხვების შესახებ) ადვილად გამოსაყენებელი/საანგარიშო, განსაკ. მთელი ათეულებისგან, ასეულებისგან და ა.შ. შემდგარი“ (დუდენი, 2011); runde Zahl „მრგვალი რიცხვი“ (პავლოვსკი, 1902); ein runder Geburtstag დაახლ. „მრგვალი

იუბილე“, „დაბადების დღე, რომელზეც ვინმეს „მრგვალი“ ასაკი უსრულდება“ (*Geburststag, an dem jemand 30, 40 oder 50 Jahre usw. alt wird*) (დუდენი, 2011).

4. **მიახლოებითი, არაზუსტი** (ეს გერმანული მნიშვნელობაც ზოგ ლექსიკონში „დამრგვალებულის“ მნიშვნელობასთანაა გაიგივებული და საილუსტრაციო მაგალითებში და მათს თარგმანში/განმარტებაში ჩნდება).³⁶ in runden Zahlen „დამრგვალებულად“, „მიახლოებით“ (გერმანულ-რუსული, 1987).

5. **სრული, მთელი** (საათის, დღის, წლის შესახებ) (*voll, ganz*) (გერმანულ-რუსული 1987); ganz oder so gut wie ganz; voll მთელი ან თითქმის მთელი; სრული (დუდენი, 2011); er hat für die Arbeit runde drei Jahre gebraucht „სამუშაოს მან სრული სამი წელი / ზუსტად სამი წელი მოანდომა“ (*ibid.*); der Wagen kostet runde 40 000 Euro „მანქანა მთელი / ზუსტად 40 000 ათასი ევრო ღირს“ (დუდენი, 2011).

6. (*beträchtlich*) **მნიშვნელოვანი, სოლიდური** (ფულადი თანხის შესახებ) (გერმანულ-რუსული 1987); ein rundes Sümmchen სოლიდური/გვარიანი თანხა (кругленькая сумма) (ლინგვო-12, 2006)

7. **ხმოვანი, მჟღერი** (*voll: Klang, Ton*³⁷) (გერმანულ-რუსული, 1987);

8. **გასაგები, ნათელი** (*klar*) (გერმანულ-რუსული, 1987); eine runde Antwort geben „ნათელი / გარკვეული პასუხის გაცემა“; ein rundes Nein არაორაზროვანი „არა“ / უარი (*ibid.*).

გადავიდეთ გერმანულის ახლომონათესავე, კიდევ ერთ დასავლეთგერმანიკულ ენაზე, ნიდერლანდურზე:

ნიდერლანდური სემანტიკა

ნიდერლანდურში ზემოთ განხილული ინგლისურ ზედსართავს შეესატყვისება **rond** („მრგვალი“). მისი ძირითადი მნიშვნელობები კი გახლავთ:

³⁶ საინტერესოა, რომ პავლოვსკის ლექსიკონში ყველა მნიშვნელობა („მრგვალი (ფორმის) მაგიდა“; მრგვალი რიცხვი“, მრგვალი / მსუქანი სახე და სხვ.) ერთსა და სალექსიკონო მნიშვნელობაშია შეტანილი და, როგორც ჩანს, პირდაპირი, „სივრცობრივ-გეომეტრიული“ მნიშვნელობის გადატანითი ხმარების შემთხვევებად მოიაზრება. ამ და მსგავს შემთხვევებში, როგორც ჩანს, საქმე განსხვავებულ ლექსიკოგრაფიულ მიდგომებთან გვაქვს.

³⁷ დაახლ. „სავსე / მჟღერი: ხმის, ბგერის შესახებ“.

1. **საკუთრივ მრგვალი** (met een vorm die lijkt op een cirkel, een cilinder of een bol. kogelrond) „წრის, ცილინდრის ან სფეროს მსგავსი ფორმისა“ (ფრი-დიქშენერი, 2003). De aarde is rond „დედამიწა მრგვალია“ (*ibid.*)

2. **ნათელი, გასაგები** (geregeld klaar „სრულიად ნათელი“ (ფრი-დიქშენერი, 2003); De onderhandelingen hebben lang geduurd, maar nu is de zaak rond „მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ახლა საქმე / საკითხი გარკვეულია“ (*ibid.*); het is zo rond als een o „ეს დღესავით ნათელია“.

3. **მრგვალი (რიცხვი)** (een getal dat eindigt op een of meer nullen „რიცხვი რომელიც ერთი ან ერთზე მეტი ნულით მთავრდება“); მაგ. rond getal „მრგვალი რიცხვი“ (ფრი-დიქშენერი, 2003).

4. **სრული, მთელი** (დროის მონაკვეთის შესახებ); een rond jaar „მთელი წელი“, „მთელი წლის განმავლობაში“.

ახლა კი სკანდინავიურ ენებზე გადავინაცვლოთ:

შვედური სემანტიკა

შვედურში გამოიყოფა სიტყვის rund („მრგვალი“) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები:

1. **მრგვალი** (formad som en ring eller ett klot (eller en cylinder) – „რგოლის ან სფეროს (ან ცილინდრის) ფორმისა“) (რუსულ-შვედური, 2012). მაგ. jorden är rund „დედამიწა მრგვალია“. საინტერესოა, რომ დ.ე. მილანოვას შვედურ-რუსულ ლექსიკონში (შვედურ-რუსული, 1949) „გეომეტრიულ“ მნიშვნელობასთან გაერთიანებულია გადატანითი, „რაოდენობრივი“ მნიშვნელობა და მაგალითად მოყვანილია «i runt tal круглым счётом» [იხ. აგრ. [ქვემოთ](#)].

2. გამოიყოფა მნიშვნელობა **სავსე, სქელი; მსუქანი** (tjock „სქელი“, „მსუქანი“, fyllig „სავსე“) (რუსულ-შვედური, 2012); hon har blivit lite rund „იგი ოდნავ მოსუქებულა“; rund om kinderna „მსუქანი/სავსე/მომრგვალებული ლოყების მქონე“ (*ibidem*).

3. შვედურში დასტურდება აგრეთვე **მთელი, მრგვალი (რიცხვის შესახებ), დამრგვალებული, მიახლოებითი** (რაოდენობის შესახებ) მნიშვნელობა (რუსულ-

შვედური, 2012); მაგ. i runt tal (“ungefär”) „დაახლოებით“, „მოლიანობაში“, „დამრგვალებულად“³⁸ (*ibid.*).

აღსანიშნავია, რომ მაგ. „მიახლოებითის“ მნიშვნელობა შვედურშიც და სხვა ენების ლექსიკონებშიც (ხშირად აგრ. ერთი და იმავე ენის სხვადასხვა ლექსიკონებში), ალბათ განსხვავებული ლექსიკოგრაფიული პრინციპებიდან თუ მიდგომებიდან გამომდინარე (რაც ზემოთ გაკვრით უკვე ვახსენეთ), შეიძლება ან დამოუკიდებელ მნიშვნელობად, ან ქვემნიშვნელობად იყოს გამოტანილი, ანდა „მრგვალის“, „დამრგვალებულის“ (რიცხვთან ან რაოდენობასთან მიმართებაში) გადატანით მნიშვნელობად იყოს ინტერპრეტირებული და მხოლოდ საილუსტრაციო მაგალითის სახით იყოს წარმოდგენილი აღნიშნულ („მრგვალი“, „დამრგვალებული“) მნიშვნელობაში.

4. ადვილად გამოსარჩევია აგრ. მნიშვნელობა **სრული, მთელი** (*საათის, დღის, წლის შესახებ*) (*რუსულ-შვედური, 1976*); მაგ. året runt მთელი წელი (*ibid.*); dygnet runt მთელი დღე-ღამე – “круглые сутки” კ. დავიდსონის უკვე ციტირებულ რუსულ-შვედურ ლექსიკონში (*რუსულ-შვედური, 1976*) და ა.შ.

5. **სოლიდური, გვარიანი**; მაგ. rund summa „გვარიანი თანხა“ – “кругленькая сумма” იმავე რუსულ-შვედურ ლექსიკონში (*რუსულ-შვედური, 1976*).

6. **უხამსი, უწმაწური, არანორმატიული** (*რუსულ-შვედური, 2012*). აქ ეს გამოთქმა შესიტყვებით/მაგალითით არის ილუსტრირებული: runda ord (“vardagliga ord för sexuella ting”) „უხამსი სიტყვები“ (რაც შემდეგნაირად არის შვედურადვე განმარტებული: „სექსუალური თემატიკის აღმნიშვნელი საუბრული სიტყვები“; რუსულად ეს დაახლ. „დედის გინებად“³⁹ არის თარგმნილი).

უნდა ითქვას, რომ ეს მნიშვნელობის განვითარების საინტერესო მაგალითია: ინგლისური round ოქსფორდის დიდ ლექსიკონში, როგორც გვახსოვს, განმარტებული იყო, როგორც plain, honest, straightforward, ოქსფორდის ერთტომეულში (*ოქსფორდი, 2005*ბ), მართალია, მოცემული იყო მეტ-ნაკლებად ნეიტრალური დეფინიცია: Not omitting or disguising anything; frank, მაგრამ

³⁸ სიტყვასიტყვით: „მრგვალ რიცხვებში“, „დამრგვალებული/მიახლოებითი რიცხვებით გამოხატული“ (რუსულად: округленно, примерно).

³⁹ матерные слова (ненормативная лексика).

საილუსტრაციო მაგალითში უკვე „ვისიმე კარგად გამოლანძღვა“ ჩნდებოდა (*ib.* she berated him in good round terms ზემოთ); ვებსტერის დიდ ლექსიკონში (*ვებსტერი*, 1961) საილუსტრაციო წინადადებაში a round oath დავადასტურეთ; შვედურში კი რაც ადრე ალბათ, ასე ვთქვათ, „ექსპლიციტური სიტყვები“ იყო, უკვე „უხამსობისა“ და „გინების“ მნიშვნელობით იხმარება [*ib.* აგრ. [ზემოთ](#)].

ახლა კი გადავიდეთ ზედსართავი „მრგვალის“ შესატყვისობებზე გერმანიკული ენების სკანდინავიური ქვეჯგუფის კიდევ ერთ ენაში, ნორვეგიულში და მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო ზედსართავის სემანტიკა და პოლისემია:

ნორვეგიული სემანტიკა

ნორვეგიულში გამოიყოფა სიტყვის rund [rʉn] („მრგვალი“) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები:

1. **მრგვალი** (med form som en sirkel „წრისებრი ფორმისა“) (*ფრი-დიქშენერი*, 2003); *მაგ.* et rundt speil „მრგვალი სარკე“ (*ibid.*).
2. **სავსე, სქელი** (lubben, fyldig) (*ფრი-დიქშენერი*, 2003); полный (*ო чловеке*) (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963); runde kinn „სავსე/მომრგვალებული ლოყები“ (*ibid.*).
3. **მთელი, მრგვალი** (*რიცხვის შესახებ*) (om tall som er delelig med 10 eller 100 – „იმგვარი რიცხვების შესახებ, რომლებიც 10-ზე ან 100-ზე იყოფა“) (*ფრი-დიქშენერი*, 2003); rundt år მთელი წელი (*ibid.*).
4. **დიდი, გვარიანი** (*თანხის შესახებ*) (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963).⁴⁰
5. **მჟღერი, სასიამოვნო** (*ხმის ან ბგერის შესახებ*) (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963).
6. **სასიამოვნო** (*გემოს შესახებ*)⁴¹ და სხვ.

ჩვენი ლექსიკოგრაფიული ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენთვის უპირატესად მნიშვნელოვანია ეკვივალენტობა ზემოხსენებულ გერმანიკულ ენებს (როგორც სალექსიკონო პროექტების პოტენციურ წყარო ენებს) და *ინგლისურს* (ჩვენს შუამავალ ენას) შორის. მიუხედავად ამისა, წმინდა ლექსიკოლოგიური და თეორიულ-ენათმეცნიერული თვალსაზრისით მაინც საინტერესოდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვით

⁴⁰ «кругленький», большой (*ო сумме денег*).

⁴¹ ნორვეგიულ კორპუსებში rund smak („სასიამოვნო გემო“); ნორვეგიულ-რუსულ ლექსიკონში რატომღაც ღვინის გემოა დაკონკრეტებული: вкусный, приятный (*ო вине*).

დავახასიათოთ სემანტიკური ეკვივალენტობა ზემოთ განხილულ გერმანიკულ ლექსიკურ ერთეულთა და მათ შესაძლო ქართულ შესატყვისობათა შორის, რათა კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ლექსიკურ-სემანტიკური არაიზომორფულობა, ამ შემთხვევაში, ევროპულ ენებსა და ქართულს შორის და აგრეთვე ის წმინდა ტექნიკური სირთულეები, რომელთა დაძლევა ც ლექსიკოგრაფს უწევს ხოლმე უცხოურენოვან-ქართულ ლექსიკონზე მუშაობისას.

ზედსართავ „მრგვალის“ შემთხვევაში ამგვარი ეკვივალენტობა ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე ქართულ და ზემოთ მოყვანილ გერმანიკულ ლექსიკურ ერთეულთა ცალკეულ მნიშვნელობებს შორის საკმაოდ. მცირეა. ეკვივალენტობა აღინიშნება მხოლოდ „გეომეტრიულ“, ხელშესახებ და მატერიალურ („მრგვალი – სფერული ან წრიული“) მნიშვნელობასა და „მრგვალი/უწილადო“ (*რიცხვის შესახებ*) მნიშვნელობებს შორის.

სხვა მნიშვნელობებსა და ქართული „მრგვალის“ სემანტიკას შორის კი შემდეგნაირი სურათი გვაქვს:

იქ, სადაც „მრგვალის“ აღმნიშვნელი სიტყვა (*round, rund, etc.*) „გეომეტრიულის“ გარდა, ატარებს აგრეთვე სემანტიკას *მაგ.* „full and plump“, ქართულში იხმარება სულ სხვა სიტყვა: „მომრგვალელებული“, „სავსე“, „მსუქანი“ და *ა.შ.*

მნიშვნელობას “Of numbers: [...] expressed roundly; of a calculation etc.: approximate, rough” შეესაბამება ქართული ეკვივალენტი „მიახლოებითი“, „არაზუსტი“;

ასევე, მნიშვნელობას “(of a sum of money) considerable; ample” ქართულად მისი სემანტიკური ღირებულების გადმოსაცემად ესაჭიროება ეკვივალენტი „სოლიდური“, „გვარიანი“ (დიდი თანხის შესახებ ვერაფრით ვერ ვიტყვით, *მაგ.* „მრგვალი თანხა გადაიხადეს“).

მნიშვნელობა “(Of a voice) rich and mellow”; *გერმ.* voll (*Klang, Ton*) და *სხვ.* მოითხოვს ქართულ ეკვივალენტს „მჟღერი“, „სასიამოვნო“ (*ხმა*) და *ა.შ.*

აღვნიშნავდით, რომ რუსულში ეკვივალენტობა სიტყვის *круглый* („მრგვალი“) და ამ გერმანიკულ ენებში მის შესატყვისობათა (*round, rund, etc.*) ცალკეულ მნიშვნელობებს შორის შედარებით მეტია. რუსულისთვის სრულიად ბუნებრივია არა მარტო ისეთი გამოთქმები, როგორცაა: *круглое число* „მრგვალი რიცხვი“ (როგორც

ქართულადაც ვიტყვით), არამედ აგრეთვე круглая/кругленькая сумма „სოლიდური/გვარიანი თანხა“, круглый год „მთელი წელი“, круглые сутки „მთელი დღე-ღამე“, круглым счётом „მთლიანად“, „მთლიანი ანგარიშით“, „ანგარიშის დამრგვალებით“ და *მისთ.*

ამგვარი სურათი, ვფიქრობთ, არა მარტო და არა იმდენად რუსულისა და ამ ენების საერთო ინდოევროპული წარმოშობით, რამდენადაც რუს და ევროპელ ხალხებს შორის ინტენსიური კულტურულ-ლიტერატურული და სამეცნიერო ურთიერთობების (განსაკ. დაახლოებით მეთვრამეტე-მეცხამეტე საუკუნეების პერიოდში) საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიით უნდა იყოს განპირობებული. ამ სახის ურთიერთობები კი, როგორც წესი, ენების გარკვეულ ურთიერთზეგავლენასა და კონვერგენცია-ურთიერთდამსგავსებას, ცალკეულ ენებში საერთშორისო კალკების რაოდენობის ზრდას და *მისთ.* გულისხმობს ხოლმე.

მეორე მხრივ, ინგლისურსა და ამ გერმანიკულ ენებს (*ისევე როგორც თავად გერმანულ, შვედურ, ნიდერლანდურ, ნორვეგიულ და სხვ. ენებს შორის*), ეკვივალენტობა ზემოთ განხილული „მეორე ტიპის“ ზედსართავების ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე შედარებით მეტია. აღინიშნება თანხვედენა/სემანტიკურ ველთა ურთიერთგადაკვეთა ისეთ ქვემნიშვნელობათა დონეზე, როგორებიცაა:

(1) „სავსე“, „სქელი“; „მსუქანი“; გერმანული *runde Arme* „სავსე/მსუქანი ხელები; *შვედ.* *runda kinderna*; *ნორვ.* *runde kinner* „მსუქანი/სავსე ლოყები“ და *სხვ.*

(2) „იზოგლოსები“ გვაქვს მნიშვნელობისთვის „მრგვალი (რიცხვი)“, „მიახლოებით“, „დამრგვალებული“ (*რიცხვის, რაოდენობის შესახებ*); ასე მაგალითად: *გერმ.* *runde Zahl*, „მრგვალი რიცხვი“; *in runden Zahlen* „დამრგვალებულად“, „მიახლოებით“; *ნიდერლ.* *een rond getal* „მრგვალი რიცხვი“; *rond bedrag* „მთლიანი/პაუშალური თანხა“ (*lump sum*); *შვედ.* *i runt tal* „დაახლოებით“, „მთლიანობაში“, „დამრგვალებულად“ და *სხვ.*

(3) ადვილად დასტურდება „სოლიდური“, „მნიშვნელოვანი“, „გვარიანი“ (*თანხასთან მიმართებით*) მნიშვნელობები: *გერმ.* *ein rundes Sümchen*, *შვედ.* *rund summa* და *ა.შ.*

(4) მჟღერი, სასიამოვნო (*ხმის ან ბგერის შესახებ*) – ინგლ. rich, round voice, გერმ. der runde Klang „საამური ბგერა“ და ა.შ.

ქართულთან მიმართებით კი, როგორც აღვნიშნეთ, ეკვივალენტობა ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე გაცილებით ნაკლები და, პირდაპირ რომ ვთქვათ, მცირეა. აქ ჩვენ მიერ მოყვანილი თითქმის ყოველი ცალკეული მნიშვნელობის გადმოსაცემად ცალკე ქართული სიტყვაა საჭირო. ასე მაგალითად: „დაახლოებითი რაოდენობა“, „მთელი წელი/დღეღამე“, „სოლიდური/გვარიანი თანხა“, „მჟღერი/(კეთილ)ხმოვანი, საამური ხმა ან ბგერა“, „პირდაპირი/მკვახე/მაგარ-მაგარი სიტყვები“ და ა.შ.

ქართულსა და ევროპულ ენებს შორის, კონკრეტულად ზედსართავ „მრგვალის“ სემანტიკასთან მიმართებით, ეკვივალენტობის სიმცირე ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე, ჩვენი აზრით, აიხსნება ზოგადად ამ ენების (ქართულისა ერთმხრივ და ინდოევროპული ენებისა – მეორე მხრივ) განსხვავებული წარმოშობით და, უფრო მეტად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოს იზოლირებულობით ევროპის ენობრივი, კულტურული და სამეცნიერო ზეგავლენებისაგან, რაც, ცხადია, ბოლო საუკუნეების ისტორიული პერიპეტიებით აიხსნება.

ამ მცირე ისტორიულ-კულტუროლოგიური გადახვევის შემდეგ კი გადავიდეთ მომდევნო ლექსიკური ერთეულის სემანტიკის ანალიზზე.

იმ ოცი ზედსართავიდან, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა გაანალიზებული, წინამდებარე ნაშრომში წარმოსადგენად (ზემოთ უკვე განხილულ ზედსართავებთან ერთად), შევარჩიეთ დაახლ. „სქელის“ აღმნიშვნელი ზედსართავი. საინტერესოა, რომ ზემოთ განხილული round, rund, etc. ზედსართავისგან განსხვავებით, ქვემოთ განსახილველი სიტყვა საკუთრივ გერმანიკული (ეტიმოლოგიური) წარმოშობისაა (პროტოგერმანიკული *pik(k)uz, გოთური *pikus) და მისი კონკრეტული ეტიმოლოგიურ-სემანტიკური „ინკარნაციები“ პრაქტიკულად ყველა ჩვენთვის ცნობილ, ამჟამად არსებულ თუ გამქრალ (მკვდარ) გერმანიკულ ენაში დასტურდება.

ჩვენ მიერ განხილულ ენებში ამ ზედსართავის ძირითად მნიშვნელობებად დადასტურდა (1) „სქელი“, „დიდი სისქის / დიდი განივი ჭრილის მქონე“; (2) „სქელი“, „მსუქანი“; (3) „სქელი“, ბლანტი, „მაღალი კონცენტრაციის მქონე“ (*სითხის შესახებ*);

(4) „ხშირი“, „მჭიდრო“, „სქელი“ (თმის, ბეწვის, ტყის, ნისლის, ბოლის შესახებ); (5) „გონებაჩლუნგი“; „ჯიუტი“ და სხვ.

ახლა კი გადავიდეთ ამ ზედსართავის სემანტიკის უფრო დეტალურ ანალიზზე ცალკეული ენების მიხედვით და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ვნახოთ, თუ როგორ ნაწილდება მისი მნიშვნელობები ცალკეულ ენებში და როგორია ეკვივალენტობა სხვადასხვა გერმანიკულ ენებში ამ ზედსართავის ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე.

ზედსართავი „სქელი“ (ინგლ. thick, გერმ. dick, ნიდერლ. dik, შვედ. tjock და სხვ.)
[პროტოგერმანიკ. *þik(k)uz, გოთ. *þiqus, ძვ. სკანდ. þykk, ძვ. საქსონ. thikki, ძვ. ზემ. გერმ. dicchi, ძვ. ფრიზ. thikke, გერმ. dick, ნიდერლ. dik, შვედ. tjock, ნორვ. tykk, tjukk და ა.შ.].

ინგლისური სემანტიკა

ინგლისურში ამ სიტყვის (thick) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები შეიძლება გამოიყოს:

1. **სქელი**; Having relatively great extension between the opposite surfaces or sides (ოქსფორდი, 1989);⁴² მაგ. a thick slice of bread (კოლინზი, 2006), a thick book, a thick coat, thick fingers (ოქსფორდი, 2005ა); a thick sweater (ოქსფორდი, 2005ბ).

2. **ხშირი, სქელი, მჭიდრო**; Densely filled or covered, having a high density of constituent parts (ოქსფორდი, 2007); impenetrable; dense (კოლინზი, 2006); a thick fog (*ibid.*); thick smoke (ოქსფორდი, 2005ა); thick dark hair (*ibid.*); a thick beard (მაკმილანი, 2009); a thick forest (ოქსფორდი, 2005ა).

3. **სქელი, ბლანტი**; Of a liquid, semi-liquid, etc.: viscous; containing much solid matter (ოქსფორდი, 2007); having a relatively dense consistency (კოლინზი, 2006); not flowing very easily (ოქსფორდი, 2005ა); thick soup (კოლინზი, 2006); thick mud (ოქსფორდი,

⁴² ინგლისურ და გერმანულ ენათა შორის ლექსიკურ-სემანტიკური არაიზომორფულობის კონკრეტული მაგალითი: „მსუქნის“, „ტანსმხვილის“ მნიშვნელობით thick ინგლისურში (ინგლისური დიალექტებისა და ინგლისურის შოტლანდიური ვარიანტის გარდა) მოძველებულია (მაგ. გერმანულისგან განსხვავებით, [იხ. აგრ. ქვემოთ]), მაშინ როდესაც სხეულის ნაწილის მსაზღვრელად „სქელის“, „მსხვილის“ მნიშვნელობით მისი ხმარება დასაშვებია: მაგ. thick fingers, thick lips, etc.

2005ბ); thick sweet cream (მაკმილანი, 2009); The effect will be ruined if the paint is too thick (ოქსფორდი, 2005ა).

4. სულელი; გონებაჩლუნგი; stupid, slow, or insensitive (კოლინზი, 2006); Of low intelligence; stupid (ოქსფორდი, 2005ბ); stupid(მაკმილანი, 2009) (of a person) slow to learn or understand things (ოქსფორდი, 2005ა); a thick person (კოლინზი, 2006); He's rich, but a bit thick (მაკმილანი, 2009); he's a bit thick (ოქსფორდი, 2005ბ).

5. „ხრინწიანი“, „ბოხი“; „ძნელად გასარჩევი“ (ხმის, მეტყველების შესახებ); Of the voice, etc.: Not clear; hoarse; having a confused or husky sound; indistinct, inarticulate; also, of low pitch; deep; guttural; throaty (ოქსფორდი, 1989); deep and not as clear as normal, especially because of illness or emotion (ოქსფორდი, 2005ა); throaty or badly articulated (კოლინზი, 2006); His voice was thick with fury (მაკმილანი, 2009).

6. „შესამჩნევი“, „გამოკვეთილი“ (აქცენტის შესახებ); (of accents, etc.) pronounced (კოლინზი, 2006); He speaks Spanish fluently, but with a thick British accent (მაკმილანი, 2009); a thick French accent (ოქსფორდი, 2005ბ).

7. დაბოლოს, გარკვეულწილად კიცხვითი კონოტაციის მქონე საუბრული მნიშვნელობა: „მეგობრული ურთიერთობების მქონე“, „მეტისმეტად დაახლოებული“ (ვინმესთან); Close in association; intimate, very friendly (ოქსფორდი, 2007); very friendly (კოლინზი, 2006); Having a very close, friendly relationship (ოქსფორდი, 2005ბ); he's very thick with the new master (*ibid.*)

ახლა კი გადავიდეთ ამავე ზედსართავის („სქელი“) გერმანულ შესატყვისობაზე (dick) და მის ცალკეულ მნიშვნელობებზე:

გერმანული სემანტიკა

გერმანულ ზედსართავში dick (ზოგადი მნიშვნელობა – „სქელი“) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები შეიძლება გამოიყოს:

1. სქელი; მსხვილი; (mit relativ großem Querschnitt „შედარებით დიდი ჭრილის მქონე“ (ფრი-დიქშენერი, 2003);⁴³ ein dicker Baumstamm „სქელი/მსხვილი მორი“ (*ibid.*),

⁴³ აღსანიშნავია, რომ გერმანულ განმარტებით და ორენოვან ლექსიკონებში, ალბათ ხსენებული განსხვავებული ლექსიკოგრაფიული პრინციპებიდან თუ მიდგომებიდან გამომდინარე, „სქელის“ სხვადასხვა მნიშვნელობები (სხეულის ნაწილთან, სხეულთან ან უსულო საგანთან და სხვ.

ein dickes Seil „მსხვილი ბაგირი“ (*ibid.*); eine dicke Scheibe Brot პურის სქელი ნაჭერი (*ibid.*); ein dickes Buch სქელი წიგნი (*დუდენი*, 2011).

2. მსუქანი, სქელი (*სხეულის ან მისი ნაწილის შესახებ*)⁴⁴; (korpulent, übergewichtig; mit (zu) viel Fett am Körper – „ტანსრული/მსუქანი“, „ჭარბი წონის მქონე“; „სხეულში (მეტისმეტად) ბევრი ქონის მქონე“ (*ფრი-დიქშენერი*, 2003); dicker Mensch „მსუქანი კაცი/ადამიანი“ (*გერმანულ-რუსული*, 1987); ein dickes Kind მსუქანი ბავშვი (*დუდენი*, 2011); Iss nicht so viel Süßigkeiten, das macht dick! „ნუ ჭამ ამდენ ტკბილეულს, ეს ასუქებს!“ sie hat dicke Beine „მას სქელი/მსუქანიფეხები აქვს“ (*დუდენი*, 2011).

3. ორსული, ფეხმძიმე; გერმანულ ლექსიკონებში ეს რამდენადმე ვულგარული და უხეში რეგისტრის მნიშვნელობა (*დუდენის* ლექსიკონში მას კვალიფიკაცია *derb* „უხეში“ ერთვის), ცალკე, როგორც წესი, არ გამოაქვთ (*დუდენი*, 2011, *გერმანულ-რუსული*, 1987). იგი ან „სქელის“, „მსუქნის“ ფიგურალური მნიშვნელობით ხმარების შემთხვევად აქვთ ინტერპრეტირებული, ანდა ფრაზეოლოგიზმებისა და ხატოვანი თქმებისა თუ ანდაზების რანგში გაჰყავთ ხოლმე [Wendungen, Redensarten, Sprichwörter⁴⁵ იმავე *დუდენში* (*დუდენი*, 2011)] მაინც, ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა jemanden dick machen (*derb*; schwängern) „ვისიმე დაორსულება“ (*დუდენი*, 2011) და dick sein (*derb*; schwanger sein) ‘to be pregnant’ (*ibid.*) შესაძლებელს ხდის მნიშვნელობის „ორსული“, „ფეხმძიმე“ გამოყოფას.

ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, გერმანულ-ქართულ ლექსიკონზე რომ ვმუშაობდეთ, ჩვენი პრინციპებიდან გამომდინარე, ამ მნიშვნელობას ცალკე გამოვიტანდით და სტილისტურ კლასიფიკაციას *ვულგ.* ან *უხეშ.* დავურთავდით.

4. შეშუპებული, გასივებული (krankhaft angeschwollen „ავადმყოფურად გასივებული“ (*დუდენი*, 2011); eine dicke Backe „შეშუპებული/გასივებული ლოყა“ (*ibid.*); იგივე dicke Backe დიდ გერმანულ-რუსულ 2-ტომიან ლექსიკონში (*გერმანულ-რუსული*, 1969), განმარტებით *durch Zahnweh* „კბილის ტკივილის შედეგად“,

მიმართებაში) სიტყვა-სტატის ქვემნიშვნელობებში სხვადასხვაგვარად არის გადანაწილებული. *მდრ. მაგ. იგივე* *დუდენის* ონლაინ ლექსიკონი (*დუდენი*, 2011) და *The Free Dictionary* (*ფრი-დიქშენერი*, 2003).

⁴⁴ გერმანულ-რუსულ სამტომეულში: *Körper(teil)* - „სხეული, სხეულის ნაწილი“ (*გერმანულ-რუსული*, 1987).

⁴⁵ *დაახლ.* „ხატოვანი/ფიგურალური თქმები, გამოთქმები, ანდაზები“.

გადმოცემულია როგორც „ფლუსი“ (флюс); ihre Mandeln sind dick „გოგონას ნუშისებრი ჯირკვლები შეშუპებული აქვს“ (დუდენი, 2011).⁴⁶

5. 1) სქელი, ბლანტი (zäh und dickflüssig დაახლ. „წებოვანი და სქელი“ (ფრი-დიქშენერი, 2003); dickflüssig, steif დაახლ. „ბლანტი/სქელი“, „ნახევრად თხევადი“ (დუდენი, 2011); eine dicke Soße „სქელი სოუსი/საწებელი“ (ფრი-დიქშენერი, 2003); ein dicker Brei „სქელი ფაფა“ (ლინგვო-12, 2006);

2) გერმანულ-რუსულ სამტომეულში () ცალკეა გამოყოფილი მნიშვნელობა შედედებული – *geronnen* : *Blut, Milch* (სისხლის, რძის შესახებ);

6. საუბრული მნიშვნელობა სქელი, ხშირი, კომპაქტური⁴⁷ (dicht, undurchdringlich დაახლ. „ხშირი/მკვრივი“, „გაუმტარი/გაუვალი“ (დუდენი, 2011); im dicksten Nebel სქელ/ხშირ ნისლში (ფრი-დიქშენერი, 2003); ein dicker Nebel zog heran დაახლ. „სქელი ნისლი ჩამოწვა“ (გერმანულ-რუსული, 1983).⁴⁸

7. ახლო, ახლობელი, განუყრელი (მეგობრის, მეგობრობის შესახებ); მაგ. დუდენის ლექსიკონში (დუდენი, 2011): vertraut, eng (ყველაზე კარგად ამას ინგლისური ზედსართავები intimate, close (მეგობრის, მეგობრობის შესახებ) გადმოსცემს); sehr eng, vertraut (Freunde, eine Freundschaft) დაახლ. „ძალზე ახლო/ახლობელი, გულითადი (მეგობრები, მეგობრობა)“ (ფრი-დიქშენერი, 2003); აგრ. eine dicke Freundschaft „ახლო/გულითადი მეგობრობა“ (დუდენი, 2011); sie waren dicke Freunde „ისინი ახლო მეგობრები იყვნენ“ (ibid.); აგრ. sie sind dicke Freunde они задушевные друзья⁴⁹ (პავლოვსკი, 1902).

⁴⁶ განმარტებულია [geschwollen] - „გასივებული/შეშუპებული“ (სხვათა შორის, იგივე სიტყვაა, რაც ინგლ. swollen).

⁴⁷ ამ მნიშვნელობით „სტანდარტულ“ გერმანულში dicht [შდრ. „gespr. ≈ dicht“ (ფრი-დიქშენერი, 2003)] იხმარება; სახეზეა გარკვეული არაიზომორფულობა ინგლისური ზედსართავის thick იმ მნიშვნელობასთან, რომელიც სინონიმურია ინგლისურივე ზედსართავისა dense და „სქელს“, „ხშირს“, „კომპაქტურს“ ნიშნავს [იხ. აგრ. [ქვემოთ](#)].

⁴⁸ ამავე ლექსიკონის ინტერპრეტაციით, dick ზედსართავს „ხშირის“, „კომპაქტურის“ მნიშვნელობით უპირატ. გამამლიერებელი მნიშვნელობა აქვს. პრინციპში, არაერთ კონტექსტში ეს ზედსართავი მართლაც აღმატებით ხარისხში (dickst) გვხვდება: im dicksten Getümmel, Gewühl, Verkehr, etc. (ფრი-დიქშენერი, 2003).

⁴⁹ „ისინი გულითდი/ძალზე ახლო მეგობრები არიან“.

8. დაბოლოს, მნიშვნელობა „სულელურად ჯიუტი“; „სულელი“ (დუდენი, 2011, ფრი-დიქშენერი, 2003, პავლოვსკი, 1902) ჩნდება უფრო კომპოზიტებში: Dickkopf, dickköpfig⁵⁰.

ნიდერლანდური სემანტიკა

მოკლედ „სქელის“ ნიდერლანდური შესატყვისობის (dik) სემანტიკის შესახებ:

1. **სქელი, მსხვილი; მსუქანი** (met een grotere omvang dan normaal) „ჩვეულებრივზე მეტი მოცულობისა/ზომისა“ (ფრი-დიქშენერი, 2003); een dik boek „სქელი წიგნი“; een dikke boom „მსხვილი ხე“; Als mensen te veel eten worden ze dik „როდესაც ადამიანები ზედმეტ საჭმელს ჭამენ, ისინი სუქდებიან“ (*ibid.*).

2. **სქელი, ბლანტი** (van vloeistoffen) minder vloeibaar dan normaal „(სითხეების შესახებ) ჩვეულებრივზე ნაკლებად თხევადი/დენადი“ (ფრი-დიქშენერი, 2003); een dikke saus „სქელი სოუსი/საწებელი“ (*ibid.*).

3. **სქელი, ხშირი, მკვრივი** (zwaar (van gas en lucht) dichter dan normaal en daardoor zichtbaarder) დაახლ. „მკვრივი (გაზისა და ჰაერის შესახებ) ჩვეულებრივზე უფრო ხშირი/სქელი და ამდენად უფრო ხილული/ხილვადი“ (ფრი-დიქშენერი, 2003); dikke rook „სქელი/ხშირი კვამლი“ (*ibid.*); dikke mist „ხშირი ნისლი“ (*ibid.*).

4. დაბოლოს, ძირითადი მნიშვნელობებიდან ნიდერლანდურში დასტურდება „გადაკვეთა“ გერმანულთან: ახლო, ახლობელი, გულითადი (მეგობრის, მეგობრობის შესახებ); *dikke vrienden* - mensen die elkaar erg aardig vinden დაახლ. „ახლო მეგობრები – ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნი არიან“ (ფრი-დიქშენერი, 2003); ნიდერლანდური ენის კორპუსებსა და ზოგადად ინტერნეტში გვხვდება შესიტყვებები *dikke vriendinnen* ახლო / გულითადი მეგობარი გოგონები /ქალები (სკეჩ-ენჯინი, 2003); *dikke vriendschap* ახლო მეგობრობა და ა.შ.

შვედური სემანტიკა

შვედურ ენაში სიტყვის tjock [ʧå:k:] („სქელი“) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები შეიძლება გამოიყოს:

⁵⁰ შდრ. ინგლ. thickhead - a stupid or ignorant person; fool (კოლინზი, 2006); აგრ. ქართული საუბრული „ხისთავა“, „ხისთავიანი“.

1. სქელი, მსხვილი; en tjock bok „სქელი წიგნი“ (*რუსულ-შვედური*, 2012); en tjock bunt papper „ქაღალდის სქელი დასტა“ (*ibid.*); en meter tjocka murar „ერთი მეტრის სისქის კედლები“ (*ibid.*); tjockt träd „მსხვილი ხე“ (*რუსულ-შვედური*, 1976); ekens tjocka stam მუხის მსხვილი ღერო (*რუსულ-შვედური*, 2012).

2. მსუქანი, სქელი (*როგორც სხეულის, ისევე სხეულის ნაწილის შესახებ*); om person “fet, fyllig” დაახლ. „ადამიანის შესახებ – მსუქანი, ტანსრული“ (*რუსულ-შვედური*, 2012); tjock person – stout person (*შვედურ-ინგლისური*, 2012); han började bli tjock om midjan „მან გასუქება დაიწყო“ (*რუსულ-შვედური*, 2012); tjocka ben „მსუქანი/სქელი/მსხვილი ფეხები“ (*რუსულ-შვედური*, 1976).

3. სქელი, ბლანტი (om vätska "trögflytande") „სითხის შესახებ – ბლანტი“ (*რუსულ-შვედური*, 2012); en tjock sås „სქელი საწებელი“; tjock grädde „სქელი ნაღები“ (*ibid.*).

4. სქელი, ხშირი, მკვრივი (kompakt och svårgenomtränglig) დაახლ. „კომპაქტური და მჭიდრო/გაუმჭვირვალე“ (*რუსულ-შვედური*, 2012); tjock rök „სქელი/ხშირი კვამლი“; tjock dimma „ხშირი ნისლი“ (*ibid.*).

ჩვენი ანალიზი ზედსართავ „სქელის“ ნორვეგიული სემანტიკის მოკლე მიმოხილვით დავასრულოთ:

ნორვეგიული სემანტიკა

ნორვეგიულში ზედსართავის „სქელი“ (tykk, tjukk [tʰʉk]) დაახლოებით იგივე სემანტიკური სპექტრი დასტურდება, რაც ზემოთ მიმოხილულ ენებში:

1. სქელი, მსხვილი (massiv, omfangsrik) „მასიური“, „დიდი მოცულობისა/მსხვილი“ (*ფრი-დიქშენერი*, 2003); tykt teppe „სქელი ხალიჩა“ (*ibid.*).

2. მსუქანი, სქელი (fet) „მსუქანი“ (*ფრი-დიქშენერი*, 2003); en tykk person „მსუქანი ადამიანი“ (*ibid.*).

3. სქელი, ბლანტი; (seig) „ბლანტი“, „მწებვარე“ (*ფრი-დიქშენერი*, 2003); tykk væske ბლანტი სითხე (*ibid.*); bli tykk „შედედება (რძის შესახებ)“ (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963).

4. სქელი, ხშირი, მკვრივი; (tett) „მჭიდრო, მკვრივი“ (*ფრი-დიქშენერი*, 2003); tykk røyk „სქელი ბოლი/კვამლი“; tykk tåke „სქელი/ხშირი ნისლი“ (*ibid.*).

5. ხრინწიანი, ზოხი (*ხმის შესახებ*) (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963).

6. ორსული (*ქალის შესახებ*) (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963).

7. გულუბრყვილო; სულელი (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963); være tjukk i huet - være dum⁵¹ (*ფრი-დიქშენერი*, 2003).

თუ შევაჯამებთ, ამ ზედსართავის (thick, dick, etc.) ანალიზმა გვაჩვენა (და ამაში მოულოდნელი არაფერია), რომ არსებობს ენათშორისის სინონიმები, სინონიმური ლექსიკური ერთეულები (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზედსართავების), რომელთა სემანტიკური ველების გადაკვეთაც სხვადასხვა გერმანიკულ ენებში სხვადასხვაგვარია. ასე მაგალითად, ნორვეგიულში და გერმანულში (dick, thick) საკუთრივ „მსუქნის“ გარდა „ორსულს“, „ფეხმძიმესაც“ ნიშნავს. ინგლისურში კი ეს მნიშვნელობა არ არის, მას ინგლისურში *მაგ.* pregnant, expectant, enceinte, heavy with child და *სხვ.* შეესატყვისება. „მსუქნის“ მნიშვნელობაც (თანამედროვე სტანდარტულ) ინგლისურში სიტყვას thick არ გააჩნია⁵² და გერმანული ზედსართავის dick გადმოსაცემად, როდესაც იგი „მსუქანს (*ადამიანის შესახებ*)“ აღნიშნავს, უნდა ვიხმაროთ ინგლისური სიტყვები overweight, stout, corpulent, obese და *სხვ.*

ჩვენი დაკვირვებით, ამგვარი „ნაწილობრივი“ ეკვივალენტობა ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე (ანუ ეკვივალენტობა პოლისემიური სიტყვების მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელობის, ან ცალკეული მნიშვნელობის გარკვეული კომპონენტის/ქვემნიშვნელობის დონეზე) ისეთ ზედსართავებს აღენიშნებათ, რომლებსაც რამდენიმე სინონიმი აქვთ: *ინგლ.* thick – dense/compact, thick – viscous/sticky, thick – plump/stout/corpulent; *გერმ.* dick – dicht/undurchdringlich („სქელი“, „მჭიდრო“), dick – füllig/fett/behäbig/korpulent („მსუქანი“) და *ა.შ.* ანუ აქაც, ისევე როგორც „პირველი ტიპის“ ზედსართავთა (rancid, fragile, etc.) შემთხვევაში [*იხ.* ზემოთ] რამდენიმე სინონიმის არსებობა ზედსართავის სემანტიკის უნივერსალობას ამცირებს, რამდენადაც კონკრეტულ საზღვრულებთან თითქოსდა აბსოლუტური სინონიმებიდან მხოლოდ ზოგიერთი კონკრეტული ზედსართავი იხმარება. ამდენად, ხშირ შემთხვევაში აქაც სახეზეა მეტი ეკვივალენტობა მნიშვნელობის

⁵¹ დაახლ. 'to be thick in head', რაც განმარტებულია 'to be stupid/dumb'.

⁵² თუმცა, უნდა ითქვას, რომ „სკეჩ-ენჯინი“ საკმაოდ ბევრ შედეგებს გვაჩვენებს ისეთი კომბინაციებისთვის, როგორებიცაა thick girl, thick man, etc. მაინც, ამგვარი ხმარება დიალექტურ ან საუბრულ სტილად უნდა ჩაითვალოს.

ეკვივალენტების დონეზე და ნაკლები – თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე.

ასე მაგალითად: ამგვარი სინონიმებიდან კონკრეტულ კონტექსტებში ზოგიერთი თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს (thick/dense fog, thick/plump lips), მაგრამ შესიტყვების ein dicker Mann („მსუქანი კაცი“) სათარგმნელად, როგორც აღვნიშნეთ, დაგვჭირდება ინგლისური ეკვივალენტები fat, stout portly და სხვ.: a fat/corpulent man.

გერმანულშიც „მჭიდროს“ (ინგლ. dense) მნიშვნელობით უმჯობესია dicht ზედსართავის ხმარება, (მაგრამ ამ მნიშვნელობით dick-ის ხმარებაც დასაშვებია, თუმცა საუბრულად (umgangssprachlich) ითვლება).

ასევე, ნიდერლანდურში ზედსართავი dik მნიშვნელობით „ახლო“, „ახლობელი“ (მეგობრის ან მეგობრობის შესახებ) ეკვივალენტურია გერმანული სინონიმის dick ანალოგიური მნიშვნელობისა: მაგ. ნიდერლ. dikke vrienden, გერმ. dicke Freunde „ახლო/განუყრელი მეგობრები“; მაგრამ სხვა გერმანიკულ ენებში ზედსართავ „სქელის“ შესატყვისობებს ასეთივე მნიშვნელობა არ უდასტურდებათ. მაგალითად, შვედურად ზედსართავის „ახლობელი“ მნიშვნელობის გადმოსაცემად förtrogen უნდა ვიხმაროთ (მაგ. hans förtrogne vän – „მისი ახლო მეგობარი“).

ამგვარი ზედსართავები, რომლებსაც ეკვივალენტურ ცალკეულ მნიშვნელობათა შედარებით ნაკლები რაოდენობა ახასიათებთ, ამ ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე თავისი ეკვივალენტობის (ნაკლები) ხარისხით მოგვაგონებენ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ rancid, ranzig, härsken, etc., აგრ. fragile, brittle; bräcklig, spröd; brüchig, etc. რიგის („პირველი ტიპის“) ზედსართავებს.

ინგლისურში „სქელს“ (thick) აქვს მნიშვნელობები „ბოხი“ (ხმის შესახებ); „შესამჩნევი (აქცენტის შესახებ)“ და სხვ.; რომლებიც სხვა გერმანიკულ ენებში ამ ზედსართავის სინონიმებისთვის თითქმის არსად დასტურდება. რომელიმე ცალკეულ ენასაც (შვედურს, ნიდერლანდურს) შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა, რომელიც ამ კონკრეტული ენისთვის იქნება სპეციფიკური და სხვა ენებში პარალელი არ დაეძებნება.

ამდენად, ჩვენი კლასიფიკაციით, ე.წ. „მეორე ტიპის“ ზედსართავებშიც, ეკვივალენტობის შედარებით მეტი ხარისხის მიუხედავად, როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდია არაიზომორფულობა და არაეკვივალენტურობაც.⁵³

საინტერესოა, რომ „არამატერიალური“, „არაფიზიკური“ თუ გადატანითი მნიშვნელობებით ხმარებისას, ზედსართავს „სქელი“ გერმანიკულ ენებში გასდევს ძლიერის, ინტენსიურის „გამჭოლი სემა“ (მარგალიტაძე, 2013), რაც განაპირობებს მის ხმარებას მაგ. „ძლიერის“, „გამოკვეთილის“ (აქცენტთან მიმართებაში) ან „ახლოს“, „მჭიდროს“ (მეგობრობასთან მიმართებაში) მნიშვნელობით.

„ინტენსიურობის“ სემანტიკა კარგად ჩანს შემდეგ შვედურ ფრაზებში: *det var tjockt med folk i stan* დაახლ. „ქალაქში უამრავი ხალხი ირეოდა“ (*რუსულ-შვედური*, 2012); *tjockt med pengar* ფულის თავსაყრელად მქონე (*ibid.*); ანალოგიურად ნორვეგიულში: *være tykt av /med/ noe* დაახლ. ‘abound in something’; *изобиливать, быть во множестве* (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963). „სქელის“ ანალოგიური ხმარება სხვა გერმანიკულ ენებშიც დასტურდება.

თუ, ისევ და ისევ წმინდა ლინგვისტური ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე, ზემოთ გაანალიზებული ზედსართავის ეკვივალენტობის საკითხს ქართულ ენასთან მიმართებითაც განვიხილავთ, მოგვიხდება აღვნიშნოთ, რომ ქართულ, ასე ვთქვათ, ზოგად სინონიმს „სქელი“ ისეთივე ფართო პოლისემია, როგორც გერმანიკულ ენებში დავინახეთ, არ გააჩნია და ზემომოყვანილი მნიშვნელობების გადმოსაცემად ცალკეულ შემთხვევებში მოგვიწევს სხვა ქართული ზედსართავების ხმარება: „მსხვილი / სავსე მკლავები“, „მსხვილი მორი / ხე“, „ბოხი ხმა“, „ძლიერი / გამოკვეთილი / შესამჩნევი აქცენტი“, „ახლო / გულითადი მეგობრობა“ და ა.შ. ასევე „სქელი“, მაგრამ აგრ. „მსუქანი ადამიანი“, „სქელი“, მაგრამ აგრ. „ბლანტი სითხე“ და სხვ. ამდენად, კიდევ ერთხელ შეგვიძლია კონსტატაცია ფაქტისა, რომ ეკვივალენტობა ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე ქართულ და გერმანიკულ ლექსიკას (ამ შემთხვევაში, ზედსართავ სახელებს) შორის ნაკლებია, ვიდრე ცალკე აღებულ ინგლისურ და გერმანიკულ ენებს და, ზოგადად, გერმანიკულ ენებს შორის.

⁵³ ზედსართავთა სემანტიკური ეკვივალენტობის ხარისხის კვლევასთან დაკავშირებული შედეგების საბოლოო შეჯამება წინამდებარე თავის დასკვნაშია მოყვანილი.

ამის მიზეზად კი შეგვიძლია დავასახელოთ როგორც ქართულისა ერთმხრივ და გერმანიკული ენებისა, მეორე მხრივ, განსხვავებული წარმოშობა, ასევე კულტურულ-ენობრივი კონტაქტების ნაკლებობა ბოლო საუკუნეების განმავლობაში. ამგვარი კონტაქტების ნაკლებობა კი ენების დამსგავსება-კონვერგენციას, მათში საერთო ელემენტების გაჩენას ხელს უშლის და აფერხებს.

ვფიქრობთ, ზემომოყვანილი ანალიზი უკვე იძლევა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას.

სახელდობრ, ზედსართავთა ეკვივალენტობის თვალსაზრისით, იკვეთება შემდეგნაირი სურათი: **ერთმხრივ**, შეიძლება გამოიყოს ეკვივალენტობა ქართულ და გერმანიკულ და ზოგადად ევროპულ ზედსართავებს შორის (რაც ჩვენთვის ნაკლებად არსებითია, ვინაიდან, როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენი მიზნებისთვის უპირატესად მნიშვნელოვანია ეკვივალენტობა სამიზნე ევროპულ და შუამავალ ინგლისურ ლექსიკურ ერთეულებს შორის); ხოლო **მეორე მხრივ** გამოვყოფთ თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ჩვენთვის უფრო საინტერესო და მნიშვნელოვან ეკვივალენტობას ინგლისურ და გერმანიკულ (და პერსპექტივაში სხვა ევროპულენოვან) ზედსართავ სახელებს შორის.

ქართულ ერთმხრივ და გერმანიკულ და ევროპულ ზედსართავებს შორის ეკვივალენტობა საკმაოდ მცირეა, რის მიზეზადაც შეიძლება დასახელდეს ამ ენების განსხვავებული წარმოშობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბოლო საუკუნეების მანძილზე კულტურული და ენობრივი კონტაქტების ნაკლებობა, რამაც განაპირობა ურთიერთზეგავლენისა და კონვერგენციის არარსებობა ქართულსა და ევროპულ ენებს შორის.

რაც შეეხება ეკვივალენტობას ინგლისურ და გერმანიკულ ზედსართავ სახელებს შორის, აქ შემდეგნაირი სურათი მივიღეთ: მათი ეკვივალენტობის თვალსაზრისით გამოიკვეთა **ორი ტიპის** ზედსართავი სახელები. **პირველი ტიპი** (1) აერთიანებს მეტად სპეციფიკური / ინდივიდუალური სემანტიკური პროფილისა და ვიწრო სემანტიკური ველის მქონე (*ზემოთ განხილულ rancid, brittle, rough ზედსართავების მსგავს*) ზედსართავებს, რომელთაც როგორც **შუამავალ** ინგლისურ ენაში, ასევე **წყარო ენებში** – გერმანულში, შვედურში, ნიდერლანდურში, არცთუ იშვიათად მრავალი

სინონიმი აქვთ, რის შედეგადაც მათი გამოყენების სფეროში და, შესაბამისად, მათს მნიშვნელობებში, არაიზომორფულობა უფრო მეტია. ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ, ამგვარი ზედსართავები აზრობრივად შედარებით უფრო განყენებულ საგნებსა და მოვლენებს განსაზღვრავს და სემანტიკური თვალსაზრისითაც ნაკლებად უნივერსალურია. **მეორე ტიპის (2) ზედსართავებმა** (*ზემოთ განხილულ round, thick და მისთ. მსგავსმა*) გვაჩვენა ეკვივალენტობის მეტი ხარისხი ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე. ჩვენი აზრით, ეს ძირითდად იმით აიხსნება, რომ ამგვარი ზედსართავები აზრობრივად შედარებით უფრო ახლოს დგას მატერიალურ სამყაროსთან და მისი შემადგენელი საგნების ნიშან-თვისებებთან. ამგვარი ტიპის ზედსართავი სახელები საგანთა სხვადასხვა კლასს ახასიათებს, ამდენად ისინი სემანტიკურადაც უფრო უნივერსალურია.

ზოგადად, ზედსართავი სახელების (ისევე როგორც მეტყველების სხვა ნაწილების, რაზედაც წინამდებარე ნაშრომის შემდეგ ნაწილებში გვექნება საუბარი) ანალიზისას ეკვივალენტობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით, გამოვავლინეთ ერთგვარი, თუ შეიძლება ითქვას, დიქტომია. ეს არის დიქტომია მნიშვნელობის ეკვივალენტსა და თარგმნით ეკვივალენტს [*იხ. ზემოთ*] შორის. ჩვენ მიერ შემჩნეული ეს დიქტომია გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ენათშორის სინონიმებში ეკვივალენტობა შედარებით მეტია მნიშვნელობის ეკვივალენტების დონეზე, ხოლო თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე ეკვივალენტობა ბევრად ნაკლებია, ხოლო არაიზომორფულობა – მეტი. ჩვენ მიერ გამოვლენილი ამ კანონზომიერების უფრო დეტალური ანალიზი და ინტერპრეტაცია უკვე მეტყველების სხვა ნაწილებთან მიმართებაში მოყვანილი იქნება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო თავებში.

მთლიანობაში კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სემანტიკური ეკვივალენტობის ხარისხი ინგლისურ, ერთმხრივ, და გერმანიკულ, მეორე მხრივ, ზედსართავ სახელებს შორის დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ლექსიკოგრაფიული მიზნებისთვის.

თავი III. ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული და სხვ. წარმოშობის არსებითი სახელების მაგალითზე

სანამ ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტობის თვალსაზრისით არსებითი სახელების ანალიზის უშუალო შედეგებს მოვიყვანდეთ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ერთი განზოგადების გაკეთება. ჩვენი დაკვირვებით, არსებითი სახელების შემთხვევაში, გერმანიკულ (და ევროპულენოვან) ენათშორის სინონიმებში შედარებით ნაკლებია არაიზომორფულობა და, პირიქით, შედარებით მეტია ეკვივალენტობა. ამის მიზეზად, ვფიქრობთ, ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ საზოგადოდ არსებითების სემანტიკა უფრო ახლოსა დგას მატერიალურ სამყაროსთან, მათი აღსანიშნები უფრო მეტად წარმოადგენენ მატერიალურ, ხელშესახებ ობიექტებს. ამდენად, არსებითი სახელების ძირითადი ნაწილის სემანტიკაც ენათა უმეტესობაში შედარებით უფრო დეტერმინირებული და კონკრეტულია. ჩვენი დაკვირვებით, სინონიმებიც არსებით სახელებს შედარებით ნაკლები აქვს. ვფიქრობთ, გაგვიჭირდება ისეთი არსებითი სახელების სინონიმების დასახელება, როგორებიცაა „წიგნი“, „დედა“, „მამა“, „ხელი“, „თავი“, „კატა“, „მალი“, „ფრინველი“, „მზე“, „ვარსკვლავი“ და ა.შ. (აღვნიშნავთ, რომ საუბარია ერთმანეთის მეტ-ნაკლებად ეკვივალენტურ სრულ სინონიმებზე, როგორებიცაა მაგალითად ინგლისური brittle - fragile, და არა ისეთ აზრობრივად ერთმანეთთან ახლოს მდგომ სიტყვებზე, როგორიცაა მაგ. ინგლ. book და brochure ან girl და woman, რომლებიც ინგლისურ „თეზაურუსებში“ (სინონიმთა ლექსიკონებში) არის ხოლმე მოყვანილი.

უტრირებულად თუ ვიტყვით, გერმანიკულ არსებით სახელებს შორის ეკვივალენტობა ძირითადად წარმოდგენილია ან ნულოვანი ეკვივალენტობის სახით (სხვა ენებში არალექსიკალიზებული არსებითი სახელები, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე რამდენჯერმე ნახსენები ინგლისური არსებითის brocket, ან ქართული „ზედსიძის“ ტიპისა), ან ნაწილობრივი ეკვივალენტობის სახით სემანტიკაში დამთხვევებისა და სემანტიკური არეების ურთიერთგადაკვეთის შედარებით მაღალი ხარისხით. ნაწილობრივი ეკვივალენტობის სხვადასხვა ხარისხი, ცხადია, ენათშორის სინონიმებს შორის დასტურდება, ნულოვანი ეკვივალენტობის მქონე არსებით სახელებს კი სხვა ენებში სინონიმები, ბუნებრივია, არ მოეპოვებათ, ვინაიდან

ეკვივალენტობის ამგვარი (ნულოვანი) ხარისხი სხვა ენებში არალექსიკალიზებული ცნებების აღმნიშვნელ არსებითებს (და მეტყველების სხვა ნაწილებს) აღენიშნებათ.

ნულოვანი და მცირე (შეიძლება ითქვას „ნულისკენ მიმსწრაფი“) ეკვივალენტობის შემთხვევები მოყვანილია სამხრეთაფრიკული წარმოშობის ლინგვისტისა და ლექსიკოგრაფის, რუფუს გოუვის ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ციტირებულ ნაშრომში (გოუვის ..., 2008), სადაც ეს მოვლენა განიხილება ეთნიკური, ეთნოგრაფიული, კულტურული და რეგიონალური სპეციფიკურობის მქონე სიტყვების მაგალითზე. აღნიშნულ მკვლევარს, ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით რთულ სხვა შემთხვევებთან ერთად, განხილული აქვს თანამედროვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ენობრივი რეალობის ამსახველი სიტყვები (ადგილობრივ აფრიკულ ტომთა ენების, მაგ. კოსას ენის, ლექსიკური ერთეულები, აგრეთვე აფრიკაანსიდან აღებული სიტყვები), რომლებიც ადგილობრივ რეალიებს, ადგილობრივ ცნებებს ასახავენ, სხვა ენებში ლექსიკალიზებული, პრაქტიკულად, არ არის და რომლებიც, შესაბამისად, საკმაოდ ძნელი გადმოსაცემი და განსამარტავია ორენოვან ლექსიკონებში.

თქმა არ უნდა, რომ ნულოვანი ეკვივალენტობა ან თუნდაც ეკვივალენტობის დაბალი ხარისხი წყარო და სამიზნე ენების ლექსიკურ ერთეულებს შორის სერიოზულ სირთულეს ქმნის ლექსიკონზე მუშაობის პროცესში და ეს თემა ჩვენთვის, როგორც ლექსიკოგრაფებისთვის, საკმაოდ აქტუალური და საჭირობოტოა.

ნულოვანი და ნულოვანისკენ მიმსწრაფი (ჩვენი ტერმინოლოგიით) ეკვივალენტობის პრობლემისა და ლექსიკოგრაფიულ დონეზე მისი გადაჭრის გზების შესახებ უფრო დეტალურად ჩვენი ნაშრომის V თავში ვისაუბრებთ. მანამდე კი გვსურს წარმოვადგინოთ შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის არსებითი სახელი იმდენად თავისებური სემანტიკური პროფილით ხასიათდება, მისი ეკვივალენტობის ხარისხი მის სინონიმებად მიჩნეულ სხვაენოვან სიტყვათა მიმართ კი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება მათ შორის ეკვივალენტობის არსებობა საერთოდ კითხვის ქვეშ დააყენოს. ამისათვის რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს მოვიყვანო.

ინგლისური სიტყვა tussock შემოკლებულ ოქსფორდის ლექსიკონში (ოქსფორდი, 2007) განმარტებულია როგორც A tuft or clump of grass etc. forming a small hillock; ამ მნიშვნელობის გადმოცემას დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში შემდეგნაირად შევეცადეთ: „ბალახის კონა, ერთად მზარდი ბალახი (განსაკ. ბურცობზე, კოლბობზე)“. ამ სიტყვის შვედური, გერმანული და რუსული შესატყვისობები (რომლებიც სხვადასხვა ორენოვან ლექსიკონებში არის ხოლმე მოყვანილი) მისი სემანტიკური არეალის მხოლოდ ნაწილს მოიცავს. ასე მაგალითად, გერმანული Büschel ან Grasbüschel „კონას“ ან „ბალახის კონას“; რუსული копка და შვედური tuva (შვედური ენის ეტიმოლოგიური, 1997) კი უფრო „ბურცობს“, „კოლბობს“ ნიშნავს, ვიდრე „ბურცობზე მზარდ ბალახის კონას“ (ინგლისური მნიშვნელობა). ამდენად, საფუძვლიანად შეიძლება დაისვას კითხვა, არის თუ არა Grasbüschel, копка ან tuva ინგლისური სიტყვის tussock სინონიმი და რამდენად არის თავად ინგლისური სიტყვა tussock ლექსიკალიზებული სხვა ენებში.

ნულოვანი ან „ნულისკენ მიმსწრაფი“ ეკვივალენტობა ხშირად იქაც იმალება, სადაც მას არ მოველით და სადაც თითქოს პრობლემები არ უნდა გვექონოდა. – ნათესაობის ადმინიშნელი ტერმინები, როგორც წესი, ენის ლექსიკური მარაგის უძველეს შრეს შეადგენს და მათი სემანტიკაც საკმაოდ მკაფიოდ დეტერმინირებულია ხოლმე. მაგრამ აქაც ხშირია გამონაკლისები. ინგლისური niece „დისწულსაც“ ნიშნავს და „ძმისწულსაც“, ოღონდ მდედრობითი სქესისას; nephew კი ასევე „დისწულიც“ არის და „ძმისწულიც“, ოღონდ ვაჟი. ასე რომ, საკითხავია, რამდენად ეკვივალენტურია ეს ინგლისური და ქართული ენათშორისი სინონიმები. განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი თარგმნის დროს დგება ხოლმე, როდესაც, სათანადო კონტექსტის არარსებობის შემთხვევაში, მთარგმნელს არ შეუძლია გადაწყვიტოს, nephew ქართულად „ძმისწულად“ თარგმნოს, თუ „დისწულად“.

ასევე, ინგლისურ ნათესაობის ადმინიშნელ ტერმინს sister-in-law ქართულში შეიძლება შეესატყვისებოდეს: (ა) „მული, ქმრის და“; (ბ) „ცოლისდა“; (გ) „რძალი, ძმის ცოლი“; (დ) „რძალი, მამლის / ქმრის ძმის ცოლი“; ან (ე) „ცოლისძმის ცოლი“ (ინგლისურ-ქართული, 2010). ფაქტობრივად, ამ ინგლისურ სიტყვას ქართულში რაიმე კონკრეტული სინონიმი არ გააჩნია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი

განსხვავებულად უნდა ითარგმნოს. შეიძლება გვეთქვას (ყოველ შემთხვევაში, ასეთი არგუმენტის უარყოფა ადვილი არ იქნება), რომ ცნება **sister-in-law** – „მოყვარე ქალი“, „ქორწინების გზით დამოყვრებული / დანათესავებული ქალი“ ინგლისურად მოლაპარაკეთათვის დამახასიათებელი ენობრივი აზროვნების ინდივიდუალურ სპეციფიკას გამოხატავს, ქართულ ენაში ლექსიკალიზებული არ არის და მისი მნიშვნელობა სხვადასხვა კონტექსტებში სხვადასხვა სუროგატული ეკვივალენტებით უნდა გადმოიცეს.

ამავე დროს, ამ სიტყვის სინონიმები გერმანულში (Schwägerin), შვედურში (svägerska), ნიდერლანდურში (schoonzus / schoonzuster, zwagerin) და სხვ. საკმაოდ ზუსტად ასახავენ ინგლისური სიტყვის ძირითად მნიშვნელობებს („რძალი, ძმის ცოლი“; „ცოლისდა“ და სხვ.). ამ სიტყვების სემანტიკური პროფილების ანალიზის მაგალითზეც, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, რომ გერმანიკულ ენებზე მოლაპარაკეთა ენობრივი აზროვნება (როგორც ჩანს, ამ ენების ახლო გენეტური ნათესაობისა და კულტურულ-ენობრივი კონვერგენციის შედეგად) შედარებით ახლოსაა ერთმანეთთან და ამ ენებიდან აღებულ ენათშორის სინონიმთა შორის ეკვივალენტობის ხარისხიც მნიშვნელოვნად უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე ამ ენიდან აღებულ სიტყვასა და მის ქართულ შესატყვისობას შორის.

ცნების ლექსიკალიზაციის სპეციფიკურობისა და, შესაბამისად, ეკვივალენტობის თვალსაზრისით, შედარებით რთულ შემთხვევას წარმოადგენს ინგლისური სიტყვა cub. მნიშვნელობის ეკვივალენტის დონეზე იგი ზუსტად შეესაბამება ქართულ სიტყვას „(ცხოველის) ნაშიერი“, მაგრამ თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე მან შეიძლება (კონკრეტული შემთხვევისა და მიხედვით) მოითხოვოს სიტყვები „ლეკვი“ (მგლისა), „ბელი“ (დათვისა), „ბოკვერი“ (ლომისა) და ა.შ. ზემოთ განხილული არსებითისგან (sister-in-law) განსხვავებით, ინგლისური cub ნაკლებ ეკვივალენტურობას ამჟღავნებს თავის ენათშორის სინონიმებთან სხვა გერმანიკული ენებიდან; ასე მაგალითად, გერმანულში მისი შესატყვისობა შეიძლება იყოს junges Tier „ახალგაზრდა/ზრდადაუსრულებელი ცხოველი“, das Junge „ნაშიერი“, das Tierjunge „ცხოველის ნაშიერი“, das Bärenjunge „ბელი“, „დათვის ნაშიერი“ და ა.შ.

შვედურში ინგლისურ სიტყვას cub შეიძლება შეესატყვისებოდეს unge „ნაშიერი“, „ზრდადაუსრულებელი ცხოველი“, djurunge სიტყვასიტყვით „ცხოველის ნაშიერი“, ან სულაც vargunge „მგლის ლეკვი“, „მგლის ნაშიერი“, rävunge⁵⁴ „მელიის ლეკვი“, „მელიის ნაშიერი“ და ა.შ.

ნიდერლანდურში ამ ინგლისურ სიტყვას მეტი ეკვივალენტობით გამორჩეული, უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე სინონიმი welp აქვს,⁵⁵ მაგრამ მას აგრეთვე შეიძლება შეესატყვისებოდეს jong „ზრდადაუსრულებელი / ახალგაზრდა ცხოველი“, „ცხოველის ნაშიერი“, კონკრეტულ შემთხვევებში კი მაგ. vossenjong „მელიის ნაშიერი“, „მელიის ლეკვი“ და მისთ.

ცხადია, რომ ინგლისური cub თავის ენათშორის სინონიმებთან გერმანიკული და, მით უმეტეს, ქართული, ენებიდან ეკვივალენტობის მაღალ ხარისხს არ ამჟღავნებს და მისი, ერთმხრივ, და მისი ენათშორისი სინონიმების, მეორე მხრივ, სემანტიკური ველების ურთიერთგადაკვეთა თუ ურთიერთგადაფარვა საკმაოდ მცირეა.

მსგავსივე სიტუაციაა ინგლისურ სიტყვასთან calf (რომელიც ნიშნავს როგორც „ხბოს“, ასევე „კამეჩის ზაქს“, „ირმის ნუკრს“, „აქლემის კოზაკს“ და აგრეთვე ანტილოპის, ცხენირმის/ლოსის, ჟირაფის, სპილოს და სხვ. ნაშიერს) და მის ენათშორის სინონიმებთან დაკავშირებითაც. შვედურში, ნიდერლანდურში, გერმანულში მისი სინონიმები (შესაბამისად, kalv, kalf, Kalb) ნიშნავს „ხბოს“, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ცხოველის (ანტილოპის, აქლემის და სხვ.) ნაშიერს, მაგრამ ინგლისური სიტყვის ყველა მნიშვნელობას მისი ეს ენათშორისი სინონიმები ვერ ასახავენ.

ალბათ აქაც შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური სიტყვების cub და calf სემანტიკური პროფილი უპირატესად ინგლისურად მოლაპარაკეთა ენობრივი აზროვნების სპეციფიკურ თავისებურებას ასახავს. სხვა ენებში გამიჯვნა „მტაცებელი ცხოველის ნაშიერს“ (cub) და „ბალახისმჭამელი დიდი ცხოველის ნაშიერს“ (calf)⁵⁶

⁵⁴ < შვედ. varg „მგელი“, räv - მელია.

⁵⁵ შდრ. ინგლ. whelp.

⁵⁶ საინტერესოა, რომ ვეშაპის ნაშიერს ინგლისურში შეიძლება ეწოდოს როგორც calf (ძირითადად), ასევე (იშვიათად) cub (ოქსფორდი, 1989). ალბათ ეს იმის გამო ხდება, რომ ვეშაპების დიდი ნაწილი არამტაცებელია, თუმცა მათ შორის მტაცებლებიც არიან; ამდენად, ინგლისურენოვანთათვის ეს წყლის ცხოველები (Cetacea), როგორც ჩანს, უპირატესად ბალახისმჭამელებთან ასოცირდებიან (აქედან -

შორის ესოდენ მკვეთრი არ არის, რაც ამ ინგლისური და გერმანიკული ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტობის ხარისხზეც აისახება.

ენობრივი აზროვნებისა და, აქედან გამომდინარე, ცნებათა ლექსიკალიზაციის თავისებურების საინტერესო შემთხვევაა ისიც, რომ ინგლისურსა და სხვა გერმანიკულ (*ისევე, სხვათა შორის, როგორც არაერთ სხვა ევროპულ*) ენებში, ერთი და იგივე სიტყვა (*ინგლ. dream, შვედ. dröm, გერმ. Traum, ნიდერლ. droom, იტ. sogno, ესპ. sueño*) ნიშნავს როგორც „ოცნებას“, ასევე „სიზმარს“. შესაბამისად, ამ სიტყვებს აღნიშნულ ენებში სემანტიკური ეკვივალენტობის მეტი ხარისხი ექნებათ; მაშინ როდესაც იმავე სიტყვების ეკვივალენტობა მათს ქართულ შესატყვისობებთან „ოცნება“ და „სიზმარი“ 50%-ზე მეტი არ იქნება.

ვფიქრობთ, ზემომოყვანილი მაგალითები კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვაჩვენებს, თუ რაში მდგომარეობს ენათშორისი სინონიმთა ეკვივალენტობის პრობლემა და რა სახის სირთულეებს უქმნის იგი ლექსიკოგრაფს ან, ვთქვათ, მთარგმნელს.

ახლა კი ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის კონკრეტული შედეგების დეტალურ განხილვაზე გადავიდეთ.

წინამდებარე თავი, როგორც ითქვა, შეეხება ეკვივალენტობის საკითხის ანალიზს ინგლისურ, ერთმხრივ, და, მეორე მხრივ, გერმანულ, ნიდერლანდურ, ნორვეგიულ, შვედურ (და ზოგიერთ სხვა ენიდან აღებულ) არსებით სახელებს შორის.

ამ თავში ერთმანეთთან შესადარებლად ჩატარდა სიტყვების / ცნებების „ხელი“ (*ინგლ. hand*), „ფრინველი“ (*ინგლ. bird; fowl*), „სახლი“ (*ინგლ. house*), „ცხენი“ (*ინგლ. horse*) და *სხვ.* (სულ ოცი არსებითის) სემანტიკური ველების ანალიზი საკვლევ ენებში.

აღვნიშნავდით, რომ ჩვენთვის, როგორც გერმანიკული ფილოლოგიისა და შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტისთვის, საინტერესო იყო ეტიმოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება და სინქრონიულ დონეზე სხვადასხვა ეტიმოლოგიის მქონე ენათშორისი სინონიმების სემანტიკის ურთიერთშედარებაც.

calf), თუმცა ზოგჯერ მათ მიმართ ინგლისურში მტაცებლების ნაშიერების აღმნიშვნელ სიტყვასაც (cub) იყენებენ.

ამისთვის, გასაანალიზებელი სიტყვები პირობითად ორ კატეგორიად დაიყო:⁵⁷ (1) საერთო-გერმანიკული სიტყვები (*ინგლ.* house, *გერმ.* das Haus, *შვედ.* hus, *ნიდერლ.* huis; *ინგლ.* hand, *გერმ.* die Hand, *შვედ.* hand და *ა.შ.*) და (2) ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვები, რომელთაც ინგლისურსა და სხვა გერმანიკულ ენებში განსხვავებული ეტიმოლოგიური წარმომავლობის მქონე სიტყვები შეესაბამება (*ინგლ.* bird, *გერმ.* der Vogel, *შვედ.* fågel, *ნორვ.* fugl; *ინგლ.* horse, *გერმ.* das Pferd, *ნიდერლ.* het paard, *შვედ.* häst, *ნორვ.* hest;⁵⁸ *ინგლ.* animal, *გერმ.* Tier, *ნიდერლ.* dier, *შვედ.* djur [ju:r], *ნორვ.* dyr [dy:r] – „ცხოველი“;⁵⁹ და *სხვ.*).

წინასწარ ვიტყვით და ამ თავში ეტიმოლოგიური წარმომავლობის საკითხს აღარ დავუბრუნდებით, რომ ჩვენი ანალიზის შედეგად ენათშორისი სინონიმების მნიშვნელობათა ეკვივალენტობაზე მათი ეტიმოლოგიური წარმომავლობის რაიმე არსებითი ზეგავლენა არ გამოვლენილა. განმსაზღვრელ როლს აქ თამაშობს სიტყვების სემანტიკა სინქრონიულ დონეზე და ამ სიტყვების, მთელი მათი ლექსიკურ-სემანტიკური ღირებულებით, დამოკიდებულება და ურთიერთმიმართება შესაბამისი ენების ლექსიკის, როგორც ერთიანი სისტემის, დანარჩენ კომპონენტებთან. ამდენად, ჩვენი დიაქრონიული და ისტორიულ-შედარებითი ინტერესებისა და გატაცებების მიუხედავად, წინამდებარე ანალიზიც პირწმინდად სინქრონიულ ხასიათს ატარებს.

ზემოთ, ზედსართავ სახელებზე საუბრისას, გაკვრით უკვე აღვნიშნეთ, რომ ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობის საკითხი ჩვენ, როგორც ლექსიკოგრაფებს,

⁵⁷ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნულოვანი ეკვივალენტობის საკითხი უფრო დეტალურად ამ თავში აღარ განიხილება.

⁵⁸ აქ დეტალურად აღარ შევჩერდებით იმ გარემოებაზე, რომ გერმანული და ნიდერლანდური (შესაბამისად) Pferd და paard ლათინური წარმოშობის სიტყვებია, ინგლისური horse ეტიმოლოგიურად გერმანულ სიტყვას Ross (დაახლ. „რაში“, „ტაიჭი“) შეესატყვისება, ხოლო შვედურ და ნორვეგიულ häst, hest სიტყვებში იგივე ძირია წარმოდგენილი, რომელიც გვხვდება „ულაყის“, „მამალი ცხენის“ აღმნიშვნელ სიტყვებში: *ინგლ.* (*მოდგ.*) hengst, hengest, *გერმ.* Hengst, *ნიდერლ.* hengst და *ა.შ.* *ოქსფორდი*, 1989, *კლუგე*, 1975, *შვედური ენის ეტიმოლოგიური*, 1997). აღვნიშნავდით მხოლოდ, რომ, როგორც ასეთი, გერმანიკულ ენებში ცხენის და ბრძოლასა და ბრძოლის ველთან დაკავშირებული სხვა რეალიების აღმნიშვნელი სიტყვების მრავალრიცხოვანი სინონიმების არსებობა გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ ეს უკვე წინამდებარე ნაშრომის თემატიკას სცილდება.

⁵⁹ ამ გერმანული, შვედური და *სხვ.* სიტყვების (Tier, djur, dyr და *ა.შ.*) ეტიმოლოგიური შესატყვისობა, ბუნებრივია, იქნებოდა თანამედროვე ინგლისური სიტყვა deer „ირემი“, რომელიც, როგორც ვიცით, ძველ ინგლისურში (ფორმით *déor*, რაც უკავშირდება *ძვ. ზემ. გერმ.* tior, *გოთ.* dius და *სხვ.* სიტყვებს) „ცხოველს“, „მხეცს“ ნიშნავდა.

უპირატესად მაინც გვაინტერესებს პოლისემიური სიტყვების ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ინგლისურ სიტყვათა უდიდესი ნაწილი პოლისემიურია, მათი ამგვარი პოლისემიურობა კი ლექსიკოგრაფებს გარკვეული ამოცანების წინაშე აყენებს, რომელთა გადაჭრაც მატერიალურად რეალიზდება სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში, ყოველი ლექსიკონის საბაზო ერთეულში. ლექსიკონის ყოველი სიტყვა-სტატია ხომ სწორედ ამგვარი პოლისემიური სიტყვების ცალკეული მნიშვნელობებისგან შედგება. ამით არის განპირობებული ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის ტიპი და პოლისემიური სიტყვებით ჩვენი უპირატესი დაინტერესება განსაკუთრებით არსებით სახელებთან მიმართებით.

ახლა კი ჩვენ მიერ არსებით სახელთა ეკვივალენტობის დადგენის კუთხით ჩატარებული კვლევის კონკრეტული შედეგების დეტალურ აღწერაზე გადავიდეთ. თითოეული ლექსიკური ერთეულის ანალიზს ამ თავშიც ინგლისური სიტყვებიდან ვიწყებთ, ვინაიდან ინგლისური ენა, რაზეც ზემოთ რამდენჯერმე უკვე ვისაუბრეთ, ჩვენი სალექსიკონო პროექტების „შუამავალი ენა“ და ინგლისური სიტყვების ეკვივალენტობას მათს სინონიმებთან სხვა გერმანიკული და/ან ევროპული ენებიდან ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

არსებითი სახელი „ხელი“ (ინგლ. hand, გერმ. die Hand, ნორვ. hånd და სხვ.)

[გოთ. handus, ძვ. ინგლ. hand, hoend, ძვ. ზემ. გერმ. hant, ძვ. სკანდ. høend, შვედ. hand და ა.შ.]

ინგლისური სემანტიკა

„ხელის“ აღმნიშვნელ სიტყვას hand ინგლისურში, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის მიხედვით (ინგლისურ-ქართული, 2010), შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები აქვს:⁶⁰

⁶⁰ ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი პოლისემანტიზმის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონში“ (ისევე როგორც ი.რ. გალპერინის „ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში“, რომლის ლექსიკოგრაფიულ პრინციპებსაც ჩვენი ლექსიკონი იზიარებს), დიდ სიტყვა-სტატიებში სიტყვის მნიშვნელობა რომაული ნუმერაციით აღნიშნულ სემანტიკურ ველებად გვაქვს

I

1. ხელი, ხელის მტევანი; 2. წინა ფეხი/თათი; 3. მხარე; მდებარეობა; მიმართულება; 4. 1) ხელმძღვანელობა, მართვა; ზედამხედველობა (*მაგ.* to put down a revolt with a heavy hand აჯანყების სასტიკად / ულმობლად ჩახშობა); 2) მფლობელობა; განკარგულება (*მაგ.* to change hands სხვის ხელში გადასვლა); 5. თანხმობა, დაპირება; (*მაგ.* here's my hand on it სიტყვას გაძლევთ! თანახმა ვარ); 6. 1) დახმარება; (*მაგ.* to give / to lend / a hand დახმარება, დახმარების გაწევა); 2) მონაწილეობა (*მაგ.* to have a hand in smth. რაიმეში მონაწილეობის მიღება); 7. *ბანქ.* 1) კარტი, რომელიც ერთ მოთამაშეს აქვს ხელში; to have a good hand კარგი კარტის ქონა; I'm holding my hand! მე პასი! ჩემს სვლას ვტოვებ! 2) მოთამაშე; 3) პარტია, ხელი; (*მაგ.* to win the hand პარტიის / ხელის მოგება; let's have a hand at bridge მოდიეთ ერთი ხელი ბრიჯი ვითამაშოთ);

II

1. მუშა, მუშაკი (*მაგ.* factory hand ფაბრიკის/ქარხნის მუშა; 2. 1) მეზღვაური; *pl* გემის ეკიპაჟი (*მაგ.* all hands on deck! ყველანი ზევით!) 3. შემსრულებელი; ავტორი; (*მაგ.* a picture by the same hand იმავე მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი); 4. *pl* ჯგუფი, კომპანია; (*მაგ.* all hands joined in the game თამაშში ყველანი ჩაებნენ); 5. 1) *რაიმეში* დახელოვნებული / გაწაფული ადამიანი, ოსტატი; (*მაგ.* he is a fine hand at cooking მშვენიერი მზარეულია); 2) *იშვ.* ხელოვანი; paintings by the most celebrated hands ყველაზე სახელგანთქმული მხატვრების ტილოები; 6. დახელოვნებულობა, გაწაფულობა, ოსტატობა; (*მაგ.* a pianist has to practise every day to keep his hand in; პიანისტმა ყოველდღე უნდა ივარჯიშოს, რათა თითების სისწრაფე / ტექნიკა შეინარჩუნოს; it does not lie to his hand ეს მას მაინცდამაინც კარგად არ გამოსდის); 7. 1) ხელწერა; to write a very legible hand ძალიან გარკვევით წერა; he has a beautiful hand ლამაზი ხელწერა აქვს; 2) *არქ.* ხელმოწერა; (*მაგ.* a note of hand ხელწერილი; under the hand of *ვისიმე მიერ* ხელმოწერილი; under hand and seal *იურ. ვისიმე მიერ* ხელმოწერილი და ბეჭედდასმული); 8. *თეატრ. საუბ.* აპლოდისმენტი, ტაში; to give smb. a big hand ვინმესთვის დიდი ოვაციის გამართვა; 9. წყარო (*ცნობებისა, ინფორმაციისა და ა.შ.*);

დაყოფილი. ამდენად, განსახილველი სიტყვის (hand) ძირითადი მნიშვნელობებიც აქ სემნატიკური ველების მიხედვით დალაგებული ფორმით მოგვყავს.

III

1. ისარი (*საათისა, ბარომეტრისა და ა.შ.*); 2. მაჩვენებელი ნიშანი (*ხელის მტევნის სახით, რომელსაც საჩვენებელი თითი წინ აქვს გაშვერილი*); 3. *სემაფორის* ფრთა; 4. *კომერც.* შეკვრა, კონა; a hand of tobacco ფოთლოვანი თამბაქოს დასტა; a hand of bananas ბანანების მტევანი; 5. ხელისგული (*როგორც სიგრძის საზომი ერთეული*); a horse 16 hands high სამოცდაათი დუიმის სიმაღლის ცხენი; 6. *კულინ.* ღორის წინა ფეხი და მხრის ნაჭერი; 7. აღვირით ცხენის მარჯვედ მართვა (*საცხენოსნო სპორტი*).

* * *

ინგლისური სიტყვის hand ამ მნიშვნელობებს თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს სიტყვის ძირითადი, ცენტრალური მნიშვნელობიდან, core meaning, როგორც მას პატრიკ ჰენქსი უწოდებს (ჰენქსი, 2000) ასე ვთქვათ, ახალი მნიშვნელობების (უფრო სპეციალიზებული სიტყვათხმარების შემთხვევების – იმავე პ. ჰენქსის მიხედვით)⁶¹, ახალი სემანტიკური წახნაგების განვითარებასთან. ამგვარად განვითარებული მნიშვნელობები ახალი სემანტიკური ერთეულების ერთგვარ კასკადს ქმნის და თავისებური ლინგვისტური მახვილგონიერებისა და მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზიის შთაბეჭდილებას გვიტოვებს გონებაში.

პირველი სემანტიკური ველი (I) აერთიანებს ანატომიურ „ხელს“ და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ცნებებს: „მხარე“, „მიმართულება“, „ხელმძღვანელობა“, „მართვა“, „თანხმობა“, „დახმარება“, „მონაწილეობა“ და ა.შ. მოიცავს; საქმე გვაქვს ძირითადი მნიშვნელობის სპეციალიზებული ხმარების შემთხვევებთან, რომლებიც დიდად არ არის დაშორებული ამ სიტყვის ძირითადი/ცენტრალური მნიშვნელობისაგან.

მეორე სემანტიკურ ველში (II) გაერთიანებულია „მეორე კასკადის“, თავდაპირველი მნიშვნელობისგან უფრო დაშორებული, სემანტიკური ერთეულები; სახელდობრ ხელის, როგორც სამუშაოს შემსრულებელი ორგანოს მნიშვნელობიდან განვითარებული ქვემნიშვნელობები: „მუშა“, „მუშაკი“, „ავტორი“, „ხელოვანი“, „რაიმეში გაწაფული ადამიანი“, „ოსტატი“, „დახელოვნებულობა“, „ხელწერა“ და ა.შ.

⁶¹ მაიკლ რანდელი მსგავს შემთხვევაში საუბრობს „მნიშვნელობათა კლასტერებზე“ (meaning-clusters), რომლებშიც ძირითადი სემანტიკური ცენტრის/ბირთვის (basic semantic core) განვრცობა-დამუშავება ხდება (რანდელი, 2002).

მესამე ველში (III) მოქცეულია თავდაპირველი მნიშვნელობისგან („ხელი“ – „კიდური“) მაქსიმალურად დაშორებული მნიშვნელობები: „ისარი“ „სემაფორის ფრთა“ და ა.შ. (სავარაუდოდ, ხელით / ხელის გაშვებით რაიმეზე მინიშნების იდეიდან გამომდინარე).

გერმანული სემანტიკა

ახლა საინტერესო იქნება გადავიდეთ გერმანულ ენაზე და შევადაროთ ინგლისური სიტყვის hand გერმანული შესატყვისობის (die Hand) მნიშვნელობები ინგლისური სიტყვის ზემომოყვანილ მნიშვნელობებს და ვნახოთ, როგორი იქნება დამთხვევისა და გადაფარვის ხარისხი ამ სიტყვების სემანტიკას შორის. საინტერესოა აგრეთვე, დამახასიათებელია თუ არა გერმანული ენისთვისაც სიტყვის ისეთივე პოლისემანტიკა, როგორის მოწმენიც ინგლისურ სიტყვასთან მიმართებით გავხდით, და აქაც დადასტურდება თუ არა სპეციალიზებულ მნიშვნელობათა წარმოქმნის ის, ასე ვთქვათ, კასკადურობა, რომელიც ზემოთ ვიხილეთ.

გერმანული სიტყვის die Hand მნიშვნელობების ამსახველი სიტყვა-სტატიის ზერელე გადახედვაც კი, მაგ. სამტომიან გერმანულ-რუსულ ლექსიკონში (*გერმანულ-რუსული*, 1987)⁶² თვალსაჩინოს ხდის არსებით განსხვავებას ერთმხრივ ინგლისური და გერმანული სიტყვების პოლისემანტიკურ სტრუქტურას შორის, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს გერმანული ენის რამდენადმე კარგად მცოდნე ნებისმიერი პირისთვის, და მეორე მხრივ, განსხვავებას ინგლისურ და გერმანულ ლექსიკოგრაფიულ მიდგომებს შორის. აღნიშნულ ლექსიკონში გერმანულ სიტყვას (ცალკე მოყვანილი ფრაზეოლოგიური ერთეულების ნაწილის გარდა) სულ სამი მნიშვნელობა აქვს: 1. (*Körperteil - სხეულის ნაწილი*) ხელი; ხელის მტევანი (*მნიშვნელობათა №2 ჯგუფზე ოდნავ ქვემოთ ვსაუბრობთ*); და 3. (*Schriftzüge - დაახლ.*

⁶² აღსანიშნავია, რომ ეს არის საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ლექსიკოგრაფიულ პრინციპებზე დაფუძნებული ლექსიკონი. წინასიტყვაობაში ავტორები მას „*ორმხრივ ლექსიკონს*“ უწოდებენ და იგი გამიზნულია საიმისოდ, რათა თანაბრად სასარგებლო იყოს როგორც გერმანული ენით დაინტერესებული რუსულენოვანი მკითხველისთვის, ასევე რუსული ენით დაინტერესებული გერმანულენოვანი მკითხველებისთვის. თითოეული დეფინიციის წინ მოცემული მოკლე გერმანული განმარტებები (ეს პრინციპი, სხვათა შორის, გერმანულ ლექსიკოგრაფიაში ხშირად გამოიყენება) მას გარკვეულწილად გერმანული ენის განმარტებით ლექსიკონთან აახლოებს.

წერის თავისებურებანი) ხელწერა (რაც შეესატყვისება სიტყვა hand-ის № II 7 1) მნიშვნელობას „დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში“).

სიტყვა-სტატია მთავრდება „რომბით“ [ღ] აღნიშნული სექციით, სადაც ფრაზეოლოგიურად მიჩნეული გამოთქმებია შეტანილი (weder Hand noch Fuß haben⁶³ быть совершенно необоснованным, von der Hand in den Mund leben დაახლ. „თავის გაჭირვებით გატანა, გაჭირვებაში ცხოვრება, სანახევროდ შიმშილობა“, და მისთ.) .

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მნიშვნელობათა №2 სექტორი: ამ სემანტიკურ ბლოკს ლექსიკონში წამდღვარებული აქვს განმარტება: *übertr.: Symbol der (Hand-)Arbeit, Sorge, des Regierens, Leitens – meist pyka* (ანუ: **გადატანითი მნიშვნელობით**).⁶⁴ (ხელით)მუშაობის/შრომის, ზრუნვის, მართვის, ხელმძღვანელობის სიმბოლო, უპირატ. შეესატყვისება რუსულს pyka („ხელი“). ამ სექტორში მოცემულია არაპირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი „ხელის“ თავისებური კონტექსტუალური მნიშვნელობები, რომლებიც რამდენადმე შეესატყვისება თუ ეხმიანება ინგლისურ ლექსიკონებში ცალკე მნიშვნელობებად გამოტანილ ერთეულებს.

ამაში, ჩვენი აზრით, მდგომარეობს არსებითი განსხვავება ინგლისური ლექსიკოგრაფიისთვის დამახასიათებელ მიდგომასა (მაგ. როგორც ეს ოქსფორდის დიდ ლექსიკონში, გალპერინის ინგლისურ-რუსულ ლექსიკონსა და დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონშია ასახული)⁶⁵ და გერმანულ ლექსიკოგრაფიაში მიღებულ პრაქტიკას შორის (უფრო დეტალურად სხვა გერმანული განმარტებითი და სხვ. ლექსიკონების შესახებ იხ. ოდნავ ქვემოთ). ციტირებულ ლექსიკონში ასახულია „ხელის“ (die Hand) ხმარება სხვადასხვა არაპირდაპირი, „სპეციალიზებული“ მნიშვნელობებით, რაც სხვადასხვა კონტექსტებში შეიძლება გულისხმობდეს ისეთ ცნებებს, როგორიცაა (ან ითარგმნებოდეს როგორც) „ხელმძღვანელობა“, „მართვა“, „დახმარება“, „მომუშავე“ და სხვა, მაგრამ ეს კონტექსტუალური მნიშვნელობები ლექსიკონში მაინც პირდაპირი მნიშვნელობის გადატანით (überträglich) მნიშვნელობებად არის ინტერპრეტირებული და მათი ცალკე, სრულფასოვან

⁶³ სიტყვასიტყვით: 'to have neither hand nor foot'.

⁶⁴ ხაზგასმა ჩვენია, გ.მ.

⁶⁵ ინგლისურ ლექსიკონებში ასახული მიდგომების შესახებ უფრო დეტალურად ოდნავ ქვემოთ.

მნიშვნელობებზე გამოყოფა საჭიროდ არ არის მიჩნეული. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში, რომლებიც აღნიშნულ მე-2 პარაგრაფშია შეტანილი:

viele fleißige Hände – (много усердно работающих людей), სიტყვასიტყვით: „მრავალი გულმოდგინე/შრომისმოყვარე ხელი“ (შდრ. ინგლ. ‘factory hand’ „ფაბრიკის/ქარხნის მუშა“, სადაც ინგლისური სიტყვა სემანტიკურად მაქსიმალურად არის დაშორებული ძირითად, „ანატომიურ“ მნიშვნელობას და სადაც ინგლისური ენის, სიტყვის ‘hand’ კონკრეტულად ამ მნიშვნელობის, ცოდნის გარეშე (როგორც იდიომების შემთხვევაში) ამ მნიშვნელობის გაგება, ძირითად, „ანატომიურ“ მნიშვნელობაზე დაყრდნობით, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.⁶⁶

in fremden Händen в чужих руках - უცხო / სხვის ხელში.

mit eisener [fester/starker] Hand железной [твёрдой/сильной] рукой - რკინის [მტკიცე/ძლიერი] ხელით.

helfende Hände (სიტყვასიტყვით: helping hands) რუსულად თარგმნილია როგორც люди, подающие руку помощи („დახმარების ხელის გამომწვდელი ადამიანები“), და ა.შ. მაგრამ ყველა ეს შემთხვევა ლექსიკონის შემდგენელთა მიერ არ აღიქმება იმგვარად, რომ die Hand/die Hände „ადამიანს“ ან „მომუშავეს“, „მფლობელობას“, „განკარგვას“, „დახმარებას“ და ა.შ. ნიშნავს. ამ ლექსიკონის ინტერპრეტაციით, აქ საქმე გვაქვს „ხელის“ გადატანით (überträglich, როგორც ეს მე-2 პარაგრაფის წინ წამძღვარებულ განმარტებაში წერია) ხმარებასთან. მაშინ როდესაც დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში მსგავსი სემანტიკური „წახნაგების“ ინტერპრეტაცია უფრო დეტალიზებულია და ცალკე მნიშვნელობად არის გამოტანილი „ხელმძღვანელობა, მართვა; ზედამხედველობა“ [I 4 1)], „მფლობელობა“ [I 4 2)], „დახმარება“ [I 6 1)] და სხვ.

მსგავსი სიტუაციაა პავლოვსკის გერმანულ-რუსულ ლექსიკონშიც (პავლოვსკი, 1902). სიტყვისთვის die Hand მიძღვნილ საკმაოდ ვრცელ სიტყვა-სტატიაში აქაც სულ სამი მნიშვნელობაა გამოყოფილი. თანაც ცალკე ნაწილი (სამტომეულის „რომბის“

⁶⁶ შდრ. მგ. ინგლისური იდიომატური გამოთქმები by heart (ზეპირად), for good (სამუდამოდ), სადაც კონკრეტულად ამ შესიტყვებების მნიშვნელობათა ცოდნის გარეშე, მხოლოდ სიტყვების heart და good მნიშვნელობებიდან გამომდინარე, ამ შესიტყვებათა მნიშვნელობა და აზრი აგრეთვე გაუგებარი დარჩება.

მსგავსი), სადაც ფრაზეოლოგიური მნიშვნელობები იქნებოდა მოყვანილი, აქ საერთოდ არ არის. პირველი (№ 1.) მნიშვნელობაა „ხელი – სხეულის ნაწილი“ (рука);

№ 2. მნიშვნელობაა (აქაც მცირე გერმანული განმარტებით «die Art zu schreiben», ანუ „წერის მანერა“) - рука, почерк.

№ 3. მნიშვნელობად (Sprichwort - „ანდაზა“) მოყვანილია ფრაზა eine Hand wäscht die andere Рука руку моет - ანუ „ხელი ხელს ბანს“.

ყველა გადატანითი თუ ფრაზეოლოგიურთან მიახლოებული მნიშვნელობა სიტყვისა die Hand, რასაც ჩვენ სიტყვის სპეციალიზებული ხმარების შემთხვევას ვუწოდებდით, პავლოვსკის ლექსიკონში პირველ ნომერ მნიშვნელობათა ბლოკშია მოთავსებული:

einem die Hand auf etwas geben - дать руку; обещать кому что; ручаться кому в чём „ვინმესთვის რისამე დაპირება, აღთქმა“;

freie Hand haben (*durch nichts gebunden sein*) „სრული თავისუფლების ქონა“;

einem die Hände binden (*ihm jede Freiheit des Handelns nehmen*) „ვინმესთვის ხელების შეკვრა / მოქმედების ყოველგვარი თავისუფლების წართმევა“;

einem hilfreiche Hand leisten – подать кому руку; подать кому помощь⁶⁷ „ვინმესთვის დახმარების ხელის გაწვდა / დახმარების აღმოჩენა“;

etwas aus der Hand lassen „ხელიდან რისამე გაშვება“ და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ არსებითად იგივე სურათია „დუდენის“ გერმანული განმარტებითი ლექსიკონის ინტერნეტ-ვერსიაშიც (დუდენი, 2011).

შეიძლებოდა გვეთქვა, რომ გერმანულში საანალიზო სიტყვის, „ხელი“ დაახლოებით ისეთივე პოლისემანტიზმი იკვეთება, როგორც მისი ინგლისური სინონიმის მნიშვნელობაში ვნახეთ, ოღონდ ისინი სალექსიკონო სიტყვა-სტატიის ცალკე მნიშვნელობად არ არის გამოტანილი. ასეთია სიტუაცია საზოგადოდ გერმანულ ლექსიკოგრაფიაში და ძირითადად ასევეა ეს ასახულია სხვადასხვა გერმანულ ლექსიკონებში, განმარტებითი იქნება ეს თუ თარგმნითი / ორენოვანი.

⁶⁷ აღნიშნული ლექსიკონი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, მეოცე საუკუნის დასაწყისშია გამოცემული და დღევანდელი მკითხველისთვის რამდენადმე უცნაური რუსულიც ამით აიხსნება. აქვე დავუმატებდით, რომ იმდროინდელი რუსული ორთოგრაფიის გადმოცემა, თვალსაჩინოების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ აქ საჭიროდ არ მივიჩნით.

გადავიდეთ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის სემანტიკის ანალიზზე შვედურ ენაში. ამისათვის საინტერესოა შვედური ორენოვანი ლექსიკონების მონაცემები. აღსანიშნავია, რომ შვედურ ლექსიკონებშიც სიტყვების პოლისემანტიზმი ისევეა ინტერპრეტირებული, როგორც გერმანულში.

შვედური სემანტიკა

ასე მაგალითად, დ. მილანოვას შვედურ-რუსულ ლექსიკონში (*შვედურ-რუსული*, 1949) ერთადაა თავმოყრილი შვედური სიტყვის hand „ხელი“, ასე ვთქვათ, (№1) „ანატომიური“ მნიშვნელობები, და მნიშვნელობები, რომლებიც შეიძლება უფრო დეტალიზებულ ლექსიკონში ან (№2) ცალკე მნიშვნელობად, ან საერთოდ (№3) იდიომატური ხმარების შემთხვევად ყოფილიყო ინტერპრეტირებული:

(1) med vapen i hand „იარაღით ხელში“; hand i hand „ხელიხელ(ჩაკიდებული)“, skaka hand „ხელის ჩამორთმევა“; klappa i händerna „ტაშის დაკვრა“, სადაც სიტყვა hand სხეულის ნაწილის მნიშვნელობით ფიგურირებს;

(2) აქვეა მაგალითი till hands «под рукою» და ur hand in hand „ხელიდან ხელში“, სადაც hand შეიძლება სხვა ლექსიკონში ცალკე მნიშვნელობის „მფლობელობა, კონტროლი“ შემთხვევად მიეჩნიათ. აგრ. han är min högra hand - он мой главный помощник (სიტყვასიტყვით „ის ჩემი მარჯვენა ხელია“);

(3) სხვა მაგალითები კი, ჩვენი აზრით, ჩვენთვის საინტერესო სიტყვის იდიომატურ ხმარებად შეიძლება მივიჩნიოთ: i sista hand (სიტყვასიტყვით “in the last hand”) - „საბოლოო ჯამში“; efter hand „თანდათანობით“ და სხვ.

საინტერესოა, რომ სიტყვა-სტატიის დასაწყისშივე, საილუსტრაციო მასალად ერთადაა მოყვანილი მარჯვენა-მარცხენა ხელის და მარჯვენა და მარცხენა მხარის/მიმართულების მნიშვნელობები: högra handen правая рука (сторона) („მარჯვენა ხელი / მხარე“) და vänstra handen левая рука (сторона) („მარცხენა ხელი / მხარე“).

კიდევ უფრო „ლაკონიურია“ სხვა, არცთუ მცირე მოცულობის, შვედურ-რუსული და რუსულ შვედური ლექსიკონი (*შვედურ-რუსული* 2003).

ნორვეგიული სემანტიკა

სემანტიკური მასალის მოწოდებით ზემომოყვანილი ტიპისგან დიდად არ განსხვავდება სიტყვა-სტატიის სტრუქტურა ნორვეგიულ-რუსულ ლექსიკონში (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963).

საინტერესოა, რომ მრავალი ლექსიკონის შემთხვევაში, მნიშვნელობები მათ სიტყვა-სტატიათა ფარგლებში ცალკე გამოტანილი არ არის და, ნაცვლად ამისა, საილუსტრაციო მაგალითებში ან იდიომატური ხმარების შემთხვევების პარაგრაფებშია „ჩაყრილი“. ამდენად, ამ ტიპის ლექსიკონები ისეთნაირად უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ვრცელ ტექსტურ კორპუსებს გამოვიყენებდით და ამგვარი ლექსიკონებიდან სემანტიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად გარკვეული შემოქმედებითი მიდგომის გამოყენებაა საჭირო. სხვადასხვა ლექსიკონებში (ამ შემთხვევაში, წინა აბზაცში ხსენებულ ნორვეგიულ-რუსულ ლექსიკონში) მასალის მოწოდების თავისებურებებზე ესოდენ დაწვრილებით საუბარიც სწორედ ამიგომ გვიხდება.

სიტყვა „ხელი“ – hånd [hɑ:n] (საინტერესოა ამ სიტყვის ნორვეგიული ვოკალიზაცია, რომელიც რამდენადმე ახლოსაა ძველ ინგლისურ და ძველ სკანდინავიურ ვოკალიზაციასთან – hƿand) აღნიშნულ ლექსიკონში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: გამოყოფილია სულ ექვსი მნიშვნელობა და პლუს ტრადიციული „რომბით“ [ღ] აღნიშნული ნაწილი სიტყვა-სტატიის ბოლოს, რომელშიც სიტყვის ფრაზეოლოგიური და იდიომატური ხმარების შემთხვევები (შეიძლება გვეთქვას, მნიშვნელობები) არის შეტანილი. აქედან, №1) „ანატომიური“ მნიშვნელობის („ხელი“, „ხელის მტევანი“) გარდა, მოცემულია (აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს) №2) „ხელწერა“, № 3) „ხელმოწერა“, №4) „ბანქოს მოთამაშის ხელთ არსებული კარტი“ და სხვ.

საყურადღებოა, რომ ამ ლექსიკონშიც № 1) მნიშვნელობაში, ბუნებრივია, მოყვანილია მაგალითები, სადაც ხელი „სხეულის ნაწილს“ ნიშნავს: barkede hender „დაკოჭრილი ხელები“, knyttet hånd „მომუშტული ხელი“, „მუშტი“; gni seg i hendene „ხელების მოსრესა/(მო)ფშვნეტა“; klappe i hendene „ტაშის შემოკვრა“, „აპლოდირება“ და სხვ.

მაგრამ აქვე, № 1) პარაგრაფში, „ანატომიურ“ მნიშვნელობებთან („ხელი“, „ხელის მტევანი“) ერთად წარმოდგენილია მაგალითები, სადაც „ხელი“, (გერმანული ლექსიკონების დარად) სავარაუდოდ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარად იგულისხმება. ამგვარი მნიშვნელობები, როგორც ცოტა ხნის წინ აღვნიშნეთ, სხვა ლექსიკონებში არცთუ იშვიათად ცალკე მნიშვნელობებად თუ სიტყვის სპეციალიზებული ხმარების შემთხვევებად არის ხოლმე ინტერპრეტირებული. მაგალითად: fra hånd til hånd „ხელიდან ხელში“; ha for [ved] hånden иметь под руками; иметь при себе - „თან/ხელთ ქონა“; av ens hånd „ვისიმე ხელიდან“. ამგვარი ხმარების შემთხვევები ხშირად „ფლობის“, „ქონის“, „კონტროლის“ მნიშვნელობად ცალკე გამოიყოფა ხოლმე (იხ. აგრ. ქვემოთ, ნორვეგიული განმარტებითი ლექსიკონის მაგალითი); აგრეთვე, på ens høyre [venstre] hånd „ვინმესგან მარჯვნივ / მარჯვნივსკენ [მარცხნივ / მარცხნივსკენ“ ამგვარი სიტყვათხმარებაც „მხარედ“, „მიმართულებად“ ინტერპრეტირდება და ცალკე მნიშვნელობად არის ხოლმე გამოტანილი; gi én en hånd (med noe) - проятнуть кому-л. руку помощи (ეს ნორვეგიული გამოთქმა ინგლისურად სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, დაახლოებით “to give somebody a hand (with something)” გამოგვივა), მსგავსი სიტყვათხმარება დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (to give /to lend/ a hand №I 6 1) მნიშვნელობაში) ცალკე გვაქვს გამოტანილი და მის ეკვივალენტად „დახმარება“ გვაქვს მოყვანილი.

ამავე დროს, ციტირებული ნორვეგიულ-რუსული ლექსიკონის (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963) „რომბიან“ განყოფილებაში წმინდა ფრაზეოლოგიურ თუ იდიომატურ გამოთქმებთან ერთად (მაგ. ikke kunne se en hånd for(an) seg - დაახლ. “not to be able to see one’s hand before oneself” ან „თვალთან ხელს ვერ მიიტან“), მოცემულია შემდეგი მნიშვნელობები: gi én sin hånd - „ქორწინებაზე თანხმობის მიცემა“ (სიტყვასიტყვით - „ვინმესთვის ხელის მიცემა“ – შდრ. №I 5 მნიშვნელობა დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში); med hard hånd „ულმობელი ხელით“ (შდრ. №I 4 1) მნიშვნელობა იმავე დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში), være lett [sikker] på hånden „მსუბუქი [საიმედო] ხელის ქონა“ – რომლებიც სხვაგან შეიძლება, შესაბამისად „დაპირების, თანხმობის“, „ხელმძღვანელობის, მართვის“ ან „ხელით

მუშაობის“ მნიშვნელობებად ყოფილიყო აღქმული და ლექსიკოგრაფიულად ასახული.

ნორვეგიული ენის ერთ-ერთი განმარტებითი ონლაინ-ლექსიკონი (საკუთრივ, ეს არის ცნობილ და პოპულარულ სალექსიკონო პორტალ Free Online Dictionary-ს (ფრი-დიქშენერი, 2003) ნორვეგიული განმარტებითი სექცია) hånd სიტყვის დეფინიციისას ოდნავ მეტი დეტალიზაციით გამოირჩევა. აქ მოცემულია: №1. „ხელის“, „ხელის მტევნის“ მნიშვნელობა (om mennesker og aper ytterste del av armen დაახლ. „ითქმის ადამიანისა და მაიმუნის მკლავის ბოლო ნაწილის შესახებ“): holde hverandre i hånden „ხელიხელჩაკიდებული ყოფნა“; №2. „ხელით მუშაობის აღმნიშვნელ გამოთქმაში“ (i uttrykk om manuell arbeid) მაგალითი ha hendene fulle - დაახლ. „ბევრი საქმის ქონა“; for hånd ხელით (და არა მექანიკურად – med hendene, mots. maskinelt); №3. „მფლობელობის/ძალაუფლების მნიშვნელობის მქონე გამოთქმაში“ (i uttrykk om eiendom/makt): ha for hånden „ხელში ქონა, ფლობა“, to have at one's disposal; på egen hånd „საკუთრი ხელით, თავისით/დამოუკიდებლად, მარტო(მ)“; №4. მნიშვნელობა „მხარე“ (side⁶⁸), დადასტურებული და ილუსტრირებული მაგალითით en gult hus på venstre hånd „ყვითელი სახლი მარცხენა მხარეს/მარცხნივ“; დაბოლოს, მნიშვნელობა № 5. „ბანქოს თამაშის დროს მოთამაშის ხელში არსებული კარტი“ (i kortspill kortene en sitter med), ასახულია მაგალითში ha en dårlig hånd „ცუდი კარტის ქონა“.

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითები საკმარისია გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად იმის შესახებ, თუ რა სემანტიკის მატარებელია სხვადასხვა გერმანიკულ ენებში „ხელის“ აღმნიშვნელი სიტყვა (და აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ არის გაშლილი და მოწოდებული ეს სემანტიკა სხვადასხვა ლექსიკონებში).

ზემოთ მოყვანილი მასალის გაცნობის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, ანუ ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობაზე სიტყვა „ხელის“ აღმნიშვნელ სიტყვებს შორის სხვადასხვა გერმანიკულ ენებში.

როგორც ზემოთ რამდენჯერმე უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში ეკვივალენტობა სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე განიხილება. ცხადია, ჩვენც მოყვანილ ლექსიკურ ერთეულთა შორის ეკვივალენტობის ანალიზისას იგივე

⁶⁸ ეს სიტყვა ნორვეგიულადაც „მხარეს“ ან „გვერდს“ ნიშნავს, ოღონდ ['si: dɐ] გამოითქმება. (შდრ. გერმ. Seite).

მიდგომა უნდა გამოვიყენოთ. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „ხელის“ აღმნიშვნელი ინგლისური, გერმანული და სხვ. სიტყვების მნიშვნელობათა ის სეგმენტი, რომელიც ძალაუფლებას, მართვას, კონტროლს და სხვ. უკავშირდება (I 3-7 მნიშვნელობები დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში).

განსხვავება ინგლისურ მნიშვნელობათა მოწოდებასა და გერმანულ, შვედურ, ნორვეგიულ და სხვ. მნიშვნელობათა მოწოდებას შორის აშკარაა. ის, რაც დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (ისევე, როგორც გალპერინის ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში, რომლის პრინციპებსაც ჩვენ, როგორც აღინიშნა, ვიზიარებთ⁶⁹) ცალკე მნიშვნელობებადაა გამოტანილი (ხელმძღვანელობა, მფლობელობა, ზრუნვა და ა.შ.), გერმანულ, ნორვეგიულ და სხვ. ლექსიკონებში ხშირად სიტყვა „ხელის“ უბრალოდ ერთგვარ გადატანითი მნიშვნელობით ხმარებადაა აღქმული. რასთან გვაქვს საქმე და რაზე უნდა ვისაუბროთ, მნიშვნელობათა ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობაზე ამ ენებში, თუ განსხვავებულ ლექსიკოგრაფიულ მიდგომებზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ისტორიულად ჩამოყალიბებული განსხვავებული ლექსიკოგრაფიული ტრადიციებითაც შეიძლება იყოს განპირობებული?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უფრო დეტალურად გავანალიზოთ სიტყვის hand სემანტიკის წარმოდგენა წამყვან ინგლისურ განმარტებით და თარგმნით ლექსიკონებში: ოქსფორდის დიდ ლექსიკონში, ვებსტერის ლექსიკონში, გალპერინის ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში და სხვ. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ოქსფორდის დიდ ლექსიკონში მნიშვნელობათა დალაგების პრინციპის შედარება გალპერინის ლექსიკონში მნიშვნელობათა მოყვანის პრინციპთან, რამდენადაც, ჩვენი გამოცდილებით, გალპერინის ლექსიკონი ძირითადად ოქსფორდის დიდ ლექსიკონს მიჰყვება ხოლმე.

ბუნებრივია, ყველა ლექსიკონის მასალების აქ მოყვანა შეუძლებელი და ზედმეტიცაა და ამდენად მხოლოდ ყველაზე ტიპურ და საყურადღებო შემთხვევებს განვიხილავთ.

ოქსფორდის დიდ ლექსიკონში (ოქსფორდი, 1989) ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობები შემდეგნაირად არის განმარტებული:

⁶⁹ თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონზე ჩვენი მუშაობის პირველ წლებს უფრო შეეხება.

2. In reference to the use of the hand for grasping, holding, or retaining; hence used to denote possession, custody, charge, authority, power, disposal: usually in phr. in (into, to, etc.) the hands of, in other hands, *etc.*, ანუ „ჩასაჭიდებლად, დასაჭერად ან შესანარჩუნებლად ხელის გამოყენებასთან დაკავშირებით; აქედან გამომდინარე, გამოიყენება მფლობელობის, პატრონობის, ძალაუფლების, განკარგვის და მისთ. აღსანიშნავად“.

3. In reference to action performed with the hand, and hence (fig.) to action generally; thus, often = agency, instrumentality „ხელით შესრულებულ მოქმედებასთან დაკავშირებით“ და *ა.შ.*

4. In reference to the position of the hands, one on each side of the body: Side (right or left); hence more generally, side, direction, quarter „მხარე, მიმართულება“

5. As used in various ways in making a promise or oath; spec. as the symbol of troth-
plight in marriage; pledge of marriage; bestowal in marriage დაახლ. „პირობასთან, აღთქმასთან დაკავშირებით“ და *ა.შ.*

გალპერინს (*ინგლისურ-რუსული*, 1988), როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი ეს ცალ-
ცალკე მნიშვნელობებად აქვს გამოყოფილი, ისევე როგორც ეს ჩვენ გვაქვს
გაკეთებული დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (*იხ. ზემოთ*).

ვებსტერის დიდი ლექსიკონი (*ვებსტერი*, 1961) მნიშვნელობათა ჩვენთვის
საინტერესო სეგმენტის წარმოდგენის მხრივ უფრო ახლოს გალპერინის
ლექსიკონთან დგას, ვიდრე ოქსფორდის დიდ ლექსიკონთან. ასე მაგალითად,
სიტყვის hand ნომერი ორი მნიშვნელობა ვებსტერთან ასე გამოიყურება:

2. a (usually used in pl) personal possession, ანუ „პირადად ფლობა, ქონა“
(მაგალითად მოყვანილია anxious not to let the property get out of his hands), დაახლ.
„ხელიდან გაშვების“, „დაკარგვის“ მნიშვნელობით); b (1) : CONTROL, DIRECTION,
SUPERVISION - „კონტროლი, ხელმძღვანელობა, მეთვალყურეობა“ (საილუსტრაციო
მაგალითი: kept the management [...] in his own hands); 3 a SIDE, DIRECTION; 4 a : a
pledge or indication of agreement - დაახლ. „თანხმობის აღთქმა ან გამოხატვა“; 7 a
SKILL, ABILITY - „სიმარჯვე, უნარი“ და *ა.შ.*

ოქსფორდის შემოკლებული ორტომეული (ოქსფორდი, 2007) ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობებს, ჩვენი აზრით, საკმაოდ ზოგადად გვაწვდის:

№2 Possession, care, custody, authority, disposal - დაახლ. „მფლობელობა, განკარგვის უფლება“.

№3 Action performed with the hand; agency, instrumentality; manual assistance – აქ კი ერთ დეფინიციამია გაერთიანებული „ხელით შესრულებული სამუშაო/მოქმედება“, დაახლ. „მოქმედი ძალა“, „მიზნის მიღწევის საშუალება“ და „დახმარება“.

№4 Side, position, direction - „მხარე, მდებარეობა, მიმართულება“.

№5. A pledge (of agreement or acceptance); esp. a promise of marriage „აღთქმა , დაპირება (თანხმობისა ან რისამე მიღებისა); განსაკ. ქორწინების პირობა“ და ა.შ.

ოქსფორდის ახალ ერთტომეულში (ოქსფორდი), 2005ბ), რომლის ერთ-ერთი ავტორიც ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ხსენებული პატრიკ ჰენქსია, მნიშვნელობები დაყოფილია ნომრებად, რომლებშიც ძირითადი მნიშვნელობები (core sense) არის მოყვანილი. თითოეულ ასეთ მნიშვნელობაში შედის ქვემნიშვნელობა (subsense), რომელიც ცალკე აბზაცად არის გამოყოფილი და წინ სიმბოლო – პატარა შავი კვადრატი ■ – აქვს წამმდვარებული.

ეს მცირე გადახვევა საჭირო იყო ამ ლექსიკონში მასალის მოწოდების ზოგადი მეთოდის განსამარტებლად, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად სიტყვა „ხელის“ (hand) ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობებს, მათი წარმოდგენის, ასე ვთქვათ, სტრატეგია, მოცემულ ლექსიკონში შემდეგნაირია:

№4 მნიშვნელობა ამგვარი დეფინიციის სახითაა მოწოდებული: (**hands**) used in reference to the power to direct something - „იხმარება რისამე მართვის/ხელმძღვანელობის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით“ (ერთ-ერთი მაგალითი *the day-to-day running of the house was in her hands* დაახლ. „ოჯახის ყოველდღიურ საქმეებს იგი უძღვებოდა“).

ქვემნიშვნელობა: (■) (usu. **a hand**) an active role in achieving or influencing something - „აქტიური როლი რისამე მიღწევაში არ რაიმეზე ზეგავლენის მოხდენაში“; *he had a big hand in organizing the event* „ღონისძიების ორგანიზებაში იგი დიდ როლს თამაშობდა“.

კიდევ ერთი ქვემნიშვნელობა: (■) (usu. **a hand**) help in doing something - „დახმარება რისამე გაკეთებაში“. *do you need a hand?* „გჭირდება დახმარება?“

№5. a person's workmanship, especially in artistic work დაახლ. „ოსტატობა, გაწაფულობა (განსაკ. მხატვრულ საქმიანობაში)“ (შდრ. II 6 მნიშვნელობა დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში).

და „ქვემნიშვნელობა“ (■) [with adjective] a person who does something to a specified standard დაახლ. „რაიმეში დახელოვნებული ადამიანი“ (შდრ. II 5 1) მნიშვნელობა დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში)

ლექსიკონში მასალის წარმოდგენის პრინციპში გასარკვევად საინტერესოა აგრეთვე № 2 მნიშვნელობა: something resembling a hand in form „ფორმით ხელის მსგავსი რამ“ - ძირითადად მნიშვნელობად, რომელსაც აქვს ქვემნიშვნელობა: ■ a bunch of bananas „ბანანების მტევანი“ (შდრ. III 4 მნიშვნელობა დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში).

ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობათა მოწოდება მოცემულ ლექსიკონში ამით შემოიფარგლება.

მოცემულია, ცხადია, სხვა მნიშვნელობებიც: „ხელწერა“ (№1, ■), „საათის ისარი“ (№3), „მუშაკი“ (№6) და *მისთ.*, რომლებიც ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს.

ამ ლექსიკონსაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელობათა დაყოფის საკმაოდ ზოგადი პრინციპი აქვს არჩეული.

ჩვენი აზრით, „ხელის“ ხმარება „მფლობელობის“, „მართვის“, „ხელმძღვანელობის“ და *ა.შ.* მნიშვნელობით აზრობრივად ახლოს დგას „ხელის“ პირდაპირ, „ანატომიურ“ მნიშვნელობასთან. სწორედ ეს აისახება სხვადასხვა ინგლისურ, გერმანულ, ნორვეგიულ, შვედურ და სხვ. განმარტებით თუ ორენოვან ლექსიკონებში. ანუ ამ მნიშვნელობების ასახვა, გარკვეულწილად, ლექსიკოგრაფიული პრინციპის საკითხია. აქ როლს ამა თუ იმ ქვეყნის ლექსიკოგრაფიული ტრადიციები თუ ლექსიკოგრაფიის განვითარების დონეც შეიძლება თამაშობდეს, მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი: ვებსტერის ლექსიკონში და გალპერინის (აგრეთვე დიდ ინგლისურ-ქართულ) ლექსიკონებში ეს მნიშვნელობები უფრო დეტალიზებული, ცალკე

გამოყოფილი სახითაა მოცემული; ოქსფორდში, შედარებით ზოგადად (“In reference to the use of the hand for grasping, holding, or retaining; hence used to denote possession”); ხოლო მაგალითად ოქსფორდის ერთტომეულში (მე-4 მნიშვნელობა), თითქოს უფრო ჩვენ მიერ ციტირებული გერმანული და შვედური, აგრ. ნორვეგიულ-რუსული ლექსიკონების დარად, საკმაოდ განზოგადებულად.

აღსანიშნავია, რომ ი. გალპერინს, რომელიც, გარდა იმისა, რომ წამყვანი სპეციალისტი იყო ლექსიკოგრაფიის დარგში, დიდი ლექსიკოლოგიც გახლდათ, „მართვის“ და „მფლობელობის“ მნიშვნელობები „ხელის“ ძირითადი მნიშვნელობის ნომერ I „ბლოკში“ აქვს ჩასმული, რაც, პრინციპში, პირდაპირ, „ანატომიურ“ მნიშვნელობებთან სიახლოვეს მიუთითებს.

ნორვეგიულ ენასთან მიმართებით, მეტი დეტალიზაცია და მეტი სიღრმეა ნორვეგიულ განმარტებით ლექსიკონში და ნაკლები – ნორვეგიულ-რუსულ ლექსიკონში.

ასე და ამგვარად, ამ (და ნებისმიერი სხვა) სიტყვის მნიშვნელობების მოწოდება, როგორც დავრწმუნდით, შეიძლება სხვადასხვა ლექსიკონში სხვადასხვა იყოს ლექსიკონის სიდიდისა და მასალის მოწოდების სიღრმისა თუ დეტალიზაციისა და, საზოგადოდ, ლექსიკოგრაფიული მიდგომიდან გამომდინარე.

სხვადასხვა განმარტებით და ორენოვან ლექსიკონებში მოყვანილი ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციისა და ზოგადად მნიშვნელობათა წარმოდგენის პრინციპების ანალიზის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკვივალენტობის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი „ხელის“ აღმნიშვნელი სიტყვების გადატანითი მნიშვნელობების დონეზე ინგლისურ და გერმანიკულ (გერმანულ, ნიდერლანდურ, ნორვეგიულ და სხვ. ენებში) ნამდვილად არსებობს. ოღონდ, ლექსიკოგრაფიული ტრადიციებიდან თუ პრინციპებიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული შეიძლება იყოს მიდგომა ამ მნიშვნელობათა გადმოცემისადმი უშუალოდ სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში მნიშვნელობები შეიძლება იყოს (ა) უფრო დეტალურად გამიჯნული (როგორც გალპერინის ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში, ვებსტერის დიდ ლექსიკონში, დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში); (ბ) ოდნავ ნაკლებად დეტალიზებული (მაგ. ოქსფორდის

დიდი ლექსიკონი, სადაც ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობათა რამდენადმე ზოგადი განმარტებაა მოცემული: “hence used to denote possession, custody, charge, authority, power, disposal”); (გ) უფრო ზოგადი (ოქსფორდის ერთტომეული); და (დ) ჩვენი შეხედულებით, მაქსიმალურად გენერალიზებული (როგორც ეს ზემოთ ციტირებულ გერმანულ რუსულ ლექსიკონებში, შვედურ-რუსულ, ნორვეგიულ-რუსულ ლექსიკონში და სხვაგანაა წარმოდგენილი) [იხ. ზემოთ]. თანაც, ზოგიერთ ლექსიკონში მნიშვნელობა ყოველგვარი დეფინიციისა თუ ეკვივალენტის გარეშე, უბრალოდ საილუსტრაციო ფრაზების სახით არის წარმოდგენილი, როგორც მაგალითად „დუდენის“ ონლაინ-ლექსიკონში (დუდენი, 2011).

შეიძლება კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ „ხელის“ სპეციალიზებულ სიტყვათხმარების შემთხვევებში რეალიზებულ მნიშვნელობებს შორის მეტ-ნაკლები ეკვივალენტობა ნამდვილად არსებობს. არაიზომორფულობა და არაერთგვაროვნება ამ მნიშვნელობათა ლექსიკოგრაფიულ აღწერასა და წარმოდგენაში უფრო შეიმჩნევა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიდევ ერთი ადგილი ადამსკა-სალაციაკის უკვე ციტირებული სტატიიდან, სადაც მკვლევარი ასკვნის, რომ ეკვივალენტობის დადგენა ხშირ შემთხვევაში შემოქმედებითი პროცესია და არც სუბიექტურ მიდგომას გამორიცხავს: “[...] equivalence judgements – like all similarity judgements – are creative processes in the mind of equivalent-seeker (more generally, the comparison-maker). As a result, the outcomes not only show more inter-subjective variation, but are also less stable for the same individual on different occasions (ადამსკა-სალაციაკი 2010: 400) ოდნავ ქვემოთ (ადამსკა-სალაციაკი 2010: 403) ავტორი აღნიშნავს, რომ ეკვივალენტობა გულისხმობს ურთიერთდამოკიდებულებათა ფართო სპექტრს მსგავსებიდან იდენტურობამდე, რაც ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შემოქმედებითი მიდგომის აუცილებლობას ეკვივალენტობის საკითხის ინტერპრეტაციის დროს.

აქვე დავძენდით, რომ ეკვივალენტობის ლექსიკოგრაფიული მოწოდების მეთოდების გარკვეული „სიჭრელე“, როგორც ეს ზემომოყვანილ მაგალითებში გამოჩნდა, ზოგადად ქართველ ლექსიკოგრაფებს და კონკრეტულად დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო ჯგუფს, ვისაც, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი ლექსიკონის ბაზაზე ორენოვანი უცხოურ-ქართული ლექსიკონების

შექმნა გვაქვს განზრახული, არანაირ სირთულეს არ უქმნის. გარკვეული შემოქმედებითი მიდგომის გამოყენებით (რაზეც პოლონელი მკვლევარი საუბრობს), ძნელი არ იქნება ამა თუ იმ „ლატენტური“ მნიშვნელობის ამოცნობა და შემდეგ მისთვის ქართული შესატყვისობის მისადაგება დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან. ამისათვის, სხვა მეთოდებთან ერთად, ინგლისური ენის სინონიმების ბეჭდური თუ ელექტრონული ლექსიკონებიც, „თეზაურუსებიც“ (thesauri) შეიძლება იქნეს გამოყენებული.

თუ დავაკონკრეტებთ, მაგალითად გერმანულ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობისას ჩვენ შეგვეძლება ან (ა) გავიზიაროთ გერმანული ლექსიკონების რამდენადმე „გენერალიზებული“ მიდგომა და გამოთქმები ტიპისა «in fremden Händen - უცხო / სხვის ხელში», «mit fester Hand მტკიცე ხელით» სიტყვა „ხელის“ გადატანით (überträglich) მნიშვნელობად მივიჩნიოთ და ლექსიკონში შესაბამისად ავსახოთ; ან (ბ) შეიძლება ეს შემთხვევები სპეციალიზებულ სიტყვათხმარებად აღვიქვათ და სიტყვა-სტატიის იმ ცალკე გამოყოფილ და ცალკე დანომრილ პარაგრაფებში შევიტანოთ, რომელშიც სათაურად „ხელმძღვანელობა, მართვა; ზედამხედველობა“ და *მისთ.* იქნება გამოტანილი.

ეს ჩვენი შემოქმედებითი მიდგომის თუ ლექსიკოგრაფიული პრინციპების საკითხი იქნება, გამომდინარე აგრეთვე იქიდან, თუ რამდენად დიდი მოცულობის ლექსიკონის შექმნა გვექნება დაგეგმილი ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის ფარგლებში. მაგ. მცირე მოცულობის, სასწავლო ლექსიკონში პირველი მიდგომა – (ა) შეიძლება გამოვიყენოთ, უფრო დიდი მოცულობისა და აკადემიურ ლექსიკონში კი, მეორე (ბ) მეთოდი. უფრო დეტალურად ყოველივე ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის V თავში.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ა. ადამსკა-სალაციაკი ციტირებულ სტატიაში (ადამსკა-სალაციაკი 2010: 404) ეთანხმება ჰარტმანის აზრს (ჰარტმანი 2007: 30), რომ ორენოვანი ლექსიკოგრაფია თარგმნისა და ლექსიკონების შედგენის ნაერთს (a combination of translating and dictionary-making) წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ლექსიკოგრაფი, ტრადიციული გაგებით, ფილოლოგი უნდა იყოს და თანაბრად კარგად ერკვეოდეს როგორც ენათმეცნიერებაში, ასევე

ლიტერატურაში, მაგრამ ეს, როგორც ერთგან ჩარლზ დიკენსს უთქვამს, ცალკე რომანის თემაა.

შემდეგ მაგალითზე გადასვლამდე, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება „ხელის“ პოლისემანტიკურ მნიშვნელობათა მოკლედ გაანალიზება ზოგიერთ სხვა ინდოევროპულ, არაგერმანიკულ ენაში.

საინტერესოა, რომ თანამედროვე რომანული ენები, რომლებიც ანალიტიზმის განვითარების ხარისხით ტიპოლოგიურად უფრო ახლოს დგანან ინგლისურთან, ვიდრე მისი გენეტურად მონათესავე გერმანული, ნორვეგიული, შვედური და სხვ. გერმანიკული ენები, „ხელის“ მნიშვნელობის პოლისემანტიკურობის მხრივაც მსგავსებას ავლენენ ინგლისურთან. ასე მაგალითად:

იტალიურში (la mano - „ხელი“) ხელის პირდაპირი, „ანატომიური“ მნიშვნელობის გარდა გვაქვს კარგად დიფერენცირებული მნიშვნელობები – „**მხარე, მიმართულება**“: (parte, lato) hand, side; (direzione) direction: a mano destra, on the right (hand) - მარჯვნივ, მარჯვენა მხარეს; „**ხელი**“, „**პარტია**“ (ბანქოს თამაშისას): (nei giochi di carte) hand: giocare un'altra mano, to play another hand - კიდევ ერთი პარტიის თამაში; Sei tu di mano, it's your lead it's your turn to play - შენი სვლაა / შენი თამაშის ჯერია, შენ უნდა ითამაშო; **საღებავის და მისთ. ფენა, შრე**: (di vernice) coat; layer: mano di fondo, undercoat (**საღებავის გრუნტი**); prima mano, primer პირველი ფენა (**საღებავისა და მისთ.**); ultima mano, final coat; topcoat ბოლო / საბოლოო ფენა; Le porte hanno bisogno di una mano di vernice, the doors need painting კარი შესაღებია; dare una mano di bianco alle pareti, to whitewash the walls; to paint the walls - კედლების შეთეთრება / შეღებვა; და სხვ.; ისევე, როგორც „**ხელწერის**“ ან „**ხელით წერის**“: (scrittura) hand; handwriting: una lettera di sua mano, a letter in his own hand მისი საკუთარი ხელით დაწერილი წერილი, „**ძალაუფლების**“, „**კონტროლის**“: (potere, balia) hand; power: cadere in mano al nemico, to fall into the enemy's hands მტრის / მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნა; Tutta l'azienda è nelle sue mani, the entire business is in his hands მთელი საწარმო/ფირმა მის ხელშია; Sono nelle tue mani, I'm in your hands; (in tuo potere) I'm in your power - შენს ხელში / შენი ძალაუფლების ქვეშ ვარ, და მისთ. სხვა ენებიდან ნაცნობი მნიშვნელობები.

ესპანურში (la mano - „ხელი“) გამოიყოფა მნიშვნელობები: „ცხოველის წინა ფეხი / თათი“ (შდრ. ინგლისური hand-ის I 2 მნიშვნელობა); „სპილოს ხორთუმი“; „მხარე“, „მიმართულება“: a mano derecha „მარჯვნივ“, „მარჯვისკენ“, „მარჯვენა მხარეს“; a mano izquierda „მარცხნივ“, „მარცხისკენ“, „მარცხენა მხარეს“; „საათის ისარი“ (როგორც ინგლისურში); „ფენა“, „შრე“ (საღებავისა, ლაქისა - როგორც იტალიურში); „ბანქოს ან ჭადრაკის პარტია / ხელი“; „ბანქოს და სხვ. მოთამაშე“; yo soy mano „პირველი მე ჩამოვდივარ / ვთამაშობ“; ისევე როგორც მნიშვნელობები, რომლებიც რამდენადმე უფრო უშუალოდ არის დაკავშირებული „ხელთან“, როგორც მუშაობასთან, რისამე მართვასთან, ხელმძღვანელობასთან და ა.შ. ასოცირებულ ორგანოსთან: „მუშახელი“, „მომუშავე“: mano de obra – „მუშახელი“; escasez de manos – მუშახელის / მომუშავეთა უკმარისობა / სიმცირე; „ძალაუფლება“, „უფლებამოსილება“, „მფარველობა“: tener mucha mano – „დიდი ძალაუფლების / გავლენის ქონა“; tener mano con uno „ვისიმე სახით მფარველის ყოლა“; darle mano para hacer una cosa „ვინმესთვის უფლებამოსილებათა მინიჭება ამა თუ იმ საქმეში“; „ოსტატობა“, „სიმარჯვე“, „დახელოვნებულობა“: manos hábiles „სიმარჯვე“, „მარჯვე ხელები“; mano para llevar los asuntos „საქმეების მარჯვედ გაძღოლა / ხელმძღვანელობა“; „დახმარება“, „მხარდაჭერა“: tender una mano de ayuda a uno „ვინმესთვის დახმარების ხელის გაწვდა“; და ა.შ.

ფრანგულშიც (la main „ხელი“) საკუთრივ „ადამიანის ხელის“ მნიშვნელობის გარდა, გამოიყოფა „ცხოველის თათის“, „მცენარის ულვაშის“; „უჯრის და სხვ. სახელურის“; „ცხენის სადავ(ებ)ის“; „ქაღალდის დასტის“ და სხვ. საკმაოდ დიფერენცირებული მნიშვნელობები. აქაც, შეიძლება ითქვას, სიტუაცია პოლისემანტიზმთან დაკავშირებით უფრო ჰგავს ინგლისურს, ვიდრე, ვთქვათ, გერმანულის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, ამგვარი სიტუაცია ინგლისურსა და ფრანგულ-ესპანურ-იტალიურ ენებში ანალიტიკურობის განვითარების მეტ-ნაკლებად ერთნაირ, პროგრესულ სტადიას უკავშირდება, თუმცა უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამტკიცება ანალიტიკურობის თვალსაზრისით განვითარებულობასა და სიტყვის პოლისემან-

ტიზმის ზრდას შორის შეიძლება პრობლემატური იყოს და ამგვარ განზოგადებას შეიძლება ყველა არ დაეთანხმოს.

მიუხედავად ამისა, მაინც დავუმატებდით, რომ ენის განვითარება, როგორც ჩანს, გულისხმობს როგორც ანალიტიკური კონსტრუქციების განვითარებას, რაც ენას გამომსახველობას მატებს და საშუალებას აძლევს მას, რეალობა უფრო სრულად გამოხატოს⁷⁰, ასევე ერთი და იმავე სიტყვის მიერ მრავალი, ძირითადი, ამოსავალი მნიშვნელობიდან დიდად დაშორებული ქვემნიშვნელობების განვითარებას.

რაც შეეხება ეკვივალენტობას ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე, შეიძლება აღინიშნოს რომ რომანულ ენებშიც შეიძლება უპრობლემოდ გამოიყოს ჩვენთვის საინტერესო ინგლისურ მნიშვნელობათა ეკვივალენტური მნიშვნელობები: „მფლობელობა, ძალაუფლება კონტროლი“, „ოსტატობა სიმარჯვე“, „დახმარება“ და სხვ. ანუ ეკვივალენტობა ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე აქაც არსებობს. სხვა საქმეა, რომ სხვადასხვა ესპანურ, ფრანგულ და იტალიურ ლექსიკონებშიც (როგორც გერმანული, შვედური, ნორვეგიული და თავად ინგლისური ლექსიკონების შემთხვევაშიც) ეს მნიშვნელობები სხვადასხვაგვარად არის მოწოდებული. აქაც განმსაზღვრელია ამა თუ იმ კონკრეტული ლექსიკონის მოცულობა და მასში მასალის მოწოდების დეტალიზაცია, ლექსიკოგრაფიული პრინციპები, რომელიც ამა თუ იმ ლექსიკონის შემდგენელს აქვს არჩეული და, ზოგადად ამა თუ იმ ქვეყნის ფილოლოგიურ კულტურაში დამკვიდრებული და მიღებული ლექსიკოგრაფიული ტრადიციები.

არსებითი სახელი „ფრინველი“ (ინგლ. bird/fowl, გერმ. der Vogel, შვედ. fågel და სხვ.)

(1) [ძვ. ინგლ. brid, საშუალ. ინგლ. bryd, byrd - „ბარტყი“; „ფრინველი“]

(2) [გოთ. fugls, ძვ. ინგლ. fuȝol, ძვ. ზემ. გერმ. fogaal, გერმ. Vogel, ძვ. სკანდ. fugl, ნორვ. fugl, შვედ. fågel და ა.შ.]

⁷⁰ შდრ. მაგ. ორად-ორი გრამატიკული დრო – აწმყო და წარსული, პლუს აწმყო მომავლის მნიშვნელობით ძველ ინგლისურში და სხვა ძველ გერმანიკულ ენებში და დაახლოებით 18 გრამატიკული დრო (tense) თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომლებიც მოქმედების დასრულებულობა-დაუსრულებლობისა თუ ერთჯერადობა-განგრძობითობის უმცირეს ნიუანსებს ასახავენ.

ინგლისური სემანტიკა

„ფრინველის“ აღმნიშვნელ სიტყვასთან დაკავშირებით ინგლისურში საკმაოდ საინტერესო სიტუაცია გვაქვს. ეტიმოლოგიურად გერმანიკულ ენებთან დაკავშირებული სიტყვა fowl (<ძვ. ინგლ. [fuʒol]) თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა გაურკვეველი წარმოშობის საკუთრივ ინგლისურმა სიტყვამ bird (<ძვ. ინგლ. [brid]),⁷¹ რომელსაც სხვა გერმანიკულ (და არც არაგერმანიკულ) ენებში რაიმე აშკარა შესატყვისობა არ მოეპოვება. შეიძლება ითქვას, რომ სინქრონიულ/დესკრიფციულ დონეზე, „ფრინველის“ აღმნიშვნელი სიტყვა დღევანდელ ინგლისურში სწორედ bird გახლავთ. fowl უპირატესად „შინაურ ფრინველს“ ნიშნავს (ბრიტანულ ინგლისურში ძირითადად ქათამს, ამერიკულში – აგრ. იხვს ან ინდაურს). „გარეული ფრინველის“ მნიშვნელობითაც fowl სიტყვის ხმარება არქაულად არის მიჩნეული (ოქსფორდი, 2007) და ძირითადად კომპოზიტებშია გვხვდება: guineafowl - „ციცარი“, waterfowl - „წყლის ფრინველი“, wildfowl „გარეული ფრინველი“ (განსაკ. როგორც ნადირობის ობიექტი).

აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის ამგვარი შევიწროება ინგლისურში იშვიათი მოვლენა არ არის. მაგ. ძველი ინგლისური stede „ადგილი“ (შდრ. გერმ. Stätte - „ადგილი“) საშუალო ინგლისურ პერიოდში ჩაანაცვლა ფრანგული წარმოშობის სიტყვამ place, ხოლო სემანტიკურად „შევიწროებული“ ანგლოსაქსური სიტყვა შემორჩა მხოლოდ გამოთქმაში instead (of) - „რისამე ნაცვლად / მაგივრად“. ანალოგიურად, ძველი ინგლისური სიტყვა cwén „ქალი“ (შდრ. გოთ. qens, შვედ. kvinna - „ქალი“) შეავიწროვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინგლისურივე წარმოშობის სიტყვამ woman (< ძვ. ინგლ. wífman [wif⁷² + man]), რაც სტრუქტურულ-სემანტიკურად დაახლოებით „დედაკაცს“ შეესატყვისება (თავდაპირველად ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა cyninges cwen, cynges cwen მაგ. „ანგლოსაქსურ ქრონიკებში“, სადაც ეს სიტყვა, პრინციპში, ჯერ კიდევ შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც „მეფის ქალი“, „მეფის ცოლი“).

⁷¹ ამ სიტყვის ეტიმოლოგია გაურკვეველად ითვლება. ერთი შეხედვით თვალსაჩინო ეტიმოლოგიური კავშირი breed, brood სიტყვებთან „ოქსფორდის დიდი ლექსიკონის“ (ოქსფორდი, 1989) მიერ „მიუღებლად“ (inadmissible) არის მიჩნეული მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა 'brid ძველ ინგლისურში „ბარტყს“, „ახალგაზრდა ფრინველს“ ნიშნავდა.

⁷² შდრ. გერმ. das Weib - „ქალი“, „დედაკაცი“.

თანამედროვე გერმანიკულ ენებში კი ინგლისური fowl-ის თანამედროვე მნიშვნელობის „შინაური ფრინველი“ შესატყვისობებია *გერმ.* Hausgeflügel, *შვედ.* fjäderfä, *ნორვ.* fjærfe და *სხვ.*

ამდენად, თუ ინგლისურსა და სხვა გერმანიკულ (ან არაგერმანიკულ) ენებში „ფრინველის“ აღმნიშვნელი სიტყვების ცალკეულ მნიშვნელობათა შორის ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობა გვსურს გავარკვიოთ, გერმანულ და, ვთქვათ, შვედურ სიტყვებს (Vogel, fågel) ინგლისური bird უნდა შევადაროთ, და არა მათთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული fowl.⁷³

ამ მცირე დიაქრონიულ-ეტიმოლოგიური გადახვევის შემდეგ დავუბრუნდეთ კვლავ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მნიშვნელობას თანამედროვე ინგლისურში და მის მონათესავე ენებში, ასე ვთქვათ, სინქრონიულ დონეზე.

სხვთა შორის, უნდა ითქვას, რომ ზემოთ განხილული სიტყვისგან (hand „ხელი“) განსხვავებით, ეს სიტყვა პოლისემანტიკური მრავალფეროვნებით, სპეციალიზებულ მნიშვნელობათა წარმოქმნის „კასკადურობით“ (როგორც ჩვენ ამას ვუწოდებთ) არ გამოირჩევა არც ინგლისურში და არც, მით უმეტეს, სხვა გერმანიკულ ენებში.

ამგვარად, ვნახოთ „ფრინველის“ bird სემანტიკა ინგლისურში, როგორც ის სხვადასხვა ლექსიკონებშია წარმოდგენილი.

დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (*ინგლისურ-ქართული*, 2010) მოცემულია ამ სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები:

bird

1. ფრინველი, ჩიტი; a bird's nest ჩიტის ბუდე;
2. 1) *სლ.*, *იმვ.* აგდებ. ახალგაზრდა ქალი;
- 2) *საუბ.* უცნაური / თავისებური ტიპი;
3. *სლ.* 1) საფრენი აპარატი (*თვითმფრინავი, შვეულმფრენი*);
- 2) "ჰაერი-ჰაერი" კლასის მართვადი რაკეტა;
- 3) კოსმოსური ხომალდი; დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი;
4. *სლ.* = jail-bird;

⁷³ ამგვარი სიტუაცია ეტიმოლოგიური თვალსაზრისით არის რამდენადმე პარადოქსული, თორემ ლექსიკოგრაფისთვის, პრინციპში, უჩვეულო აქ არაფერია: მაგალითად, ქართულ და ინგლისურ სიტყვათა შორის ეკვივალენტობის გაანალიზებისას ეტიმოლოგიის საკითხი ცხადია საერთოდ არ დგას და არც შეიძლება იდგეს გასაგები მიზეზების გამო.

5. ვოლანი, ბადმინტონის ბურთი;

6. (the bird) უხეში ჟესტი;

და ა.შ.

ჩვენი ანალიზისთვის საინტერესოა აგრეთვე ფრაზეოლოგიზმების განყოფილებაში შეტანილი გამოთქმა: «**the bird has flown** „ჩიტი გაფრენილა“ (ითქმის გაქცეული პატიმრის და ა.შ. შესახებ)».

ეს მნიშვნელობები (ლექსიკონების მოცულობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე) ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია სხვადასხვა ინგლისურ განმარტებით თუ თარგმნით ლექსიკონებში. ამ მნიშვნელობებიდან (არა მარტო ინგლისურ, არამედ აგრეთვე გერმანულ, შვედურ და სხვ. ლექსიკონებში) ჩვენი ყურადღება თავიდანვე მიიპყრო №2-მა მნიშვნელობამ, სადაც bird სიტყვით „ადამიანი“, „პიროვნება“ აღინიშნება. გამოთქმაც the bird has flown ამ თვალსაზრისით მივიჩნიეთ საინტერესოდ. სხვა ენებშიც (გერმანულში, ნორვეგიულში და სხვ.) „ფრინველის“ აღმნიშვნელი სიტყვების ანალიზისას მათი სხვადასხვა მნიშვნელობებიდან სწორედ ადამიანთან დაკავშირებული სპეციალიზებული სიტყვათხმარების შემთხვევები გამოვყავით განსაკუთრებით და ეკვივალენტობის არსებობა-არარსებობის დადგენის თვალსაზრისითაც ამგვარ ლექსიკაზე გავამახვილეთ ყურადღება.

დიდად არ განსხვავდება bird სიტყვისადმი მიძღვნილი სიტყვა-სტატიის სტრუქტურა ი. აპრესიანის ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში (ინგლისურ-რუსული, 2000), რომელიც გალპერინის ლექსიკონის მეტ-ნაკლებად გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს.

აპრესიანის ლექსიკონში, ცხადია, წარმოდგენილია მნიშვნელობა „ფრინველი“ (№1. птица); და (გალპერინისგან განსხვავებით) დამატებულია „არქაული“ ანუ მოძველებული მნიშვნელობა „ბარტყი“ (№10. арх. птенец).

ჩვენთვის უფრო საინტერესო მნიშვნელობები კი აქ შემდეგნაირად არის ასახული:

№ 2. разг. 1) девочка, легкомысленная женщина; - „გოგონა, ქარაფშუტა ქალი“

2) парень, человек; - „ყმაწვილი, კაცი“ (და მაგალითები: a gay bird весельчак; an odd bird чудак).

ოქსფორდის დიდ ლექსიკონში (ოქსფორდი, 2005ა):

(bird)

I 1. d. A maiden, a girl. In mod. (revived) use: a girl, woman (often used familiarly or disparagingly) (*slang*) - დაახლ. „გოგონა, ქალი“ (სლენგური გამოთქმა მნიშვნელობის ფამილარული ან კიცხვითი ელფერით).

e. jocularly. A man, a 'cove' - „კაცი, ყმაწვილი“.

აღსანიშნავია, რომ ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, „ქალის“ მნიშვნელობით bird სიტყვის ხმარება გამოწვეულია მისი აღრევით სიტყვასთან burd „ქალი, მანდილოსანი; ქალწული“ რომელსაც სულ სხვა ეტიმოლოგია აქვს და სავარაუდოდ bride სიტყვასთან არის დაკავშირებული. ამდენად, ჩვენი ანალიზისას ალბათ უპრიანი იქნება ყურადღების უფრო „ყმაწვილის“ ან ზოგადად „ადამიანის“ მნიშვნელობის ეკვივალენტებზე კონცენტრირება.

ოქსფორდის შემოკლებულ ორტომეულში (ოქსფორდი 2007), მნიშვნელობის შემდგომი განვითარებაა წარმოდგენილი:

(bird)

№ 3 A maiden, a girl; a young woman. (Orig. a var. of burd, later taken as fig. use of sense 1 or 2.⁷⁴) Now slang (freq. derog.). - „ქალიშვილი, გოგონა“ (სლენგი, ხშირად დამცრობითი მნიშვნელობით)

№ 4 A person (freq. with specifying adjective). colloq. დაახლ. „პიროვნება, ადამიანი“ (საუბრული გამოთქმა).

აღსანიშნავია, რომ აქ უკვე აღარ არის დაკონკრეტებული (შდრ. ზემოთ შესაბამისი მაგალითები ოქსფორდის დიდი ლექსიკონიდან და აპრესიანის ინგლისურ-რუსული ლექსიკონიდან), რომ ეს „ადამიანი“ აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს. ანუ, სახეზეა მნიშვნელობის გარკვეული განვითარება.

ოქსფორდის ახალ ერთტომეულში (ოქსფორდი, 2005ბ) პირდაპირი „ორნითოლოგიური“ მნიშვნელობისა და „საფრენი აპარატის“ მნიშვნელობების შემდეგ, ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობების ამგვარი დეფინიციაა მოცემული:

⁷⁴ „ბარტყის“ და „ფრინველის“ მნიშვნელობები იგულისხმება.

2 *informal* a person of a specified kind or character - „ამა თუ იმ კონკრეტული ტიპის ან ხასიათის პიროვნება“;

she's a sharp old bird – საინტერესო მაგალითია იმ თვალსაზრისით, რომ ჩანს, bird სიტყვის ხმარება ამ სპეციალიზებული მნიშვნელობით ქალსაც რომ შეიძლება მოიცავდეს.

3 *British informal* a young woman or a man's girlfriend - „ახალგაზრდა ქალი ან მამაკაცის სატრფო“.

„ფრაზებში“ (Phrases) აქაც მოცემულია გამოთქმა: the bird has flown - „ჩიტი გაფრენილა“ რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული: the person one is looking for has escaped or left „პირი/ადამიანი, ვისაც ეძებდნენ გაიქცა ან წავიდა“. აქ და სხვა ენებშიც (იხ. ქვემოთ) ანალოგიურ გამოთქმების ინტერპრეტაციისას, ჩვენი აზრით, დასაშვებია bird, vogel, და სხვ. „ადამიანის“, „პიროვნების“ აღმნიშვნელად მივიჩნიოთ იმისდა მიუხედავად, თუ კონკრეტული ლექსიკონის სიტყვა-სტატიის რომელ სექციაში იქნება იგი წარმოდგენილი.

ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონში (ოქსფორდი, 2005ა) დაახლოებით ანალოგიური სურათია ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობათა თვალსაზრისით.

№ 2 (BrE, slang, sometimes offensive) a way of referring to a young woman „ახალგაზრდა ქალის მოხსენიების ფორმა“ (სლენგი, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი კონოტაციით)

№ 3 (informal) a person of a particular type, especially sb who is strange or unusual in some way - დაახლ. ამა თუ იმ ტიპის ადამიანი, განსაკ. რაიმე თვალსაზრისით უცნაური ან უჩვეულო“. საინტერესოა, რომ ამ ლექსიკონის მიხედვითაც, ეს მნიშვნელობა ზოგადად „ადამიანს“ ნიშნავს, განურჩევლად სქესისა, რაც ერთ-ერთი საილუსტრაციო მაგალითიდანაც ჩანს: “She is that rare bird: a politician with a social conscience” დაახლ. „უცნაური ყაიდის ქალია – სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პოლიტიკოსი“.

დაბოლოს, ვებსტერის დიდი ლექსიკონი (ვებსტერი, 1961). აქ ჩვენთვის საინტერესო სემანტიკა კარგად არის დიფერენცირებული:

5. *slang a* : FELLOW, CHAP *esp.* : a peculiar or inconsequential one – usu. used somewhat patronizingly დაახლ. „ყმაწვილი, ტიპი განსაკ. თავისებური ან არათანამიმდევრული/უცნაური. ჩვეულ. რამდენადმე მფარველობითი დამოკიდებულების კონოტაციით“.

a queer bird „უცნაური ტიპი“;

a gay old bird⁷⁵ დაახლ. „მხიარული ტიპი“.

b (1) : a notably clever or accomplished person – often used ironically - დაახლ. „გამორჩეულად ჭკვიანი ან რაიმეში დახელოვნებული ადამიანი – ხშ. იხშ. ირონიულად“.

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითები საკმარისია გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად ჩვენთვის საინტერესო სიტყვის სემანტიკის შესახებ. ახლა კი ვნახოთ, სიტყვის bird ინგლისურ ლექსიკონებში ასახული სპეციალიზებული მნიშვნელობა „პიროვნება“, „ადამიანი“, რომელსაც, როგორც დავრწმუნდით, ჩვეულებრივ მეტნაკლებად ირონიულ ან უარყოფით კონტექსტებში ხმარობენ, რამდენად დასტურდება სხვა გერმანიკულ ენებში „ფრინველის“ აღმნიშვნელი სიტყვებისათვის.

გერმანული სემანტიკა

ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ გერმანულ-რუსულ სამტომეულში (გერმანულ-რუსული, 1987) სიტყვა-სტატია Vogel „ფრინველი“ სულ ორი ნაწილისგან შედგება. „ორნითოლოგიური“, ძირითადი მნიშვნელობა საკმაოდ ლაკონიურად არის წარმოდგენილი: Vogel птица - „ფრინველი“. junger Vogel птенец - „ახალგაზრდა ფრინველი, ბარტყი“. kleiner Vogel пташка; птичка - „პატარა ფრინველი, ჩიტუნა“.

დანარჩენი მნიშვნელობები – იდიომები ანდაზები და სხვ. „რომბშია“ შეტანილი. აქვეა ჩვენთვის საინტერესო სიტყვათხმარების სპეციალიზებული შემთხვევები, რომლებიც ზემოთ, ინგლისურ კონტექსტებში აღწერილ და დადასტურებულ შემთხვევებს ეხმიანება. ასე მაგალითად: ein durchtriebener [sauberer] Vogel прохода - სიტყვასიტყვით დაახლ. „გაქნილი ფრინველი“ და „კაი ჩიტი“; ein seltsamer [sonderbarer] Vogel чуждак - სიტყვასიტყვით დაახლ. „იშვიათი/თავისებური

⁷⁵ ვფიქრობთ, დღესდღეობით ნაკლებად სავარაუდოა, უფრო თანამედროვე ლექსიკონებში ბოლო ორი მაგალითი შეიტანონ.

ფრინველი“; ein loser [lockerer] Vogel бесшабашная голова, легкомысленный человек - „უდარდელი/თავქარიანი ადამიანი“; სიტყვასიტყვით დაახლ. „თავაშვებული / უპასუხისმგებლო ფრინველი“; ein lustiger Vogel весельчак - სიტყვასიტყვით „მხიარული ფრინველი“; ein seltener Vogel редкая птица, чудак - სიტყვასიტყვით „იშვიათი ფრინველი“. აქვე, „რომბშია“ მოცემული გამოთქმა der Vogel ist ausgeflogen упорхнула птичка „ჩიტი გაფრენილა“ (ცხადია, „გაქცეული ადამიანის“ მნიშვნელობით); აგრეთვე მნიშვნელობები, სადაც შეიძლება გამოიყოს სიტყვის Vogel მნიშვნელობა „უცნაურობა“, „ახირება“ (einen kleinen Vogel haben „პატარა ახირების / უცნაურობის ქონა“; hast du denn einen Vogel? „ხომ არ გაგიჟდი/გადაირიე?“; jeder Mensch hat seinen Vogel დაახლ. „ყველას თავისი ახირება/უცნაურობა სჭირს;) და სხვა, უფრო აშკარად გამოხატული იდიომატური/ფრაზეოლოგიური ხასიათის მყარი შესიტყვებები.

ჩვენი აზრით, მოყვანილ მაგალითებში თავისუფლად შეიძლება „ამოვიცნოთ“, ასე ვთქვათ, „ადამიანის“, „პიროვნების“ მნიშვნელობა გარკვეული ირონიული ან უარყოფითი კონოტაციით, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ამ ლექსიკონში, მისი შემდგენლების მიერ არჩეული ლექსიკოგრაფიული პრინციპებიდან თუ მიდგომიდან გამომდინარე, სპეციალიზებული ხმარების ეს შემთხვევები ცალკე მნიშვნელობად გამოტანილი არ არის.

ადრე უკვე ციტირებულ პავლოვსკის გერმანულ-რუსულ ლექსიკონშიც (პავლოვსკი, 1902) დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა. ამ ლექსიკონის შემდგენელთა მიერ არჩეული ლექსიკოგრაფიული პრინციპი კარგად მოჩანს სიტყვა-სტატიისთვის (აქ სულ ერთი მნიშვნელობაა გამოყოფილი) წინ წამძვარებულ გერმანულ განმარტებაში: Vogel (das geflügelt befiederte zweifüßige Thier; fig. ein lustiger leichtsinniger Mensch) птица – „(ფრთოსანი ბუმბულიანი ორფეხა ცხოველი; ფიგურალური მნიშვნელობით - მხიარული, უდარდელი/თავქარიანი ადამიანი) ფრინველი“. ამგვარი განმარტების შემდეგ მოყვანილია როგორც პირდაპირი, „ორნითოლოგიური“ მნიშვნელობების შემცველი მაგალითები, ასევე საილუსტრაციო მასალა, სადაც Vogel „ფიგურალური“ (ლექსიკონის შემდგენელთა ინტერპრეტაციით) მნიშვნელობით არის ნახმარი და „მხიარულ, უდარდელ ადამიანს“ აღნიშნავს: fig. ein

loser Vogel шалун; - „ცელქი ადამიანი“; lockerer Vogel гуляка - „დროს ტარების მოყვარული ადამიანი, მოქეიფე“; ein lustiger Vogel весёлый малый; веселчак - „მხიარული ადამიანი“ და სხვ.; აგრ. gefangen ist der Vogel! попался голубчик! დაახლ. „გაება ჩიტი მახეში!“ აქვეა წარმოდგენილი ანდაზები: Sprichw. (ანუ Sprichwort - ანდაზა) man erkennt den Vogel am Gesange (an den Federn) „ფრინველი სიმღერით (ბუმბულით) იცნობაო“; wie der Vogel, so das Ei დაახლ. „რაც დედა, ის შვილიო“⁷⁶ და ა.შ.

ცხადია, რომ აქაც იგივე მიდგომაა გამოყენებული, რომელიც ზემოთ ციტირებულ გერმანულ-რუსულ სამტომეულ ლექსიკონში.

ამ ორი გერმანულ-რუსული ლექსიკონისგან განსხვავებით, ელექტრონულ ლექსიკონ „ლინგვო 12-ში“ (ლინგვო-12, 2006) შეტანილი გერმანულ-რუსული ლექსიკონი უფრო დეტალიზებულია მნიშვნელობათა განსაზღვრისას. ამ ლექსიკონში „ფრინველის“ მნიშვნელობის გარდა გამოყოფილია перен. разг. птица, фрукт დაახლ. „ჩიტი“, „ტიპი“, „კაი ვინმე“⁷⁷. ყველა ის გერმანული მნიშვნელობა – „თავკარიანი ადამიანი“, „მხიარული ადამიანი“, „ახირებული ვინმე“ და სხვ. რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, სწორედ ამ პარაგრაფშია შეტანილი: ein feiner Vogel! ≈ хорош гусь! ein loser Vogel — легкомысленный [ветренный] человек ein lustiger Vogel — весельчак, затейник ein seltener Vogel — чудак du bist mir ein sauberer Vogel! — хорош голубчик!, хороша птица!

საინტერესოა, რომ აქვე „უცნაურობის, ახირების“ მნიშვნელობა ცალკე გამოყოფილი არ არის და ამ მნიშვნელობის გამომხატველი მაგალითები ფრაზეოლოგიზმების სექციაშია შეტანილი (du hast wohl einen Vogel (im Kopfe)? — у тебя, видно, не все дома - დაახლ. „ეტყობა, თავში გიქრის“). ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ამა თუ იმ სპეციალიზებული სიტყვათხმარების ცალკე მნიშვნელობად გამოყოფა-არგამოყოფა მნიშვნელოვანწილად ამა თუ იმ კონკრეტული ლექსიკონის შემდეგენლთა მიერ არჩეული ლექსიკოგრაფიული პრინციპებითა და მიდგომებით არის ხოლმე განპირობებული. ჩვენ კი ისღა

⁷⁶ სიტყვასიტყვით: „როგორც ფრინველია, ისეთია კვერცხიც“.

⁷⁷ საინტერესოა, რომ ამავე ლექსიკონის ფრანგულ-რუსულ ნაწილში სიტყვის oiseau „ფრინველი“ მეორე მნიშვნელობად გამოყოფილია: 2) разг. тип, типчик.

დაგვრჩენია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი პრინციპებით შედგენილ ლექსიკონებში შეტანილი „დაუმუშავებელი“ ლექსიკურ-სემანტიკური მასალა ისე გავაანალიზოთ და დავამუშაოთ, როგორც ტექსტურ კორპუსებიდან მოპოვებულ მასალას მოვეპყრობოდით და ჩვენი დასკვნებიც ამგვარ ანალიზზე დავაფუძნოთ.

შვედური სემანტიკა

აღსანიშნავია, რომ შვედური განმარტებითი და თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით, ფრინველის“ აღმნიშვნელი (fågel) სიტყვა დიდი პოლისემანტიკური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და, ამდენად, შვედურ ლექსიკასა და სემანტიკაზე ამჯერად დიდხანს არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ერთ-ერთ ლექსიკონში (*რუსულ-შვედური*, 2004) მოყვანილია შესიტყვება en sållsynt fågel *Белая ворона* - სიტყვასიტყვით „იშვიათი/უჩვეულო ფრინველი“, რაც აჩვენებს, რომ ამ სიტყვის „ადამიანის“ მნიშვნელობით ხმარება არც შვედურისთვის არ არის უცხო.

აქვე ვხედავთ ანდაზას თუ ხატოვან გამოთქმას, რომლის ანალოგიურაც ნორვეგიულ ლექსიკონებშიც დასტურდება (*იხ.* ქვემოთ): varken fågel eller fisk *დააბლ.* „არც წყალი, არც ღინო“ (სიტყვასიტყვით „არც ფრინველი, არც თევზი“; *შდრ. აგრ.* ანალოგიური ინგლისური გამოთქმა neither fish, nor flesh, nor feathers nor bone).

ნორვეგიული სემანტიკა

შედარებით უფრო საინტერესო სურათია შვედურის ახლო მონათესავე ნორვეგიულ ენასთან დაკავშირებით.

განვიხილოთ „ფრინველის“ აღმნიშვნელი ნორვეგიული სიტყვა **fugl** [fʉ:1]. ყურადღებას იმსახურებს, სხვათა შორის, სიტყვის ძველებური (გოთურისა და ძველსკანდინავიურის ანალოგიური) ვოკალიზაცია ამ ნორვეგიულ სიტყვაში.

ზემოთ უკვე ხსენებულ **ნორვეგიულ-რუსულ ლექსიკონში** (*ნორვეგიულ-რუსული*, 1963) ორი მნიშვნელობაა გამოყოფილი: 1) „ფრინველი“ (птица); და 2) „გარეული ფრინველი, როგორც სანადირო ობიექტი“ (дичь).

აღვნიშნავდით, რომ პირველ მნიშვნელობაში – „ფრინველი“ რატომღაც შესულია ანდაზა det er hverken fugl eller fisk - სიტყვასიტყვით „არც ფრინველია, არც თევზი“,

ანუ დაახლ. „არც წყალია, არც ღვინო“, რომლის შეტანაც, ჩვენი აზრით, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში უფრო უპრიანი იქნებოდა (შდრ. აგრ. ზემოთ პრაქტიკულად ასეთივე ანდაზა შვედურ ენაში).

ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობები კი „რომში“, ანუ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა განყოფილებაშია შეტანილი: en fattig fugl бедняк, бедный человек; - სიტყვასიტყვით „ღარიბი ფრინველი“; en fremmed fugl чужак, чужой человек - სიტყვასიტყვით „უცხო ფრინველი“; han er en sjelden fugl på disse kanter ≡ он редкий гость в этих краях - სიტყვასიტყვით „ამ ადგილებში იგი იშვიათი ფრინველია“ და სხვ. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ მნიშვნელობებში „ფრინველი“ - fugl რეალიზებულია როგორც „ადამიანი“, „პიროვნება“ და თავისუფლად შეიძლება იგი ცალკე მნიშვნელობად ყოფილიყო გამოტანილი.

მსგავსი სიტუაციაა ერთ-ერთ ნორვეგიულ განმარტებით ონლაინ-ლექსიკონშიც (ფრი-დიქშენერი, 2003): აქ სულ ერთი მნიშვნელობაა: fjærkledd dyr med vinger og nebb „ბუმბულით დაფარული ცხოველი, რომელსაც ფრთები და ნისკარტი აქვს“, ანუ „ფრინველი“. პირველი მაგალითი: Fuglene synger „ფრინველები მღერიან/გალობენ“. შემდეგ აქაც იგივე ანდაზაა მოყვანილი, რომელიც რუსულ-ნორვეგიულ ლექსიკონშიც შეგვხვდა: være verken fugl eller fisk, რაც ინგლისურად სიტყვასიტყვით რომ გვეთარგმნა, დაახლოებით 'to be neither fowl nor fish' გამოვიდოდა. ნორვეგიულად ეს განმარტებულია, როგორც være verken det ene eller det andre - „არც ერთი რამაა, არც მეორე“.

აქვე გვხვდება შესიტყვება „იშვიათი ფრინველი“ ფრაზაში være en sjelden fugl - „იშვიათი ფრინველია“ (to be a rare bird), რაც ნორვეგიულად ასეა განმარტებული: være sjelden å se „ძნელი (სიტყვასიტყვით - იშვიათი) სანახავია“.

შემდეგი მაგალითია Fuglen er fløyet „ჩიტი გაფრენილა“, შესაბამისი განმარტებით ნორვეგიულ ენაზე, რომელიც გვიხსნის, რომ ადამიანი, ვინც სჭირდებოდათ, გაუჩინარებულა. ეს მოჩანს აგრეთვე ბოლო საილუსტრაციო ფრაზაში: Da politiet endelig kom, var fuglen fløyet - „როდესაც პოლიცია, როგორც იქნა, მოვიდა, ჩიტი უკვე გაფრენილი იყო“.

როგორც ვრწმუნდებით, განხილულ ნორვეგიულ ლექსიკონებშიც ცალკე მნიშვნელობად არ არის აღქმული სიტყვა *flug* ისეთ კონტექსტებში, სადაც იგი აშკარად „ადამიანს“, „პიროვნებას“ აღნიშნავს, თუმცა გამორიცხული არ არის, არსებობდეს ან მომავალში შეიქმნას ნორვეგიული განმარტებითი ან თარგმნითი ლექსიკონები, სადაც ამგვარი სპეციალიზებული სიტყვათხმარების შემთხვევები ცალკე მნიშვნელობის შემცველად იქნება ინტერპრეტირებული და „ადამიანი“, „პიროვნება“ ცალკე მნიშვნელობად იქნება გამოყოფილი *flug* სიტყვისთვის მიძღვნილ სიტყვა-სტატიაში, როგორც ეს მაგალითად „ლინგვო 12-ის“ გერმანულ-რუსულ ლექსიკონშია გაკეთებული (*იხ.* ზემოთ). პირადად ჩვენ, როდისმე ნორვეგიულ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობა თუ მოგვიწია, მომხრე ვიქნებოდით ამ მნიშვნელობის ცალკე გამოყოფისა, რამდენადაც, ჩვენი აზრით, რაც უფრო მეტია მნიშვნელობათა დეტალიზაცია ლექსიკონში, მით უფრო აკადემიურია იგი.

დასასრულ, გადავიდეთ გერმანულთან ახლოს მდგომ და ზოგიერთი ენობრივი თვისებურებების გამო ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ნიდერლანდურ ენაზე.

ნიდერლანდური სემანტიკა

ნიდერლანდურ განმარტებით ონლაინ-ლექსიკონში (*ფრი-დიქშენერი*, 2003), სიტყვა-სტატიაში *vogel* - „ფრინველი“, ძირითადი მნიშვნელობის დეფინიციის (*dier met vleugels en een snavel* - „ბუმბულეებისა და ნისკარტის მქონე ცხოველი“) შემდეგ სხვა მაგალითებთან ერთად მოყვანილია შემდეგი საილუსტრაციო ფრაზები:

De vogel is gevlogen „ფრინველი / ჩიტი გაფრენილა“ (ნიდერლანდური განმარტებიდან ჩანს, რომ საუბარია ადამიანზე, რომელიც იქ არ არის, სადაც ელოდნენ რომ იქნებოდა, რომელიც გაქცეულა და *ა.შ.*). იქვე: *De politie kwam te laat: de vogel was gevlogen* „პოლიციამ დაიგვიანა (*came too late*, *ზუსტი ინგლისური შესატყვისობა რომ მოვიშველიოთ*): ჩიტი გაფრენილიყო“.

een rare / vreemde vogel სიტყვასიტყვით „უცნაური / უცხო ფრინველი“ განმარტებულია როგორც *een rare man* „უცნაური კაცი“, სტილისტური კლასიფიკაციით *ongunstig* - რაც შეიძლება ითარგმნოს *დახლ.* როგორც

uncomplimentary - „კიცხვითი“. [შდრ. ქვემოთ ფრანგ. oiseau rare ლინგვო 12-ის ფრანგულ-რუსული ლექსიკონიდან].

een vrije vogel - „თავისუფალი ფრინველი“ განმარტებულია, როგორც: iemand die doet waar hij of zij zin in heeft, niet van anderen afhankelijk is, geen verplichtingen heeft *ენზ დაახლ.* „ვინც თავის ნებაზე მოქმედებს, სხვაზე დამოკიდებული არ არის, არანაირი ვალდებულებები არა აქვს და ასე შემდეგ“.

ვფიქრობთ, ამ მაგალითებში vogel შეიძლება გავიგოთ, როგორც „ადამიანი“, „პიროვნება“ (გარკვეული უარყოფითი კონოტაციით) - მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიდერლანდურ განმარტებით ლექსიკონში ეს მნიშვნელობა ცალკე გამოყოფილი არ არის, სავარაუდოდ „ზოოლოგიური“ თუ „ორნითოლოგიური“ მნიშვნელობების გადატანითი ან ფიგურალური ხმარების შემთხვევად აღიქმება და მარტოდენ საილუსტრაციო ფრაზებშია ასახული „ლატენტური ფორმით“ (თუ შეიძლება ასე ითქვას).

როგორც უკვე ვთქვით, პოლისემანტიკურობის თვალსაზრისით „ფრინველის“ აღმნიშვნელი სიტყვები გერმანიკულ ენებში დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. შეიძლება უცნაურ დამთხვევად ჩანდეს, მაგრამ ამ სიტყვას დიდი პოლისემანტიკური მრავალფეროვნება არც რომანულ ენებში ახასიათებს. იტალიურ და ესპანურ განმარტებით და ორენოვან ლექსიკონებში „ფრინველის“ აღმნიშვნელი სიტყვის მნიშვნელობების ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავდით, პრაქტიკულად არ დადასტურდა. საგულისხმოა, რომ მხოლოდ ფრანგულ ენასთან მიმართებით, „ლინგვო 12-ის“ ფრანგულ-რუსულ სექტორში სიტყვისთვის „ფრინველი“ (oiseau) გამოვლინდა სპეციალიზებული სიტყვათხმარება: „ტიპი, სუბიექტი“ –) *разг.* тип, типчик თავისი შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითებით: oiseau rare — незаменимый человек; необыкновенный человек (*часто ирон.*) - სიტყვასიტყვით „იშვიათი ფრინველი“; drôle d'oiseau — странный тип - სიტყვასიტყვით „უცნაური ფრინველი“; და vilain oiseau — подозрительный, неприятный тип - „საეჭვო / უსიამოვნო ტიპი“, სადაც, ნორვეგიული და სხვა ენების დარად, შეგვიძლია დადასტურებულად მივიჩნიოთ ეკვივალენტობა სიტყვის bird იმ კონკრეტულ მნიშვნელობასთან, რომელიც „პიროვნებას“, „ადამიანს“ აღწერს.

ამდენად, სიტყვა „ფრინველის“ ანალიზისას რომანული ენების ლექსიკური მასალა (იტალიური *uccello*, ესპანური *ave, pájaro*) უფრო დეტალურად აღარ გაგვიანალიზებია და სხვადასხვა ენებში ამ სიტყვის სინონიმების ცალკეულ მნიშვნელობათა შორის ეკვივალენტობის შეფასებისას მხოლოდ გერმანიკული ენებით შემოვიფარგლეთ.

წინამდებარე III თავში ჩატარებული ანალიზის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ გერმანიკულ (და ზოგადად ევროპულ) ენებში არსებით სახელთა ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტობის ხარისხი, ასე ვთქვათ, ვარირებს. ამაში ახალი არაფერია: ხშირად აღნიშნულა, რომ სრული ეკვივალენტობა და სრული სინონიმურობა ენაში, პრაქტიკულად, არც არსებობს. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ისევე როგორც ზედსართავი სახელების ანალიზისას, გამოიკვეთა გარკვეული დიქოტომია ეკვივალენტობის ხარისხში სხვადასხვა გერმანიკული და ევროპული ენების სინონიმურ არსებით სახელთა ცალკეულ მნიშვნელობებს შორის:

ერთმხრივ, არსებითი სახელების ეკვივალენტობა დამაკმაყოფილებელი იყო მნიშვნელობის ეკვივალენტების დონეზე – მაგ. სიტყვა „ხელის“ შემთხვევაში, ინგლისურ სიტყვას **hand** („ხელმძღვანელობის“, „მართვის“, „მფლობელობის“ სემანტიკით) მნიშვნელობის ეკვივალენტის დონეზე შეესატყვისებოდა გერმანული **die Hand** (*übertr.: Symbol des Regierens, Leitens*⁷⁸); ნეგატიური შედეგის შემთხვევაშიც კი, მნიშვნელობის ეკვივალენტის დონეზე ინგლისურ სიტყვას **hand** („სათის ისრის“ მნიშვნელობით) შეესატყვისებოდა ერთი (დიდი-დიდი ორი) გერმანული სიტყვა: **Zeiger, Uhrzeiger** (რაც დამაკმაყოფილებელ შედეგად უნდა ჩაითვალოს).

მეორე მხრივ, ეკვივალენტობა აქაც ნაკლები იყო თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე. მაგალითად, იმავე ინგლისურ სიტყვას **hand** („მუშის“, „მუშაკის“, მნიშვნელობით) გერმანული წყაროებიდან (*ინგლისურ-გერმანული ლექსიკონები, პარალელური კორპუსები*) მოპოვებულ სხვადასხვა კონტექსტებში შეესატყვისებოდა სხვადასხვა თარგმნითი ეკვივალენტები: **der Arbeiter** („მუშა, მომუშავე“); **der Helfer** („დამხმარე“, „თანაშემწე“); **die Arbeitskraft** („სამუშაო ძალა“,

⁷⁸ რაც ნიშნავს: „ხელი (გადატ. მართვის, ხელმძღვანელობის სიმბოლო)“

„მუშახელი“) და ა.შ. აქ, მნიშვნელობის ეკვივალენტების დონეზე, როგორც ვხედავთ, ლექსიკურ-სემანტიკური არაიზომორფულობა აშკარად მეტია.

მთლიანობაში, გაანალიზებული მასალის კვლევამ გვაჩვენა, რომ გერმანიკულ არსებით სახელთა ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტობა წარმოდგენილია ან (ა) ნულოვანი და ნულოვანთან ახლოს მყოფი, „ნულისკენ მიმსწრაფი“ ეკვივალენტობის სახით (სხვა ენებში არალექსიკალიზებული ცნებების/სიტყვების შემთხვევაში [იხ. აგრ. ზემოთ]); ან (ბ) ნაწილობრივი ეკვივალენტობის სხვადასხვა ხარისხით, კერძოდ პოლისემიური სიტყვების ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე.

თავი IV. ენობრივი ეკვივალენტობის საკითხები გერმანიკული და სხვ. წარმოშობის ზმნების მაგალითზე

წინამდებარე თავში წარმოვადგენთ და მიმოვიხილავთ ინგლისური და ზოგიერთი გერმანიკული და სხვ. ენების სინონიმურ ზმნათა შორის ენობრივი ეკვივალენტობის კვლევის შედეგებს.

ზმნები, ზედსართავების დარად, როგორც აღნიშნა, რთული და (განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიულ-მთარგმნელობითი თვალსაზრისით) „პრობლემური“ სემანტიკური პროფილის მქონე სიტყვებად მიიჩნევა. მეტყველების ორივე ამ ნაწილს, როგორც ითქვა, პრედიკატულ სიტყვებსაც უწოდებენ. ზედსართავების დარად, ზმნები ნიშან-თვისებას, ამ კერძო შემთხვევაში, მოქმედების ან მდგომარეობის ნიშან-თვისებას ასახევენ (უფიმცევა, 1986). რამდენადაც ნიშან-თვისება, რომელსაც პრედიკატული სიტყვები (ამ შემთხვევაში, ზმნები) აღნიშნავენ, აბსტრაქტულ, არამატერიალურ და არახელშესახებ დენოტატს წარმოადგენს, შესაბამისად, ამგვარი სახელდების შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ენაში მეტი შესაძლებლობა არსებობს მოლაპარაკეთა მიერ სხვადასხვაგვარი მიდგომების გამომუშავებისა, ნაკლები შანსია დეტერმინირებულობისა და ერთგაროვნებისა და მეტი შესაძლებლობა იქმნება გარკვეული სახელდებითი სუბიექტივიზმის გამოჩენისა და ამდენად სხვადასხვაგვარი ემოციური და კონოტაციური შეფერილობის, და აგრეთვე (სინონიმურობის დონეზე) სხვადასხვა სემანტიკური არეების მქონე სიტყვების შექმნისა. ჩვენი აზრით, ზმნების სემანტიკური პროფილის ინდივიდუალურობას ცალკეულ ენებში ეს გარემოებაც იწვევს. ამავე დროს, ცალკე აღებულ ენებში მრავალი ზმნის მნიშვნელობები, აღნიშნული ინდივიდუალობიდან გამომდინარე, უფრო ვიწრო და კონკრეტულია, მათი სემანტიკური არეები ნაკლებად ვრცელია და ენათშორის-სინონიმური ზმნების სემანტიკურ არეთა გადაკვეთის „ფართობი“ (მნიშვნელობათა დამთხვევის ხარისხს ვენის დიაგრამის სახით თუ წარმოვადგენთ) ზოგადად ნაკლებია ხოლმე.

ზოგიერთი ტიპის ზმნა განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ლექსიკოგრაფისა და მთარგმნელისთვის, რამდენადაც ისინი აღსანიშნისადმი მოლაპარაკის დამოკიდებულებას გამოხატავენ, კერძოდ ასახევენ მოლაპარაკის მიერ ბგერის,

სინათლის, მოძრაობისა და სიჩქარის აღქმის თავისებურებებს (სნელ-ჰორნბი, 1984); ციტირებული ავტორი ამგვარ ზმნებს „აღწერით ზმნებს“ (descriptive verbs) უწოდებს (სნელ-ჰორნბი 1984: 275).⁷⁹

დენოტაციის ენობრივი სპეციფიკურობის, სახელდებითი მიდგომის ცალკეულ ენათა მიხედვით განსხვავებულობისა და სემანტიკური ველების სივიწროვის საილუსტრაციო კარგ მაგალითს ხმაბაძვითი და ზოგადად ხმის/ზგერის აღქმის თავისებურებათა ამსახველი ზმნები წარმოადგენს. ასე მაგალითად, ინგლისური ზმნის to clink⁸⁰ შემთხვევაში, მისი *მნიშვნელობის ეკვივალენტად* სალექსიკონო სიტყვა-სტატიის მეთაურ სიტყვად შეგვეძლო დაგვეწერა დაახლოებით შემდეგი: „*მკვეთრი, წკრიალა ხმის გამოცემა (მყარი საგნების ერთმანეთთან მიხლის / შეჯახების შედეგად)*“. თუ ამ ინგლისური ზმნის სემანტიკას ამგვარი *მნიშვნელობის ეკვივალენტის* (სხვაგვარად, *აღწერითი/განმარტებითი ეკვივალენტის*) [იხ. აგრ. ზემოთ] ფარგლებში გავიაზრებდით, შეგვეძლო მიგვეჩნია, რომ ამ დონეზე ეს ინგლისური და ქართული ენათშორისი სინონიმები ერთმანეთის ეკვივალენტურია. მაგრამ როდესაც საქმე კონკრეტულ კონტექსტებამდე მიდის, როდესაც ამ ზმნის კონკრეტული თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტის შერჩევა ხდება საჭირო, ვაცნობიერებთ, რომ მის სათარგმნად ცალკეულ შემთხვევებში სულ სხვადასხვა ქართული ზმნა გვჭირდება იმისდა მიხედვით, თუ რაზეა საუბარი, ჭიქების *წკრიალზე*, გასაღებების *ჩხარუნზე*, ხურდა ფულის *ჩხრიალზე* თუ ლითონის ან სხვა რაიმე მყარი მასალისგან შემდგარი საგნების ერთმანეთზე მირტყმა-შეჯახების შედეგად გამოცემულ ხმებზე. ეკვივალენტობის თვალსაზრისით ასეთივე ურთიერთმიმართებაა ამ ზმნასა და მის სინონიმებს შორის სხვა გერმანიკული ენებიდან. გერმანულშიც, ამ ზმნის შესატყვისობა ცალკეულ კონტექსტებში შეიძლება იყოს ან klingen, ან klirren, ან klappern, იმისდა მიხედვით, თუ რა სახის და რა მასალის საგნებზეა საუბარი. ასევე, ამ ინგლისური ზმნის, (to) clink ნიდერლანდური თარგმნითი/კონტექსტუალური ეკვივალენტები შეიძლება იყოს klikken, kletteren,

⁷⁹ ასეთი ზმნების მაგალითად ავტორს მოჰყავს bustle, nag, prowl, gleam ინგლისურდან და huschen, keifen, scheppern გერმანულიდან.

⁸⁰ To make the sharp abrupt metallic sound (ოქსფორდი, 1989), to make or cause to make a light and sharply ringing sound (კოლინზი, 2006).

tingelen და სხვა. ამავე ზმნის შვედური თარგმნითი ეკვივალენტები ცალკეულ შემთხვევებში/კონტექსტებში იქნება klinga, klirra, skramla და სხვ.⁸¹

ამდენად, ინგლისური ზმნა to (clink) როგორც გერმანიკულ (წყარო) ენებთან, ასევე ქართულთან (სამიზნე ენასთან) მიმართებით, მეტ ეკვივალენტობას ავლენს მნიშვნელობის ეკვივალენტების დონეზე, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებს – თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე. ასევე განაწილდება გერმანული, ნიდერლანდური, შვედური, ნორვეგიული და ქართული შესატყვისობები ბერის/ჟღერის აღმნიშვნელი ანალოგიური ინგლისური ზმნების chink, clank, clang, clatter, jingle, rattle და მისთ. თარგმნის დროსაც.

მსგავსივე და ასეთივე საინტერესო სურათი გვაქვს კიდევ ერთი ინგლისური ხმაბაძვითი ზმნის, (to) squawk შემთხვევაში. ეს ზმნა დაახლოებით აღნიშნავს ხმამაღალ ყვირილს/ძახილს, უპირატესად ფრინველის მიერ გამოცემულს. ასევეა მისი მნიშვნელობა გადმოცემული (მნიშვნელობის ეკვივალენტის დონეზე) ინგლისურ-გერმანულ, ინგლისურ-ნიდერლანდურ, ინგლისურ-შვედურ და სხვა ლექსიკონებში (მაგ. გერმ. kreischen, შვედ. skria, klagla högljutt, ნიდერლ. krijzen, schril schreeuwen⁸²). მაგრამ ცალკეულ კონტექსტებში ეს ზმნა ყოველ ცალკეულ ენაში სულ სხვადასხვა შესატყვისობას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ინგლისური ზმნა (to) squawk ლექსიკოგრაფიული და კორპუსული მონაცემების მიხედვით (ბრიტანული ნაციონალური, 2007, სკეჩ-ენჯინი, 2003), შეიძლება აღწერდეს ბატის, თუთიყუშის, ქათმის, ფარშევანგის და სხვ. „ხმამაღალ ყვირილს“. შესაბამისად, მისი თარგმნითი ეკვივალენტები უნდა იყოს „ყიყინის“, „ჩხავილის“, „კრიახის“, „ყივილის“ ან „კივილის“ შესატყვისობები ცალკეულ ენებში (მაგ. quäken, gackern, schnattern გერმანულში, kackla, kvacka, snattra და სხვ. შვედურში, kraaien, kwaken, kakelen, snateren და სხვ. ნიდერლანდურში და ა.შ.) და არა ზოგადად „ხმამაღალი ყვირილის“ სემანტიკის მქონე მნიშვნელობები. როგორც ვრწმუნდებით, თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე ლექსიკურ-სემანტიკური იზომორფულობა აქაც ფრიად მცირეა.

⁸¹ ყველანი (სხვადასხვა ნიუანსებით) დაახლ. „წკრიალის“, „წკარუნის“, „ჩხარუნის“, „ჩხაკუნის“, „ჩხრიალის“ და ა.შ. მნიშვნელობით.

⁸² ყველა ეს ზმნა დაახლოებით „ხმამაღალ ყვირილს“ ნიშნავს.

მოძრაობის და სიჩქარის აღქმის თავისებურებათა ამსახველი ზმნებისა და მათს სხვა ენებზე გადმოცემასთან დაკავშირებულ პოტენციურ სირთულეთა კარგ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს რუსული ზმნა **снoвaть**⁸³. რუსული განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით, ამ ზმნის მნიშვნელობაა *Торопливо двигаться туда и сюда (ოუეგოვი, 1989); Торопливо двигаться взад и вперед, в разных направлениях (ლინგვო-12, 2006)*.⁸⁴ ორენოვან რუსულ-უცხოენოვან ლექსიკონებში განმარტებითი ეკვივალენტების დონეზე ამავე ზმნის მნიშვნელობა შესაბამისად გადმოცემულია, როგორც „აქეთ-იქით სიარული“, „მისვლა-მოსვლა“: *ინგლ.* to move to and fro, run about, buzz about; move to and fro; bustle about; *გერმ.* hin und her laufen, hin und her eilen (*ლინგვო-12, 2006*), hin- und herlaufen (*რუსულ-გერმანული, 1989*); *შვედ.* röra sig hit och dit „აქეთ-იქით მოძრაობა“ (*რუსულ-შვედური, 1976*) და *ა.შ.* მაგრამ ამ განმარტებებში ნაკლებად ჩანს ამ ზმნის კონოტაცია, რომელიც მისი მნიშვნელობის რამდენადმე ირონიულ, ზოგ შემთხვევაში შეიძლება აგრ. კიცხვით, ნიუანსს გამოხატავს, რის გადმოსაცემადაც ზოგ შემთხვევაში ქართული „ფუსფუსი“ ან „სუნსული“ შეიძლება უფრო კარგი ეკვივალენტი იყოს. ამგვარი რამდენადმე ირონიული კონოტაცია ზმნისა **снoвaть** კარგად ჩანს, ვთქვათ, „რუსული ენის ეროვნულ კორპუსში“ შეტანილ მასალაში (*რუსული ენის, 2004*).

ამისდა საპირისპიროდ, მეტი ლექსიკურ-სემანტიკური იზომორფულობა და ეკვივალენტობა დასტურდება ისეთი სემანტიკური პროფილის ზმნებს შორის, როგორითაც ხასიათდება მაგალითად ინგლისური ზმა (to) dream და მისი შესატყვისობები სხვა გერმანიკული (და ზოგიერთი სხვა ევროპული) ენებიდან. **არსებითი სახელის** dream მსგავსად [*იხ.* ზემოთ], ამ **ზმნის** შესატყვისობები გერმანულ (träumen), ნიდერლანდურ (dromen), *შვედურ* (drömma), ნორვეგიულ (drømme), ისლანდიურ (dreyma) და იტალიურ (sognare) ენებში ნიშნავს როგორც „დასიზმრებას“, ასევე „ოცნებას“.

ეს სემანტიკური თავისებურებაც, სავარაუდოდ, ერთნაირი ენობრივი აზროვნების, ამ ენებზე მოლაპარაკეთა მიერ გარემომცველი რეალობის ერთნაირი ან

⁸³ ეს ზმნა თავისი სემანტიკით რამდენადმე ახლოსაა მერი სნელ-ჰორნზის მიერ ციტირებულ ერთ-ერთ ზმნასთან (to) bustle [*იხ.* ზემოთ].

⁸⁴ *დაახლ.* „სწრაფად აქეთ-იქით/სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა“.

მსგავსი გააზრების შედეგი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ გერმანიკულ ენებში მაინც (ინგლისური, გერმანული, შვედური და ისლანდიური ეტიმოლოგიური ცნობარების მიხედვით) ეს სიტყვა/ძირი თავიდანვე ნიშნავდა როგორც „სიზმარს“, ასევე „ოცნებას“. ყოველ შემთხვევაში, რაიმე მინიშნება ამ ორი მნიშვნელობის გამიჯვნის, ან ერთის მეორისგან მოგვიანებით განვითარების შესახებ აღნიშნულ ეტიმოლოგიურ ცნობარებში არ მოიპოვება. თავად ამ ძირის (რომელიც წარმოდგენილია შემდეგ *არსებითებში*: ძვ. ინგლ. dream, ძვ. სკანდ. draumr, ძვ. ზემ. გერმ. troum და სხვ.) ეტიმოლოგიური წარმომავლობა და მნიშვნელობა „სიხარულს“, „მხიარულებას“, „გართობას“, „მუსიკას“ უკავშირდება და სხვა ინდოევროპული ენებიდან, როგორც ითვლება, ენათესავება, მაგალითად, ბერძნულ სიტყვას thulos „ხმაური“.

საინტერესოა, რომ ქართულ და, ვთქვათ, რუსულ ენებში ამ ორ ცნებას სულ სხვადასხვა არსებითები შეესატყვისება: „სიზმარი“ /сон, сновидение და „ოცნება“ /мечта, грёза. შესაბამისად, ლექსიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტობა ინგლისურ ზმნას (to) dream და მის ქართულ და რუსულ შესატყვისობებს შორის შედარებით დაბალი იქნება.

არსებით სახელებზე საუბრისას თარგმანი ვახსენეთ⁸⁵ და აქაც გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ წყარო ენისა და სამიზნე ენის სინონიმებს შორის ეკვივალენტობის ნაკლებობა მთარგმნელებს ხშირად რთული ამოცანების წინაშე აყენებს, რაც ზოგჯერ თარგმანში გარკვეული უზუსტობების მიზეზი ხდება ხოლმე. ასე მაგალითად, ცნობილ ამერიკელ მწერალ ფილიპ დიკის საკულტო სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანის *Do Androids Dream of Electric Sheep?* სახელწოდება რუსულად ითარგმნა (არსებობს ბეჭდური რუსული წიგნები ასეთი სათაურით) როგორც «Мечтают ли андроиды об электроовцах?», მაშინ როდესაც ნაწარმოების ფაბულისა და საერთო თემატიკის ანალიზიდან ცხადი ჩანს, რომ აქ უფრო „დასიზმრება“ უნდა იგულისხმებოდეს.⁸⁶ რუსული თარგმანის ამ უზუსტობის მიზეზი კი (მთარგმნელის უყურადღებობასთან ერთად) რუსულ ენაში ინგლისური

⁸⁵ არსებითების niece და nephew თარგმნასთან დაკავშირებით.

⁸⁶ მაგ. რომანის ნიდერლანდური თარგმანის სახელწოდებაა De elektrische nachtmerrie, რაც (როგორც ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს) „ელექტრულ კოშმარს“ ნიშნავს.

ზმნის (to) dream ზუსტი ეკვივალენტის არარსებობაც (ან სხვადასხვა მნიშვნელობების მქონე ორი სხვადასხვა ეკვივალენტის არსებობა) გახლავთ.

მხატვრული ლიტერატურის სფეროდან კვლავ არანაკლებ მიმზიდველ და საინტერესო ენათმეცნიერებისა და ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის სფეროს თუ დავუბრუნდებით და ენათშორისი სინონიმების ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხის გაანალიზებას განვაგრძობთ, უნდა აღინიშნოს, რომ სრული ეკვივალენტობა არც ინგლისურ ზმნას (to) dream და სხვა გერმანიკულ ენებში მის შესატყვისობებს (*გერმ.* träumen, *ნიდერლ.* dromen, *შვედ.* drömma და *სხვ.*) შორის არ არსებობს. ასე მაგალითად, ინგლისურ ზმნას (to) dream up „გამოგონება“, „შეთხზვა“ სხვა გერმანიკულ ენებში შეესაბამება: *ნიდერლ.* verzinnen, *შვედ.* tänka ut ან hitta på, *ნორვ.* komme opp med⁸⁷ *ისლანდ.* finna upp, ან skapa (ამ უკანასკნელის ძირითადი მნიშვნელობაა „შექმნა“⁸⁸) და *ა.შ.*

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბგერებისა და მოძრაობის აღქმის თავისებურებათა აღმნიშვნელ ოდნავ ზემოთ განხილულ ზმნებთან შედარებით, ინგლისური dream ზმნა მთლიანობაში მაინც გაცილებით მეტ ლექსიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტობას ავლენს თავის ენათშორის სინონიმებთან (träumen, dromen, და *ა.შ.*) სხვა გერმანიკული ენებიდან.

მთლიანობაში, მეტყველების ამ ნაწილის სემანტიკაზე მუშაობამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ზმნების შემთხვევაშიც შეიძლება გამოიყოს დაახლოებით ორი ჯგუფის ლექსიკა: პირველ ამ ჯგუფში პირობითად შეიძლება შევიტანოთ ის ზმნები, რომლებიც რეალობის ასახვისადმი მეტად ინდივიდუალურ მიდგომას გამოხატავენ [*იხ.* ზემოთ] და, შესაბამისად, სხვა ენებში ლექსიკალიზებული, პრაქტიკულად არ არის (განსაკუთრებით თარგმნითი/კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე); მაგალითად შეიძლებოდა მოგვეყვანა იგივე გერმანული scheppern, ინგლისური squawk, clank, რუსული шовать და *ა.შ.*, ანუ ზმნები, რომლებიც მართლაც მოლაპარაკის მიერ ბგერის, ჟღერადობის, მოძრაობის და *მისთ.* აღქმის თავისებურებებს გამოხატავენ და ამასთან დაკავშირებული გარდაუვალი

⁸⁷ საინტერესოა, რომ ეს ნორვეგიული ზმნა სემანტიკურად და მორფოლოგიურად ზუსტად ემთხვევა ინგლისურ ფრაზულ ზმნას (to) come up with.

⁸⁸ *შდრ. გერ.* schaffen.

სუბიექტივიზმის შედეგად ცალკეულ ენებში სხვადასხვა სემანტიკური პროფილებით ხასიათდებიან.

მეორე ჯგუფში კი შეგვეძლო შეგვეტანა ზმნები, რომლებიც შედარებით უნივერსალურ ცნებებსა და რეალობებს აღნიშნავენ და, შესაბამისად, ენათშორისი სინონიმების დონეზე მეტ ლექსიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტობასაც ავლენენ როგორც მნიშვნელობის ეკვივალენტების, ასევე პოლისემიური ზმნების ცალკეული მნიშვნელობებისა და, ხშირ შემთხვევაში, აგრეთვე თარგმნითი/კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე.

აღნიშნულ დასკვნამდე ჩვენ (დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობისა და სხვადასხვა ენების ლექსიკაზე დაკვირვების მრავალწლიანი გამოცდილების გარდა) უშუალოდ მოცემულ სადისერტაციო ნაშრომის მოსამზადებელ პერიოდში და მისი წერის პროცესში ჩატარებულმა ლექსიკურ-სემანტიკურმა ანალიზმაც მიგვიყვანა. კონკრეტულად, წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში სულ გაანალიზდა 20 ზმნა⁸⁹ მათ შორის ზმნები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობები: „გატეხა“; „გატყდომა“ (*ინგლ.* break; *გერმ.* brechen, zerbrechen; *შვედ.* bryta, bräka, brista; *ნიდერლ.* breken, verbreken, kraken და *სხვ.*); „გაქცევა“, „დასხლტომა“, „გა<მო>პარვა“ (*ინგლ.* escape; *გერმ.* laufen, weglaufen, entkommen და *სხვ.*; *შვედ.* fly, rymma, undkomma და *სხვ.*; *ნიდერლ.* uitwijken); „დარჩენა“ (*ინგლ.* stay, remain; *შვედ.* stanna, bli kvar; *ნიდერლ.* blijven); „მიხვედრა“, „გაგება“ (*ინგლ.* understand; *გერმ.* verstehen; *შვედ.* förstå; *ნორვ.* forstå; *ნიდერლ.* begrijpen, vatten); „დათანხმება“ (*ინგლ.* agree; *გერმ.* einwilligen, eniverstanden sein, zustimmen; *ნიდერლ.* overeenkomen; *შვედ.* överenskomma, enas, vara ense) და *ა.შ.*

დეტალურად შესწავლილი 20 ზმნიდან აქ მხოლოდ ზოგიერთის ანალიზის შედეგს მოვიყვანთ. რამდენადაც წინა თავებში შედარებით ვრცლად ავსახეთ ჩვენი ლექსიკოლოგიურ-სემანტიკური კვლევის პროცესი და ამჟამად უფრო ჩვენეული კვლევის უშუალო შედეგებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

რამდენადაც ენათშორისი სინონიმის დონეზე ნაკლები ეკვივალენტობის მქონე ზმნები ზემოთ უკვე განვიხილეთ, ახლა გადავხედოთ ზმნებს, რომლებიც ჩვენი

⁸⁹ როგორც ითქვა, ჩვენ მიერ გაანალიზებული იქნა 20-20 მეტყველების ნაწილი: 20 ზედსართავი, 20 არსებითი სახელი და 20 ზმნა, სულ 60 სიტყვა, წარმომადგენელი ამ მეტყველების სამი ნაწილისა.

კლასიფიკაციით მეორე ჯგუფის ზმნებს განეკუთვნებიან, შედარებით უნივერსალურ ცნებებს ასახავენ და თავიანთ ენათშორის სინონიმებთანაც შედარებით მეტ ლექსიკურ-სემანტიკურ იზომორფულობასა და ეკვივალენტობას ავლენენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო ზმნის „გატეხა/გატყდომა“ მნიშვნელობათა ანალიზი, ვინაიდან „გატეხის“ ცნება აზრობრივად საკმაოდ ახლოს დგას მატერიალურ საგნებთან (რომლებიც შეიძლება გატყდეს, ასე ვთქვათ); შესაბამისად, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ამ ზმნის ძირითადი მნიშვნელობიდან განვითარებული გადატანითი მნიშვნელობები, რომლებიც „რისამე მთლიანობის დარღვევის“, „უწყვეტობის/განგრძობითობის დასრულების“, „ხელშეუხებლობის ხელყოფის“ [შდრ. აგრ. (მარგალიტაძე, 2013)] და მისთ. იდეას გამოხატავენ, ადამიანის აზროვნების თავისებურებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იქნებოდა როგორც ინგლისურ, ასევე მის სხვა მონათესავე გერმანიკულ ენებში.

ზმნასთან (to) break და სხვ. დაკავშირებით გვინდა უშუალოდ ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხის გარდა ერთ უფრო ზოგად ლინგვისტურ საკითხსაც შევეხოთ. ჩვენი დაკვირვებით, ენაში, მისი პრაქტიკულ-უტილიტარული დანიშნულებიდან გამომდინარე (რაზეც წინამდებარე ნაშრომის დასაწყისშიც ვისაუბრეთ), უპირველესად ვითარდება კონკრეტული, მატერიალურ სამყაროსთან დაკავშირებული სიტყვები. აბსტრაქტული მნიშვნელობები ენაში კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარების გზით გამომუშავდება. ასე მაგალითად, ლათინური initiare „დაწყება“ სიტყვასიტყვით „შიგნით შესვლას“ ნიშნავს; ინგლისური ზმნების (to) postpone და (to) put off კონკრეტულ-ხელშესახები მნიშვნელობა „გადადება“, „სხვა ადგილას დადება“. სპექტაკლის, სპორტული შეჯიბრების ან სხვა რაიმე ღონისძიების „გადადებაზე“ როცა ვსაუბრობთ, კონკრეტული, ფიზიკური მოვლენის აღმნიშვნელ ზმნას გადატანითი, აბსტრაქტული მნიშვნელობით ვხმარობთ. ღონისძიების დათქმული ვადის ნაცვლად მოგვიანებით ჩატარება სულაც არ არის იგივე, რაც, ვთქვათ, წიგნის მაგიდის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოზე გადადება იქნებოდა. ასეთ შემთხვევებში ჩვენ არამატერიალურ მოვლენას მატერიალური მოქმედებების აღმნიშვნელი ტერმინებით აღვწერთ.

ანალოგიური სიტყვათშემოქმედებითი სქემა განსაკუთრებით კარგად ჩანს სწორედ ზმნის (to) break მაგალითზე. ამ ზმნის პირდაპირი, მნიშვნელობაა „რისამე ფიზიკურად გატეხა“ - ფრიად კონკრეტული ქმედება. ამ კონკრეტული მნიშვნელობიდან ინგლისური ენის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა „შეწყვეტის“, „დარღვევის“, „ხელყოფის“ და *მისთ.* რამდენადმე უფრო განყენებული მნიშვნელობები. ჩვენი აზრით, ეს ადამიანის აზროვნების ყაიდის უნივერსალური თვისებაა და შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ სიტყვათშემოქმედებითი აქტივობის პროცესში ეს სქემა სხვა ენებშიც „იმუშავებდა“ და (to) break - „გატეხა“ > (to) break - „შეწყვეტა“, (to) break - „გატეხა“ > (to) break - „დარღვევა“ და *მისთ.* ტიპის მნიშვნელობების წარმოქმნა სხვა ენებშიც დადასტურდებოდა. ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით ეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ასეც აღმოჩნდა. ამდენად, (to) break ტიპის პოლისემიური ზმნების ენათშორისი სინონიმების შედარებით მეტი ეკვივალენტობა ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე გასაკვირად და მოულოდნელად აღარ უნდა მოგვეჩვენოს.

ახლა კი გადავიდეთ თავად ზმნა „გატეხა“, „გატყდომის“ მნიშვნელობათა უშუალო ანალიზზე, რომელ ზმნასაც ინგლისურში, ჩვენს „შუამავალ ენაში“, ზმნა (to) break შეესატყვისება.

ზმნა „გატეხა/გატყდომა“ (ინგლ. break, გერმ. brechen, zerbrechen, შვედ. *ნორვ.* brekke, bryte და სხვ.)

ინგლისური სემანტიკა

„გატეხის“/„გატყდომის“ აღმნიშვნელ ინგლისურ ზმნას დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (*ინგლისურ-ქართული*, 2010) შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები აქვს:

1. 1) გატეხა; to break a rod [a stick] წკეპლის [ჯოხის] გატეხა; to break in two შუაზე გადატეხა; to break one's leg ფეხის მოტეხა;
- 2) გატყდომა; the bench broke სკამი გატყდა;
2. დამტვრევა; დამსხვრევა; to break dishes ჭურჭლის დამტვრევა; to break in(to) pieces ნაწილებად დამტვრევა; the vase broke ლარნაკი დაიმსხვრა;

3. გარღვევა; გაწყვეტა; გაწყდომა; გაგლეჯა; to break the enemy front მოწინააღმდეგის ფრონტის ხაზის გარღვევა;
4. გაფუჭება, გატეხა; გაწყდომა; მოშლა; to break a clock საათის გაფუჭება / გატეხა;
5. 1) შეწყვეტა, დარღვევა; to break silence დუმილის დარღვევა;
- 4) ელექტრ. გაწყვეტა (დენისა); განროვა (წრედისა);
6. სადმე შეჭრა, რისამე შემტვრევა; to break into a house სახლში შეჭრა; the store was broken into მაღაზია გაძარცვეს;
8. გაფანტვა; გავლა; clouds broke ღრუბლები გაიფანტა; darkness broke წყვდიადი გაიფანტა;
9. 1) დადგომა, დაწყება; the day / dawn / broke გათენდა / ირიჟრაჟა;
- 2) ამოვარდნა, ატყდომა; ten minutes later the storm broke ათი წუთის შემდეგ ქარიშხალი ამოვარდა;
10. გაღარიბება, გაკოტრება;
11. გაქცევა; to break (out of) prison საპატიმროდან გაქცევა;
12. აღმოხდომა; a cry broke from her lips ყვირილი აღმოხდა ბაგეთაგან;
13. ღვის გამოტანა / სკდომა; the buds are breaking კვირტები სკდება;
14. საუბ. მოხდომა; შემთხვევა; და ა.შ.

II ა

1. გატეხა (გატეხს), დარღვევა (სიტყვისა, დაპირებისა, კანონისა და ა.შ.); to break one's word სიტყვის გატეხა; to break a law [a contract] კანონის [ხელშეკრულების] დარღვევა; to break an oath ფიცის გატეხა;
 2. 1) დაცალკევება, დაშლა (თხულებათა კრებულისა, კოლექციისა და ა.შ.); to break a set კომპლექტის / ნაკრების დაცალკევება; რკ.-გ ზ. შემადგენლობის დაშლა;
 4. (1) ცნობება (აცნობებს), უწყება, შეტყობინება; he broke the news of her husband's death to her მან ქალს ქმრის სიკვდილის ამბავი აცნობა; to break a secret საიდუმლოს გამომჟღავნება; he broke his purpose to me მან გამიმხილა თავისი გეგმები; to break one's mind to smb. ვინმესთვის გულის გადაშლა;
- ამ მნიშვნელობას შეიძლება დაემატოს ინტრანზიტიული მნიშვნელობა:*

(2) გახმაურება (გახმაურდება), გამჟღავნება; ◉ ცნობილი გახდა; მაგ. ოქსფორდის შემოკლებული ორტომეულიდან: come suddenly to notice; [...] (of news etc.) be made known (ოქსფორდი, 2007); შდრ. აგრ. breaking news ამავე „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან“;

5. გაფხვიერება, გაფაშრება (ნიადაგისა, გრუნტისა); to break the ground მიწის ხვნა, ყამირის გატეხა;

6. ცხენის გახედნა (აგრ. to break in); წვრთნა; [...]

12. აქნა, ნაწილებად დაჭრა (ფრინველისა, ნანადირევისა);

13. სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმება, ანდერძის ანულირება; და ა.შ.

გერმანული სემანტიკა

გერმანულში brechen ზმნისთვის დასტურდება ზემოთ მოყვანილი ძირითადი, „სტანდარტული“ მნიშვნელობების დიდი ნაწილი (დუდენი, 2011, გერმანულ-რუსული, 1969, ინგლისურ-გერმანული, 2006, ფრი-დიქშენერი, 2003):

1. გატეხა; გატყდომა; მომტვრევა [etwas Hartes, Sprödes durch starken Druck, durch Anwendung von Gewalt in [zwei] Stücke teilen, durchtrennen (დუდენი, 2011)]; ein Bein brechen „ფეხის მოტეხა“;

2. დამტვრევა;

3. შეთანხმების და მისთ. დარღვევა; sein Wort brechen „სიტყვის გატეხა“; „პირობის არშესრულება“;

4. გარღვევა; გაწყვეტა; განგრევა (დაცვის ხაზისა და სხვ.); [etwas, was sich als Barriere darstellt, durchbrechen, überwinden (დუდენი, 2011)]; ein Loch durch die Mauer brechen „კედელში ხვრელის გაკეთება“; „კედლის გამონგრევა / შენგრევა“;

5. მიწის გაფხვიერება; den Acker brechen „პირველი ხნულის გავლება“; „ყამირის მოხვნა“;

6. თავის დაღწევა; გამოღწევა; საიდანმე გამოვარდნა; die Sonne brach aus den Wolken ღრუბლებიდან მზემ გამოანათა; Hinterhalte brechen ჩასაფრების ადგილიდან მოულოდნელად თავდასხმა; და ა.შ.

შვედური სემანტიკა

შვედურ ენაში ზმნის „გატეხა“ ძირითადი შესატყვისობაა ზმნა (att) bryta (რომლის სინონიმებადაც ზოგიერთ კონტექსტში შეიძლება bräka, brista ზმნებიც იხმარებოდეს). ზმნის (att) bryta მნიშვნელობებიდან შეიძლება გამოიყოს ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობა (*შვედურ-ინგლისური*, 2012, *ინგლისურ-შვედური*, 2012, *შვედურ-რუსული*, 1949 და სხვ.):

1. გატეხა; მოტეხა; bryta armen ხელის მოტეხა;
2. *კანონის და მისთ.* დარღვევა; bryta kontraktet კონტრაქტის დარღვევა; bryta ett löfte პირობის დარღვევა, სიტყვის გატეხა; bryta mot lagen კანონის დარღვევა;
3. შეწყვეტა; გაწყვეტა (*დუმილისა, ძილისა, ელექტრული წრედისა*);
4. ყამირის გატეხა; მიწის დამუშავება; bryta mark ყამირის გატეხა; bryta malm მადნის მოპოვება;
5. (*უკუქცევითი ზმნა, თანდებულთ in*) სადმე შეჭრა; bryta sig in;
6. *ვინესთან* ურთიერთობის გაწყვეტა;
7. (*თანდებულთ ut*) ამოვარდნა, ატყდომა; დაწყება; kriget bröt ut ომი ატყდა/დაიწყო; და ა.შ.

თითქმის ანალოგიური მნიშვნელობები დასტურდება შვედურთან ახლოს მდგომ ნორვეგიულ ენაში ზმნებისთვის bryte, brekke, რომლებიც აღნიშნავენ „გატეხას“, „გატყდომას“; ასეთსავე სურათს ვხედავთ ნიდერლანდურში (breken), ისლანდიურში (brjóta) ზმნებისთვის.

პოლისემიური ზმნის რამდენიმე ცალკეულ მნიშვნელობათა შორის დამთხვევები საკმაოდ ხელსაყრელია ორენოვანი ლექსიკონების სიტყვა-სტატიათა აგების თვალსაზრისით. ორენოვანი ლექსიკონების ფარგლებში სიტყვა-სტატიათა შედგენის სიადვილის და განხორციელებადობის ხარისხის დადგენა კი, როგორც ითქვა, ამ კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს.

მაგრამ შუამავალი ინგლისური ენისა და პოტენციური წყარო ენის პოლისემიური ზმნების (ზმნა „გატეხა“ იქნება ეს თუ ჩვენ მიერ გაანალიზებული ამ ტიპის სხვა ზმნები, რომლებიც, ნაშრომის მოცულობის მეტისმეტად გაზრდის თავიდან ასაცილებლად, აქ აღარ მოვიყვანეთ) ყველა მნიშვნელობა როდი ემთხვევა

ერთმანეთს. ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე ზმნათა მნიშვნელობებში არაეკვივალენტობა და არაიზომორფულობაც საკმაო დოზითაა წარმოდგენილი.

ასე მაგალითად, გერმანულად „სადმე შეჭრის“ ცნება (№6 ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ზმნის (to) break მნიშვნელობებიდან) გადმოიცემა ზმნით einbrechen; რა თქმა უნდა, ეს ზმნა იმავე ძირს, brechen „გატეხა“, „მტვრევა“ შეიცავს, მაგრამ ფორმალურად მაინც სხვა ზმნად უნდა ჩაითვალოს.

მნიშვნელობა „ღრუბლების გაფანტვა“; „გავლა“; „ამინდის შეცვლა“ და ა.შ. (№8 მნიშვნელობა ზემოთ) ნიდერლანდურში გადმოიცემა ზმნებით ophouden, tot een einde komen „შეწყვეტა“, „დამთავრება“; ან omslaan „რადიკალურად შეცვლა“ (ვან დალე, 2015); მაგ. het is opgehouden met regenen „წვიმა შეწყდა“, „წვიმამ გადაიღო“ (ibid.);

№4. მნიშვნელობა „გაფუჭება“, „გატეხა“; ისლანდიურად გადმოიცემა ზმნებით eyðileggja, skemma და სხვ. - „გაფუჭება“, „მწყობრიდან გამოყვანა“ (ისლანდიურ-ინგლისური, 2011).

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი №9, 1) მნიშვნელობა „დადგომა“, „დაწყება“; „დღის გათენება“ იმავე ნიდერლანდურ ენაში გადმოიცემა ეკვივალენტებით: plotseling beginnen, aanbreken (van dag) „მოულოდნელად დაწყება“, „დადგომა (დღის შესახებ)“ (ვან დალე, 2015).

№9, 2) მნიშვნელობა კი დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან - „ამოვარდნა“, „ატყდომა“ გერმანულში მოითხოვს ეკვივალენტს ausbrechen (დუდენი, 2011); შვედურში ეკვივალენტს bryta ut (რუსულ-შვედური, 2012); ნიდერლანდურში ეკვივალენტებს plotseling beginnen; losbreken, losbarsten (van storm); uitbreken „უეცრად დაწყება“; „ატყდომა“; „ამოვარდნა (ქარიშხლის შესახებ)“ (ვან დალე, 2015) და ა.შ.

№11 მნიშვნელობა „გაქცევა“ ნიდერლანდურში მოითხოვს ეკვივალენტს ontsnappen (ფრი-დიქშენერი, 2003, ვან დალე, 2015) ;

№IIა 4 (2) მნიშვნელობის „გახმაურება, „გამჟღავნება; ⊙ ცნობილი გახდა“ გადმოსაცემად კი ნიდერლანდურში საჭირო იქნება bekendgemaakt worden (van nieuws) (ვან დალე, 2015).

გარდა ამისა, გერმანულშიც, ნიდერლანდურშიც და სხვა გერმანიკულ ენებშიც „გატეხა“; „გატყდომის“ აღმნიშვნელ ზმნებს აქვთ მნიშვნელობები, რომლებიც ინგლისურ ზმას (to) break არ უდასტურდება და ინგლისურად სულ სხვა ზმნებითა თუ გამოთქმებით უნდა გადმოიცეს; მაგ. გერმანული „პირის ღებინება“ - er brach Blut „მას სისხლიანი პირღებინება ჰქონდა“ (გერმანულ-რუსული, 1969); „უცხოური აქცენტით ლაპარაკის“ მნიშვნელობა შვედურსა და ნორვეგიულში – მაგ. bryta på norska „ნორვეგიული აქცენტით ლაპარაკი“ (რუსულ-შვედური, 2012), და სხვ.

ამდენად, ეკვივალენტობის ხარისხის მიხედვით „მეორე ჯგუფის“ ინგლისურ ზმნას (to) break და გერმანიკულ ენებში მის სინონიმებს შორის ყველა მნიშვნელობა ნამდვილად არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც სრულიად ბუნებრივია, როდესაც ისეთ რთულ და მრავალფეროვან საგნებთან თუ მოვლენებთან გვაქვს საქმე, როგორც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოლისემიური სიტყვების (ზმნების) მნიშვნელობებია. შესაბამისად, ვთქვათ, ნიდერლანდურ-ქართულ ან გერმანულ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობისას, თუ ზმნისთვის *ნიდერლ. breken* ან *გერმ. brechen* სიტყვა-სტატიის შედგენას დავისახავთ მიზნად, ასეთ შემთხვევაში შუამავალი ენის, ინგლისურის, სინონიმური ზმნა (to) break ვერ გამოგვადგება წყარო ენის ყველა მნიშვნელობის სამიზნე ენაზე, ქართულზე გადმოსატანად, რისი მიზეზიც სწორედ ეს არასრული ეკვივალენტობა გახლავთ.

თუმცაღა, ამგვარი და გნებავთ უფრო მაღალი ხარისხის არაეკვივალენტობა (თუნდაც ისეთი, როგორც „პირველი ჯგუფის“, ნაკლებად ეკვივალენტურ, „აღწერით“ ზმნებში *clink*, *squawk* და *მისთ. შეგვხვდა*) ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს, რამდენადაც არსებობს ამ პრობლემის ეფექტიანად გადაჭრის გზები, რაზეც უფრო დეტალურად ჩვენი ნაშრომის დასკვნით თავში ვისაუბრებთ.

მანამდე კი, ამ თავში მოყვანილი კვლევისა და ანალიზის მოკლე რეზიუმეს სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული ლექსიკურ-სემანტიკური კვლევის შედეგად გამოკვეთილი ორი ტიპის ზმნებში შემდეგი სურათი მივიღეთ. **პირველი ტიპის**, ბგერის, მოძრაობისა და სიჩქარის აღქმის თავისებურებათა აღმნიშვნელ (აღწერით) ზმნებში; ისევე როგორც სხვა, მეტისმეტად სპეციფიკური სემანტიკური

პროფილის მქონე ზმნებში, ეკვივალენტობა შედარებით ნაკლები იყო. თითოეულ ზმნას „შუამავალი“ ინგლისური ენიდან წყარო ენის რამდენიმე მნიშვნელობა შეესაბამებოდა; და პირიქით, არაერთი შვედური, გერმანული ან ნიდერლანდური ზმნის მნიშვნელობა კონკრეტულ კონტექსტებში სხვადასხვა ინგლისური ზმნებით უნდა გადმოცემულიყო; **მეორე ტიპის**, შედარებით უფრო „საგნობრივ“ ზმნებში (რომელთაგანაც ჩვენ აქ მხოლოდ ერთ-ერთი, (to) break, brechen, და სხვ. განვიხილეთ დეტალურად), რომლებშიც პოლისემიურობა მეტია, ჩვენ ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე (განსაკ. მნიშვნელობის ეკვივალენტებს შორის) მეტი ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობა და დამთხვევები შევნიშნეთ; თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ არაიზომორფულობის მნიშვნელოვანი ხარისხიც დასტურდებოდა.

საბოლოო ჯამში, აღვნიშნავდით, რომ ზმნა, როგორც პრედიკატული სიტყვა, სპეციფიკური და რთული სემანტიკური პროფილით გამოირჩევა და ენათშორისი სინონიმების ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის ნაკლებ ხარისხსა და მეტ არაიზომორფულობას ამჟღავნებს (როგორც მნიშვნელობის ეკვივალენტების, ასევე, განსაკუთრებით, თარგმნითი/კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე), ვთქვათ, არსებით სახელებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, სემანტიკური ეკვივალენტობა სინონიმურ ზმნათა შორის ინგლისური და სხვ. გერმანიკული ენებიდან მთლიანობაში დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.

თავი V. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი როგორც ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების საფუძველი

საკუთრივ ეკვივალენტობის საკითხის შესახებ საკმაოდ დეტალური საუბრის შემდეგ, ჩვენი ნაშრომის დასკვნით თავში გვინდა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ლექსიკოგრაფიულ ასპექტზე, კერძოდ, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ბაზაზე სხვა ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნის პერსპექტივებსა და მეთოდებზე ვისაუბროთ, რამდენადაც ამგვარი ლექსიკოგრაფიული პროექტების წარმატება უშუალო კავშირშია ენათმორისი სინონიმების ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის ხარისხთან. როგორც წინა თავებში რამდენჯერმე უკვე აღვნიშნეთ, თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შემუშავებულია კონკრეტული მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს ორენოვანი (თარგმნითი) ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნას.⁹⁰

ამ მეთოდზე დეტალურად და კონკრეტულად ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ თავისთავად, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის, განსაკუთრებით მისი ონლაინ-ვერსიის, გარეშე ამგვარ მეთოდზე საუბარიც კი შეუძლებელი იქნებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ მრავალწლიანი სკრუპულოზური მუშაობის შედეგად, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, მით უფრო მისი ელექტრონული ვერსიის შექმნისა და 2010 წლიდან ინტერნეტში მისი განთავსების შემდეგ, პრაქტიკულად გადაიქცა ერთგვარ ორენოვან, ინგლისურ-ქართულ კორპუსად, ლექსიკურ-სემანტიკური ინფორმაციის ვრცელ მონაცემთა ბაზად, რომელშიც შესულია 110 000 სიტყვა-სტატია, მოცემულია რამდენიმე ასეული ათასი ინგლისური მნიშვნელობის ქართული ეკვივალენტი, მრავალზე მრავალი ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ქართული შესატყვისობები. ამ ვრცელ მონაცემთა ბაზას კი, მისით ჯეროვანი სარგებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაეფუძნოს უკვე სხვა ლექსიკოგრაფიული პროექტები (როგორც ზოგადი, ასევე სპეციალიზებული).

საინტერესოა, რომ ეს ფაქტი უცხოელ მეცნიერთა ყურადღებასაც არ გამოჰპარვია. სახელდობრ, ბრიტანელი პროფესორი დონალდ რეიფილდი იყო პირველი, ვინც დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი გამოიყენა როგორც კორპუსი. კერძოდ,

⁹⁰ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს მეთოდი აღწერილია აგრეთვე თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ჟურნალ „სპეკალის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში (მარგალიტაძე ... 2012).

თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებზე - დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე (*ქართულ-ინგლისური*, 2006) მუშაობისას დონალდ რეიფილდმა სხვა წყაროებთან ერთად ინგლისურ-ქართული ლექსიკონის 12 ტომის ელექტრონული ვერსიაც გამოიყენა.

რაც შეეხება თავად ჩვენს ლექსიკოგრაფიულ მეთოდს, იგი შემდეგში მდგომარეობს: როგორც წინა თავებში გაკვრით უკვე აღვნიშნეთ, შესადგენი ლექსიკონის საფუძვლად ვიღებთ ამა თუ იმ ევროპულ-ინგლისურ, ორენოვან ლექსიკონს (აუცილებელი არ არის, ეს მაინცდამაინც გერმანიკული ენა იყოს), *მაგ.* იტალიურ-ინგლისურ, გერმანულ-ინგლისურ, შვედურ-ინგლისურ, ფრანგულ-ინგლისურ ან სხვ. ლექსიკონს. შემდგომ ამისა, ვიღებთ რომელიმე კონკრეტულ სიტყვა-სტატიაში იტალიური, გერმანული თუ სხვა სიტყვის ინგლისურ შესატყვისობას. შემდეგ ამ ევროპული წყარო ენის ინგლისური შესატყვისობა უნდა მოიძებნოს დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში. ფაქტობრივად, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი შესაბამისი ევროპული ენებიდან აღებულ სიტყვათა თუ ტერმინთა მნიშვნელობის ეკვივალენტების შესაქმნელ თავისებურ მექანიზმად გამოიყენება. ამის შედეგად კი მიიღება შესაბამისი იტალიური, გერმანული, შვედური, ფრანგული თუ, ვთქვათ, ნიდერლანდური მნიშვნელობის ქართული ეკვივალენტი. ცხადია, ამ პროცესში ხდება შესარჩევი მნიშვნელობების გადამოწმება და დაზუსტება შესაბამისი (იტალიური, გერმანული, შვედური, ფრანგული და სხვ.) განმარტებითი ლექსიკონების გამოყენებით. იმაზე აღარაფერს ვიტყვით, რომ ეს ნამდვილად არ არის მექანიკური პროცესი და რომ ამ მეთოდის გამოსაყენებლად წყარო ენის საკმარისი ცოდნის გარდა, არცთუ მცირე ლექსიკოგრაფიული გამოცდილება და ალღოც არის საჭირო. იმის შემდეგ, რაც წინა თავებში ნაწილობრივ ეკვივალენტობაზე ითქვა, ეს სადავოდ აღარ უნდა მოგვეჩვენოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც ვნახეთ, მაგალითად (to) clink, (to) jingle ან (to) squawk ტიპის სიტყვების ქართული ეკვივალენტების შერჩევასა და დიდი ყურადღება და დაკვირვებაა საჭირო, რამდენადაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინგლისური ზმნის მნიშვნელობის გადმოსაცემად სულ სხვადასხვა ქართული ეკვივალენტის გამოყენებაა აუცილებელი გამომდინარე

იქიდან, თუ ზმნით აღწერილ მოქმედებას რა საგანი (ზმნების (to) clink, (to) jingle შემთხვევაში) ან რა ფრინველი (ზმნის (to) squawk შემთხვევაში) ასრულებს. ცხადია, რომ ქათმის ხმამაღალ ხმიანობაზე „კრიახი“ უნდა ვთქვათ და „ჩხავილს“ ან „კივილს“ ვერ ვიტყვით; ანალოგიურად, მყარი საგნების ერთმანეთზე მირტყმის შედეგად გამოცემული ხმის აღმნიშვნელი ეკვივალენტების შერჩევასა ზმნა „ჩხრიალის“ ნაცვლად ზმნა „წკარუნს“ ან „წკრიალს“ ვერ ვიხმართ, თუ ლაპარაკი, ვთქვათ, კენჭებზეა. ასე რომ, სწორი ქართული ეკვივალენტის შერჩევა რამდენიმე ინგლისური სინონიმიდან, რომლებიც შესაბამის ევროპულ-ინგლისურ ლექსიკონში შეიძლება იყოს მოცემული, იოლი პროცესი არ არის და ერთგვარ შემოქმედებით მიდგომასაც მოითხოვს. ამგვარი ამოცანისთვის თავის გართმევა გარკვეული ლინგვისტურ-ლექსიკოლოგიური ცოდნისა და გამოცდილების არმქონე პირს ნამდვილად გაუჭირდება. ნათქვამის ფონზე კიდევ უფრო წარმოუდგენლად გამოიყურება, რომ აღნიშნულ ამოცანას თუნდაც ყველაზე უფრო დახვეწილმა და სწრაფად მომუშავე კომპიუტერმა ან კომპიუტერულმა პროგრამამ გაართვას თავი და სათანადო პროგრამის შედგენის შემდეგ შესაძლებელი იყოს ტექსტურ მონაცემთა ვრცელი ბაზებიდან ლექსიკონების „ამოღება“ შესაბამისი პროგრამის გაშვების, ერთ ღილაკზე თითის დაჭერის მეშვეობით. ზუსტი ეკვივალენტის, კონკრეტული კონტექსტისთვის ერთადერთი საჭირო და შესაფერისი სიტყვის შერჩევა მხოლოდ დამოუკიდებლად მოაზროვნე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, პროაქტიულ მოაზროვნე არსებას, პიროვნებას შეუძლია, და არა უსულო, უნიციტივო და წინასწარ დაპროგრამებულ, მასში ჩატვირთულ ინფორმაციაზე დამოკიდებულ, რეტროსპექტიულად ორიენტირებულ ელექტრონულ ავტომატს. მოკლედ რომ ვთქვათ, მანქანური თარგმნის, მანქანური ლექსიკოგრაფიისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის შესაძლებლობისა ჩვენ არ გვჯერა, სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის დიდი და ხანგრძლივი სიყვარულის მიუხედავად.

ეს ერთგვარი „ღირიკული გადახვევა“ საჭიროდ მივიჩნით იმ გარემოებისთვის ხაზის გასასმელად, რომ თუნდაც საუკეთესო ლექსიკონების, ელექტრონული ტექსტური კორპუსებისა და მოწინავე მეთოდოლოგიის გამოყენებითაც კი,

ლექსიკონის შედგენა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც შეგნებულ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს და ავტომატიკამდე არ დაიყვანება.

აღნიშნავდით, რომ დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ბაზაზე ორენოვანი ლექსიკონების შექმნის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო და პერსპექტიულია რომანული ენები. სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომში საკუთრივ გერმანიკული სიტყვების მნიშვნელობათა ანალიზის გარდა შიგადაშიგ რომანული (ფრანგული, იტალიური, ესპანური) სიტყვების მნიშვნელობებსაც განვიხილავდით ეკვივალენტობის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ე.წ. ნორმანების⁹¹ მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ (1066 წ.), თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში, ინგლისში სახელმწიფო ენა ფრანგული ენა იყო. ამ ისტორიულმა ფაქტმა გამოიწვია ფრანგული ენის ძლიერი გავლენა ინგლისურზე, რაც ენის ლექსიკაზეც აისახა და განაპირობა ბევრი ფრანგული სიტყვის შეღწევა ინგლისურ ენაში. ფრანგული ნასესხობა, ხშირ შემთხვევაში, ლათინური ძირის სიტყვა იყო, ვინაიდან ფრანგული, ისევე როგორც იტალიური, ესპანური და სხვა რომანული ენები, როგორც ყველასათვის კარგადაა ცნობილი, ხალხური ლათინურიდან განვითარდა და რომანული ენების ლექსიკური ფონდის დიდი ნაწილი, ე.წ. რომანული ლექსიკა, ლათინური ძირის სიტყვებს წარმოადგენს. ამდენად, თანამედროვე ინგლისურ ენაში, ისევე როგორც თანამედროვე რომანულ ენებში, ბევრია ლათინური ძირის სიტყვები. ჩვენი მოსაზრება, რომლის თანახმადაც დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი წარმატებით შეიძლება გამოყენებულიყო რომანულ-ქართული ორენოვანი ლექსიკონების შესაქმნელად, სწორედ ამ ვითარებას ეფუძნებოდა. ჩვენ შევიმუშავეთ ამგვარ ორენოვან ლექსიკონებზე მუშაობის მეთოდიკა და აღნიშნული მეთოდიკით შევადგინეთ სიტყვა-სტატიები იტალიურ-ქართული და ფრანგულ-ქართული ლექსიკონებისათვის. როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამოყენება მნიშვნელოვანწილად აიოლებს მუშაობას კონკრეტულად რომანულ-ქართული ტიპის ლექსიკონებზე.

⁹¹ i.e. ნორმანდიელების, გაფრანგებული და ფრანგულენოვანი სკანდინავების.

ნათქვამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ იტალიურ სიტყვაზე *abdicare* მუშაობის ეტაპებს და მეთოდს. იტალიურ-ქართულ სიტყვა-სტატიებზე მუშაობისას გამოვიყენეთ სამი იტალიურ-ინგლისური ლექსიკონი (*რევერსო*, 2010), (*ინგლისურ-იტალიური*, 2012), (*რაგაცინი*, 2008), იტალიური ენის ერთი განმარტებითი ლექსიკონი (*ძინგარელი*, 2011) და ერთი იტალიურ-რუსული ლექსიკონი (*ლინგვო-12*, 2006).

ერთ-ერთ ამ იტალიურ-ინგლისურ ლექსიკონში (*რევერსო*, 2010) სიტყვა *abdicare* შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

abdicare *vi* (*al trono*) **abdicare** (**a**) to abdicate (from), (*rinunciare*) **abdicare a** to renounce, give up; **abdicare a una carica** to give up a position; (*venir meno a, responsabilità, dovere*) to **abdicate**.

მგავსი სურათია კიდევ ერთ იტალიურ-ინგლისურ ლექსიკონში (*ინგლისურ-იტალიური*, 2012):

abdicare *vi* (**àbdico, àbdichi; aus. avere**) **1.** to abdicate: *il re abdicò in favore del figlio* the king abdicated in favour of his son; *abdicare al trono* to abdicate the throne; **2.** (*estens*) (*rinunciare*) to give up (**a qcs. sth.**), to renounce (**a qcs. sth.**).

აღნიშნულ იტალიურ-ინგლისურ ლექსიკონებში იკვეთება სიტყვა *abdicare*-ს ორი მნიშვნელობა: 1. ტახტიდან გადადგომა, უფლებამოსილებათა მოხსნა; 2. უარის თქმა უფლებაზე და ა.შ.

იტალიურ-ინგლისური ლექსიკონებიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და ზუსტდება იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონის დახმარებით.

იტალიური ენის ზემოაღნიშნულ განმარტებით ელექტრონულ ლექსიკონში, რომლითაც ჩვენ ამ მასალის მომზადებისას ვისარგებლეთ (*ძინგარელი*, 2011), სიტყვის *abdicare* დეფინიცია ასე გამოიყურება:

abdicare

A *v. intr.* (io *àbdico*, tu *àbdichi*; aus. *avere*)

1 Rinunciare all'autorità sovrana o ad altro potere legittimo (+ a): *il re fu costretto ad abdicare; abdicare al trono in favore di qlcu.*

2 (est.) Rinunciare (+ a): abdicare a un'eredità, a una carica, ai propri diritti | Sottrarsi a una responsabilità, a un dovere.

B v. tr.

1 (raro, lett.) Rifiutare: abdicare una professione.

2 †Ripudiare.

შემდეგ ეტაპზე, იტალიურ-ინგლისური ლექსიკონიდან ვადგენთ მოცემული იტალიური სიტყვის ორივე მნიშვნელობის ინგლისურ ეკვივალენტებს, ესენია:

to abdicate და to renounce. აღნიშნულ ზმნებს ვნახულობთ დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (*ინგლისურ-ქართული*, 2010):

abdicate (v) 1. 1 გადადგომა (გადადგება) *ტახტიდან, თანამდებობიდან*; უფლებამოსილებათა მოხსნა; 2) უარის თქმა (უარს ამბობს) *უფლებაზე, მოსაზრებაზე და სხვ.*; he abdicated his opinion თავის მოსაზრებაზე უარი თქვა; 2. იურ. შვილზე უარის თქმა (უარს ამბობს); შვილის მემკვიდრეობის გარეშე დატოვება.

renounce (v) 1. წიგნ. ტიტულზე, საკუთრებაზე და ა.შ. ოფიციალურად უარის თქმა (უარს იტყვის); to renounce a title [a privilege, a right] ტიტულზე / წოდებაზე [პრივილეგიაზე, უფლებაზე] ოფიციალურად უარის თქმა; 2. რწმენის, პრინციპების და ა.შ. საჯაროდ უარყოფა (უარყოფს); he renounced his religion and became Muslim მან თავისი რელიგია უარყო და მუსლიმანი გახდა;

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ზემოთ მოტანილი სტატიებიდან ვირჩევთ იმ ქართულ ეკვივალენტებს, რომლებიც იტალიური ენის როგორც თარგმნითი, ასევე განმარტებითი ლექსიკონების თანახმად, მაქსიმალურად ზუსტად ასახავს იტალიური სიტყვის მნიშვნელობას.

ამგვარი პროცედურის შედეგად მივიღეთ სიტყვა-სტატია, რომელშიც იტალიური ზმნის ძირითადი მნიშვნელობები ქართულად შემდეგნაირად არის გადმოცემული:

abdicare v 1. გადადგომა (გადადგება) *ტახტიდან, თანამდებობიდან*; უფლებამოსილებათა მოხსნა; abdicare al trono ტახტიდან გადადგომა; 2. უარის თქმა (უარს ამბობს) *უფლებაზე, ვალდებულებაზე, მემკვიდრეობაზე და სხვ.*

ამ მეთოდის გამოყენებით გაკეთებული გვაქვს ათეულობით სიტყვა-სტატია იტალიურ-ქართული ლექსიკონისათვის.

წარმოვადგენთ კიდევ ერთ სიტყვა-სტატიას, ამჯერად არსებით სახელს,

abisso – „უფსკრული“ (აღნიშნულ სიტყვა-სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენეთ შემდეგი სიტყვა-სტატიები დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან: abyss, gulf, bowel):

abisso m. 1. უფსკრული (აგრ. გადატ.); egli precipitò in un abisso იგი უფსკრულში ჩავარდა; sotto di noi si spalancava un abisso ჩვენს ფეხქვეშ უფსკრულს დაეღო პირი; tra me e lui c'è un abisso გადატ. ჩემ და მას შორის / ჩვენ შორის დიდი უფსკრულია / სრული უთანხმოება; 2. დიდი განსხვავება / სხვაობა; tra lui e suo fratello c'è un abisso მასსა და მის ძმას შორის ძალზე დიდი განსხვავებაა; 3. *pl* რისამე ღრმა / შორეული ადგილები; სიღრმეები; gli abissi del mare ზღვის სიღრმეები; gli abissi della terra დედამიწის სიღრმეები; 4. *წიგნ.* ჯოჯოხეთი, ქვესკნელი; le potenze dell'abisso ჯოჯოხეთის / ქვესკნელის ძალები;

◇ **un abisso di ignoranza** სრული უმეცრება; **essere sull'orlo dell'abisso** უფსკრულის / კატასტროფის პირას ყოფნა.

მოკლედ თუ შევაჯამებთ, ჩვენი მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: იტალიურ-ინგლისური ლექსიკონის მეშვეობით ვადგენთ იტალიური სიტყვების ინგლისურ ეკვივალენტებს. იტალიური სიტყვის მნიშვნელობას ან მნიშვნელობებს (პოლისემიურობის შემთხვევაში) ვაზუსტებთ იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონებით, აგრეთვე იტალიურ-რუსული ლექსიკონებით. შემდეგ, იტალიური სიტყვის ინგლისურ ეკვივალენტს ვნახულობთ დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში, რაც გვებმარება იტალიური სიტყვის შესაფერისი ქართული ეკვივალენტის განსაზღვრაში.

რაც შეეხება ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნის ჩვენეულ ლექსიკოგრაფიულ მეთოდიკას, მისი ქმედითობის დასადასტურებლად აქ კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ.

იტალიურ-ქართული სალექსიკონო სიტყვა-სტატიების აგების მეთოდების ანალოგიური ლექსიკოგრაფიული პრინციპები და მეთოდები იქნა გამოყენებული კიდევ ერთ რომანულ ენასთან, სახელდობრ ფრანგულთან, მიმართებით.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ფრანგული ზმნის *retirer* სიტყვა-სტატიას ფრანგულ-ქართული ლექსიკონისათვის.

ზმნა *retirer* ერთ-ერთი ფრანგულ-ინგლისური ონლაინ-ლექსიკონიდან (*რევერსო*, 2010):

retirer vt [+projet, candidature] **to withdraw**

[+troupes] **to withdraw**

[+soutien] **to withdraw**

Le premier ministre lui a retiré son soutien au moment critique. The prime minister withdrew his support at a critical moment.

retirer qch à qn [+autorisation, passeport, permis] to take sth away from sb

On lui a retiré son permis. He's had his licence taken away from him.

[+garde] to take sth away from sb

[+vêtement, lunettes] **to take off, to remove**

Il a retiré son pull. He took off his sweater.

(=*reprendre*)

[+bagages, billets] **to collect, to pick up**

[+argent] **to withdraw**

Elle a retiré de l'argent. She withdrew some money

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ სიტყვა-სტატიაში ფიგურირებს ინგლისური ზმნის **to withdraw** სხვადასხვა მნიშვნელობები. ამდენად, ფრანგულ-ქართული სიტყვა-სტატიის ასაგებად დავეყრდენით დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სიტყვა-სტატიას **to withdraw**, განსაკუთრებით კი მოცემული შემთხვევისთვის რელევანტურ მნიშვნელობებს. ფრანგული ზმნის მნიშვნელობათა ნიუანსები დაკონკრეტდა ფრანგული განმარტებითი ლექსიკონის (*რობერი*, 1981) მიხედვით.

გარდა ამისა, გამოყენებული იქნა ზმნის **to withdraw** სინონიმური ზმნის – **to remove** განმარტება დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან. ამასთან დაკავშირებით ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სინონიმების ბეჭდური და ელექტრონული ლექსიკონების მეშვეობით საჭირო ლექსიკური ერთეულების სინონიმების გამოვლენა და ამ გზით დამატებითი ქართული ლექსიკის მოძიება დიდ

ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში ჩვენი ლექსიკოგრაფიული მეთოდის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ფრანგულ-ინგლისური ლექსიკონის სიტყვა-სტატიის შემოქმედებითად გადამუშავებისა და ინგლისური ეკვივალენტების ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან ამოღებული შესაბამისი ლექსიკური ერთეულებით ჩანაცვლების შედეგად მივიღეთ შემდეგი სახის სიტყვა-სტატია:

retirer *v* 1. *საიდანმე* გამოსვლა (გამოვა); *რაიმეში* მონაწილეობის შეწყვეტა; კანდიდატურის მოხსნა; 2. 1) უკანვე წაღება (წაიღებს), დარღვევა (*მიცემული სიტყვისა, დაპირებისა და ა.შ.*); le premier ministre lui a retiré son soutien au moment critique პრემიერ-მინისტრმა კრიტიკულ მომენტში უარი უთხრა მხარდაჭერაზე; 2) უკანვე გაწევა (გასწევს), წაღება (*ხელისა და ა.შ.*); 3. *უფლებამოსილების, ნებართვის და მისთ.* ჩამორთმევა (ჩამოართმევს); retirer qch a qn ვინმესთვის რისამე ჩამორთმევა; on lui a retiré son permis de conduire მას მართვის მოწმობა ჩამოართვეს; 4. *რისამე* გახდა (გაიხდის); მოხსნა; Il a retiré son pull მან სვიტრი გაიხადა; 5. *ფულის, თანხის* აღება (აიღებს), გამოტანა, მოხსნა (*საბანკო ანგარიშიდან, ბანკომატიდან და მისთ.*); 6. *სამხ. ჯარების* გაყვანა (გაიყვანს).

ასეთი სიტუაციაა რომანულ (იტალიურ და ფრანგულ) ენებთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის, პროფესიული და მეცნიერული პრიორიტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირატესი დაინტერესების საგანს მაინც გერმანიკული ენები წარმოადგენს. უბრალოდ მოხდა ისე, რომ ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შემუშავებული მეთოდიკით ყველაზე ვრცელი სამუშაოები იტალიურ-ქართული ლექსიკონის პროექტის ფარგლებში ჩატარდა. ეს პროექტი რუსთაველის ფონდის კონკურსზეც კი გვქონდა წარდგენილი და „ცენტრის“ თანამშრომლები მასზე სერიოზულად ვმუშაობდით. იტალიური და ფრანგული სიტყვა-სტატიების მაგალითების წარმოდგენა, აღნიშნულის გარდა, ჩვენი მეთოდიკის გარკვეული უნივერსალობის საილუსტრაციოდაც ვარჩიეთ.

არადა, ზემოთ აღწერილი მეთოდი კარგად „მუშაობს“ გერმანიკულ ენებთან მიმართებითაც. როგორც ცნობილია, ინგლისური ენა გერმანიკულ ენათა ჯგუფში შედის და გერმანული, ნიდერლანდური, ფრიზული, შვედური, დანიური,

ნორვეგიული, ისლანდიური და სხვა გერმანიკული ენების ახლომონათესავე ენაა. გარდა ზემოთ ამ თავში უკვე აღნიშნული ფაქტორებისა, როგორცაა: ინგლისური და სხვა ევროპული ენების კონვერგენციის საკმაოდ მაღალი ხარისხი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის დონეზე, მსგავსი ენობრივი აზროვნება, ევროპული ენების ურთიერთზეგავლენა და სხვა, ახლომონათესავე ენებთან მიმართებით დამატებითი ფაქტორიც იკვეთება, კერძოდ, ლექსიკა, რომელიც საერთოა გერმანიკული ენებისათვის, ე.წ. საერთოგერმანიკული ლექსიკა. საერთოგერმანიკული წარმოშობის ლექსიკაში ამგვარი კონვერგენციის ხარისხი კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე ლექსიკის სხვა შრეებში.

ლაკონიურობისთვის, უბრალოდ მოვიყვანთ სიტყვა-სტატიებს **გერმანულ-ინგლისური** ლექსიკონიდან (*რევერსო*, 2010), შემდეგ კი მათ საფუძველზე ჩვენ მიერ შედგენილ გერმანულ-ქართულ სიტყვა-სტატიებს:

zurückziehen

1. vt to pull or draw back

[Hand, Fuß] **to pull or draw away or back**

[Truppen] **to pull back**

(=*rückgängig machen*) [Antrag, Bemerkung, Klage *etc*] **to withdraw**

2. vr to retire, to withdraw

(=*sich zur Ruhe begeben*) **to retire**, (Mil) **to withdraw, to retreat**, (vom Geschäft, von der Politik *etc*) **to retire (von, aus from)**

sich von jdm zurückziehen to withdraw from sb

sich von der Welt/in sich (Akk.) zurückziehen *acc* to retire from the world/into oneself

zurückgezogen

3. vi aux sein to move back

[Truppen] **to march back**

[Vögel] **to fly back**

სიტყვა-სტატიის შედგენისას ინგლისური ეკვივალენტები ამ შემთხვევაშიც ჩავანაცვლეთ შესაბამისი ქართული სიტყვებით დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან.

გარდა ამისა, სიტყვა-სტატიის აგებისას საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენი პრინციპებიდან გამომდინარე, სიტყვა-სტატია მაქსიმალურად ინფორმატიული ყოფილიყო. ამიტომ ზმნას (ამ შემთხვევაში ე.წ. ძლიერ ზმნასთან გვაქვს საქმე) მივუთითეთ პრეტერიტისა და ნამყო მიმდროების ფორმები. გარდა ამისა, საჭიროდ მივიჩნიეთ, სიტყვა-სტატიის მნიშვნელობები დაგვეყო ცალკეულ სექციებად, რომლებიც რომაული ციფრებით გვაქვს აღნიშნული. ამ სექციებში მოცემულია ზმნის გარდამავალი (I სექცია), გარდაუვალი (II სექცია) და უკუქცევითი (III სექცია) მნიშვნელობები. გარდაუვალ მნიშვნელობას აქვს მინაწერი (s) რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ზმნის პერფექტი იწარმოება დამხმარე ზმნით *sein* (ყოფნა). მივუთითეთ გერმანული ენის მცოდნისთვის სასარგებლო სხვა ინფორმაციაც. ყოველივე ამის შედეგად კი მივიღეთ შემდეგი სიტყვა-სტატია:

zurückziehen (zog zurück; zurückgezogen)

I vt 1. უკანვე გაწევა (<გა>სწევს) / წაღება (*ხელისა, ფეხისა და სხვ.*);

2. გა<მო>ყვანა (გა<მო>იყვანს), უკან დაწევა (*ჯარებისა, პირადი შემადგენლობისა*);

3. ნათქვამზე, ადრე გაკეთებულ შეთავაზებაზე და მისთ. უარის თქმა (იტყვის), უკანვე წაღება / გაუქმება (*განაცხადისა, საჩივრისა, შენიშვნისა და მისთ.*);

II vi (s) 1) უკან დაწევა (<და>იწევს), უკან დახევა;

2) მარშით უკან დაბრუნება (<და>ბრუნდება) *ითქმის ჯარების შესახებ*;

3) ძველ საცხოვრებელ ადგილას, სამშობლოში და სხვ. დაბრუნება (<და>ბრუნდება) *აგრ. ითქმის ფრინველების შესახებ*;

III (sich) 1. 1) განმარტობა (განმარტოვდება), განცალკევებულ ადგილას გასვლა (*დასასვენებლად და მისთ.*); გაცლა, წასვლა (*ხალხისგან, საზოგადოებისგან და მისთ.*);

sich von jdm zurückziehen ვინმეს ჩამოშორება, ვინმესთან ურთიერთობისთვის თავის

არიდება; sich von der Welt zurückziehen გარესამყაროს / საზოგადოებას ჩამოშორება;

sich in sich (Akk) zurückziehen საკუთარ თავში ჩაკეტვა;

2) (von, aus) სამსახურიდან / თანამდებობიდან გადადგომა (გადადგება);

პოლიტიკიდან, მოღვაწეობის სფეროდან და სხვ. წასვლა; ამა თუ იმ საქმიანობისთვის თავის დანებება;

2. უკან დახევა (<და>იხევს), უკან დაწევა; უკუქცევა (*ითქმის ჯარების შესახებ*).

ანალოგიური წესით შეიძლება **შვედურ-ქართული** სიტყვა-სტატიების აგებაც. ლაკონიურობისთვის განზრახ ავირჩიეთ შედარებით მარტივი აგებულების შვედურ-ინგლისური სიტყვა-სტატიები. ქვემოთ მოყვანილია სიტყვები (სულ რამდენიმე ზმნა და ზედსართავი სახელი) შვედური ენის სხვადასხვა ლექსიკონებიდან (*ინგლისურ-შვედური*, 2012), (*შვედურ-ინგლისური*, 2012), (*რუსულ-შვედური*, 2004), შემდეგ კი ჩვენ მიერ შედგენილი შვედურ-ქართული სიტყვა-სტატიები, რომლებიც ჩვენ მიერ ზემოთ უკვე დეტალურად აღწერილ მეთოდიკას ეფუძნება.

annullera (a) withdraw; (b) cancel

შესაბამისმა შვედურ-ქართულმა სიტყვა-სტატიამ ასეთი სახე მიიღო:

annullera *v* *რისამე* გაუქმება (<გა>აუქმებს), ანულირება; უკანვე წაღება (*ბრალდებისა, ნათქვამისა და მისთ.*); regeringen annullerade beslutet om skattehöjning მთავრობამ გააუქმა გადაწყვეტილება გადასახადის გაზრდის შესახებ; annullera projekt som inte kan kontrakteras tillräckligt snabbt იმ პროექტების გაუქმება, რომლებთან დაკავშირებითაც კონტრაქტის / ხელშეკრულების გაფორმება საკმარისად მოკლე ვადებში ვერ მოხერხდება.

შემდეგი სიტყვა, ზმნა **avlägsna** :

avlägsna remove; eliminate

შვედურ-ქართული სიტყვა-სტატია:

avlägsna *v* მოცილება (<მო>აცილებს), მოშორება; აღმოფხვრა, მოსპობა; vi kommer också att avlägsna andra hinder som eventuellt kan komma att uppstå ჩვენ აგრეთვე აღმოფხვრით სხვა დაბრკოლებებსაც, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას.

ზმნების შემდეგ შვედური ზედსართავი სახელის სიტყვა-სტატიის შედგენის სპეციფიკასაც გავეცნოთ:

ზედსართავი **ofärdig** :

ofärdig (a) crippled; disabled; lame; (b) unfinished; not complete

ეს ზედსართავი შვედურ-ქართული ლექსიკონის სიტყვა-სტატიის ფარგლებში ასე გამოიყურება:

ofärdig *a* 1. კოჭლი; დასახიჩრებული, დაშავებული; დაინვალიდებული, უნარშეზღუდული; hans son är tyvärr född ofärdig სამწუხაროდ, მისი ვაჟი

დაბადებიდან ინვალიდია/უნარშეზღუდულია; 2. დაუსრულებელი, დაუმთავრებული, *ჯერ მზად რომ არ არის*; არასრული; *boken är ännu ofärdig* წიგნი *ჯერ არ არის დამთავრებული*.

რამდენადაც ზემოთ სხვადასხვა ენებიდან აღებული ზმნებისა და ზედსართავებისადმი მიძღვნილი სიტყვა-სტატიების მაგალითები მოვიყვანეთ, ამ თავის ბოლო საილუსტრაციო მაგალითად **ნიდერლანდურ** არსებით სახელს *vrouw* წარმოვადგენთ.⁹² ერთ-ერთ ნიდერლანდურ-ინგლისურ ლექსიკონში (*ვან დალე*, 2015) სიტყვა *vrouw* შემდეგნაირად არის განმარტებული:

vrouw 1 woman: *een alleenstaande vrouw* a single (*of*: an unattached) woman; *achter de vrouwen aanzitten* chase (after) women, womanize; *de werkende vrouw* working women, career women; *een vrouw achter het stuur* a woman driver; *Vrouw Holle* Mother Carey 2 (*echtgenote*) wife: *man en vrouw* husband (*of*: man) and wife; *hoe gaat het met je vrouw?* how's your wife?; *een dochter van zijn eerste vrouw* a daughter by his first wife 3 (*speelkaart*) queen 4 (*bazin*) mistress, lady: *de vrouw des huizes* lady (*of*: mistress) of the house

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობითა და „შუამავალი“ ინგლისური ენის გამოყენებით ნიდერლანდურ-ქართული სიტყვა-სტატიის აგება საკმაოდ ადვილია; სიტყვა-სტატიაში მოცემული ნიდერლანდური დამაზუსტებელი განმარტებები (*echtgenote* „ცოლი“, „მეუღლე“; *bazin* - „ქალბატონი“, „*რისამე უფროსი ქალი*“) და ინგლისური ეკვივალენტები, რომლებსაც აქ აღარ ვთარგმნით, ამ ამოცანას მნიშვნელოვნად გვიოთხებს. ზემოთ შემოქმედებითი მიდგომა და წყარო ენის ელემენტარული ცოდნა ვახსენეთ და ამასთან დაკავშირებით ვიტყვით, რომ სავალდებულო არ არის ამ (და სხვა ანალოგიურ) ლექსიკონში მოყვანილი ინგლისური ეკვივალენტის ან დეფინიციის სიტყვასიტყვით თარგმნა. ასე მაგალითად, პირველ მნიშვნელობაში მოყვანილი ნიდერლანდური საილუსტრაციო ფრაზის: *een vrouw achter het stuur* ქართულად გადმოტანისას აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც ინგლისური *a woman driver* ვთარგმნოთ. შეიძლება ნიდერლანდურივე გამოთქმა ითარგმნოს სიტყვასიტყვით და დაიწეროს „ქალი საჭესთან“ ან, მცირე მოდიფიკაციით, „საჭესთან

⁹² გერმანული ენის მცოდნე ალბათ ადვილად მიხვდება, რომ ეს სიტყვა გერმანული არსებითის *die Frau* სინონიმი და ეტიმოლოგიური შესატყვისობაა.

მჯდომი ქალი“.

მთლიანობაში, ეს ნიდერლანდური არსებითი სახელი, ზემომოყვანილი ნიდერლანდურ-ინგლისური სალექსიკონო სიტყვა-სტატიის საფუძველზე და ჩვენი მეთოდის გამოყენებით, შემდეგნაირ *ნიდერლანდურ-ქართულ* სიტყვა-სტატიად შეიძლება გარდაისახოს:

vrouw *n* 1. ქალი; een alleenstaande vrouw გაუთხოვარი / დაუოჯახებელი ქალი; achter de vrouwen aanzitten ქალების დევნა, მექალთანეობა; de werkende vrouw მომუშავე ქალი (*დიასახლისისგან განსხვავებით*); een vrouw achter het stuur ქალი საჭესთან, საჭესთან მჯდომი ქალი; 2. ცოლი; man en vrouw ქმარი და ცოლი; hoe gaat het met je vrouw? შენი ცოლი როგორ არის?; een dochter van zijn eerste vrouw მისი პირველი ცოლის ქალიშვილი; 3 *ბანქ.* ქალი; 4. ქალბატონი, *რისამე* პატრონი / უფროსი ქალი; de vrouw des huizes სახლის პატრონი / ოჯახის უფროსი ქალი, დიასახლისი;

✧ **Vrouw Holle** „ქალბატონი ქარიშხალი“ (*ავდრისა და ქარიშხლის პერსონიფიკაცია ფოლკორში*).

* * *

ასე გამოიყურება ჩვენი მეთოდის გამოყენებით უცხოენოვან-ქართული სალექსიკონო სიტყვა-სტატიის შექმნის პროცესი შუამავალ ენად ინგლისური ენის გამოყენებით. აღვნიშნავთ, რომ ამ მეთოდით, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, სიტყვა-სტატიის შედგენისას შესაძლებელია აგრეთვე დამატებითი ქართული ეკვივალენტების „მოპოვება“ დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან. ამისთვის უბრალოდ საჭიროა შესაბამის ევროპულ-ინგლისურ ლექსიკონში მოცემული ამა თუ იმ ინგლისური ეკვივალენტის ინგლისურივე სინონიმის მოძიება სპეციალიზებული სინონიმთა ლექსიკონის, „თეზაურუსის“ (*ინგლ.* thesaurus) გამოყენებით, ან უბრალოდ გახსენება (არსებული ლექსიკური მარაგისა და ენის ცოდნის ფარგლებში), რაც დამატებით ქართულ ეკვივალენტებს მოგვცემს, თუკი ამგვარად დამატებით მოპოვებულ ინგლისურ სიტყვას ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში ვნახავთ. ასე მაგალითად, rough სიტყვაზე მუშაობისას შეიძლება სინონიმური coarse ან harsh ზედსართავეების ქართული შესატყვისობების ამოღება დიდი ინგლისურ-ქართული

ლექსიკონიდან; ზმნის (to) withdraw მნიშვნელობის რაიმე ნიუანსების ზუსტად გადმოსაცემად დამატებითი ქართული სინონიმების ნახვა შეიძლება ზმნის (to) remove ინგლისურ-ქართულ სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში; ზემოთ მოყვანილი ნიდერლანდური არსებითის ბოლო, №4 მნიშვნელობის სათანადოდ გადმოსაცემად დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში შეიძლება ინახოს ინგლისური სიტყვის mistress „ქალბატონი“ სინონიმებისა და აზრობრივად ახლოს მდგომი სიტყვების: lady, landlady ან housewife ქართული თარგმანები და ა.შ. ამდენად, წყარო ენა - შუამავალ ენას, ან შუამავალ ენა - წყარო ენას შორის ეკვივალენტობის ნაკლებობის შემთხვევაში პრობლემის გადაჭრა ადვილად შეიძლება შუამავალი ენის (ინგლისური) ეკვივალენტის სინონიმების მოძიებისა და გამოყენების გზით. ამით კი ეკვივალენტობის ნაკლებობის პრობლემა ჩვენ მიერ განზრახული ევროპულ-ქართული სალექსიკონო პროექტების ფარგლებში არსებითად დაძლეული იქნება.

ცალკე საკითხია ნულოვანი ეკვივალენტობა, ანუ შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ცნება სხვა რომელიმე ენაში ლექსიკალიზებული არ არის. მსგავსი შემთხვევები, საკითხის სათანადო განვრცობითა და თემის საინტერესო მოწოდებით, განხილულია რუფუს გოუვისა და დანი პრინსლოოს ზემოთ უკვე ციტირებულ ნაშრომში (გოუვის, ... 2008). დავუმატებთ, რომ ნულოვანი ეკვივალენტობისა და ცნების არალექსიკალიზებულობის პრობლემა ჩვენთვის აქტუალურია უპირატესად კონკრეტული ლექსიკოგრაფიული პროექტის სამიზნე ენისათვის. ამაზე უფრო დეტალურად ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

აღნიშნული პრობლემისადმი ჩვენი მიდგომა შემდეგნაირია. უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული საქმიანობის დონეზე გამოვყოფდით სამი სახის ნულოვან ეკვივალენტობას / არალექსიკალიზებულობას: (1) ეს იქნება შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ცნება ლექსიკალიზებულია წყარო ენაში და შუამავალ ენაში, მაგრამ არ არის ლექსიკალიზებული სამიზნე ენაში; ანუ ეკვივალენტობა არსებობს (ვთქვათ) ნიდერლანდურ სიტყვასა და (ჩვენთვის შუამავალი ენის ფუნქციის შემსრულებელი ენის) ინგლისური ენის სიტყვას შორის, მაგრამ არ არსებობს ამ სიტყვებსა და ქართული ენის რომელიმე სიტყვას შორის;

(2) შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სიტყვა წყარო ენიდან (ვთქვათ, იმავე ნიდერლანდურიდან) ლექსიკალიზებული არ არის არც შუამავალ (ინგლისურ) და არც სამიზნე (ქართულ) ენაში; და

(3) შემთხვევები, როდესაც წყარო ენის (ვთქვათ, ნიდერლანდური, გერმანული, შვედური) სიტყვა არ არის ლექსიკალიზებული შუამავალ ენაში (ინგლისურში), მაგრამ ლექსიკალიზებულია ქართულში.

ბოლო, მესამე ტიპის, შედარებით იშვიათი შემთხვევებისას ლექსიკოგრაფს ყველაზე ნაკლები სირთულე და პრობლემა შეექმნება. ასეთ დროს შესაბამისი წყარო ენის (ნიდერლანდურის, გერმანულის თუ იტალიურის) განმარტებით ლექსიკონებში სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის დადგენის შემდეგ (რაშიც შესაბამისი ნიდერლანდურ-ინგლისური, გერმანულ-ინგლისური და სხვ. ლექსიკონის ინგლისური სუროგატული/განმარტებითი ეკვივალენტიც დაგვეხმარება) უბრალოდ დავწერთ იმ ქართულ სიტყვას, რომელიც, ბედად, ზუსტად შეესატყვისება ლექსიკონისთვის სათარგმნ სიტყვას წყარო ენიდან.

შედარებით მეტ სირთულეს ნულოვანი ეკვივალენტობის პირველი და მეორე ტიპის შემთხვევები ქმნის, როდესაც ცნება ლექსიკალიზებული არ არის სამიზნე ენაში (ქართულში, ვთქვათ ინგლისურ-ქართულ ან გერმანულ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობისას, ან, ვთქვათ, ინგლისურში, შესაბამისად ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე მუშაობისას) და მას, ამდენად, წყარო ენიდან აღებული სათარგმნი სიტყვის რაიმე ეკვივალენტი არ მოეპოვება.

ასეთ შემთხვევაში გვიხდება **მნიშვნელობის ეკვივალენტად** შედარებით ზოგადი და უნივერსალური განმარტების/აღწერის მოყვანა. შემდეგ ეტაპზე კი მნიშვნელობა უფრო ზუსტად აღიწერება საილუსტრაციო ფრაზებში, უკვე **კონტექსტუალური / თარგმნითი**⁹³ ეკვივალენტების გამოყენებით. ეკვივალენტების ამგვარ დიქტომიაზე (ეკვივალენტობის ჩვენეული კლასიფიკაციის მეორე, ფუნქციურ დონეზე) ჩვენ ზემოთ, წინამდებარე ნაშრომის დასაწყისში, უკვე ვისაუბრეთ.

ლექსიკონზე მუშაობის პროცესში ეს კონკრეტულად შემდეგნაირად გამოიყურება: არალექსიკალიზებული სიტყვა გადმოიცემა ზოგადი, მიახლოებითი განმარტების,

⁹³ იგივე სუროგატული, აგრეთვე (ლ. ზგუსტას ტერმინოლოგიით) „ჩასასმელი“ (insertable) ეკვივალენტების.

აღწერის გზით. თქმა არ უნდა, რომ ამ დროს მაქსიმალური ლაკონიურობა და ამავე დროს შინაარსის გადმოცემის ექსპლიციტურობა და მკაფიოობაა აუცილებელი. მაგალითად, ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე რომ ვმუშაობდეთ, ინგლისურში არალექსიკალიზებულ, ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებულ სიტყვას „ზედსიძე“ გადმოვცემდით, როგორც son-in-law living with his wife's parents ან, ტექნიკურად სხვაგვარად გაფორმებული სახით, - son-in-law (*living with his wife's parents*); ასევე, ჩვენს დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში სიტყვა brocket (რომელიც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ქართულში ლექსიკალიზებული არ არის) განმარტებულია, როგორც „ორი წლის ხარიჩი“.

ანალოგიურად, ჩვენი მეთოდის საილუსტრაციოდ ზემოთ მოყვანილ მაგალითში, რომელიც ნიდერლანდურ სიტყვას vrouw შეეხება, გამოთქმა Vrouw Holle (რომელიც ჩვენ ფრაზეოლოგიურ ერთეულად მივიჩნიეთ და შესაბამისად „რომბში“ [✧] ჩამოვიტანეთ) მორფოლოგიურადაც და სემანტიკურადაც ძირითადად ეკვივალენტურია ინგლისური გამოთქმისა Mother Carey. ქართულში ამ გამოთქმის ეკვივალენტი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს. ამ სირთულის დაძლევისთვის ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ გამოთქმის მიახლოებითი თარგმანი, რომელსაც ფრჩხილებში კურსივით მოკლე განმარტება დავურთეთ და მივიღეთ «**Vrouw Holle** „ქალბატონი ქარიშხალი“ (ავდრისა და ქარიშხლის პერსონიფიკაცია ფოლკორში)». ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში ეს ოპტიმალური გადაწყვეტილებაა.

უფრო რთულ შემთხვევებში, მნიშვნელობის უფრო ზუსტად წარმოსაჩენად სიტყვა-სტატიაში ჩავრთავთ საილუსტრაციო ფრაზებს, რომლებშიც შესაბამის თარგმნით / კონტექსტუალურ ეკვივალენტებს მოვიშველიებთ. ასეთი მეთოდიკა შეიძლება გამოვიყენოთ (და დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში ხშირად გამოგვიყენებია კიდევაც) ნულოვანი ეკვივალენტობის, ნულთან ახლოს მყოფი („ნულისკენ მიმსწრაფი“, როგორც ჩვენ მათ პირობითად ვუწოდეთ) ეკვივალენტობისა და ქართულში სუსტი თუ ნაწილობრივი ლექსიკალიზაციის მქონე ცნებების გადმოსაცემად, რომლებზეც ზემოთ, მესამე თავშიც ვისაუბრეთ ინგლისური სიტყვების tussock, nephew/niece, sister-in-law და სხვ. მაგალითზე.

კონკრეტულად, ნულოვანი ან მასთან ახლოს მყოფი თუ დაბალი ხარისხის / ნაკლები ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრის ეს მეთოდი შემდეგნაირად გამოიყურება: მაგალითად, ამა თუ იმ წყარო ენიდან *მყარი საგნების ერთმანეთზე მირტყმით გამოცემული ხმის* აღმნიშვნელი ზმნის (დაახლ. ინგლ. clink ტიპისა), ქართულად გადმოსატანად სალექსიკონო სიტყვა-სტატიის ქართულ ნაწილში მნიშვნელობის ეკვივალენტად დაიწერება „**მკვეთრი, წკრიალა ხმის გამოცემა (მყარი საგნების ერთმანეთთან მიხლის / შეჯახების შედეგად)**“; ხოლო საილუსტრაციო მაგალითებში უკვე ჩაიწერება „ჭიქების წკარუნი“, „ხურდა ფულის ჩხრიალი“, „გასაღების ჩხაკუნი“, „კენჭების ჩხრიალი“ და *მისთ.*, იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულად რა ტიპის მყარ საგნებზეა საუბარი და რა ქართული ეკვივალენტია საჭირო ქართულის ენობრივი ნორმების მიხედვით მათი მნიშვნელობის ადეკვატურად გადმოსაცემად.

ზემოთ უკვე ნახსენები ინგლისური სიტყვის cub ქართულად გადმოტანისას კი (იმ ვარიანტის გარდა, რაც დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონშია წარმოდგენილი: „**ნაშიერი, შვილი (ცხოველისა), ლეკვი, ბელი, ბოკვერი**“ (ინგლისურ-ქართული, 2010)), შეიძლება, ამ და რომელიმე მისი მსგავსი სინონიმური სიტყვისთვის ნებისმიერი წყარო ენიდან, აიგოს აგრეთვე სიტყვა-სტატია, რომლის ქართულ ნაწილშიც მნიშვნელობის ეკვივალენტად / განმარტებით ეკვივალენტად დაიწერება უფრო ზოგადი ეკვივალენტი, დაახლ. „**ნაშიერი, შვილი (გარეული ცხოველისა)**“; უკვე საილუსტრაციო მაგალითებში კი მოყვანილი იქნება მაგ. „lion cub ლომის ბოკვერი“; „bear cub დათვის ბელი“; „fox cub მელიის ლეკვი“ და *მისთ.*, რითაც სიტყვის სემანტიკური არე, მისი მნიშვნელობის „დიაპაზონი“ დაკონკრეტებული და დაზუსტებული იქნება.

როგორც ვხედავთ, როგორც ნაწილობრივი, ასევე ძალზე მცირე ან ნულოვანი ეკვივალენტობის შემთხვევაშიც, პრობლემის დაძლევა ლექსიკოგრაფიულ დონეზე სავსებით შესაძლებელია.

ამდენად, ინგლისური და გერმანიკული ენების ლექსიკის სემანტიკური ეკვივალენტობის კუთხით ანალიზისა და თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შემუშავებული ლექსიკოგრაფიული მეთოდის ერთმანეთთან შედარება-

შეპირისპირების საფუძველზე ვასკვნით, რომ ამ ენათა სიტყვების სემანტიკური ეკვივალენტობის არსებული ხარისხი არ გამორიცხავს, და პირიქით, სრულიად შესაძლებელს ხდის, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებას ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების მიმართებით.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებსა და ყველაფერ იმას, რაც წინამდებარე ნაშრომში ითქვა, მოკლედ თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას შემდეგი:

სხვადასხვა ლექსიკონებში სხვადასხვა ენების სიტყვათა მნიშვნელობების კვლევისას და ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის კუთხით ერთმანეთთან მათი შედარებისას ძალაუნებურად ლექსიკონებისა და სხვადასხვა ქვეყნებში ტრადიციულად დანერგილი ლექსიკოგრაფიული პრინციპების ანალიზიც მოგვიხდა. შედეგად ამისა, ჩამოგვიყალიბდა შთაბეჭდილება, რომ ის კოლოსალური სამუშაო, რომელიც ოქსფორდის დიდ ლექსიკონზე მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში ჩატარდა სიტყვათხმარების შემთხვევების შეკრებისა (ასიათასობით ბარათის შედგენის გზით) და სიტყვის მნიშვნელობათა ანალიზისა და ზუსტი დადგენის მიმართებით, ტრადიციული ინგლისური ლექსიკოგრაფიის უნიკალურ და დასაფასებელ თავისებურებას შეადგენს. სხვა ქვეყნების ლექსიკოგრაფიაში ასეთი დიდი მოცულობის, ასეთი სკრუპულოზური სამუშაო, როგორც ჩანს, არ ჩატარებულა. ეტყობა, სემიუელ ჯონსონისა და ჯეიმზ მარის რანგის კორიფეები ხშირად არ იბადებიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დავრწმუნდით, რომ განსხვავებით ოქსფორდის დიდი ლექსიკონისაგან, სადაც პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები მკაფიოდაა ერთმანეთისგან გამიჯნული და სემანტიკური შინაარსის მიხედვით დახარისხებული, სხვა ლექსიკონებში, გერმანულ, შვედურ განმარტებით, გერმანულ-რუსულ, გერმანულ-ინგლისურ, შვედურ-რუსულ, ნიდერლანდურ-ინგლისურ და სხვ. ლექსიკონებში, ძალზე ხშირად პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული არ არის. ასე მაგალითად, გერმანულ ან გერმანულ-რუსულ ლექსიკონებში (თავად გერმანელთა მონაწილეობით შექმნილი ლექსიკონების ჩათვლით) ბევრი აშკარად შესამჩნევი მნიშვნელობა ცალკე გამოყოფილი არ არის და სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის ფიგურალური ხმარების შემთხვევად, ან სულაც იდიომად არის ინტერპრეტირებული. ვიტყვით, რომ ამგვარად აგებული ლექსიკონებით სარგებლობა და მათში შეტანილი მასალის ანალიზი ჩვენი მხრიდან გარკვეულ შემოქმედებით მიდგომას მოითხოვდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი ლექსიკოგრაფიული

მასალა ჩვენ მიერ ისევე გამოიყენებოდა, როგორც ვრცელ ტექსტურ კორპუსებს იყენებენ ხოლმე. შესაბამისად, ჩვენ უნდა შეგვემჩნია და გამოგვეყო ცალკეული მნიშვნელობები ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს მნიშვნელობები თავად შესაბამისი ლექსიკონის შემდგენელთა მიერ ცალკე მნიშვნელობად აღქმული და ცალკე გამოყოფილი არ იყო და ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობის ფიგურალურ, გადატანითი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებად ინტერპრეტირდებოდა (მაგ. Vogel „პიროვნების“, „სუბიექტის“, „ტიპის“ მნიშვნელობით არაერთ გერმანულ ლექსიკონში).

ამან კიდევ უფრო მკაფიოდ დაგვანახვა ოქსფორდის დიდი ლექსიკონის ღირსებანი და კიდევ უფრო მეტად დაგვაფასებინა მის შემქმნელთა მიერ გაწეული კოლოსალური სამუშაო. ვფიქრობთ, ილია გალპერინის ხელმძღვანელობით შექმნილ „დიდ ინგლისურ-რუსულ ლექსიკონზე“ მომუშავე კოლექტივიც სწორად მოიქცა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება, ენობრივი მასალის მოწოდებისა და პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობათა დახარისხების (ანუ სიტყვა-სტატიათა აგების) თვალსაზრისით ძირითადად ოქსფორდის დიდი ლექსიკონის პრინციპებს დაჰყრდნობოდა. ჩვენი აზრით, ის ქართველი ლექსიკოგრაფებიც, რომლებმაც 1980-90-იანი წლების მიჯნაზე დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის შექმნაზე იწყებდნენ მუშაობას, სწორნი იყვნენ, როდესაც გადაწყვიტეს სიტყვანის შერჩევისა და სიტყვა-სტატიების ფარგლებში ცალკეულ მნიშვნელობათა გამოყოფის მხრივ ოქსფორდის დიდი ლექსიკონისა და ი. გალპერინის დიდი ინგლისურ-რუსული ლექსიკონის პრინციპებს მიჰყოლოდნენ.

რაც შეეხება ჩვენი ნაშრომის ძირითად თემას, ენათშორისი სინონიმების ლექსიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტობას, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს მოკლედ თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას შემდეგი:

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში გამოვიკვლიეთ ეკვივალენტობა გერმანიკული და ზოგიერთი სხვა ევროპული ენების ლექსიკურ ერთეულთა შორის. წმინდა თეორიულის გარდა, ჩვენთვის ამ კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან განზრახული იყო და არის ინგლისური ენის შუამავალ ენად გამოყენება ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნის პროექტების

ფარგლებში. ამისთვის კი საჭირო იყო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნოდა იმაზე, თუ რამდენად მაღალი იყო სემანტიკური ეკვივალენტობის ხარისხი ინგლისური და სხვა ევროპული ენების სინონიმურ ლექსიკურ ერთეულებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკოლოგიის თეორიული საკითხების შესწავლის მიმართ ჩვენი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ჩვენი კვლევა მაინც პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდა და მისი წარმოების პროცესშიც ჩვენი ფიქრის საგანი კონკრეტულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე მუშაობა იყო. ამდენად ისეთ ზოგადთეორიულ საკითხებს, მოკლებულს პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიულ თუ სამეცნიერო მნიშვნელობას, როგორცაა „რა არის სიტყვა?“, „რა არის სიტყვის მნიშვნელობა?“, „აქვს თუ არა სიტყვას მნიშვნელობა?“ და ა.შ. ჩვენ არ ჩავდრმავებივართ. ასეთ თემებზე ბჭობა ისეთივე ფუჭ საქმიანობად მიგვაჩნია, როგორც, ვთქვათ „ცხოვრების აზრზე“ საუბარი. უსაგნოდ და არაპროდუქტიულად მიგვაჩნია აგრეთვე ორიგინალობაზე პრეტენზიის მქონე ნიჰილისტური ფრაზები ტიპისა „ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობა არ არსებობს“, „სიტყვის მნიშვნელობების არსებობა არ მჯერა“ და *მისთ*. (განსვენებული ადამ კილგარიფის ნაშრომში ციტირებული ფრაგმენტის მიხედვით (კილგარიფი, 1997), მსგავსი გამოთქმა⁹⁴ საკმაოდ ცნობილ და დამსახურებულ ლინგვისტსა და ლექსიკოგრაფს, სიუ ეტკინსს (Sue Atkins) ეკუთვნის). ამგვარი სემანტიკური სკეფსისი და გულგატეხილობა ჩვენთვის უცხო იყო. ვეცადეთ აგრეთვე თავი აგვერიდებინა ზედმეტი დეტალიზაციისათვის, რომლის „წყალობითაც“, როგორც ნაშრომის დასაწყისშიც (ერთ რუსულ ანდაზაზე ალუზიით) აღვნიშნეთ, ცალკეულ ხეებზე ყურადღების მეტისმეტი კონცენტრაციისას შეიძლება ტყე ვეღარ აღვიქვათ. ჩვენი კვლევა, როგორც ითქვა, პრაქტიკული საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მიზნად კონკრეტული ტიპის ლექსიკოგრაფიული საქმიანობის განხორციელებადობის ხარისხის დადგენას ისახავდა მიზნად. ჩვენ მნიშვნელობებისა და სინონიმის არსებობა აქსიომად ჩავთვალეთ, ერთადერთი, რისთვისაც გვსურდა ჩვენი კვლევის მეშვეობით მიგვეღწია, ენათშორის სინონიმთა ეკვივალენტობის ხარისხის დადგენა იყო.

⁹⁴ “I don’t believe in word senses”

სწორედ ამ მიზნით, პირველ რიგში გამოვიკვლიეთ ეკვივალენტობა ერთმხრივ ინგლისური, და მეორე მხრივ, სხვადასხვა გერმანიკული ენებიდან აღებულ ზედსართავ სახელებს შორის. როგორც კვლევამ გვაჩვენა, გერმანიკული ენების სინონიმური ზედსართავი სახელების მნიშვნელობათა შორის საკმაოდ დიდი არაიზომორფულობის მიუხედავად (*განსაკუთრებით თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტების დონეზე*), მთლიანობაში სემანტიკური ეკვივალენტობის ხარისხი სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა ჩვენ მიერ ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნასთან დაკავშირებით დასახული მიზნებისათვის.

მსგავსივე სურათი მოგვცა არსებითი სახელებისა და ზმნების ანალიზმაც. სემანტიკური ეკვივალენტობის თვალსაზრისით, აქაც გამოვლინდა გარკვეული დიქოტომია მნიშვნელობის ეკვივალენტებსა და თარგმნით / კონტექსტუალურ ეკვივალენტებს შორის (ეკვივალენტობა მეტია მნიშვნელობის ეკვივალენტებს შორის და ნაკლები – თარგმნით / კონტექსტუალურ ეკვივალენტებს შორის). ზმნებში შედარებით მეტი აღმოჩნდა ინდივიდუალური სემანტიკური პროფილის მქონე ლექსიკა, მაგრამ მთლიანობაში, არსებითი სახელებისა და ზმნების შემთხვევაშიც, ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტობის ხარისხი დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.

მეტყველების ამ სამი ძირითადი ნაწილის შესწავლის შემდეგ მივედით დაახლოებით შემდეგი ხასიათის ზოგად დასკვნებამდე: უპირველეს ყოვლისა, სიტყვებს ნამდვილად აქვთ მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ენობრივი კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა, და ენათშორისი სინონიმების ეკვივალენტობაც (მეტ-ნაკლები ხარისხით, სხვადასხვა შემთხვევებში) ცხადია არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობითი ან ზეპირი თარგმნა პრაქტიკულად განუხორციელებელი იქნებოდა (ამიტომ მიგვაჩნია სიტყვების მნიშვნელობისა და სინონიმების არსებობა აქსიომად). სხვა საკითხია, რომ სხვადასხვა დიაქრონიული, კულტურულ-რეგიონული თუ სხვა მიზეზების გამო, ენათშორისი სინონიმების მნიშვნელობები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა, რაც წამოჭრის კიდევაც მათი ეკვივალენტობის პრობლემას, რომელიც წინამდებარე ნაშრომში განიხილებოდა.

თავად ეკვივალენტობას რაც შეეხება, ჩვენი კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ხარისხის ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობა ენათშორის სინონიმთა შორის რეალურად არსებობს. ამავე დროს, **ხარისხობრივ დონეზე** გამოვყავით ენათშორის სინონიმთა ეკვივალენტობის სამი ტიპი, ეკვივალენტობის სამი ხარისხი: **ნულოვანი, ნაწილობრივი და სრული. სრული ეკვივალენტობა** ლექსიკოგრაფიისთვის იდეალური შემთხვევაა, არ უკავშირდება პრაქტიკულად არანაირ პრობლემას, რომლის გადაჭრაც საჭირო იქნებოდა, და ამდენად არც დეტალურ განხილვას არ საჭიროებს.

ნულოვანი ეკვივალენტობის შემთხვევაში ლექსიკონის შედგენისას გამოიყენება აღწერითი ტიპის *მნიშვნელობის ეკვივალენტი*. აუცილებლობის შემთხვევაში სიტყვა-სტატია შეივსება საილუსტრაციო ფრაზებით, რომლებშიც გამოიყენება მოცემული კონტექსტისთვის უფრო შესაფერისი, მნიშვნელობის ეკვივალენტისგან განსხვავებული *თარგმნითი ეკვივალენტი*, რაც წყარო ენიდან აღებული სიტყვის მნიშვნელობას კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს. ამგვარად, ნულოვანი ეკვივალენტობის პრობლემა ლექსიკოგრაფიულ დონეზე (მეტ-ნაკლები წარმატებით, ცხადია) სრულიად გადაჭრადია.

ენათშორის სინონიმთა ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის ძირითადი და ყველაზე გავრცელებული ტიპი კი გახლავთ **ნაწილობრივი ეკვივალენტობა**. ეს ნაწილობრიობა, ბუნებრივია, სხვადასხვა გრადაციებს ექვემდებარება და შეიძლება იყოს მეტი, ან ნაკლები. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტყვა-სტატიაში მეთაურ სიტყვად სათარგმნ სიტყვასთან მნიშვნელობით მეტ-ნაკლებად ახლოს მდგომი სიტყვის გამოტანის, მისთვის (საჭიროების შემთხვევაში) მცირე განმარტების დართვისა და სიტყვა-სტატიის სათანადო საილუსტრაციო ფრაზებით გამდიდრების მეშვეობით, ნაწილობრივი ეკვივალენტობის პრობლემაც (უფრო იოლად, ცხადია, ვიდრე ნულოვანი ეკვივალენტობისა) წარმატებით შეიძლება გადაიჭრას. მართლაც, თუკი რომელიმე სიტყვას ამა თუ იმ წყარო ენიდან (ვთქვათ გერმანულიდან) რამდენიმე ინგლისური ეკვივალენტი აქვს (ანუ შუამავალი ენის სიტყვასთან ნაწილობრივი ეკვივალენტობით ხასიათდება), ეს სიძნელეს არ ქმნის, რამდენადაც დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში ყოველი ამ ინგლისური ეკვივალენტის *ქართული*

შესატყვისობის მოძიებაა შესაძლებელი. გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში სინონიმების ლექსიკონების (thesauri) მეშვეობით შესაძლებელია ინგლისური ეკვივალენტის დამატებითი სინონიმების მოძიება, რომლების დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში ნახვის შემდეგაც კიდევ უფრო მეტი ქართული ეკვივალენტის მოპოვება იქნება შესაძლებელი, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს წყარო ენიდან აღებული სიტყვის მნიშვნელობის გადმოსაცემად მაქსიმალურად შესაფერისი ქართული შესატყვისობის შერჩევას.

შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე, რომ **ფუნქციურ დონეზე**, ანუ თარგმნით სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ეკვივალენტების ფუნქციისა და პოზიციის მიხედვით, თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში (ლექსიკოგრაფიის თეორეტიკოსთა ნაშრომებისა და საკუთარი პრაქტიკული საქმიანობიდან მომდინარე გამოცდილების საფუძველზე) ვასხვავებთ თარგმნით სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში მეთაურ სიტყვად გამოსატან **მნიშვნელობის ეკვივალენტებს** (სხვაგვარად აღწერით/განმარტებით ეკვივალენტებს) და საილუსტრაციო ფრაზების თარგმანში სახმარ **თარგმნით** (კონტექსტუალურ, სუროგატულ ეკვივალენტებს).

ამასთან ერთად, ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საბოლოოდ ჩამოვყალიბებთ ორენოვანი, ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნის მეთოდი, რომელიც ინგლისური ენისა და დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის შუამავალ ინსტრუმენტად, ერთგვარ „ხიდად“ გამოყენებას ითვალისწინებს. ამ მეთოდის პრაქტიკულ გამოყენებას რეალურს ხდის სემანტიკური ეკვივალენტობის დამაკმაყოფილებელი და, ხშირ შემთხვევაში, სავსებით მისაღები ხარისხი ინგლისური და სხვა ევროპული ენების სინონიმურ ლექსიკურ ერთეულთა შორის, რაც წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა. ეს კი, ჩვენი აზრით, იმედის მომცემ პერსპექტივებს სახავს სამომავლოდ ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნის პროექტებისთვის.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ენათშორისი სინონიმების მნიშვნელობათა ეკვივალენტობაზე მათი ეტიმოლოგიური წარმომავლობა რაიმე არსებით ზეგავლენას არ ახდენს. ენათშორისი და შიდაენობრივი სინონიმების მნიშვნელობათა ეკვივალენტობა წმინდა სინქრონიული

მოვლენაა და მოქმედებს ენაში, როგორც სინქრონიულ, პირობითად სტატიკურ სისტემაში. ამდენად, ეტიმოლოგიას, განსახილველი სიტყვების წარმომავლობასა და დიაქრონიული პროცესების ფარგლებში მათი მნიშვნელობების ცვალებადობას არანაირი არსებითი ზეგავლენა არა აქვს სინქრონიულ დონეზე ენათშორის სინონიმთა მნიშვნელობების ლექსიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტობაზე.

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ იმისდა მიუხედავად, რომ სინონიმურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ველების სრული დამთხვევა უაღრესად იშვიათი მოვლენაა და, პრაქტიკულად, სრული სინონიმები ენაში, შეიძლება ითქვას, არც არსებობს, მაინც გამოკვლეული ენებისა და მათი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა ანალიზის საფუძველზე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ევროპული ენების სინონიმურ ლექსიკურ ერთეულთა შორის სემანტიკური ეკვივალენტობის ხარისხი მნიშვნელობის ეკვივალენტების დონეზე საკმაოდ მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურისა და სხვ. წყაროების სია

- ადამსკა-სალაციაკი 2010: Adamska-Salaciak, A. *Examining Equivalence*
International Journal of Lexicography, 4: 387 – 409. 2010
- ბენვენისტი 1974: Бенвенист Э. *Общая Лингвистика*. М., 1974
- ბლუმი ... 1988: Блум Ф., Лейзерсон А., Хофстедтер Л. *Мозг, разум и поведение*. Москва «Мир» 1988
- ბლუმფილდი 1968: Блумфилд, Л.. *Язык*. М., 1968
- ბოტა 1999: BOTHA, R. P., *On Chomsky's "Fable" of Instantaneous Language Transmission*, *Language and Communication*, 19: 243-57, 1999
- ბრეალი 1897: Breal, Michel. *Essai de sémantique: science des significations*. Paris: Hachette, 1897
- ბრიტანული
ნაციონალური 2007: *British National Corpus (BNC)* (განთავსებულია 2009
წლიდან) მის.: <http://www.natcorp.ox.ac.uk/>
- გარდნერი ... 1989: Gardner, R. Allen, Beatrix T. Garner, and Thomas E. Van
Cantfort. *Teaching Sign Language to Chimpanzees*. State
University of New York Press, 1989

- გეერარტსი 2010: Geeraerts, Dirk. *Theories of Lexical Semantics*. Oxford University Press Inc., New York 2010
- გერმანულ-რუსული 1969: *Большой немецко-русский словарь (В двух томах)* Под руководством О.И. Москальской. Изд. «Советская энциклопедия» Москва 1969
- გერმანულ-რუსული 1983: *Немецко-русский синонимический словарь*. Сост. И. В. Рахманов, Н. М. Минина, Д. Г. Мальцева, Л. И. Рахманова. Москва «Русский язык» 1983
- გერმანულ-რუსული 1987: *Deutsch-Russisches Wörterbuch 2. Aufgabe*. Akademie-Verlag, Berlin. 1987
- გიპერი 1959: Gipper, Helmut. *Sessel oder Stuhl? Ein Beitrag zur Bestimmung von Wortinhalten im Bereich der Sachkultur*. In: Helmut Gipper (ed.), *Sprache, Schlüssel zur Welt: Festschrift für Leo Weisgerber*, 271-292. Düsseldorf: Schwann, 1959
- გოუვსი ... 2008: Gouws, Rufus, Prinsloo, Danie *What to Say about mañana, totems and dragons in a Bilingual Dictionary? The Case of Surrogate Equivalence*. *International Journal of Lexicography*, 869 – 877. 2008
- გუდოლი 1986: Goodall, Jane. *The Chimpanzees of Gombe: Patterns of Behavior*. Belknap Press, 1986

- დანელია 1926: დანელია სერგი. *ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ*. თბილისი 1926
- დე სოსიური 1977: де Соссиур, Ф. *Труды по языкознанию*. Москва, «Прогресс», 1977
- დუდენი 2011: *Duden online* (განთავსებულია 2011 წლიდან);
მის.: <http://www.duden.de>
- ევანსი... 2006: Evans, Vyvyan, Green, Melanie. *Cognitive Linguistics: An Introduction*. Edinburgh: Edinburgh University Press. 2006
- ვაისგერბერი 1927: Weisgerber, Leo. *Die Bedeutungslehre – ein Irrweg der Sprachwissenschaft? Germanisch-Romanische Monatsschrift* 15: 161-183, 1927
- ვან დალე 2015: *Van Dale. Gratis woordenboek*. მის.:
<http://www.vandale.nl/opzoeken?pattern=&lang=en>
- ვან სტერკენბურგი 2003: van Sterkenburg, P. G. J. *A practical guide to lexicography*. John Benjamins Publishing Company. 2003.
- ვებსტერი 1961: *Webster's Third New International Dictionary (unabridged)*. Springfield: MA: G. & C. Merriam, 1961.
- ზგუსტა 1971: Zgusta, L. *Manual of Lexicography*. Prague: Academia. The Hague: Mouton. 1971

- ზგუსტა 2006: Zgusta, L. *Lexicography Then and Now*. Tübingen: Max Niemeyer Max Niemeyer Verlag 2006
- თაგუელი 2011: თაგუელი, დ. *ქართული სიტყვათმეხამებითი მოდელები პროგრამაში „Sketch Engine“*.
საერთაშორისო კონფერენციის „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2011“ მასალები
- ინგლისურ-გერმანული 2006: *LEO.org A multilingual electronic and translation dictionary* (განთავსებულია 2006 წლიდან);
მის.: <https://dict.leo.org>
- ინგლისურ-იტალიური 2012: *DizionarioEnglish-Italian / Italiano-Inglese*. 2012. მის.:
http://dizionari.corriere.it/dizionario_inglese/Italiano/a.shtml
- ინგლისურ-ნორვეგიული 2012: *Engelsk Lommeordbok (Engelsk-Norsk, Norsk-Engelsk)*
Kunnskapsforlaget, Oslo 2012
- ინგლისურ-რუსული 1988: *Большой англо-русский словарь под общим руководством И. Р. Гальперина и Э. М. Медниковой*.
Москва, «Русский Язык» 1988
- ინგლისურ-რუსული 2000: *Новый большой англо-русский словарь под общим руководством Ю. Д. Апресяна*. Москва, Издательство «Русский Язык» 2000
- ინგლისურ-ქართული 2010: *დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი*.
მთავარი რედაქტორი თ. მარგალიტაძე
(განთავსებულია 2010 წლიდან);

მის.: <http://www.dictionary.ge>

ინგლისურ-შვედური 2012: *Dict.cc. Engelsk-svensk ordbok: Swedish-English and Multilingual Dictionary* (განთავსებულია 2012 წლიდან); მის.: <http://sv-en.dict.cc/>

ისლანდიურ-ინგლისური 2011: *Icelandic Online Dictionary and Readings. UWDC.* Copyright © 2011 Board of Regents of the University of Wisconsin System (განთავსებულია 2011 წლიდან) მის.: <http://digioll.library.wisc.edu/IcelOnline/Search.TEId.html>

კაცი ... 1963: Katz, Jerrold J., Fodor, Jerry A. *The structure of a semantic theory.* Foundations of Language 11: 311-40, 1963

კაცი ... 1964: Katz, Jerrold J., Postal, Paul M. *An integrated theory of linguistic descriptions.* Cambridge, MA: MIT Press. 1964

კაცი, 1966: Katz, Jerrold J. *The Philosophy of Language.* New York: Harper & Row. 1966

კაცი, 1977: Katz, Jerrold J. *The real status of semantic representation.* Linguistic Inquiry 8: 559-84. 1977

კილგარიფი 1997: Kilgarriff, Adam *"I don't believe in word senses"* Computers and the Humanities 31: 91-113, 1997. 91 c 1997 Kluwer Academic Publishers. Printed in the Netherlands.

- კილგარიფი ... 2002: Kilgarriff A., Tugwell D. *Sketching words*. In *Lexicography and Natural Language Processing: A Festschrift in Honour of B. T. S. Atkins*. Marie-Hélène Corréard (Ed.) EURALEX: 125-137, 2002
- კლუგე 1975: *Friedrich Kluge. Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache*. 21. unveränderte Auflage. Walter de Gruyter. Berlin. New York 1975
- კნოროზოვი 1990: Кнорозов Ю. В. *Мануэль Галич и его книга (с. 9-11)*. В книге «Галич, Мануэль. История доколумбовых цивилизаций. Москва, «Мысль» 1990»
- კოზინცევი 2004: Козинцев Ал. *Происхождение языка: новые факты и теории*. ძის.: http://krotov.info/lib_sec/11_k/koz/inzev_03.htm
- კოლინზი 2006: *Collins English Dictionary*. 8th Edition. 120,000 entries HarperCollins Publishers 2006.
- კრომანი ... 1991: Kromann, H. P., Riiber, T., Rosbach, P. *Principles of Bilingual Lexicography*. In: Hausmann, F. J. et al. (eds.) 1989-1991. *Wörterbücher. Dictionaries. Dictionnaires*. An International Encyclopedia of Lexicography. Berlin: De Gruyter. 2711-2728 (1991)
- ლაკოფი 1970: Lakoff, George. *A note on vagueness and ambiguity*. *Linguistic Inquiry* 1: 357-359. 1970

- ლინგვისტური 1990: *Лингвистический энциклопедический словарь.*
Москва. «Советская энциклопедия» 1990
- ლინგვო-12 2006: *ABBYY Lingvo 12.* © ABBYY Software. 2006
- ლოსევი 2006: Лосев, А. Ф. *Краткий анализ диалога Платона "Кратил"*
(განთავსებულია 27 ოქტომბრიდან, 2006); მის.:
http://genhis.philol.msu.ru/article_64.shtml
- მაკ-კოლი 1968: McCawley, James D. *Lexical insertion in a
transformational grammar without deep structure.* Papers
from the Fourth Regional Meeting of the Chicago
Linguistic Society, ed. by Bill J. Darden et al., 71-80.
Chicago: Linguistics Department, University of Chicago,
1968
- მაკმილანი 2009: *Macmillan Dictionary and Thesaurus* მის.:
<http://www.macmillandictionary.com>
- მარგალიტაძე 2012ა: მარგალიტაძე, თ. *ეკვივალენტობის პრობლემის
გადაჭრის გზები დიდ ინგლისურ-ქართულ
ლექსიკონში.* ბათუმის მეორე საერთაშორისო
სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში (მასალები). 2012
- მარგალიტაძე 2012ბ: მარგალიტაძე, თ. *დიდი ინგლისურ-ქართული
ონლაინ-ლექსიკონი: მეთოდები, პრინციპები,
თანამედროვე ტექნოლოგიები.* ევროპის
ლექსიკოგრაფიული ასოციაციის (EURALEX) მე-15
საერთაშორისო კონგრესის მასალები. ოსლო, 2012
- მარგალიტაძე ... 2012: მარგალიტაძე თ., მელაძე გ. *დიდი ინგლისურ-
ქართული ლექსიკონი - ორენოვანი ევროპულ-*

ქართული ლექსიკონების საფუძველი. თსუ
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
რეცენზირებად ელექტრონულ ბილინგვურ ჟურნალ
„სპეკალის“ მეშვიდე ნომერი. (განთავსებულია 2012
წლიდან); მის.:
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/7/62>

მარგალიტაძე 2013: მარგალიტაძე, თ. *პოლისემიური სიტყვების
ერთგანზომილებიანი მოდელი*. სამეცნიერო ჟურნალი
„კადმოსი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თბილისი, 2013

*ნიდერლანდურ-
-რუსული 1977:* *Нидерландско-русский словарь*. Сост. Дренясова Т.Н.,
Миронов С.А. Москва «Русский язык» 1977

ნიუტონის ... 2010: *The Chymistry of Isaac Newton*. Indiana University,
Bloomington. მის.:
<http://webapp1.dlib.indiana.edu/newton/index.jsp>

ნორვეგიულ-რუსული 1963: *Норвежско-русский словарь*. 77000 слов. Составил
проф. Д. Аракин. Государственное издательство
иностраных и национальных словарей. Москва 1963

ოჟეგოვი 1989: С.И. Ожегов. *Словарь русского языка*. Москва,
«Русский язык» 1989

- ოქსფორდი 1989: *Oxford English Dictionary, second edition on CD-ROM.*
Version 2.0, 1989
- ოქსფორდი 2005ა: *Oxford Advanced Learner's Dictionary, 7th edition*
(OALD7) on CD-ROM. 2005
- ოქსფორდი 2005ბ: *Oxford Dictionary of English, second edition (revised).*
First edition edited by Judy Pearsall, Patrick Hanks,
Second edition edited by Catherine Soanes, Angus
Stevenson. Oxford University Press. 2005
- ოქსფორდი 2007: *Shorter Oxford Dictionary on Historical Principles. Sixth*
edition. Editor - Angus Stevenson. Oxford University
Press. 2007
- პავლოვსკი 1902: *Pawlowski. Deutsch-Russisches Wörterbuch.* Dritte
Auflage. N. Kymmell, Riga 1902.
- პანოვი 1983: Панов Е. Н. *ЗНАКИ, СИМВОЛЫ, ЯЗЫКИ.* «Знание», М., 1983
- პაული 1897: Paul, Hermann. *Deutsches Wörterbuch.* Halle: Max
Niemeyer, 1897
- პაული 1920: Paul, Hermann. *Prinzipien der Sprachgeschichte.* 5. Aufl.
Halle/S, 1920
- პინკერი 2004: Пинкер Стивен. *Язык как инстинкт.* М. Едиториал
УРСС, 2004

- პლატონი 2011: Платон. *Кратил*. Перевод Т.Васильевой.
(განთავსებულია 2011 წლიდან); მის.:
<http://www.philosophy.ru/library/plato/kratil.html>
- რაგაზინი 2008: *Il Ragazzini. Dizionario Inglese Italiano, Italiano Inglese*
Le Opere Zanichelli i CD-Rom, 2008
- რანდელი 2002: Rundell, M. *Good old-fashioned lexicography: Human judgement and the limits of automation*. In Corr ard, M.-H. ( d.), 138-155, 2002
- რევერსო 2010: *Reverso Online Dictionary: translation, definition, synonyms*. Available in Arabic, Chinese, Dutch, English, French, German, Hebrew, Italian, Japanese, Korean, Polish, Portuguese, Russian, Spanish. მის.:
<http://dictionary.reverso.net>
- რობერი 1981: *Le petit Robert (nouvelle  dition revue, corrig e et mise   jour pour 1981)*. Paris: Le Robert.
- როში 1978: Rosch, Eleanor and Lloyd, Barbara B. (eds), *Cognition and categorization* 27-48. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum. 1978
- რუსულ-გერმანული 1972: *Русско-немецкий словарь*. Издательство «Советская Энциклопедия». Москва 1972
- რუსულ-გერმანული 1989: *Русско-немецкий словарь*. Москва, «Русский язык» 1989

- რუსული ენის 2004 *Национальный корпус русского языка (НКРЯ)*
(განთავსებულია 2004 წლიდან)
მის.: <http://www.ruscorpora.ru/>
- რუსულ-შვედური 1976: *Русско-шведский словарь (ок. 50 000 слов). Под редакцией Карин Давидссон. Москва, «Русский язык» 1976*
- რუსულ-შვედური 2004: *Русско-Шведский и Шведско-Русский On-line словарь v.4. web edition, 2004*
მის.: <http://www.valenta.se/dictionary/>
- რუსულ-შვედური 2012: *Русско-Шведский и Шведско-Русский словарь, 2012 v.7. Beta. Internet edition (ონლაინ-განახლებადი დესკტოპ-აპლიკაცია);*
მის.: <http://ordbok.sweden4rus.nu/>
- საყვარელიძე 2001: *საყვარელიძე, ნ. თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2001*
- სევიჯ-რუმბო 1986: *Savage-Rumbaugh, E.S. Ape Language: From Conditioned Response to Symbol. New York: Columbia University Press, 1986*
- სკეჩ-ენჯინი 2003: *Sketch Engine* (განთავსებულია 2003 წლიდან); მის.: <https://www.sketchengine.co.uk/>

- სნელ-ჰორნბი 1984: Snell-Hornby, Mary. *The bilingual dictionary – help or hindrance?* LEXeter '83, Proceedings: papers from the International Conference on Lexicography at Exeter. Ed. by R. R. K. Hartmann. Tübingen (= Lexicographica, Series Maior 1). 274-281. 1984.
- სუნდსტრემი 2012: Sundström, Mats-Peter. *A Late Last Century Dictionary Project Still in Full Vigour: the Finnish-Swedish General Dictionary*. ბათუმის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში (მასალები). 2012
- ტაციტუსი 1970: Тацит, Корнелий. Сочинения в двух томах. «Наука» Ленинград 1970
- ტენ ჰაკენი 2009: ten Hacken, Pius. *What is a dictionary? A view from Chomskyan linguistics*. International Journal of Lexicography #4, December 2009
- ტრიერი 1931: Trier, Jost. *Der deutsche Wortschatz im Sinnbezirk des Verstandes: Die Geschichte eines sprachlichen Feldes I. Von den Afnängen bis zum Beginn des 13. Jahrhunderts*. Heidelberg: Winter 1931
- უორფი 1939: Уорф, Б. Л. *Отношение норм поведения и мышления к языку*. მოს.: <http://www.classes.ru/grammar/142.Bloomfield-language/>

- უფიმცევა 1986: Уфимцева, А. А. *Лексическое значение (Принцип семиологического описания лексики)*, с. 134 и сл. «Наука» 1986
- ფენრიხი 1978: ფენრიხი, ჰაინც. *ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძეების ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1978
- ფილმორი 1975: Fillmore, Charles J. *An alternative to checklist theories of meaning*. In Cathy Cogen, Henry Thompson, Graham Turgood, Kenneth Whistler and James Wright (eds.). *Proceedings of the First Annual Meeting of the Berkeley Linguistic Society*, 123-131. Berkeley, CA: Berkeley Linguistic Society. 1975.
- ფრი-დიქშენერი 2003: *TheFreeDictionary.com* Available in English, Spanish, German, French, Italian, Chinese, Portuguese, Dutch, Norwegian, Greek, Arabic, Polish, Turkish, Russian languages (განთავსებულია 2003 წლიდან); მის.: <http://www.thefreedictionary.com/>
- ქართული ენის ეროვნული 2015: ქართული ენის ეროვნული კორპუსი; მის.: <http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html>

- ქართულ-ინგლისური* 2006: დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი დ. რეიფილდი London: The Garnett Press, 2006
- შვედური ენის ეტიმოლოგიური* 1997: Svenska Akademiens Ordbok (განთავსებულია 1997 წლიდან); მის.: <http://g3.spraakdata.gu.se/saob/>
- შვედურ-ინგლისური* 2012: *Swedish-English and English-Swedish online dictionary. FREELANG* (განთავსებულია 2012 წლიდან); მის.: <http://www.freelang.net/online/swedish.php>
- შვედურ-რუსული* 1949: *Шведско-русский словарь*. Составила Д. Э. Миланова. Государственное издательство иностранных и национальных словарей. Москва 1949
- შვედურ-რუსული* 2003: *Шведско-русский и русско-шведский словарь*. Сост. В.В. Ефремова «Дельта» Москва, «М.Г.В.» Санкт-Петербург, 2003
- შტაინტალი* 1851: Steinthal, Heymann. *Der Ursprung der Sprache im Zusammenhang mit den Letzten Fragen Alles Wissens*. Berlin, 1851
- შტაინტალი* 1855: Steinthal, H. *Grammatik, Logik und Psychologie. Ihre Prinzipien und ihr Verhältniss zu einander*. Berlin, 1855
- დინგარელი* 2011: *loZingarelli. Vocabulario della Lingua Italiana Le Opere Zanichelli i CD-Rom*, 2011

- Խոմսկի 1956: Chomsky, Noam. *Three models for the description of language*. IRE Transactions on Information Theory. IT-2: 113–124. 1956
- Խոմսկի 1957: Chomsky, Noam. *Syntactic Structures*. The Hague: Mouton. 1957
- Խոմսկի 1972: Хомский Н. *Язык и мышление*. М., 1972
- Խոմսկի 1975: Chomsky N. *Reflections on Language*. N.Y., 1975
- Խոմսկի 1984: Chomsky N. *Modular Approaches to the Study of the Mind*. San Diego, 1984
- Խոմսկի 1988: Chomsky N. *Language and Problems of Knowledge: The Managua Lectures*. Cambridge, 1988
- Խոմսկի 1998: Chomsky, Noam. *Language and Mind: Current Thoughts on Ancient Problems*. Parts 1 and 11; lectures presented at Universidad de Brasilia, published in *Pesquisa Linguistica*, 3, 4. (1998)
- Ջոնսոն 1993: Johnson, Lawrence E. *A morally deep world: an essay on moral significance and environmental ethics*. Cambridge University Press. p. 27, 1993
- Հարտման ... 1998: Hartmann R. R. K., James G. *Dictionary of Lexicography*. London: Routledge, 1998

- ჰარტმანი 2007: Hartmann, R. R. K. *Interlingual Lexicography: Selected Essays on Translation Equivalence, Contrastive Linguistics and the Bilingual Dictionary*. Tübingen: Max Niemeyer, 2007
- ჰაუსმანი 1985: Hausmann, Franz Josef *Lexikographie*. In: *Handbuch der Lexikologie*. (Hrsg. Christoph Schwarze / Dieter Wunderlich). Königstein/Ts. 1985
- ჰენქსი 2000: Hanks, Patrick. *Do Word Meanings Exist?* *Computers and the Humanities* 34: 205-215, 2000
- ჰეხტი 1888: Hecht, Max *Die griechische Bedeutungslehre: eine Aufgabe der klassischen Philologie*. Leipzig: Teubner, 1888
- ჰუმბოლდტი 1795: Humboldt, Wilhelm von. *Ueber Denken und Sprechen* 1795
- ჰუმბოლდტი 1978: Humboldt, Wilhelm von. *Wortfeldtheorie, and Structural Semantics*. Stanford University, 1978
- ჰუმბოლდტი 1985: Гумбольдт, Вильгельм фон. *Язык и философия культуры*. Москва, издательство «Прогресс», 1985
- ჰუმბოლდტი 2001: Гумбольдт, Вильгельм фон. *Избранные труды по языкознанию*. Москва, издательство «Прогресс», 2001

ჰუმბოლდტი 2011:

Гумбольдт, Вильгельм фон. *О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества*. მბს.:

http://www.classes.ru/grammar/171.Gumboldt/source/worddocuments/_2.htm